

ნანა სტამბოლიშვილი

შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში
INTRODUCTION TO THE GERMANIC PHILOLOGY
EINFÜHRUNG IN DIE GERMANISTISCHE PHILOLOGIE




ნანა სტამბოლიშვილი
Nana Stambolishvili
Nana Stambolischvili

შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში
Introduction to the Germanic Philology
Einführung in die germanistische Philologie

- სახელმძღვანელო -

(მეორე შვესებული გამოცემა)



გამომცემლობა

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი - 2015

UDC(უკ) 821.11.09
ს-795

ადიარებულია სახელმძღვანელოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება №79, 31.07.2013)

სახელმძღვანელო „შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში“ გან-
კუთვნილია ინგლისური და გერმანული ფილოლოგიის სპეციალობის
სტუდენტებისთვის, ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებისა და სა-
კითხით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორები: ანზორ აბუსერიძე, ასოც. პროფესორი
მარინე გიორგაძე, პროფესორი
რევენზენტები: დალი ფანჯიკიძე, პროფესორი
ნინო დვალაძე, ასოც. პროფესორი

სარედაქციო საბჭო:

პროფესორები: ირინე გომბეთელიანი, ნატალია სურგულაძე, მარინე
სიორიძე, ნელი ახვლედიანი, თეონა ბერიძე, ნანა ხახუტაიშვილი

Durchgesehen von den Professoren:

Redakteure: Prof. Dr. A. Abuseridze
Prof. Dr. M. Giorgadze
Rezensentinnen: Prof. Dr. D. Panjikidze, Prof. Dr. N. Dvalidze
Mitglieder: Prof. Dr. I.Goshkheteliani, Prof. Dr. N.Surguladze,
Prof. Dr. M. Sioridze, Prof. Dr. N. Akhvlediani,
Prof. Dr. T. Beridze, Prof. Dr. N. Khakhutaishvili

ISBN 978-9941-462-10-8

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2015

ვუძღვნი
მიზეილ (მიძიკო) სტამბოლიშვილის
ნათელ ზხოვნას

წინასიტყვაობა	7
PREFACE	10
1. მონათესავე ენები. ენათა ოჯახები	13
1.1. ენათა დაჯგუფება სხვადასხვა პრინციპის მიხედვით	13
1.2. გენეალოგიური კლასიფიკაციისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია	18
2. ინდოევროპულ ენათა ოჯახი	20
2.1. ინდოევროპულ ენათა ოჯახის შტოები	20
2.2. ინდოევროპული ენების გავრცელების არეალი ევროპაში	28
2.3. ინდოევროპული ფუძემდებლის ძირითადი თავისებურებები	31
3. გერმანიკული ენები	35
3.1. საერთო გერმანიკული წინარეენის – საერთო გერმანულის არსებობის ხანა	35
3.2. ძველი გერმანიკული ენები	38
3.3. თანამედროვე გერმანიკული ენები	43
4. გერმანული დამწერლობის ისტორია	50
4.1. რუნული ანბანის სახეები	50
4.2. გოთური ანბანი	59
4.3. ლათინური ანბანი	63
5. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება.	
ისტორიულ-შედარებითი მეთოდი	69
5.1. ფილოლოგიის სათავეებთან	69
5.2. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუძემდებლები	73
5.3. ისტორიული-შედარებითი მეთოდის გამოყენების ხერხები	77
6. თანხმოვანთა პირველი ზგერათგადაწევა	87
6.1. როდის მოხდა თანხმოვანთა დიდი გადაწევა?	96
6.2. თანხმოვანთა დიდი გადაწევის მიზეზები	97
6.3. „ვერწერის კანონი“	98

7. თანხმოვანთა მეორე, ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწევა	102
8. გერმანიკული ენების საერთო ტიპოლოგიური ნიშნები	110
8.1. მახვილი	110
8.2. რედუქცია	112
8.3. ალიტერაცია	114
8.4. გრამატიკული და ლექსიკური ხასიათის ცვლილებები	115
9. გერმანიკული ზმნა	119
9.1. ძლიერი ზმნები	119
9.2. სუსტი ზმნები	125
9.3. პრეტერიტო-პრეზენტული ზმნები	129
9.4. არაწესიერი ზმნები	131
10. არსებითი სახელი გერმანიკულ ენებში	134
10.1. არსებითი სახელების ძლიერი ბრუნება	137
10.2. არსებითი სახელის სუსტი ბრუნება	143
11. ზედსართავი სახელი გერმანიკულ ენებში	148
11.1. ზედსართავი სახელის ძლიერი ბრუნება	149
11.2. ზედსართავი სახელის სუსტი ბრუნება	152
11.3. ზედსართავი სახელის ხარისხები	154
12. ნაცვალსახელი გერმანიკულ ენაში	155
13. რიცხვითი სახელი	161
14. საერთო ინდოევროპული ლექსიკიდან საერთო გერმანიკულ ლექსიკამდე	165
14.1. ინდოევროპული არეალისთვის დამახასიათებელი ლექსიკური იზოგლოსები	165
14.2. საერთო გერმანიკული ლექსიკა (საერთო გერმანიკული იზოგლოსები)	175
15. კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა თანამედროვე გერმანული და ინგლისური ენების ლექსიკაში	190
16. გერმანიკულ ტომთა მოკლე ისტორია	198
16.1. პირველი ცნობები ძველ გერმანულ ენებზე	198

16.2. გერმანიკული ტომები იულიუს კეისრისა და ტაციტუსის ეპოქაში	203
16.3. ხალხთა დიდი გადასახლება	216
16.4. ბარბაროსული სამეფოების წარმოქმნა	222
16.5. კარლოს დიდი (2.IV.742-28. I. 814)	232
16.6. გერმანიკულ ტომთა კლასიფიკაცია	238
17. ძველი სკანდინავიური ტომები	243
18. ვიკინგების ლაშქრობების მიზეზები და შედეგები	252
19. გერმანიკული პარლამენტარიზმი	257
20. „მამაო ჩვენო“ გერმანიკულ, ლათინურ და ბერძნულ ენებში	260
ბიბლიოგრაფია	265

წინასიტყვაობა

„შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში“ წარმოადგენს სახელმძღვანელოს, რომელშიც თანმიმდევრულად არის მოცემული ინდოევროპულ ენათა ოჯახში შემავალი ენების მოკლე ისტორია, ინდოევროპული ოჯახის ერთ-ერთი ძირითადი შტოს – გერმანიკული ენების განვითარების ძირითადი გზები და ტენდენციები; მათი დამწერლობის ისტორია; გერმანიკული ენების საერთო მორფოლოგიური მახასიათებლები: გერმანიკული ზმნის უღლების, არსებითი და ზედსართავის სახელების ბრუნვის ნიშნები და ფორმები, რომლის საფუძველზეც განვითარდა შემდგომ ინგლისური და გერმანული ენების მეტყველების ნაწილები; მოცემულია გერმანიკული ენებისა და ტომების კლასიფიკაცია, რომლებმაც დასაბამი მისცეს თანამედროვე გერმანიკულ ენებს და დღევანდელ ევროპაში დასახლებულ გერმანული ძირის ერებს; ამ ტომებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს თანამედროვე ევროპული ერების – გერმანელების, ჰოლანდიელების, ფლანდრიელების, ფრიზების, დანიელების, ნორვეგიელების, შვედების, ინგლისელების და სხვათა ეთნოგენეზში.

ნაშრომში განხილულია გერმანიკული ტომები იმ პერიოდამდე, სანამ საერთო გერმანული (გერმანიკული) ენიდან განვითარდებოდა დამოუკიდებელი ენები; ჩამოყალიბდებოდა მათ მიერ ეროვნული სახელმწიფოები და ახალი, სრულიად სხვა ეტაპი დაიწყებოდა მათი და მთელი კონტინენტის ისტორიაში.

სალექციო კურსი შესაძლებლობას გვაძლევს გავეცნოთ: გერმანიკული ტომების გეოგრაფიული დასახლების და მათი წარმოშობის ისტორიას, მათ ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს; ტომებისა და მათი ენების კლასიფიკაციას, რომელიც როგორც

საერთოდ გერმანიკულ ტომთა ისტორია, საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე ტექტონური ერების ისტორიასა და ენებთან; გავცნობით თანამედროვე გერმანიკული ენების საერთო გერმანიკულიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბების წინაპირობებს, მისი განვითარების ძირითად ტენდენციებს და სისტემის ცვალებადობის უმთავრეს ფაქტორებს, რაც გაგვიადვილებს ამჟამად მოქმედი ენობრივი კანონზომიერების გაგებას, რის საფუძველზეც შესაძლებლობა გვექნება ამჟამად ენაში არსებული მოვლენები შევადაროთ, დავაკავშიროთ ადრე მოქმედ კანონზომიერებებთან, რომელთა შედეგი კვლავ განაგრძობს არსებობას და სხვა მოვლენებს განაპირობებს. გარდა ამისა, გერმანიკული ენების შედარება ერთი მხრივ, ერთმანეთთან და უფრო ფართო მასშტაბით - ინდოევროპული ოჯახის სხვა ენებთან, შესაძლებლობას გვძლევს დავადგინოთ მათ შორის არსებული გენეტიკური კავშირი, რაც, პირველ რიგში, ამ ენების კანონზომიერ ბგერათშესატყვისობაში ვლინდება. ამრიგად, იგი ნათელს ჰგენს მთელ რიგ რთულ და საინტერესო მოვლენას, რომელიც ისტორიული მომენტების გათვალისწინების გარეშე შესაძლებელია გაუგებარი დარჩეს ენის შესწავლის პროცესში.

ამ მხრივ, ვფიქრობთ, რომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს საერთო გერმანული ძირის ხალხების, ამჟამად კი დამოუკიდებელ ერებად არსებული ხალხების ძველი ისტორიის, საერთო გერმანიკული ენიდან დამოუკიდებელ ეროვნულ ენებად ჩამოყალიბების წინაპირობების, კულტურის, ტრადიციებისა და თავისებურებების გაცნობა.

წინამდებარე სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს და განაპირობებს უცხოური ენის სტრუქტურის გააზრებულ დაუფლებას, აძლიერებს და ავითარებს რა სწავლების პროცესში ინტუიციის პარალელურად სტუდენტთა „ენობრივ ალღოს“.

საგნის საფუძვლიანი ცოდნა ხელს შეგვიწყობს აგრეთვე ძველი დამწერლობითი ძეგლების წაკითხვა- შესწავლასა და გაანალიზებაში, გაგვიადვილებს ძველი დროის მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის გაგება-გამოყენებას.

გარდა ამისა, წიგნში შეპირისპირებულია თანამედროვე ინგლისური და გერმანული ენების ლექსიკური ერთეულები, სადაც კანონზომიერი ბერათშესატყვისობის ამსახვეელი პარალელების მიხედვით, მკითხველი გაეცნობა ინგლისური და გერმანული ენების ნათესაობის დანადასტურებელ საერთო ნიშნებს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სპეციალური დარგის სტუდენტებისათვის (გერმანული, ინგლისური ფილოლოგია), ჰუმანიტარულ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის, დაეხმარება ინგლისური და გერმანული ენების მასწავლებლებს და ამ ენებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს გერმანიკული ტომების ირგვლივ ამა თუ იმ საკითხის უფრო მიზანდასახული, საფუძვლიანი და ღრმა შესწავლისათვის.

ნაშრომი არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. მკითხველთა მიერ გამოთქმულ საქმიან შენიშვნებს მადლიერებით მივიღებთ.

PREFACE

"Introduction to Germanic Philology" is a textbook that sequentially gives a brief history of the languages of Indo-European family, the main ways and tendencies of the development of the Germanic languages – one of the main branches of the Indo-European family; history of their script; the common morphological indices of the Germanic languages: Germanic verb, case endings and forms of nouns and adjectives on the basis of which parts of speech of the English and German languages were later developed; it also provides the classification of the Germanic languages and tribes that gave start to the modern Germanic languages and the German-root nations settled in modern Europe; these tribes played a crucial role in the ethno-genesis of the modern European nations – the Germans, the Dutch, the Flemish, the Frisians, the Danes, the Norwegians, the Swedish, the English and others.

The work deals with the Germanic tribes of the period until the independent languages would develop from the common German (Germanic) language, national states would be created and new, quite different stage would start in their history as well as the history of the entire continent.

The textbook enables to get acquainted with the following: geographical settlement of the Germanic tribes and the history of their origin, their customs and traditions; classification of the tribes and their languages which, like the history of the Germanic tribes, is closely connected to the history and languages of the modern Teutonic nations; we will learn about the preconditions of separation of the modern Germanic languages from the common Germanic one and their formation as independent languages; the main tendencies of development and the essential factors of the system change that will

make it easy to understand the present linguistic regularity. On the basis of this we will have opportunity to compare and connect the phenomena presently existing in the language to the regularity existing in the past, the outcome of which still continues existence and preconditions other phenomena. Apart from this, comparison of the Germanic languages with each other, as well as with other languages of the Indo-European family will enable us to determine the genetic connection between them that, first and foremost, is revealed in the regular sound combinations in these languages. Thus, it throws light upon a number of complex and interesting phenomena that might remain vague in the process of language study without considering the historical moments.

In this respect, we think it reasonable to get acquainted with the ancient history of the peoples of the common Germanic root existing today as independent nations, as well as the preconditions, culture, traditions and peculiarities of the transfer from the common Germanic languages into the independent national languages.

The present textbook will enhance and promote sensible study of a foreign language structure, by strengthening and developing students' "linguistic grasp" alongside with the intuition in the process of learning.

Thorough knowledge of the subject will also enable to read and analyze monuments of ancient literature and facilitate understanding and application of ancient literary and academic writings.

Besides, the book contrasts modern English and German lexical units where, according to the parallels revealed in regular sound combinations, the reader will get acquainted with the common samples proving the kinship between the English and German languages.

The textbook is designed for the students of the specific field (German and English Philology), specialists working in the humanities; it will also be of help for the teachers of English and German as well as everyone interested in the thorough and purposeful study of the issues around the Germanic tribes.

The book is not secured from drawbacks. All the reasonable remarks from the readers will be accepted with gratitude.

1. მონათესავე ენები. ენათა ოჯახები

1.1. ენათა დაჯგუფება სხვადასხვა პრინციპის მიხედვით

ენათა კლასიფიკაციას, ანუ ენათა დაჯგუფებას, გარკვეული თვალსაზრისით, სხვადასხვა პრინციპი უდევს საფუძვლად. მაგალითად, ენათა ერთ-ერთი გავრცელებული კლასიფიკაციაა ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ენათა დაჯგუფებას მოცემული ენების სიტყვების მორფოლოგიური სტრუქტურების მსგავსების საფუძველზე. ამის მიხედვით გამოიყოფა ენათა ოთხი მორფოლოგიური ტიპი: იზოლირებული, ინკორპორაციული, აგლუტინაციური, ფლექსიური.

იზოლირებულია უაფიქსო ენები მაგ. ჩინური, ტიბეტური და სხვა. მათში სიტყვათა შორის მიმართებები გამოიხატება წინადადებაში სიტყვათა ადგილმდებარეობით, დამხმარე სიტყვებით, მახვილითა და ინტონაციით.

ინკორპორაციულ ენათა ზმნაში ჩართულია სხვადასხვა ელემენტი. ასეთი რთული კომპლექსი თავისი აგებულებით სიტყვას ჩამოჰგავს, შინაარსით კი სხვა ენათა წინადადების მსგავსია. ამ ტიპისაა ზოგი პალეოაზიური ენა (მაგ. ჩუქურთი, კამჩადალური და კორიაკული ენები), ჩრდილო ამერიკელ ინდიელთა ენები. ინკორპორაციულია ნენური ენა (სამოდიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი ენა), სადაც ერთმა სიტყვამ შეიძლება გამოხატოს მთელი წინადადება). მაგ. нум „მე ვდგავარ“, нун „მენ დგახარ“. ინკორპორაცია შეიმჩნევა თურქულში, ქართულში და სხვა აგლუტინაციურ ენებშიც, რასაც ვერ ავლენენ ფლექსიური ენები; მაგ., ქართულში: „ეს დანაა“, („ეს არის დანა“).

აგლუტინაციური და *ფლექსიური ენები* აფიქსიანებია. მაგრამ ფუზიური ანუ ფლექსიური ენები უნდა განვასხვავოთ

აგლუტინაციურ ენებისაგან. ფლექსიურ ენაში აფიქსები ისეა „შედუღებული“ სიტყვის ძირებთან, რომ ძნელია ეტიმოლოგიური გამოკვლევის გარეშე საზღვრების დადგენა, ე.ი. ფლექსიურ ენებში შეიძლება მოხდეს ფუძისა და აფიქსის ფონეტიკური შერწყმა, ფუზია (ფუზია არის მოვლენა, რომლის დროსაც ხდება რამდენიმე მორფემის შერწყმა ერთ ფორმაში ისე, რომ შეუძლებელია მათ შორის ზღვარის გავლება). მაგ., ინგლისურში: *leng* მორფი (სიტყვაში *length* „სიგრძე“), რომელიც უპირისპირდება ზედსართავ სახელს *long* „გრძელი“. რუსულ ენაში *друзь* და მრავლობითი რიცხვი: *друзья* (მეგობარი და მეგობრები).

აგლუტინაციურ ენებში აფიქსები მექანიკურად უკავშირდება ფუძეს. სიტყვა ადვილად იშლება შემადგენელ მორფემებად. მაგ. ქართულ ენაში: კაც-ი, კაც-ებ-ი. ამას გარდა, აგლუტინაციური ტიპის ენაში აფიქსს ერთი ფუნქცია აქვს, ფლექსიურ ენებში კი ერთ აფიქსს შეიძლება ერთზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

(ცნება „ფლექსიური ენა“ *flektierende Sprache* ხშირად სინთეზური ენების ზეცნებად იხმარება, მაშასადამე, აგლუტინაციური და ფუზიური ენების შემცველი ცნებაა).

აგლუტინაციურია იბერიულ-კავკასიური ენათა მეტი წილი, თურქული, ფინურ-უგრული ენები. ფლექსიურია ბევრი ინდოევროპული ენა: გერმანული, ლათინური, სლავური ენები, ჰინდი და სხვა; სემიტური ენებიდან ყველაზე მეტად ფლექსიური ფორმები კლასიკურმა არაბულმა შემოინახა.

XIX საუკუნის ლინგვისტები ენებს ახასიათებენ გარკვეული ტიპისადმი მათი მიკუთვნების თვალსაზრისით ისე, რომ არ იყო მკაცრად დადგენილი ამ ტიპის განმსაზღვრელი სტრუქტურული ნიშნები. სწორედ ამის გამო, ერთი და იგივე ენა ხან აგლუტინაციურ ენათა სიმრავლეში ექვეოდა, ხან კიდევ –

ფლექსიურ ენათა სიმრავლეში. ხშირად რომელიმე ტერმინი, კონკრეტულად, ვთქვათ, აგლუტინაციური ახასიათებდა არა მთლიანად ენას, არამედ მხოლოდ ზოგიერთ კონსტრუქციას ამ ენისა, რომელსაც ამათ გარდა შეიძლება სხვაგვარი კონსტრუქციებიც ჰქონდათ, ვთქვათ, ფლექსიური.

შემდგომ ეტაპს ენათა შედარებით—ტიპოლოგიურ შესწავლაში ქმნის ენობრივი კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც კლასიფიკაციის ამომავალი კრიტერიუმია სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის სირთულე. ამ კლასის თანახმად (სიტყვაში გრამატიკულ ელემენტთა თავმოყრის ხარისხის მიხედვით), განირჩევა ენათა სამი ტიპი: ანალიზური, სინთეზური და პოლისინთეზური ენები.

ანალიზურია ენები, რომელთა სიტყვები თითო მორფემისაგან შედგება და, ამდენად, მოკლებულია მორფოლოგიურ სტრუქტურას.

სიტყვათა შორის გრამატიკული მიმართებები გამოიხატება დამხმარე მეტყველების ნაწილებით, სიტყვათა წყობით და არა თვით სიტყვების ფორმაცვლილებების საშუალებით, ინტონაციით (დინამიკური და ტონური მახვილებით) და ა.შ. ასეთი ენებია ჩინური, ბირმული და სხვა ენები.

სინთეზურია ენები, რომლებშიც სიტყვა, როგორც წესი, ორ—სამ მორფემას შეიცავს და განსაზღვრული მორფოლოგიურ—სტრუქტურული აგებულება აქვს; სიტყვათა შორის გრამატიკული მიმართებები გამოიხატება მორფოლოგიური ხერხებით, თვით სიტყვები ექვემდებარებიან განსაზღვრულ ცვალებადობას, აფიქსებისა და ფუძის ფლექსიის საშუალებით.

პოლისინთეზურია ენები, რომელთა სიტყვები საშუალოდ სამზე მეტი მორფემისაგან შედგება (ედუარდ საპირი).

არსებობს ენათა კლასიფიკაციის მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპი, ე.წ. გენეალოგიური პრინციპი, რის საფუძველზეც

ენები მონათესავე ენების ოჯახებად ერთიანდებიან. დღეს-დღეობით ცნობილი და აღწერილი მსოფლიოს ენები (მათ შორის, მკვდარი ენებიც) ემნიან ენათა ოთხ დიდ ოჯახს: ინდოევროპულ, სემიტურ, ურალურ-ალთაურ და კავკასიურ (ქართველური, აგრეთვე მთის კავკასიელთა ენები) ოჯახს. გენეალოგიური კლასიფიკაცია მიზნად ისახავს ენათა ცალკეული ჯგუფების გამოყოფას მათი ცალკეული წარმომავლობის მიხედვით.

ენათა ნათესაობა, ენათა დაჯგუფების გენეალოგიური პრინციპი გულისხმობს ენათა წარმომავლობაჲ ერთი საერთო ძირიდან, ერთი საერთო ენიდან, რომელსაც უწოდებენ ფუძე-ენას, წინარე ენას, პროტოენაჲ (parent language, proto language). მაშასადამე, ენათა ნათესაობა არის ენათა გენეზისური ერთიანობა ანუ ერთი ფუძე-ენის დიალექტების დიფერენციაციის გზით წარმოშობილი ენების ურთიერთმიმართება.

მსოფლიო ენების დაჯგუფებას, ჩვეულებრივ, სწორედ გენეტიკური ნიშნის მიხედვით ახდენენ. გენეტიკური კლასიფიკაცია შეიძლება შეივსოს ტიპოლოგიური კლასიფიკაციით – იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიცვალა ენის ტიპი (მაგალითად, უპირატესად ფლექსიური პროტოგერმანულიდან უპირატესად მაიზოლირებელ თანამედროვე ინგლისურამდე), ან იმ ნიშნების წარმოსაჩენად, რომლებიც საზიარო აქვთ ერთი ოჯახის სხვადასხვა შტოს ენებს (მაგალითად, კელტურსა და გერმანიკულს ინდოევროპულ ენათა ოჯახში).

საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ინგლისური ზმნა “make” ფლექსიური (სინთეზური) პროტოგერმანულიდან მაიზოლირებელ (ანალიზურ) თანამედროვე ინგლისურამდე

საშ.- ინგლ.
ich make

ა.- ახ.- ინგლ.
I make

ახ.- ინგლ.
I make

<i>þu makest</i>	<i>thou makst</i>	<i>you make</i>
<i>he/she/it makeþ</i>	<i>he/she/it maketh</i>	<i>he/she/it makes</i>
<i>we maken</i>	<i>we make</i>	<i>we make</i>
<i>ye maken</i>	<i>ye make</i>	<i>you make</i>
<i>þey maken</i>	<i>they make</i>	<i>they make</i>

ფლექსიურ/სინთეზურ ენებს უპირისპირდება ანალიზურ/იზოლირებული ენები.

ენათა ისტორიული შესწავლის შედეგად მიღებული ოჯახები სრულიად განსხვავებულია ტიპოლოგიური კლასებისაგან, რომლებიც ენათა მსგავსების საფუძველზე გამოიყოფა გრამატიკული სტრუქტურის ზოგიერთი ძირითადი ნიშნის მიხედვით. დროში ენის ცვლამ შეიძლება გამოიწვიოს მისი გადასვლა ერთი ტიპიდან (კლასიდან) მეორეში, მაგრამ ამ ენის წარმომავლობა არ იცვლება, იგი იმავე ისტორიული ოჯახის წევრად რჩება. ასე, მაგალითად, ლათინური ძალიან განსხვავებულია ფრანგულისაგან თავისი გრამატიკული სტრუქტურით; ფრანგული ენა გრამატიკული ტიპოლოგიის თვალსაზრისით, თავის შორეულ ნათესავს, ინგლისურს უფრო უახლოვდება, ვიდრე უშუალო წინაპარს—ლათინურს.

ამგვარად, ენათა კლასიფიკაციის ორი სახეობა – ტიპოლოგიური და გენეალოგიური – სხვადასხვა მონაცემებს ემყარება და თავიანთი მიზნებით ერთმანეთისაგან განსხვავდება. თუ გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი დასაყრდენია რეგულარული შესატყვისობები მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებს შორის, ტიპოლოგიურ კლასებს ენები ქმნიან ისტორიულ–ნათესაური კავშირებისაგან დამოუკიდებლად, გარკვეული სტრუქტურული ნიშნების მსგავსების საფუძველზე“.

4503-

სსიპ „გათამიის მოთხარისხების სახელმწიფო ანივერსიუმი“

ბ ი ბ ლ ი ო თ ე ქ ა

7 -

№ _____

1.2. გენეალოგიური კლასიფიკაციისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია

ენათა ოჯახის არსებობა გულისხმობს ამ ენებში ურთიერთ-დაკავშირებულ სიტყვათა საკმაოდ დიდი სიმრავლის არსებობას. ენათა რამდენიმე ოჯახი შეიძლება გაერთიანდეს ენათა ფილუმში (ბერძნ. *phylon* „ტომი“, „გვარი“); იგი ენათა იმ ოჯახებს მოიცავს, რომელთა შორის ქრონოლოგიურად უფრო ღრმა გენეტიკური კავშირები შეიძლება ვივარაუდოთ. (ენათა ფილუმში ზოგჯერ ენათა (მაკრო) ოჯახად მოიხსენიება, მაგალითად, „ენამიტურ-სემიტურ ენათა ოჯახი“, ზინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახი“). ფილუმის გამოყოფა არსებითად ისეთი გენეალოგიური კლასიფიკაციის შედეგია, რომელიც ნაკლებად მკაცრ კომპარატივისტულ კრიტერიუმებს ემყარება.

იზოლირებული ანუ განკერძოებული ენა ეწოდება ენათა ოჯახის ერთადერთ წარმომადგენელს. მაგალითად, ბასკური, ზურუმასკი ან გადაშენებული შუმერული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესა თუ ის იზოლირებული ენა რომელიღაც უცნობ ან გადაშენებულ „მკვდარ“ ენებს ენათესავენოდა. ზოგიერთი განკერძოებული ენა კლასიფიკაციის გარეთ რჩება (მაგალითად, აინუ ენა იაპონიაში), ზოგი კი ვრცელი ფილუმის ფარგლებში გამოიყოფა ამ ფილუმში შემავალი ოჯახების გვერდით (მაგალითად, კორეული ზოგჯერ ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახთან ერთად საერთო ფილუმის წევრად განიხილება).

რამდენიმე ევროპული ენა იხმარება როგორც ლინგვა ფრანკა – საერთაშორისო ურთიერთობის ენა. ტერმინი ლინგვა ფრანკა (იტალ. *lingua franca* - “ფრანკული ენა“) მომდინარეობს იტალიურ-პროვანსული ჟარგონიდან; იგი წარმოადგენდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა პორტებში ფართოდ გავრცელებული ენა-ჟარგონის სახელწოდებას. („ლინგვა ფრანკას“

როლს თანამედროვე ჩრდილოეთ აზიაში რუსული ენა ასრულებს).

მონათესავე გენეალოგიური კლასიფიკაციის ენათა ოჯახები იყოფა შტოებად, რომლებიც აერთიანებენ ახლომონათესავე ენებს.

კავკასიის ენები: თურქულ და ინდოევროპულ ენებთან ერთად კავკასიაში წარმოდგენილია 30-ზე მეტი ენა, რომლებიც საკუთრივ კავკასიურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. ესენია ჩრდილო-დასავლეთკავკასიური, ჩრდილო-აღმოსავლეთკავკასიური და სამხრეთკავკასიური ენები, რომლებსაც აგრეთვე იბერიულ-კავკასიურ ან პალეოკავკასიურ ენებს უწოდებენ.

ერთადერთი კავკასიური ენა, რომელსაც ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიცია აქვს, არის ქართული. სამხრეთკავკასიურ, ანუ ქართველურ ენობრივ ოჯახს ქართულის გარდა განეკუთვნება მეგრული, ლაზური (ქანური), [მეგრულ-ქანური] და სვანური.

ჩრდილო-დასავლეთკავკასიურ ანუ აფხაზურ-ადიღურ ენებს განეკუთვნება: აფხაზური, აბაზგური, ადიღური, ყაბარდოული (ანუ ჩერქეზული) და უბიხური (გადაშენების პირას მდგომი ენა).

ჩრდილო-აღმოსავლეთკავკასიურ ანუ ნახურ-დაღესტნურ ენებს განეკუთვნება:

ნახური ენები: ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური (ანუ წოვა-თუშური);

დაღესტნური ენები: ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფი: ხუნძური და ანდიური ქვეჯგუფი (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 2008, გვ. 623)

კავკასიის ენებს გეოგრაფიული ნომენკლატურის თვალსაზრისით განიხილავენ, აგრეთვე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ენებს; სამხრეთ კავკასიის ენები, შესაბამისად, დახასიათდება, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებული ენები.

2. ინდოევროპულ ენათა ოჯახი

2.1. ინდოევროპულ ენათა ოჯახის შტოები

ფუძეენა, რომლის დიალექტების დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა ესა თუ ის ენათა ოჯახი ან მისი ცალკეული შტო, დღესდღეობით რიგ შემთხვევაში შემორჩენილია. მართალია, იგი უკვე მკვდარი ენაა, მაგრამ ეს ენა შემოგვინახეს წერილობითმა ძეგლებმა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ხალხური ლათინური, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული შტოს ფუძეენაა. უმეტესწილად კი, დღეისათვის მონათესავე ოჯახების ფუძეენები არ არიან შემორჩენილი, მაგრამ თეორიულად შესაძლებელია მათი სავარაუდო რეკონსტრუქცია ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერების მეთოდების გამოყენებით

ინდოევროპულ ენათა ოჯახში გამოიყოფა შემდეგი შტოები: ინდური–ირანული ენები, სლავური ენები, ბალტიკური ენები, გერმანიკული ენები, კელტური ენები, ბერძნული ენა, სომხური ენა, ალბანური ენა, იტალიკურ ენათა ჯგუფი (თანამედროვე რომანული ენები), ანატოლიურ ენათა ჯგუფი, ტოქარული ენა და სხვა.

1. ინდურ ენათა ჯგუფი (*das Indische*) აღნიშნული შტო მოიცავს ძველ ინდურს, რომელმაც ჩვენამდე ორი სახით მოაღწია:

ვედების ენა (*das Vedische*), ძვ. ინდურის ჩრდილო–დასავლური დიალექტი – სასულიერო შინაარსის ჰიმნების ენა, რომლის უძველესი ტექსტები განეკუთვნება ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს. (ძვ. ინდური *weda* –გერმ. *Wissen* (ცოდნა)–როგორც რელიგიური ცოდნის მატარებელი; ვედების პოეტური და პროზაული ნაწარმოებების

ოთხი კრებული არსებობს: სიმღერები, ჰიმნები, სამსხვერპლო თქმულებანი და შელოცვები;

სანსკრიტი (das Sanskrit)- ძველი კლასიკური ლიტერატურისა და მეცნიერების ენა. რომლის საფუძველზე, ძვ.წ. IV საუკუნეში, შეიქმნა პანინის გრამატიკა.

ვედური ასხვავებს ენის ორ ფორმას – სანსკრიტსა და პრაკრიტს. სანსკრიტი (ძველი ინდური *sanskṛta*) - ნიშნავს: „მწერალთა ენა“, „სალიტერატურო ენა“, ხოლო ტერმინი „პრაკრიტი“ (ძველ ინდური *prakṛta*) ნიშნავს „ბუნებრივს“, „უბრალოს“, ანუ ზეპირი მეტყველების ენას.

ფილოსოფოს პანინის გრამატიკაა სანსკრიტის ენაზე უწოდებენ „აშტაკამ პანინიამ“ („პანინის რვეული“), რომელიც შედგება რვა წიგნისაგან (“რვეულისაგან”). პანინმა თავის გრამატიკაში მოგვცა ხმოვანთა აწეულობის სამი საფეხური: სახელის სამი სქესი, სამი რიცხვი (მხოლოებითი, მრავლობითი, ორობითი), ორი გვარი (აქტიური და საშუალო), ათი დრო და კილო. პანინის გრამატიკა შეიცავს 3996 სუტრას (ანუ წესს) და მასში განხილულია 1993 სიტყვის ძირი. გარდა ამისა, გრამატიკაში მოცემული და დახასიათებულია ოთხი მეტყველების ნაწილი. ესენია: სახელი, ზმნა, წინდებული და ნაწილაკი (იხ. ჭყონია 2012:22).

(სანსკრიტის ნათესაობა ლატვიურთან, ლიტვურ, ბერძნულ და სხვა ევროპულ ენებთან XVIII საუკუნის ბოლოს იქნა აღმოჩენილი).

თანამედროვე ენებიდან ყველაზე გავრცელებულია: *ჰინდი* (ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა), *ურდუ* (პაკისტანის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა), *ბენგალური* (ბანგლადეშის სახელმწიფო ენა), *პენჯაბური*, იგივე *ფანჯაბური*, *ლანდა*, *სინფ-ჰი*; აგრეთვე *რაჯისტანი*, *გუჯარატი*, *სინგჰალეზური* და სხვა.

2. ირანულ ენათა ჯგუფი (das Iranische) წარმოდგენილია ავესტურით (das Awestische) და ძველი სპარსულით (das Altpersische). ავესტის ენა- ძვ. წ. I-II ათასწლეულში შექმნილი ჰიმნების ენა (ევროპულ ენათმეცნიერებაში მას ადრე „ზენდ“-საც უწოდებდნენ). იგივე ტერმინი აღნიშნავს აგრეთვე საშუალ სპარსულს - ავესტის თარგმანსა და კომენტარებში შემონახულ ფალაურს (ფეჰლევს). საშუალო ირანული წარმოდგენილია ზოგდიურით (das Soghdische) და საშუალო სპარსულით. ახალი ირანული - ანუ სპარსულის სამი ნორმიზირებული ვარიანტი (ისინი კონცენტრირებულია ირანში, ავღანეთსა და ტაჯიკეთში) წარმოდგენილია ახალი სპარსულით (das Neupersische), ქურთულით (das Kurdische), ოსურით (das Ossetische), პუშტუ /პაშტო ანუ ავღანური (das Afghanische), ტაჯიკურით, ბალუჯი/ ბელუჯური (das Belutschische) პამირის დიალექტები (Pamirdialekten). ირანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე თათური, თალიშური, კასპისპირა და იაღნობი ენები და აწინკურის (ბოშების ენა).

გადაშენებული ენებია: ძველი სპარსული, ავესტის ენა, მიდიური ენა, სკვითური, ხვარაზმული და სხვა ენები. ირანისა და ავღანეთის მოსახლეობის ნაწილი ბაქტრიულ, მუნჯი, შუგნი ენებზე მეტყველებს, ხოლო იაღნობი ენა მხოლოდ ტაჯიკეთში გვხვდება, კავკასიაში გავრცელებულია ოსური, თათური და თალიშური.

(ცენტრალური აზიის ინდოევროპული ენები, რუსულის გარდა, წარმოდგენილია ირანული ქვეჯგუფის ენებით, კერძოდ, ტაჯიკურით, ბალუჯი ენითა და დიდი ხნის წინ გადაშენებული ტოქარულით).

3. სლავურ ენათა ჯგუფი (das Slavische). გადაშენებული ენებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი საეკლესიო სლავური - საერთო სლავური სალიტერატურო ენა, რომელზედაც IX-XI სს. ითარგმნა და რომლის მეშვეობითაც გავრცელდა

ქრისტიანული ლიტერატურა. მისთვის შეიქმნა ორი ანბანი-გლაგოლიცა და კირილიცა. სლავური ენები სამ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლეთსლავური, დასავლეთ - სლავური და სამხრეთსლავური. აღმოსავლეთსლავური ენებია: რუსული, უკრაინული, ბელორუსული. დასავლეთსლავური ენებია: პოლონური, კაშუბური, ქვემოსერბული. ქვემოლუჟიცური, ზემოსერბული, ზემოლუჟიცური, ჩეხური, სლოვაკური, სორბიული და გადაშენებული პოლაბური ან ელბსლავური (Polabischen oder Elbslavischen). სამხრეთსლავური ენებია: სლოვენური, სერბულ-ხორვატული, მაკედონიური, ბულგარული (ძვ. ბულგარულით და საეკლესიო სლავურიით). სლავური ენები ინდოევროპული ოჯახის სხვა შტოებისაგან განსხვავებით უფრო ერთგვაროვანნი არიან. საერთო ფუძეებიდან მათი დიფერენციაციისა და განვითარების პროცესში ისინი ნაკლებად დაშორდნენ ერთმანეთს ვიდრე სხვა, მაგალითად, გერმანიკული ენები და ზოგი თვალსაზრისით საკმაოდ არქაულ ასპექტს ინარჩუნებს.

4. ბალტიკურ ენათა ჯგუფი. ეს ჯგუფი აერთიანებს ორ თანამედროვე ენას - ლიტვურსა და ლატვიურს, და ერთ გადაშენებულს - ძველ პრუსიულს. (რომელიც XVII საუკუნეში შეცვალა გერმანულმა ენამ). სამივე ენაზე პირველი წერილობითი ძეგლები (ლათინური ანბანით) თარიღდება XIV საუკუნით. ბალტიკურ ენებიდან საგანგებო ყურადღების ღირსია ლიტვური ენა, რომელიც ინდოევროპულ ენებს შორის გამოირჩევა თავისი კონსერვატიზმით (ნათქვამია, რომ ლიტველ გლეხს შეუძლია გაიგოს რამდენიმე მარტივი ფრაზა სანსკრიტის ენაზე. ეს ნათქვამი, ცხადია, გაზვიადებულია, მაგრამ ფაქტია, რომ ლიტვურ ენას შემონახული აქვს რამდენიმე ძალზე ძველი, პროტო-ინდოევროპული ნიშან-თვისება, რომელიც ამ ოჯახის სხვა ენებში პრაქტიკულად დაიკარგა).

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ბალტიკური და სლავური ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახის ორ შტოს წარმოადგენს,

რიგი მკვლევრები კი თვლის, რომ ამ ენებს აქვთ იმდენი საერთო ნიშნები, რომ სავსებით გამართლებულია მათი ერთ შტოდ დაჯგუფება.

5. გერმანიკულ ენათა ჯგუფი. გერმანიკული ენები ჩამოყალიბდნენ პროტო-გერმანიკული ფუძეენის დიფერენციაციის შედეგად. გერმანიკული ენები ინდოევროპული ენების ერთ-ერთი შტოა. გერმანიკული ენებიდან განვითარდა 15 დამოუკიდებელი ენა. გერმანიკულ ენას, მათზე მოლაპარაკე ადამიანების რაოდენობის მიხედვით, ინდოევროპულ ენებს შორის პირველი ადგილი უკავია. სხვადასხვა ინდოევროპულ ენაზე ლაპარაკობს 1,6 მლრდ ადამიანი, მაშინ, როცა გერმანიკულ ენებზე ლაპარაკობს 500 მილიონი ადამიანი (ვისთვისაც რომელიმე გერმანიკული ენა მშობლიური ენაა), ხოლო დაახლოებით 700 მილიონისთვის რომელიმე გერმანიკული ენა მეორე ან მესამე ენის სტატუსით გამოიყენება.

გერმანიკული ენები სამ ენობრივ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლეთ გერმანიკული, დასავლეთ გერმანიკული და ჩრდილო გერმანიკული. აღმოსავლეთ გერმანიკული ქვეჯგუფი: გოთური, ბურგუნდიული, ვანდალური და სხვ.

დასავლეთ გერმანიკული ქვეჯგუფი: ძველი ინგლისური, ძველი ფრიზული, ძველი საქსონური, ძველი ქვემო-ფრანკული, ძველი ზემოგერმანული;

ჩრდილო გერმანიკული ქვეჯგუფი: ძველი დანიური, ძველი შვედური, ძველი ნორვეგიული, ძველი ისლანდიური.

(დაწვრილებით გერმანიკულ ენებზე იხ. მომდევნო თავებში).

6. კელტურ ენათა ჯგუფი. კელტური ენები ორ ნაწილად იყოფა: გალო-ბრეტონული და გაელური. გალო-ბრეტონულ ჯგუფში შედის: გალური (ძველი საფრანგეთის ენა), ბრეტონული. უელსური, კორნუელსური ენები. გაელურ ჯგუფში შედის: ირლანდიური, შოტლანდიური და მენური ენები.

კულტურ ენაზე თანამედროვე მსოფლიოში ლაპარაკობენ დიდ ბრიტანეთში, კერძოდ ბრიტანეთის კუნძულებზე გავრცელებულია უელსური ენა, ირლანდიური და შოტლანდიური ენები. კორნუელსური ენა, რომელზეც კორნუოლში ლაპარაკობენ (დიდი ბრიტანეთი), XVIII საუკუნიდან მკვდარ ენად ითვლება. გალური ენა, გალიის ანუ ძველი საფრანგეთის ენა დღეისათვის მკვდარი ენაა.

ბრეტონულ ენაზე ლაპარაკობენ საფრანგეთის ჩრდილოეთში, ბრეტანში. მენური ენა გავრცელებულია მენის კუნძულზე ირლანდიასა და შოტლანდიას შორის.

7. ბერძნული ენა. განასხვავებენ:

1) ძველ ბერძნულს – ერთ-ერთ უძველეს სამწერლო ენას (წერილობითი ძეგლები–ძვ.წ. XV საუკუნიდან), ე.წ. კლასიკურ ბერძნულს;

2) კლასიკური პერიოდის შემდეგ ხანაში (ელინურ სამყაროში) გავრცელებულ საერთო ბერძნულ სამწერლო ენას–ე.წ. „კოინე“-ს (ძვ.წ. III–ს. – ახ.წ. IV ს.);

3) საშუალო ბერძნულს ანუ ბიზანტიურს– ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო და სალიტერატურო ენას (IV–XIV სს);

4) ახალ ბერძნულს – საბერძნეთის სახელმწიფო და სალიტერატურო ენას დაახლოებით XIV/XVI საუკუნიდან დღემდე, რომელიც „კოინეს“ საფუძველზე განვითარდა.

ძველი ბერძნული დიალექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ათენის დიალექტი–ანტიკური დიალექტი. ამ დიალექტზე წერდა ფილოსოფოსი პლატონი

8. სომხური ენა (das Armenische)- სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო- სალიტერატურო ენაა. უძველესი ტექსტები ახ.წ. V საუკუნიდან. დამწერლობაც თავისი სპეციფიკური ანბანით ახ.წ. V საუკუნიდან. სომხური ენის განვითარების ეტაპებია: ძველი, საშუალო და ახალი სომხური.

9. ალბანური ენა (das Albanische) ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. განკერძოებით მდგომი ენაა (წერილობითი ძეგლები – XV-XVII საუკუნიდან). წარმოდგენილია ორი დიალექტით: ტოსკურით და გეგურით, რომელიც გავრცელებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ქვემო იტალიაში.

10. იტალიკურ ენათა ჯგუფი. (das Italische). იტალიკური ენები ეწოდება აპენინის ნახევარკულის ძველ ენებს. ცნობილია ორი-ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებული დიალექტებით: ლათინო-ფალისკურით (L a t i n o - f a l i s k i s c h e n) და ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში გადაშენებულ –ოსკიურ-უმბრიულით (Oskisch-Umbrischen). აგრეთვე, საბელური და სხვა ენები. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლათინო-ფალისკურის ჯგუფის ენა- ლათინური.

იგი ძველი რომის სახელმწიფო და სალიტერატურო ენაა. წერილობითი ძეგლები- ძვ. წ. VI საუკუნიდან. მნიშვნელოვანი განსხვავებანი კლასიკურ ლათინურსა და რომის პროვინციებში გავრცელებულ დიალექტებს შორის შეინიშნება ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში. დიალექტთა ამ ერთობლიობას ხალხური (ვულგარული) ლათინური ეწოდება. რომის იმპერიის დაშლის შემდეგ ამ ენების საფუძველზე წარმოიშვა თანამედროვე რომანულ ენათა ჯგუფი: იტალიური, ფრანგული, ესპანური, კატალანური, პორტუგალური, რუმინული, მოლდოვური, რეტორომანული (აგრეთვე სარდიული/ სარდინიული და არომუნილი ანუ ცინცარული).

ვენეტური (das Venetische) აღმოსავლეთ და ზემო იტალიაში შემონახულია მხოლოდ ინშრუფტებში. მიაკუთვნეს ადრე *ილლირიულს* (das Illirische); მაგრამ იგი მაინც იტალიკურთან უფრო ახლოსაა.

(ილლირიული დღეს მკვდარი ენაა. შემონახულია ზოგიერთ ინშრიფტებში. გეოგრაფიულ სახელწოდებებში, კუთვნი-

ლების აღმნიშვნელ სახელებში. მაგრამ იგი გავრცელებული უნდა ყოფილიყო ევროპის უფრო ფართო მხარეში, განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვაზე, მცირე აზიისკენ.

რომანულ ენებს, როგორც აღინიშნა, საფუძვლად უდევს არა ციცერონისა და ვირგილიუსის კლასიკური ლათინური, არამედ ხალხური ლათინური. ხალხური ლათინური კლასიკური ლათინურისაგან განსხვავდებოდა არა მხოლოდ მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე, რომელიც მას, კლასიკური ლათინურთან შედარებით, ბევრად მარტივი ჰქონდა, არამედ ლექსიკის დონეზეც.

11. ანატოლიურ ენათა ჯგუფი. ან ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ენაა ხეთური ენა (das Hethitische). ხეთების სახელმწიფო არსებობდა მცირე აზიაში ძვ. წ. XIX-XII საუკუნეებში. ხეთური ენა (როგორც ტოქარული) მეცნიერებამ გაიგნო XX საუკუნის დამდეგს, როდესაც გერმანელ მკვლევართა მიერ წარმოებული გათხრების შედეგად, თურქეთის ტერიტორიაზე (თანამედროვე ბოდასქოი, ქ. ანკარის მახლობლად, ადგილზე, სადაც არსებობდა ხეთების დედაქალაქი-ჰატუშა (Hattuša) აღმოაჩენილი იქნა სოლისებრი (ლურსმული) დამწერლობით შესრულებული წარწერები თიხის ფირფიტებზე. მეცნიერებმა უდიდესი შრომის შედეგად ამოიკითხეს ეს წარწერები და მიიჩნიეს ხეთური ერთ-ერთ ყველაზე უფრო არქაულ ინდოევროპულ ენად (ძვ.წელთაღრიცხვით II ათასწლეული). აღმოაჩენილი იქნა აგრეთვე ენები, რომლებიც ხეთურთან ნათესაობას ამჟღავნებდნენ და მხოლოდ ნაწილობრივ იმიფრებოდნენ.

ამ ჯგუფში შედის რამდენიმე ძველი ენა: *ლუვიური* (das Luvische). *პალაური* (das Paläische). ამ ჯგუფის უფრო გვიანდელ შტოს ეკუთვნის „მცირეაზიური“ ინდოევროპული ენები: *ლიდიური* (das Lydische) და *ლიკიური* (das Lykische).

ხეთურ ენაზე და სხვა მის მონათესავე ენებზე დღეს აღარ ლაპარაკობენ.

12. ტოქარული ენა (das Tocharische) ცნობილი გახდა აგრეთვე XX საუკუნის დამდეგს. იგი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ თურქმენეთის ტერიტორიაზე. ტოქარული ქმნის ინდოევროპული ენობრივი არეალის უკიდურეს სამხრეთ ზღვარს. წერილობითი ძეგლები განეკუთვნება V-VII საუკუნეებს. ტექსტების უმრავლესობა თარგმნილია სანსკრიტიდან. გვხვდება აგრეთვე ორიგინალური ტექსტებიც. ტოქარული მიეკუთვნება მკვდარ ენათა შტოს.

13. თრაკიული (das Thrakische) – თავდაპირველად გავრცელებული იყო ბალკანეთის ჩრდილოეთით, შემდეგ კი ჩრდილო-აღმოსავლეთით. დღეს მკვდარი ენაა.

14. ფრიგიული (das Phrygische). შემონახულია მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ წერილობით ძეგლებში. დღეს მკვდარი ენაა.

2.2. ინდოევროპული ენების გავრცელების არეალი ევროპაში

ევროპაში მეტყველებენ ინდოევროპულ ოჯახის თითქმის ყველა შტოს ენებზე. თითოეულ შტოში ენათა რაოდენობა მერყეობს იმის მიხედვით, თუ რომელი კრიტერიუმები გამოიყენება და დროის რომელ პერიოდს ასახავს კლასიფიკაცია. ასე, მაგალითად, ურთიერთგაგებინების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, გერმანიკულ შტოში გამოიყოფა მხოლოდ ხუთი ცოცხალი ენა: ინგლისური, ფრიზული, ნიდერლანდური, გერმანული, აფრიკაანსის (აფრიკაში დასახლებულ ჰოლანდიელთა დიალექტისა და იდიშის – ანუ ახალგერაულის ჩათვლით), კუნძულის სკანდინავიური და კონტინენტური სკანდინავიური. სამწერლობო ტრადიციებისა და ეროვნულო-

ბის კრიტერიუმების გამოყენებისას უფრო გრძელი სია მიიღება; მასში შედის: „მაღალი“ (ნორმირებული) გერმანული, „დაბალი“ გერმანული, ფლამანდიური, აფრიკაანსი, ლუქსემბურგული, იდიში, ისლანდიური, ფარერული, ნორვეგიული, დანიური და შვედური.

ლინგვისტური (ურთიერთგაგებინების) კრიტერიუმის საფუძველზე იტალიკური შტოს რომანულ ჯგუფში აერთიანებენ ცხრა ცოცხალ ენას: პორტუგალიურს, ესპანურს, ფრანგულს, კატალანურს, იტალიურს, რომანულს, რეტორომანულს, ლადინურს (Ladin) ფრიულურს, (Friulian); ბოლო ორს ეროვნული ენის სტატუსი არ გააჩნია, ისე როგორც პროვანსულსა და სარდინიულს, რომელთაც აქვთ ტრადიციული დამწერლობა, რის გამოც ისინი შეიძლება დაემატოს ზემოთ მოყვანილ სიას. სურათს ის ართულებს, რომ სარდინია ერთ დროს პოლიტიკურად დამოუკიდებელი იყო, ანდორას კი, სადაც კატალანურად მეტყველებენ, ყოველთვის არ ჰქონია დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი.

სლავურ შტოს ენებისათვის ლინგვისტური საზღვრების დადგენა ჭირს გარდამავალი დიალექტების არსებობის გამო. 13 სლავური ენა შეიძლება განაწილდეს სამ ზონად— შედარებით უკეთესი ურთიერთგაგებინების მიხედვით. ეს ზონებია: აღმოსავლეთსლავური (რუსული, ბელორუსული, უკრაინული), დასავლეთსლავური (პოლონური, კაშუბური, ქვემოსერბული, ქვემოლუჟიცური, ზემოსერბული, ზემოლუჟიცური, ჩეხური, სლოვაკური) და სამხრეთსლავური (სლოვენური, სერბულ-ხორვატული, მაკედონიური, ბულგარული).

ინდოევროპული ოჯახის დანარჩენ ევროპულ შტოებში საზღვრები ცოცხალ ენებს შორის უფრო მკვეთრია. კელტურ შტოს განეკუთვნება: უელსური, ბრეტონული, ირლანდიური გაელიკური და წოტლანდიური გაელიკური; ბალტურ შტოს —

ლიტვური და ლატვიური; ბერძნულ შტოს – ახალი ბერძნული და ცაკონური (მათი განცალკევების საფუძველია განსხვავებული ისტორია და ურთიერთგაგების არარსებობა); ალბანურ შტოს – ალბანური.

ევროპაში ცხოვრობენ ინდოევროპულ ენათა ინდოირანული შტოს ორი ენის: ოსურისა და აწინკურის (ბოშათა ენა) მატარებელი.

აწინკური ამჟამად, როგორც ჩანს, მხოლოდ უელსში, ფინეთსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ბოშების ნაწილისათვის წარმოადგენს მშობლიურ ენას.

თანამედროვე ჩანაწერებიდან ცნობილია რამდენიმე გადაშენებული ინდოევროპული ენა, რომელთაგან სხვა ენები არ წარმოქმნილა. ასეთია იტალიკური შტოს ზოგიერთი ენა (ოსკური, უმბრული, ფალისკური, ვენეტური). აღმოსავლეთ გერმანიკული ენები (გოთური, აგრეთვე, ბურგუნდიელების, ვანდალებისა და სხვათა ენა). მონაცემთა სიმცირის გამო, დაუზუსტებელია ბევრი სხვა გადაშენებული ენის (ინდოევროპულის და არაინდოევროპულის) კლასიფიკაცია.

ევროპაში მეტყველებენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის თითქმის ყველა შტოს ენებზე. ევროპელთა უმრავლესობა ინდოევროპულ ან ურალურ (განსაკუთრებით ფინურ-უგრულ მათ შორის, საკუთრივ ფინურ, უნგრულ, ესტონურ და სხვ.) ენათა მფლობელია. ამბობენ, რომ იმ ევროპელთა რაოდენობა, რომლებიც ხსენებული ოჯახების ენებზე მეტყველებენ, ამჟამად ნაკლებია არაევროპულ ქვეყნებში მცხოვრებ ამ ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობაზე.

2.3. ინდოევროპული ფუძეენის ძირითადი თავისებურებები

ენობრივი ფაქტების შედარებითი შესწავლის საფუძველზე მეცნიერება საფუძვლიანად გაეცნო ინდოევროპული – ფუძე-ენის წინარეისტორიულ პერიოდს და ენობრივი ფაქტების ცვალებადობის მრავალფეროვან ფორმებს.

ისტორიულ–შედარებითი მეთოდით კვლევის საფუძველზე მოხერხდა ინდოევროპული ფუძე-ენის ზოგიერთი მოვლენის ახსნა. მაგრამ ამ გზით მიღებული მასალა ნაწილობრივია და ყოველთვის სარწმუნოდ ვერ მიიჩნევა. ძნელად და ისიც მხოლოდ მიახლოებით ხერხდება იმ დროის დადგენა, რომელსაც მიეკუთვნება აღდგენილი ინდოევროპული ენის ფორმები, მიუხედავად ამისა, არსებობს საფუძველი დავასკვნათ, რომ ფუძეენას ჰქონდა უაღრესად განვითარებული ფორმების სისტემა.

წინარე ინდოევროპული ენა – ფუძეენა, მეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, იყო ერთიანი ენა, მაგრამ ამჟღავნებდა დიალექტობრივი დიფერენციაციის მნიშვნელოვან ტენდენციებს. გამოირიცხული არ არის ისიც, რომ ამ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა სხვადასხვა დიალექტების დაახლოებას, ერთ ენაში ინტეგრაციას.

ხანგრძლივი კვლევა-ძიების საფუძველზე, მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინდოევროპული ფუძეენა უძველეს დროში იყოფოდა ორ უმთავრეს ჯგუფად. ე.წ. *კენტუმ* (დასავლეთის) და *სატემ* (აღმოსავლეთის) ენებად. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დაყოფა პირობითია და წარმოდგება რიცხვითი სახელის ა ს ი ს (centum, satem) სახელწოდების მიხედვით დასავლეთისა და აღმოსავლეთის ინდოევროპულ ენებში. აჯვე უნდა მივუთითოთ იმაზეც, რომ უკანასკნელმა გამოკვლევებმა

მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანეს ინდოევროპული ენების ასეთ კლასიფიკაციაში.

ინდოევროპული ფუძეენისათვის დამახასიათებელი იყო ბრუნებისა და უღლების კარგად განვითარებული სისტემა. ამავე დროს, ამ ენაში შეიმჩნევა ისეთი სიტყვების ფენა, რომელთაც არ ჰქონიათ ბრუნება და უღლება. მეცნიერთა აზრით, იმ დროს, როცა ენას არ ჰქონდა ფორმები, წინადადების წევრებს შორის უნდა ყოფილიყო მტკიცედ განსაზღვრული თანმიმდევრობა. მას შემდეგ, რაც წინადადების ზოგიერთ, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის წევრს შეუსუსტდა მახვილი, გარკვეული სიტყვები აფიქსებად იქცნენ. ამრიგად, ენაში ჩამოყალიბდა ბრუნება და უღლება. ინდოევროპულ ფუძეენაში ვარაუდობენ ამჟამად ცნობილი მეტყველების ყველა ნაწილს, გარდა არტიკლისა, ფიქრობენ, რომ ამ ენაში იყო თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები. აგრეთვე მიაჩნიათ, რომ მას უნდა ჰქონოდა დამოკიდებული წინადადებაც, რომელიც უნდა შექმნილიყო ერთმანეთთან აზრობრივ კავშირში მყოფი, მაგრამ დამოუკიდებელი წინადადების ერთ მთლიანში გაერთიანების საფუძველზე. თუმცა ჯერ კიდევ დადგენილი არ არის, ჰქონდა თუ არა მაქვემდებარებელი კავშირები.

ინდოევროპულ ენას განსაკუთრებით განვითარებული უნდა ჰქონოდა სახელისა და ზმნის ფორმაცვალებადობა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აბლაუტი (შდრ. ახ.-ზ.-გერმ. *bindan-band-gebunden*), რაც განსხვავებული მახვილის შედეგია. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრეთვე რედუპლიკაცია (შდრ. ლათ. *tango* „ვებები“-*tetigi* „შევეხე“; გოთ. *haitan* „წოდება, (ეწოდება)“-*haihait* „ეწოდებოდა“. ამ პერიოდში შედარებით ნაკლები გამოყენება უნდა ჰქონოდა ინფიქსებს.

მკვლევართა აზრით, ინდოევროპული ფუძეენა უღლებისა და ბრუნების ფორმებით გაცილებით უფრო მდიდარი იყო

მისგან გამოსულ ცალკეულ ენებთან შედარებით. მას ჰქონდა მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესები. ამ ენაში სიტყვების სამ სქესად დაყოფას უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ მდინარეები მიიჩნეოდნენ მამრობითი სქესის სახელებად, ხოლო დედამიწა და ნაყოფიანი ხეები – მდედრობითი სქესის სიტყვებად. რაც შეეხება წმინდა გრამატიკულ სქესს, იგი ჩამოყალიბდა უფრო გვიან, აზრობრივი აბსტრაქტირების გაძლიერების შედეგად.

ამ ენაში იყო აგრეთვე სამი რიცხვი: მხოლობითი, ორობითი და მრავლობითი; რვა ბრუნვა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი, წოდებითი, ლოკალური, აბლატივი და მოქმედებითი. ერთნაირად იბრუნვოდა არსებითი და ზედსართავი სახელები. ზმნის პირიანი ფორმებით გამოიხატებოდა მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო გვარები. ზმნის დროის ფორმებს შეადგენდა: პრეზენსი, იმპერფექტი, პრეტერიტი, აორისტი, პერფექტი, პლუსკვამპერფექტი და ფუტურუმი; ზმნას ჰქონდა კილოები: ინდიკატივი, კონიუნქტივი, ოპტატივი და იმპერატივი.

ინდოევროპულ ფუძეენას ჰქონდა მდიდარი ლექსიკური ფონდი. არსებული სიტყვების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურასა და შეხედულებაზე, ლექსიკონზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ეპოქის ხალხი შედგებოდა მეომართა და მიწათმოქმედთაგან. ცალკეულ ინდოევროპულ ენაში საერთოა იარაღისა და შინაური ცხოველების ბევრი სახელი, აგრეთვე, მიწათმოქმედებისა და საამშენებლო ტერმინები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიტყვების უდიდესი უმეტესობა კონკრეტული ცნებების გამომხატველია.

ინდოევროპული ენის ლექსიკურ ფონდში გვხვდება ჩასესხები სიტყვები. განსაკუთრებით აღნიშნავენ ბაბილონური

ენისა და, საერთოდ, კულტურის გავლენას. ფიქრობენ, რომ ინდოევროპული რიცხვითი სახელები გარკვეულად უკავშირდებიან ბაბილონურს. ამის საბუთს იძლევა რიცხვითი სახელის სამოციანი და თორმეტის სისტემის კვალი ინდოევროპულ ენებში, რადგან ცნობილია, რომ ინდოევროპულის საკუთარ ფორმას წარმოადგენდა რიცხვითი სახელების ათობითი სისტემა.

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ინდოევროპული ფუძეების ბგერითი შემადგენლობა, ამ ენას ჰქონდა მრავალფეროვანი თანხმოვნები: ხშული ბგერები და ყრუები: b, d, g - p, t, k. ფშვინვიერი მჟღერები და ყრუები: bh, dh, gñ - ph, th, kh. შესამჩნევი იყო თანხმოვნების ველარული ელფერი. ზოგიერთი სონანტი მარცვლოვანი იყო: l, r, m, n. სპირანტებიდან ინდოევროპულში გვხვდება მხოლოდ S. რაც შეეხება ხმოვნებს, იყო გრძელი და მოკლე a, e, i, o, u. გარდა ჩამონათვალისა, იყო აგრეთვე რედუცირებული (უმახვილი) ხმოვანი (ა) და დიფთონგები: ei, eu.

ინდოევროპულ ენას ჰქონდა მოძრავი მახვილი. იგი სიტუაციის მიხედვით სხვადასხვა მარცვალზე მოდიოდა სიტყვაში. ინდოევროპული მახვილის მრავალფეროვნებამ განაპირობა აბლაუტის არსებობა ამ ენაში, რაც სიტყვის ცვალებადობის მრავალ ფორმას იძლეოდა.

ენის წინარეისტორიული პერიოდის გაცნობით და ენობრივი ფაქტების ცვალებადობის მრავალფეროვანი ფორმების გამოვლენის საფუძველზე დადგენილია, რომ გერმანული, ინგლისური, ნიდერლანდური, შვედური, დანიური და სხვა ენები ნაწილებია უფრო დიდი ერთეულისა, რომელსაც გერმანიკულ ენათა შტოს უწოდებენ. თავის მხრივ, გერმანიკული ენების შტო ერთიანდება უფრო დიდ ენობრივ ერთეულში - ინდოევროპულ ენათა ოჯახში, რომელიც აერთიანებს ახლომონათესავე ენებს.

3. გერმანიკული ენები

3.1. საერთო გერმანიკული წინარეენის – საერთო გერმანულის არსებობის ხანა

გერმანიკული ენები ეკუთვნის ინდოევროპული ენათა ოჯახის დასავლურ ჯგუფს. ყველაზე ძველი ცნობები გერმანული კულტურების შესახებ დაკავშირებულია ბერძნებისა და რომაელების სახელებთან, რომლებიც ძველ წყაროებში გერმანელებს, როგორც „ბარბაროსებს“ (უცხოებს), მოიხსენიებენ. ტერმინ-გერმანიკული/გერმანულის წარმოშობაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მისი წარმოშობა დაკავშირებულია შემდეგი სიტყვების მნიშვნელობებთან: ლათ. *germānus* „ნამდვილი“, „ჭეშმარიტი“, ძვ.-ირლ.-*gairm* 'ყვირილი', ან ძვ.-ირლ. *gair* 'მეზობელი'.

მეცნიერებაში ზუსტად არ არის დადგენილი, ინდოევროპულ ფუძეენას როდის გამოეყო საერთო გერმანული/გერმანიკული (*germanische Sprache*). სავარაუდოდ, ძველი გერმანიკული წინარეენის (*das Urgermanische*) გამოცალკეება ინდოევროპულიდან ძვ.წ. II ათასწლეულში უნდა დაწყებულიყო. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა და საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. მეცნიერებაში სარწმუნოდ მიიჩნევენ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ძვ. წ. I ათასწლეულში უკვე საკმაოდ იყო ისეთი ენობრივი მოვლენები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს საერთო გერმანულის/გერმანიკულის ცალკე ენებად გამოყოფის საქმეში. ივარაუდება ისიც, რომ ერთიანი გერმანიკული დაახლოებით ძვ.წ. VIII საუკუნემდე არსებობდა, შემდეგ კი დაიწყო მისი დანაწევრება დამოუკიდებელ ენებად. ეს პროცესი, როგორც ჩანს, ძვ.წ. III

საუკუნემდე გაგრძელდა—აქედან მოყოლებული, შეიძლება ვილაპარაკოთ უკვე ცალკეულ გერმანიკულ ენებზე, თუმცა მათ საბოლოო ჩამოყალიბებას კიდევ რამდენიმე საუკუნე დასჭირდა. მეცნიერებაში სარწმუნოდ მიიჩნევა ის თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც ს ა ე რ თ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ი / გერმანიკული ენა არსებობას განაგრძობდა ჩვენი წელთაღრიცხვის ადრეულ საუკუნეებში.

როგორც აღვნიშნეთ, ზუსტად იმის მითითება, თუ როდის ჩამოყალიბდა ცალკეული გერმანიკული ენა, არ ხერხდება. საერთო გერმანიკულის არსებობის აღიარება არ ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ ეს ენა მთლიანად ერთიანი იყო. საერთო გერმანიკული არ შეიძლება სავსებით ერთიანი ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ განსხვავებული იყვნენ გერმანიკული ტომები, რომლებიც, უეჭველია, ერთმანეთისაგან დაცილებულ კილოებზეც ლაპარაკობდნენ, თუმცა ეს განსხვავებული ტომები ქმნიდნენ გარკვეულ მთლიანობას, რომელსაც ჯერ კიდევ ტაციტუსი იცნობდა „გერმანიის“ სახელით.

საერთო გერმანულის/გერმანიკულის შესახებ გვაქვს მეტად მცირე, მაგრამ მაინც, ლიტერატურული წყაროები. ამდენად, ამ ენის შესახებ არ გვიხდება მსჯელობა მხოლოდ მეცნიერული რეკონსტრუქციის საფუძველზე. ანტიკურ ძეგლებში გვხვდება საერთო გერმანიკული ბევრი სიტყვა, აგრეთვე, გერმანული საკუთარი სახელები. ამ მასალის საფუძველზე ცდილობენ დაადგინონ საერთო გერმანული/გერმანიკული ფორმები და ბგერითი შემადგენლობა.

საერთო გერმანიკულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბგერითი მოვლენაა თანხმოვანთა პირველი გადაწევა. ინდოევროპულმა ფუძე-ენამ დიდი ცვლილებები განიცადა თანხმოვანთა პირველი გადაწევის შედეგად. მეცნიერება თანხმოვანთა გადაწევის ცნებაში აერთიანებს მთელ რიგ ბგერით ცვალებადო-

ბას, რომელიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზის გამო მოხდა. ეს მოვლენა ამა თუ იმ სახით გავრცელდა საერთო გერმანულის/გერმანიკულის თითქმის ყველა სიტყვაზე. გარდა ამისა, საერთო გერმანიკულის დამოუკიდებელ ენად გაფორმების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა მახვილის შეცვლამ. გერმანიკულში, ნაცვლად თავისუფალი ინდოევროპული მახვილისა, ჩამოყალიბდა ფიქსირებული მახვილი. ამ საკითხმა და კიდევ სხვა თავისებურებებმა განაპირობა ინდოევროპული ენის „გერმანული დიალექტის“ განვითარება დამოუკიდებელ ენად, რომელსაც ს ა - ე რ თ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ი, ანუ გერმანიკული ენა ეწოდება.

როგორც აღვნიშნეთ, თანხმოვანთა პირველი ბგერათგადაწევა უაღრესად საინტერესო და ამავე დროს რთული ენობრივი მოვლენაა, რომელიც ხსნის გერმანიკულ ენებში თანხმოვანთა სისტემობრივ ცვლას სხვა ინდოევროპულ ენებთან შედარებით. ამ მოვლენის დასაწყისად მიიჩნევენ ძვ. წ . II ათასეულ წლებს. ვარაუდობენ რომ იგი დასრულდა ძვ.წ. 500-იანი წლებისათვის, ე.ი. მანამდე, ვიდრე რომაელები გერმანელებს გაეცნობოდნენ.

გერმანიკულ ენებში არ იყო არც განსაზღვრული და არც განუსაზღვრელი არტიკლი. დასავლეთგერმანიკულში ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან განვითარდა შემდეგ განსაზღვრული არტიკლი „der“, „die“, „das“. დასავლეთგერმანიკულში და უმეტეს ჩრდილოგერმანიკულ ენებში (ისე, როგორც რომანულ ენებში) რიცხვითი სახელისაგან „I“ განვითარდა განუსაზღვრელი არტიკლი. თანამედროვე ისლანდიურში განუსაზღვრელი არტიკლი არ განვითარებულა.

3.2. ძველი გერმანიკული ენები

ძველი გერმანიკული ენების არსებობის ხანა და ამ ენებზე დამწერლობის შექმნის ეტაპები ქრონოლოგიურად ერთმანეთს არ ემთხვევა. ასე, მაგალითად, წერილობით ძეგლებში შემონახული გოთური მოიცავს IV-VI, ძველი ზემოგერმანული – VIII-XI, ხოლო ძველი ისლანდიური – XI-XV საუკუნეებს. მიუხედავად ამისა, მეცნიერებმა შეიმუშავეს ძველი გერმანიკული ენების ერთიანი კლასიფიკაცია.

ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით, მიღებულია გერმანელთა ტომების დაყოფა სამ დიდ ჯგუფად: *აღმოსავლეთის გერმანელები, დასავლეთის გერმანელები, და ჩრდილოეთის გერმანელები.*

თანამედროვე ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი (მაურერი, ბახი და სხვ.) თვლის, რომ ასეთი ტრადიციული დაყოფა მხოლოდ ტერიტორიულ ვითარებას ასახავს და არა ენობრივს, ამიტომ იძლევა გერმანული ტომების ახლებურ კლასიფიკაციას:

1. *ჩრდილოეთის გერმანელები*, რომლებიც ცხოვრობდნენ დანიასა და სკანდინავიაში, უფრო გვიან კი ისლანდიაში.

2. *აღმოსავლეთის გერმანელები* (გოთები, ვანდალები, ბურგუნდიელები), რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ გერმანიის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, ხოლო ხალხთა დიდი გადასახლების შემდეგ აღმოჩნდნენ სამხრეთ ევროპაში, ნაწილი კი – მცირე აზიასა და ჩრდილო აფრიკაში. მათ გადაშენებასთან ერთად, დაიკარგა მათი ენაც.

3. *ელბისპირეთის გერმანელები*, რომლებიც ცხოვრობდნენ მდ. ელბის შუა დინების მახლობლად ტერიტორიაზე.

4. *ჩრდილოეთის ზღვისპირეთის გერმანელები* (ინგვეონები).

5. ვეზერსა და რაინს შორის მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელები.

გერმანიკული ტომების დაყოფისთვის რომელი კლასიფიკაციაც არ უნდა გამოვიყენოთ, ფაქტი ისაა, რომ საერთო გერმანულში თანდათანობით გამოიკვეთა და შემდეგ გამოიყო ცალკეული გერმანიკული ენები, რომელთა შორისაც ზოგიერთს უკვე IV საუკუნიდან აქვს საკუთარი დამწერლობითი ძეგლები. ამჟამად ზუსტად არის დადგენილი ის თავისებურებანი, რომლებიც ამ პერიოდში ახასიათენდა ცალკეულ გერმანიკულ ენას. მაგალითად, ლექსიკაში „დასავლეთ გერმანულის“ კუთვნილებად მიიჩნევენ Faust- Fest, Flucht, gesund, Herd, Zorn და მრავალ სხვას. სიტყვათწარმოებაში დასავლეთგერმანულ თავისებურებად ითვლება აბსტრაქტული სუფიქსები-heit, -tum, -schaft. ეს სუფიქსები არ გვხვდება გოთურსა და ჩრდილოგერმანულში.

დასავლეთგერმანული იყოფა ორ მთავარ ჯგუფად: *დუნია-ალპებისა და ქვემო რაინ-ჩრდილოეთის ზღვის ჯგუფები*. ეს ჯგუფები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამავე დროს შეინიშნებოდა ერთნაირი მოვლენები დასავლეთგერმანულის ამ ცალკეულ ჯგუფებსა და გერმანულის სხვა ჯგუფის, მაგალითად, ჩრდილოეთის, გოთურსა და სამხრეთგერმანულს შორის.

აღმოსავლეთ გერმანიკულ ენებში გაერთიანებული იყო: გოთური, ვანდალური, ბურგუნდიული.

გოთური (ზოგიერთი მეცნიერი მას გუთურს უწოდებს)–აღმოსავლეთ გერმანიკული ჯგუფის უმთავრესი ენაა. გოთური დღესდღეობით მკვდარი ენაა, მაგრამ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გერმანიკული, არამედ სხვა ინდოევროპული ენების შესწავლისათვისაც. ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი წერილობითი ძეგლია ვესტგუთი ეპისკოპოსის ულფილას

(გერმ. Wulfila) მიერ თარგმნილი ბიბლია. (ოთხთავი და ახალი აღთქმის ზიგიერთი ნაწილი). ულფილასვე მიეწერება გოთური ანბანის შექმნა.



Codex Argenteus – მონაკვეთი ულფილას ბიბლიიდან.

სავარაუდოდ შექმნილია 500 წლისთვის იტალიაში

გოთურ ანბანს ორი დიალექტი ჰქონდა: *ვესტგოთური* (დასავლური) და *ოსტგოთური* (აღმოსავლური). ჩვ. წ-ის II- III საუკუნეებში ჩამოყალიბდა გოთური ენის ოსტგოთური დიალექტი. კერძოდ, ე.წ. „ყირიმული გოთური“, რომელიც ცოცხალი ენა ყოფილა ჯერ კიდევ XVI-ში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სკანდინავიაში აღმოჩენილ რუნუკულ წარწერებს, ულფილას მიერ თარგმნილი ოთხთავი არის გერმანიკული ენების ყველაზე ადრეული წერილობითი ძეგლი. გოთური ენა თავისი სტრუქტურითა და ლექსიკით ახლოს დგას პროტო-გერმანიკულ ენასთან.

გოთური ენის გარდა, გერმანიკული ენების აღმოსავლეთ ჯგუფში შედიოდა ბურგუნდიული და ვანდალური ენები. ორივე ეს ენა დღეისათვის მკვდარი ენაა და ისინი არც წერილობითმა ძეგლებმა არ შემოგვინახეს.

ძველი დასავლეთგერმანიკული ენებია: ძველი ზემო-გერმანული, ძველი საქსონური, ანგლოსაქსონური (ძველი ინგლისური), ძველი ფრიზიული, ძველი ქვემო - ფრანკული (ფრანკონული).

ძველი ზემოგერმანული (althochdeutsch) მოიცავს V-XI საუკუნეებს. მასში შედის მწერლობის წინა ეპოქაც. ძველი ზემოგერმანულის ლიტერატურული ძეგლები მნიშვნელოვნად განირჩევიან ერთმანეთისაგან. ამის საფუძველზე განასხვავებენ ძველი ზემოგერმანულის მრავალ დიალექტს: შუაფრანკულს, რაინფრანკულს, აღმოსავლეთფრანკულს, ალემანურს, ბავარიულს და ა.შ. მიუხედავად ამგვარი დიალექტობრივი დაქუცმაცებულობისა, ძეგლებზე დაკვირვების შედეგად მაინც შეიმჩნევა სწრაფვა ენობრივი უნიფიკაციისაკენ. ძველი ზემოგერმანულის პერიოდის დასრულებისათვის (დაახლოებით, ათასიან წლებში) უკვე ვხვდებით გამოთქმას *din diutiska zunge* (გერმანული ენა). სიტყვა *diutisk* თავდაპირველად აღნიშნავდა გერმანული ტომების ენას, უფრო გვიან გადაიქცა გერმანული ხალხისა და გერმანული ენის საერთო სახელად.

ძველი საქსონური (Altsächsisch) დადასტურებულია IX-XII საუკუნეების ხელნაწერებში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია რელიგიური შინაარსის ეპოსი „ჰელიანდი“ („*heliand*“-„მაცხოვარი“) და ბიბლიური ლეგენდების პოეტური გადმოცემა „გენეზისი“. XIII- XVI საუკუნეები საქსონური განვითარების ახალი ეტაპია, რომელსაც „ქვემოგერმანული“ ეწოდება. დროის ამ მონაკვეთში მასზე შეიქმნა მდიდარი ქალაქური ლიტერატურა. ქვემოგერმანულის პოზიციები განსაკუთრებით ნყარი იცო

ჰანზის კავშირის არსებობის ხანაში. ამ პერიოდში დადგინდა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ნორმა. ჰანზის კავშირის დაცემასთან ერთად ქვემოგერმანულმაც დაკარგა თავისი მნიშვნელობა და განაგრძო არსებობა დიალექტის სახით. გერმანული ენის დიალექტის სტატუსი აქვს მას დღესაც.

ანგლო-საქსური (Angelosächsisch). ინგლისური ენის განვითარების ძველი პერიოდი – ე.წ. ანგლო-საქსური – მოიცავს VII-XI საუკუნეებს. მშობლიური ენებიდან და კონტინენტის დიალექტებიდან იზოლაციისა და ბრიტანეთის ტერიტორიაზე დასახლების შემდეგ, ანგლების, საქსების და იუტების დიალექტები ვითარდება და ახალ სახეს ღებულობს. ბრიტანეთში მათ აერთიანებს მჭიდრო ტერიტორიული კავშირები, მათ უჩნდებათ ახალი საერთო ნიშან-თვისებები და ის განსხვავებები, რაც მათ შორის არსებობდა, თანდათანობით იქცევა ანგლოსაქსონური ერის საერთო ენის დიალექტურ განსხვავებებად. VII საუკუნით თარიღდება ლათინური ანბანით შესრულებული პირველი წერილობითი ძეგლები. წერილობითი ძეგლების მიხედვით ამ დროისთვის არსებობდა ოთხი დიალექტი: ნორთუმბრიული, მერსიის (ანგლების დიალექტები), უესექსის (გავრცელებული იყო საქსების სამეფოში და ტემზის სამხრეთით), კენტის (გავრცელებული იყო კენტების პატარა სამეფოში და ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთით). ახალი ინგლისური XVI საუკუნიდან გამოიყოფა.

ძველი ფრიზული (alt Friesisch) (დაახლოებით 1500 წლამდე) ძალზე ახლოსაა ძველ ინგლისურთან. პირველი წერილობითი ძეგლები განეკუთვნება XVI საუკუნეს. ფრიზული ღარიბია, როგორც წერილობითი, ისე ლიტერატურული ძეგლებით, ვინაიდან იგი ძირითადად ზეპირი მეტყველების სახით არსებობდა.

ძველი ქვემო ფრანკონული (altniederfränkisch) – ძველი ქვემო ფრანკულისაგან განვითარდა ახალი ჰოლანდიური.

მათი განვითარების საფუძველზე მივიღეთ თანამედროვე დასავლეთ გერმანიკული ენები; ასე, მაგალითად, გერმანულს საფუძვლად დაედო ძველი ზემოგერმანული, ინგლისურს – ძველი ანგლოსაქსონური; ქვემო ფრანკონული, ფრიზული და საქსონური მინარევებით საფუძვლად დაედო თანამედროვე ნიდერლანდურ ენას ჰოლანდიაში და ფლამანდიურ ენას ჩრდილოეთ ბელგიაში (ფლანდრია ბელგიის ჩრდილო პროვინცია). ძველი ფრიზული საფუძვლად დაედო თანამედროვე ფრიზულ ენას.

ჩრდილო გერმანიკულში გაერთიანებული იყო: ძველი დანიური, ძველი შვედური, ძველი ნორვეგიული, ძველი ისლანდიური

3.3. თანამედროვე გერმანიკული ენები

ძველი გერმანიკული ენები სამ ქვეჯგუფად იყოფა, ახალი კი – ორად.

დასავლეთ გერმანიკული ქვეჯგუფი: ინგლისური, გერმანული, ფრიზული, ნიდერლანდური (ჰოლანდიური+ ფლანდრიული), აფრიკაანსი (ბურების ენა), იდიში.

ჩრდილო გერმანიკული ქვეჯგუფი: დანიური, შვედური, ნორვეგიული, ისლანდიური, ფარერული.

3.3.1. გერმანიკული ენების დასავლური ჯგუფი

ინგლისური ენა – ყველაზე გავრცელებული გერმანიკული ენაა. მისი სამი ძირითადი ვარიანტია: ბრიტანული, ამერიკული

და ავსტრალიური. ინგლისური არის დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის სახელმწიფო ენა, მეორე სახელმწიფო ენა კანადაში (ფრანგულთან ერთად). ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე კანადელები მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ (გარკვეული ნაწილი ლაპარაკობს ფრანგულად, ხოლო 17% ორივე ენაზე). ინგლისური სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის (აფრიკანსთან ანუ ბურების ენასთან ერთად) სახელმწიფო ენაა. გავრცელებულია აგრეთვე აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, ინდოეთში. ინგლისურად ლაპარაკობს 340 მილიონზე მეტი კაცი (როგორც მშობლიური ენა) დაახლოებით 180 მილიონისთვის იგი მეორე და მესამე ენაა. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური ენაა.

გერმანული ენა (Deutsch) – გერმანული ენის განვითარებაში განასხვავებენ დამწერლობის წინა პერიოდს (V-VIII ს.). ძველი ზემოგერმანულის პერიოდს (VIII-XI ს.), საშუალო ზემოგერმანულის პერიოდს (XI-XIVს.), ახალი ზემოგერმანულის ადრეულ პერიოდს (XIV-XVIIს.), ახალი ზემოგერმანულის პერიოდს (XVII ს. დღემდე). გერმანული საერთო ენის შექმნა-განმტკიცების საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მარტინ ლუთერის (1483-1546) მოღვაწეობა, რაც პირველ რიგში აღმოსავლეთგერმანული ვარიანტის დამკვიდრებაში გამოიხატა. აღმოსავლეთგერმანული-საქსონიის სამთავროს საკანცელარიო ენა რომ გერმანულ ენას დაედო საფუძვლად, ამაში მცირე როლი როდი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ მარტინ ლუთერმა იგი გამოიყენა თავისი ბიბლიის თარგმანებში, რეფორმატულ ნაწარმოებებსა და საეკლესიო სიმღერებში.

აღმოსავლეთ შუაგერმანული სალიტერატურო ენის გავრცელება თავდაპირველად ჩრდილოეთისაკენ წარიმართა. ბერლინი ერთ-ერთი პირველი ქალაქი იყო, სადაც აღმოსავლეთ გერმანულმა გაიმარჯვა. XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან

იმარჯვებს საბოლოოდ აღმოსავლეთგერმანული, რაც, თავის მხრივ, დიდად უწყობს ხელს გერმანელი ეროვნული ენის ჩამოყალიბებას.

გერმანულ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 100 მილიონი კაცი. დაახლოებით 80 მილიონისთვის გერმანული მეორე ენაა. იგი გავრცელებულია გერმანიაში, ავსტრიაში (სახელმწიფო ენა), ერთ-ერთი ოფიციალური ენაა შვეიცარიაში და ლუქსემბურგში. საფრანგეთის ტერიტორიაზე გერმანული ენა გავრცელებულია ელზასსა და ლოტარინგიაში.

ნიდერლანდური ენა (Niederländisch) – (ჰოლანდიურს-ფლანდრიული) ჰოლანდიის სახელმწიფო ენა. ნიდერლანდურ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 19 მლნ კაცი. ნიდერლანდიის სამეფოს ოფიციალური ენა. იგი აგრეთვე ბელგიის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა (კერძოდ, გავრცელებულია ფლანდრიაში, რომელიც აერთიანებს ბელგიის ჩრდილო პროვინციებს. ფლანდრიური ენა ჰოლანდიურისაგან უმთავრესად ლექსიკით განსხვავდება). პირველი წერილობითი ძეგლები IX საუკუნეს განეკუთვნება. ახალი ჰოლანდიური ძველი ქვემო ფრანკულისაგან განვითარდა (ფრიზული და საქსონური მინარევებით). ნიდერლანდური ენა გავრცელებულია აგრეთვე აშშ-ში და ვესტინდოეთში.

ფრიზული ენა (Friesisch) – დღეს დაახლოებით 370 ათასი კაცის ენაა. იგი ძირითადად გავრცელებულია ფრისლანდიაში – ნიდერლანდების ერთ-ერთ პროვინციაში, გერმანიაში. მას უხდება არსებობა ორენოვნების ვითარებაში, სადაც პრიორიტეტი – როგორც ოფიციალური სტატუსის, ისე გავრცელების თვალსაზრისით – მეორე ენას – ჰოლანდიურს ან გერმანულს ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, იგი დამოუკიდებელ ნაციონალურ ენად ითვლება (თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, იგი არ არის სახელმწიფო ენა). მასზე

ლაპარაკობს ფრიზის კუნძულის მოსახლეობა, ნიდერლანდის სამეფოს ჩრდილო სანაპიროზე მცხოვრები მოსახლეობა, ამ ენაზე ლაპარაკობენ გერმანიის ჩრდილო- დასავლეთით მდებარე პატარა ოლქში.

აფრიკაანსი (Afrikaans). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა (ინგლისურთან ერთად). ამ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 4 მლნ კაცი. იგი არის აფრიკანერების (ბურების) ენა. 1925 წლიდან იგი ყველაზე „ახალგაზრდა“ გერმანიკული ენაა. (ამ წელს იგი ოფიციალურ ენად აღიარეს). მისი ჩამოყალიბება დაიწყო XVII საუკუნეში აფრიკის ერთ-ერთ ჰოლანდიურ კოლონიაში. XIX საუკუნემდე აფრიკაანსი მხოლოდ ყოფილი კომუნიკაციისას გამოიყენებოდა, წერილობითი ძეგლები გაჩნდა მხოლოდ XIX საუკუნის 70-იან წლებში. ოფიციალური ურთიერთობის ენა ჰოლანდიური იყო. 1806 წლიდან კოლონიის ოფიციალურ ენად ინგლისური გამოცხადდა. ბრძოლა აფრიკაანსის ფუნქციების გაფართოებისათვის ამავე დროს ინგლისურის გაბატონების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა – აფრიკაანსი, როგორც ვთქვით, მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

იდიში (Jiddisch). ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში (აშშ, რუსეთის ფედერაცია, ისრაელი, ჰოლანდია, რუმინეთი და სხვ.) მცხოვრები ებრაელების სალაპარაკო და სალიტერატურო ენაა. განვითარდა გერმანულის და ებრაულის შერწყმით. მისი ფორმირების პროცესი ჯერაც შეუსწავლელია. იდიშის ჩამოყალიბება დაიწყო გერმანიის ტერიტორიაზე დაახლოებით XIII საუკუნიდან გერმანული დიალექტების საფუძველზე, ებრაელების აღმოსავლეთ ევროპაში მიგრაციის შემდეგ. იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ახალი ენობრივი ერთობლიობა უკვე სლავური სუბსტრატისა და საკუთრივ ებრაულის გავლენით.

ლიტერატურა იდიშზე (როგორც რელიგიური, ისე საერო) იქმნებოდა XVI საუკუნიდან. ამჟამად ებრაული ლიტერატურა იდიშზე გამოდის ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, რუსეთის ფედერაციაში (ბირობიჯანის ავტონომიური ოლქი), ისრაელში. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ისრაელის სახელმწიფო ენა არის არა იდიში, არამედ ე ბ რ ა უ ლ ი – ივრითი, რომლის საფუძველსაც კლასიკური ძველი ებრაული წარმოადგენს. (ივრითი ახლოს დგას არაბულთან – სემიტურ ენათა ოჯახი).

3.3.2. ჩრდილო გერმანიკული ენები

გერმანიკული ენების *ჩრდილოური ჯგუფი* აერთიანებს სკანდინავურ ენებს. ყველაზე ადრეული წერილობითი ძეგლი რუნული წარწერებია, რომლებიც III საუკუნიდან თარიღდება.

VII საუკუნეში სკანდინავური ენები გაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ჯგუფებად. XII–XIII საუკუნეებში იწყება სკანდინაველი ხალხების ენების–ძველი შვედურის, ძველი დანიურის, ძველი ნორვეგიულისა და ძველი ისლანდიურის ჩამოყალიბება. აღმოსავლეთ ჯგუფი აერთიანებს შვედურსა და დანიურს, ხოლო დასავლურ ჯგუფში შედიან ნორვეგიული და ისლანდიური.

შვედური ენა (Schwädisch)–შვედეთის სახელმწიფო ენა. აგრეთვე ფინეთის ერთ–ერთი სახელმწიფო ენა. რუნული წარწერები თარიღდება IX საუკუნით, ხოლო ლათინური ანბანით შესრულებული ტექსტები – XIII საუკუნით. ჩამოყალიბდა XVI-XVII საუკუნეებში.

დანიური ენა (Dänisch) – დანიის სახელმწიფო ენა. რუნული წარწერები IX თარიღდება საუკუნით, ლათინური ანბანით შესრულებული წერილობითი ძეგლები – XI – XII საუკუნეებით, ახლოს არის ნორვეგიულთან.

ნორვეგიული ენა (Norwegisch) – ნორვეგიის სახელმწიფო ენა. რუნული წარწერები შესრულებულია X საუკუნეში, წერილობითი ძეგლები – X II და შემდგომ საუკუნეებში. ნორვეგიული ენა XIV საუკუნიდან აღარ არის ლიტერატურული ენა. იგი შეცვალა დანიურმა ნორვეგიული ელემენტებით.

შუა საუკუნის მიწურულიდან ნორვეგიული ენა განიცდიდა შედურის, შემდეგ კი დანიური ენის ძლიერ გავლენას. ამის შედეგად დანიური ენა იქცა ნორვეგიის ქალაქის მოსახლეობის ენად და სალიტერატურო ენად. ეს ნაწილობრივ განაპირობა ამ სამი ქვეყნის პოლიტიკურმა კავშირმა. 1597 წელს ნორვეგია გახდა დანიის სამეფოს ნაწილი; მეორე მხრივ კი რეფორმაციამ, რომლის დროსაც ბიბლია და სხვა რელიგიური ხასიათის თხზულებები დანიურ ენაზე გავრცელდა ნორვეგიაში. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნიდან დანიური ენა ნორვეგიაში განიცდის ნორვეგიული დიალექტების გავლენას. ისეთმა მწერლებმა, როგორცაა იბსენი და ბიორნსონი შექმნეს ახალი კლასიკური დანიურ-ნორვეგიული ნორმა. მიუხედავად სერიოზული მცდელობებისა, რთული და საეჭვო აღმოჩნდა ადგილობრივი დიალექტებისა და ძველი . სკანდინავიური ენის ბაზაზე ახალი ნორვეგიული სალიტერატურო ენის შექმნა.

ისლანდიური ენა (Isländisch)- ისლანდიის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. ლათინური ანბანით წერა დაიწყო XI საუკუნიდან. ძველი ისლანდიური ძველ სკანდინავურ ენებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა, ვინაიდან ამ ენაზე შეიქმნა მეტად მდიდარი ლიტერატურა – მხედველობაში გვაქვს უფროსი ანუ პოეტური ოდა, ძველი ისლანდიური მითოლოგიური და საგმირო სიმღერების კრებული და უმცროსი ანუ პროზაული ოდა, რომელიც ორმოცამდე საგას და პროზაულ ეპოსს აერთიანებს.

ფარერული (Färöisch) – ატლანტის ოკეანეში მდებარე ფარერის კუნძულების მოსახლეობის ენა. სკანდინავური ენე-

ბიდან ყველაზე „ახალგაზრდა“ და ყველაზე ნაკლებად გავრცელებული ენა. XVIII საუკუნემდე იგი არსებობდა მდიდარი ზეპირმეტყველების სახით. თანამედროვე ორთოგრაფია შეიქმნა 1848 წ., ხოლო 1948 წელს ფარერული (ფაროეული) აღიარეს კუნძულების ძირითად ენად (მანამდე პრიორიტეტი დანიურს ეკუთვნოდა).

4. გერმანული დამწერლობის ისტორია

4.1. რუნული ანბანის სახეები

დამწერლობა ყველაზე დასაყრდენი მტკიცებულებაა ენაზე, ყველაზე საიმედო და უშუალო, რომ შევიქმნათ წარმოდგენა ენის ლექსიკურ-გრამატიკულ მხარეზე მის დამწერლობამდე ხანაში. მეცნიერ-ფილოლოგები მიმართავენ სხვადასხვა ირიბ მონაცემებს შესასწავლი ენის ხასიათზე, თუმცა ხშირად ასეთი მონაცემები წყვეტილია და არც თუ ისე საიმედო, ან ისინი რეკონსტრუქციას უკეთებენ არარსებულ ენობრივ მასალას ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.

გერმანიკული ტომები თავისი დამწერლობისთვის სამი სახის ანბანს იყენებდნენ: რუნული (რუნიკული) ანბანი, გოთური ანბანი, ლათინური ანბანი. უძველესი ამ სამ ანბანს შორის არის რუნული ანბანი. იგი შეიქმნა ჩვენი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებში. გერმანიკული ტომების დამწერლობის უძველესი ძეგლები (III-VIII სს.) შესრულებულია რუნული ანბანით.

რუნებს მხოლოდ ძველი გერმანიკული ტომები იყენებდნენ. ამდენად, რუნული/რუნიკული წარწერები შეიძლება განვიხილოთ როგორც საერთო-გერმანიკული დამწერლობა.

ძველი რუნები ანუ – ფუთარქი



24 ნიშნისანი რუნული ანბანი გერმანელებისა, რომლის სახელწოდება იყო „უფროსი რუნული“, წარმოადგენს ვერტიკალურ და დახრილ ხაზებს. ისინი ძალზედ უცხოდ გამოიყურებიან იმათთვის, ვისაც თვალი შეჩვეული აქვს თანამედროვე ევროპული ანბანისათვის. რუნული ანბანი ასევე გვაოცებს ასოების თანმიმდევრობით. თუ ჩვენთვის ცნობილია ანბანები ასეთი თანმიმდევრობით: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ... და ა.შ. a, b, c, d, e, f, g, h, i და ა.შ. ; რუნული ანბანის თანმიმდევრობა არის: f, u, θ a, r, k. g, w, h, n, i და ა.შ. ანბანის პირველი ექვსი ასოს მიხედვით გვაქვს: f u θ a r k. რუნული ანბანის ამ სახესხვაობას *ფუთარქი* ეწოდა.

სიტყვა „რუნა“ თავდაპირველად ნიშნავდა „საიდუმლოებას (შემორჩენილი გერმანულ სიტყვაში „raunen – „საიდუმლოდ ჩურჩული“) და როგორც ჩანს, იგი დამწერლობის მაგიური გამოყენების საიდუმლოებასთან იყო დაკავშირებული. გავრცელებული იყო რუნებზე მკითხაობა. ხის ჯოხებს, რომლებზეც რუნული ანბანი იყო ამოჭრილი, ქსოვილზე დაალაგებდნენ. ქურუმი სათითაოდ იღებდა ჯოხებს და წინასწარმეტყველებდა. რუნების ცოდნა ქურუმთა პროფესიული საიდუმლოება იყო თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მკითხაობის რიტუალს უკავშირებდნენ აგრეთვე სიტყვა–Buchstabe-ს – („ანბანი“), ეტიმოლოგიურად Buche– ნიშნავს „წიფელი“, როგორც ჩანს, იგი თავდაპირველად აღნიშნავდა წიფლის ჯოხს, რომელზეც რუნული ნიშანი იყო ამოჭრილი, სიტყვა lesen („კითხვა“) კი იხმარებოდა თავდაპირველად მნიშვნელობით – „მოკრეფა“, „ამოკრეფა“ „გარჩევა“. მისი ძველი მნიშვნელობით შემორჩენილია გერმანულ ზმნაში auflesen – „ამოკრეფა“ (შდრ. რუს. подбирать) და სხვა რთულ არსებით სახელებთან: Weinlese „ყურძნის კრეფა“ (შდრ. რუს. сбор винограда).


ინგლისური ზმნა to read „კითხვა“ – თავდაპირველად ნიშნავდა: „გამოცნობა“, „რჩევა“, „გადათქმევენება“ (შდრ. რუს. угадывать, отгадывать) ზმნა to write 'წერა', ადრე ნიშნავდა: „ჩხაპნა,“ (შდრ. რუს. царапать, выцарапывать). ასევე გერმანული ritzen „ჩხაპ-ნა“(რუს. царапать) და reißen 'საზვა' (რუს. чертить) და ა.შ..

რუნულ ანბანს გერმანელები ხმარობდნენ მოკლე წარწარე-ბისთვის. რუნები ეწოდებოდა წარწერებს, რომლებიც მაგიურად ითვლებოდა. რუნა ეწოდებოდა იმ ასოებს, რომლებიც ამგვარი წარწერების გასაკეთებლად იხმარებოდა, ანუ მან შეიძინა თვით ამგვარი დამწერლობის ნიშნების აღნიშვნის ფუნქცია. რუნული ანბანით შესრულებული წერილობითი ძეგლები, ესაა წარწე-რები ხეზე, ქვაზე, ლითონზე, მოგვიანებით – სასულიერო და საერო ხასიათის ტექსტები ქაღალდზე. ეს წარწერები კეთდებო-და სამკაულებზე, ავეაროზებზე, ბეჭდებზე, იარაღზე და სხვა, ხოლო სკანდინავიაში ქვებზე და კლდეებზეც კი. წერის ტექნიკა იყო ხეზე კვეთა. ყველა ეს წარწერა ენობრივ ძეგლს არ წარ-მოადგენს, რადგან ზოგიერთი მათგანის გამიფრვით არც ერთი გერმანიკული სიტყვა არ იკითხება. ამ წარწერათა უმრავლესობა მოკლეა, ერთი-ორი სიტყვისაგან შედგება.

ძველი რუნული ანბანი, როგორც აღვნიშნეთ, 24 ასოსგან შედგება. ეს ანბანი III-VIII საუკუნეებში გამოიყენებოდა. მოგვიანებით, IX საუკუნეში, სკანდინავიის ქვეყნებში შეიკვეცა 16-ნიშნიან რიგად. ამავე დროს გამარტივდა ზოგიერთი რუნის გრაფიკული გამოსახულება და წარმოიშვა საკუთრივ სკანდინა-ვური ე.წ. ახალი, ანუ *დანიური რუნები* (IX - XI საუკუნეები). იხ.სქემაზე:

ბეგლმა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წარწერა *ფრანკ-სის ზარდახშაზე*. (Frank's Casket –VII ს), უფრო გვიანდელი რელიგიური შინაარსის ლექსი *ქვის ჯვარზე* შოტლანდიის სოფელ რუთველში ე.წ. *რუთველის ჯვარი* (Ruthwell cross).

ფრანკსის ზარდახშა დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში. ორივე ზემოხსენებული წარწერა ძველი ინგლისური ენის ნორთუმბრული დიალექტის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ბეგლია.



Hrōnæs bān | fise hōdu | ahīm on lers | enberiz | warp
 ʒāsrīc ʒrofa þæt he on ʒrēut ʒiswōm.

4.1.1. რუნების წარმოშობა

უკვე XVII ს-დან მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია საკითხი რუნების წარმოშობის შესახებ. ისინი გერმანიკულმა ტომებმა დამოუკიდებლად შექმნეს, თუ იგი რომელიმე სხვა ანბანის საფუძველზე წარმოიშვა? კერძოდ, რომელი ანბანი უდევს საფუძვლად რუნებს? ეს ის კითხვებია, რომლებსაც მეცნიერები ცდილობენ პასუხი მოუძებნონ.

რუნოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, XIX ს 70-იან წლებში შეიქმნა. მისი ფუძემდებელი იყო დანიელი მეცნიერი ლუდვიგ ვიმერი.

მიუხედავად რუნოლოგიის დიდი ძალისხმევისა, ბევრი წარწერა დღემდე არ არის გაშიფრული და სადავოა ბევრი მათგანის ინტერპრეტაცია. ეს აიხსნება მასალის სირთულით და იმ გარემოებითაც, რომ იგი ფრაგმენტის სახითაა მოცემული. მასალის გაშიფრვაში უნდა ჩაერთოს სხვადასხვა მეცნიერება. როგორც თავის დროზე რუნოლოგი კარლო მარსტრანდერი აღნიშნავდა, „რუნოლოგია არის პალეოგრაფია, ლინგვისტიკა, არქეოლოგია და მითოლოგია“. მართლაც არც თუ იშვიათად ზოგიერთი რუნული ჩანაწერი ლექსიკური თვალსაზრისით გასაგებია (სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა იშიფრება), მაგრამ თუ რა ფუნქციას ასრულებდა ეს ტექსტი—გამოცანად რჩება. არაა საკმარისად ნათელი რუნული ანბანის წარმოშობის ისტორია. ზოგიერთი რუნი ლათინურთან საოცარ მსგავსებას იჩენს, ზოგი კი ბერძნულთან. ამიტომ ზოგი მას ლათინურს მიაკუთვნებს, ზოგი კი ბერძნულს.

XIX საუკუნის ბოლოს პირველად გამოითქვა აზრი რუნული ანბანის წარმოშობის შესახებ ჩრდილოიტალიკურ ანბანიდან. ამ ჰიპოთეზის თანახმად, რუნები შექრილან იტალიის ჩრდილოეთით II–III სს. გადაღებული იქნა დასავლეთ გერმანიკული ტომების უკიდურეს სამხრეთით და თანდათან გავრცელდა ჩრდილოეთით, გადადიოდა რა ერთი გერმანიკული ტომიდან მეორეზე. ამჟამად ამ ჰიპოთეზას ბევრი მომხრე ჰყავს. სიმართლეა ის, რომ ზოგიერთ რუნებს არავითარი პროტოტიპი არ გააჩნია არც ერთ ჩრდილო-იტალიკურ ანბანთან. გამოცანად რჩება რუნული ანბანური რიგიც.

XIX ს. 70-იან წლებში ლუდვიგ ვიმერმა დაამტკიცა, რომ რუნები მომდინარეობენ ხმელთაშუაზღვის სამხრეთ ევროპული დამწერლობიდან, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა ბერძნული და იტალიკური (მათ შორის ლათინური) ანბანებით (რამდენიმე რუნას გრაფიკული განოსახულება ჰგავს შესაბამის

ლათინურ ასოებს). ვიშნის ბევრ მოსაზრებას და დასკვნას მეცნიერები არ იზიარებენ. მათ შორისაა ნორვეგიელი მეცნიერი მარსტრანდერი, რომელიც ასაბუთებს, რომ რუნებს საფუძვლად უდევს სუბალპური ჩრდილო ეტრუსკული ანბანი* (subalpine Northern Etruscan alphabet). ეს ანბანი გამოიყენებოდა აღმოსავლეთ ალპებში პრეიტალიკური ტომების მიერ. რუნული ანბანი საოცრად ჰგავს ამ ანბანს, მაგრამ მარსტრანდერის დასკვნები არ ემყარება მხოლოდ ამ მსგავსებას. საყურადღებოა ის, რომ უძველესი გერმანიკული წარწერები სუბალპური ანბანითაა შესრულებული, ხოლო უძველესი რუნული ტექსტები აღმოჩენილია ალპების აღმოსავლეთ ნაწილში და არა გერმანიაში, ან სკანდინავიაში.

ეტრუსკული არაინდოევროპული ენაა, რომლის მატარებლებმაც რომაელებზე ადრე იტალიაში მაღალი კულტურა შექმნეს. ეტრუსკების ძირითადი ოლქი ტოსკანა იყო

კონტინენტზე მცხოვრები გერმანელების რუნული ძეგლები უმეტესწილად მეროვინგების (VI-VIII სს) ეპოქას ეკუთვნის. ეს ძირითადად აბულეტები და ფაბულებია (ტანსაცმლის შესაკრავები), რუნული წარწერებით, მაგიური ხასიათის მოკლე ჩანაწერებით, ან ისეთი რუნებით, რომელსაც ვერ შიფრავენ. ბოლო აღმოჩენა, რომელიც 1945 წლით თარიღდება – *ხელნაწერია ფულდის მონასტრიდან* (VIII-IX სს).

უძველესი რუნული დამწერლობა შუალედური რგოლია გერმანიკული ფუძეენისა, რომლის ფორმების მხოლოდ რეკონსტრუქციაა საჭირო და სხვადასხვა გერმანიკული წარმოშობის ხალხის ენებისა, რომელთაც ძველისძველი წერილობითი ძეგლები გააჩნიათ. ძველი რუნული უფრო არქაულია, ვიდრე გოთური, მასში უფრო ძველი გრამატიკული მოვლენებია შემონახული, ვიდრე სხვა ძველ გერმანიკულ ძეგლებში.

როგორც აღვნიშნეთ, წერის ერთ-ერთი ტექნიკა იყო ხეზე კვეთა, და რაკი ხის საგნებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, არც რუნული წარწერები მოგვეპოვება დიდი რაოდენობით. ამასთან გერმანიკული ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე ისინი არათანაბრად გვხვდება: გერმანიასა და ინგლისში ნაკლები, სკანდინავიის ქვეყნებში-შედარებით მეტი, წარწერები ძირითადად ცალკეული სიტყვებია (მეტწილად საკუთარი სახელები), ზოგჯერ საგანზე გამოსახულია მთელი ანბანი. სწორედ რუნული ანბანით არის შესრულებული ერთ-ერთი უძველესი წარწერა (420 წ), რომელსაც ზოგი მკვლევარი (მაგალითად, ფონ პოლენცი), „საერთო-გერმანიკულს“ მიაკუთვნებს.

MC HMPEXERITV HXRTI~Y HXRIF TEPIMX

ok hlewagastiR holtungaR horna tawido

„Ich, Hlewagast aus dem Geschlecht des Holt [aus dem Ort Holt?] machte das Horn“.

რუნები ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მიღწევა იყო ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში, მაგრამ რადგანაც უპირატესად საკულტო დანიშნულების საქმეს ემსახურებოდა, იგი ვერ გავრცელდებოდა და ვერც გავრცელდა ფართო მასშტაბით.

გაქრისტიანების პროცესში გერმანიკული ტომები გაეცნენ ბერძნულ და ლათინურ ანბანს, რომელმაც XI საუკუნის დასაწყისისათვის თითქმის მთლიანად განდევნა რუნული დამწერლობა. შედარებით მეტხანს შემორჩა იგი ლათინურის გვერდით სკანდინავიის ქვეყნებში, განსაკუთრებით - შვედეთში, სადაც რუნებით XVI-XVII საუკუნემდე სარგებლობდნენ.

მეცნიერებაში იკვეთება აზრი რუნეკული დამწერლობის კვალზე საქართველოში.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან კოლხებმა ევროპის დროული სამყაროში (ძვ. წ. III-II ათასწლეულებში ევროპაში განვითარებული კულტურა: მზე – მთვარის მისტერიები, რაც მიწიერი სამყაროდან მომდინარე სულიერი ძალების შემეცნებაში მელანდებოდა); რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ბუნებაში ცხოვრება და მის სულიერ ძალებთან შერწყმა, შეიტანეს რელიგიური ცნობიერების ახალი ფორმა, ჰერმესული ფორმა: ბუნების შემეცნებაში რაციონალური ელემენტების დამატებით, ანუ მზისა და მთვარის იმპულსებს მერკურის იმპულსები შეუერთდა. კოლხებმა თავიანთ მისტერიებში ახალი თაობის ღმერთის ოდინის/ვოტანის კულტი შემოიტანეს (რ.შტაინერი). ვოტანი ითვლება დასავლეთში რუნული დამწერლობის შემომტანად. კოლხები გარესამყაროს რუნებით, ანუ გარკვეული ნიშნებით გამოხატავდნენ და რელიგიურ ცნობიერებაში ყურადღება სიკვდილის მისტერიებზე გადაჰქონდათ. მერკურული (ჰერმესული) ცნობიერების, ანუ ინტელექტუალური ცნობიერების დახმარებით ადამიანმა შექმნა რუნული წარწერები, ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში კოლხური რუნები საფუძვლად დაედო ევროპაში რუნული ანბანური დამწერლობის შექმნას, რომელიც ფარდოდ იყო გავრცელებული გერმანიკულ ტომებში [ქვიციანი, 2010.4-18, 42, 43].

რუნული მაგია კაცობრიობის ევოლუციის შორეული წარსულია. იგი ძველ კოლხეთში მართლზომიერი მოვლენა იყო და სამყაროსთან სულიერი ურთიერთობის გარკვეულ ფორმას წარმოადგენდა ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი ფართოდ გამოიყენებოდა. რუნებით ხდებოდა ზემოქმედება როგორც საკუთარ თავზე, ასევე არსებულ გარემოებაზე. მათ სამედიცინო/სამკურნალო დანიშნულებაც ჰქონდათ¹.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას აღარ იწვევს, რომ რუნები ძველი კაცობრიობის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ნიშნებია, რითაც ქურუმები ღვთაებრივ ქმედებებს ჰკრეტდნენ. მაგ.: რუნა BB (Berkana) სიმბოლოურად

ზრდის პროცესს გამოხატავდა. მასში იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი ზრდაც. ეს რუნა ძლიერ მოქმედებდა ნაყოფიერების სფეროზე. მას ხშირად მიმართავდნენ ქალის უშვილობის ან მშობიარობის შემსუბუქების მიზნით. რუნა (Othal) უკავშირდება თავშეკავების ძალებს, სწრაფვას უსაფრთხოებასა და წესრიგისაკენ. ეს რუნა ადამიანს ეხმარება წესრიგი დაამყაროს მის ირგვლივ ყველა სფეროში: ოჯახში, ყოველდღიურ საქმიანობაში, გარშემო მყოფ ადამიანებთან (ქვრივიშვილი: 73, 78, 80).

საქართველოს ტერიტორიაზე რუნული ნიშნები არქეოლოგიურად დადასტურებულია თრიალეთში, ჯავახეთში "ამირანის გორაზე" (ძვ.წ. III ათასწლეულის წარწერა თიხის ჭურჭელზე რუნული კუთხოვანი დამწერლობის ანალოგიური პიქტოგრამებით).

4.2. გოთური ანბანი

გოთური ანბანის შექმნას მიაწერენ ვესტგუთ ეპისკოპოსს ვულფილას, რომელმაც IV საუკუნეში თარგმნა სახარება. ეს ძეგლი არის გოთური ენის ერთადერთი წერილობითი ძეგლი, სადაც დადასტურებულია გოთური ანბანის გამოყენება. გოთური ანბანი 27 ასოსაგან შედგებოდა. ასოების გრაფიკული გამოსახულება, მათი თანმიმდევრობა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ გოთურ ანბანს საფუძვლად უდევს ბერძნული ანბანი. ამას გარდა, გოთურ ანბანს რამდენიმე ასო ნასესხები აქვს ლათინური და რუნული ანბანიდან.

მამასადამე, გოთური ანბანი ძირითადად განვითარებულია ბერძნული ანბანის საფუძველზე.

გოთური ტექსტების თანამედროვე გამოცემებში ჩვეულებრივ გამოიყენება გოთური ანბანის ლათინური ტრანსკრიფცია.

1. Datab hao stgaggandir iussu al iingunja; laistidedim afar imma
 urejens manages. 2. jah sai, manna brats'ill habands durimands in-
 sand riu q'bands: irara, jahel veller, magt mik gstrairgan. 3. jah uf-
 rakjand handu attalrek minna q'bands: wiljan, waich brains! jah sura
 brain warf beta brats'ill is. 4. jah qab imma Iesus: saite ei maria oi



გოთური შრიფტი

გოთური შრიფტი შეიქმნა დაახლოებით XI ს. იტალიაში.
 ლათინური ანბანის საფუძველზე წარმოიშვა დამწერლობის
 ახალი ტიპი – მახვილდაბოლოებიანი ანბანი, რომელიც XI ს.
 ბოლოდან ევროპის სხვა ქვეყნებშიც ვრცელდება.

შუა საუკუნეებში (XIII-XIV სს) დასავლეთ ევროპაში წარმოიქმნა ახალი სტილი არქიტექტურისა, რომელმაც შეცვალა რომაული სტილი. მისი დანიშნულება იყო არქიტექტურის მეშვეობით გამოეხატა ქრისტიანული იდეა ყოველგვარ მიწიერს მოწყვეტილი, ყველა ჩანაფიქრსა და იმედის ზეცას მიმართული, ღმერთის სამყოფელში. ამ სტილმა მსოფლიო კულტურას შესძინა ისეთი შედეგები, როგორცაა *ნორტდამის ტაძარი პარიზში, წმინდა სტეფანეს ტაძარი ვენაში, ვესტმინსტერის საბატოლონდონში, ტაძრები სტრასბურგში, კიოლნში, ნიუმბურგში, მილანში, რუანში, პრადაში* და სხვა.

გოთურ შრიფტს, რომელიც როგორც ავლნიშნეთ, ევროპაში XI საუკუნის დასასრულიდან გავრცელდა, არავითარი საერთო არ აქვს გოთურ დამწერლობასთან. ამ შრიფტს, ისევე როგორც XIII-XIVს. არქიტექტურულ სტილს „გოთური“ აღორძინების ხანის ჰუმანისტებმა უწოდეს. ამით მათ გამოხატეს უარყოფითი დამოკიდებულება შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურისადმი. საქმე ის არის, რომ გოთები (და გერმანიკული ტომები საერთოდ) მათ ბარბაროსების სიმბოლოდ მიაჩნდათ. ამდენად, ტერმინი „გოთური/გუთური“ – „ბარბაროსულს“ გულისხმობდა. დროთა განმავლობაში ამ სახელწოდებამ შეფასებითი ელფერი დაკარგა, რამდენადმე დავიწყებას მიეცა აგრეთვე მისი მეტაფორული გადააზრებაც. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ტერმინების „გოთური შრიფტი“ და „გოთური სტილი“ თვით გოთების დამწერლობასა და კულტურასთან უმართებულო დაკავშირებაა.

გოთური შრიფტის შემდგომი განვითარება XV საუკუნესთან არის დაკავშირებული. ეს არის ე.წ. „ფრაქტურა“ (გერმ. Fraktur – ლათინურიდან fractus – „გატეხილი“). ფრაქტურების ჩანასახი აღმოჩენილია XIV საუკუნეში პრადის საიმპერიო კანცელარიის ხელნაწერით დოკუმენტებში, ხოლო როგორც

საბეჭდო შრიფტი ფრაქტურა შემოღებული იქნა XVI საუკუნეში, გამოჩენილი გერმანელი მხატვრის ალბრეხტ დიურერის უშუალო მონაწილეობით.

ევროპის ბევრ ქვეყანაში (გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვა), სადაც ასე თუ ისე გოთურმა შრიფტმა (ფრაქტურამ) გავრცელება ჰპოვა, თანდათან იგი შევიწროვდა ლათინურის მიერ, მაგრამ გერმანიაში იგი დაფუძნდა მყარად და დიდი ხნით და არსებითად განდევნა ლათინური. მას ასწავლიდნენ სკოლებში, ბეჭდავდნენ წიგნებს და პერიოდულ გამოცემებს, იყენებდნენ კერძო მიმოწერისას.

XVIII საუკუნიდან შეიქმნა ტენდენციები (ფ. შილერი, ძმები გრიმები) გოთური შრიფტის უარყოფაზე. მაგრამ 1945 წლიდან იგი გერმანიაში ძირითად შრიფტად დარჩა. ფაშისტური დიქტატურის ბატონობის დროს გოთური (გუთური) შრიფტი გამოცხადებული იყო „ჰემმარიტ გერმანულ“ შრიფტად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გოთურმა შრიფტმა დაუთმო ლათინურ შრიფტს თითქმის ყველა თავისი პოზიცია. ამის ძირითადი მიზეზი იყო მისწრაფება გერმანული ნაბეჭდი პროდუქტი უფრო მისაწვდომი გამხდარიყო უცხოელი მკითხველისათვის.

გოთური შრიფტი ახლაც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში ნაწილობრივ ტრადიციისამებრ, ნაწილობრივ კი დაკორაციული მიზნებისათვის – სათაურების, განცხადებების და სხვათა გასაფორმებლად.

4.3. ლათინური ანბანი

ლათინური ანბანი გერმანიკულ ენებში გავრცელდა ქრისტიანობის მიღებასთან დაკავშირებით და ფართოდ განვითარდა ადრეულ შუა საუკუნეების ეპოქაში (VI-XI სს). იგი დაკავშირებულია გერმანიკული ტომის გაქრისტიანებასთან და ბარბაროსულ სახელმწიფოს ფარგლებში ადრეფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასების მიერ ბერძნულ-რომაული განათლების ელემენტების ათვისებასთან.

ყველა სოციალურ და კულტურულ ფუნქციას, რომელიც მომავალ ეროვნულ ენებს უნდა ეკისრათ, ამ სახელმწიფოებში ლათინური ენის მეშვეობით ხორციელდებოდა იმ დროისათვის ერთადერთი სადამწერლო ლიტერატურული ენით. ლათინური იყო ეკლესიის ენა. მონასტრები და სამონასტრო ენები ემსახურებოდა კლასიკურ განათლებას და იყო კულტურის მთავარი კერა, ხოლო მონაზვნები და კლერიკები ითვლებოდნენ ერთადერთ განათლებულ ადამიანებად იმდროისათვის.

განათლება და დამწერლობა ატარებდა კლერიკალურ, საეკლესიო-რელიგიურ და ღვთისმსახურების ხასიათს.

რომაული ეკლესია კრძალავდა ღვთისმსახურებას ადგილობრივ ენებზე, ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანობა უშუალოდ რომიდან შემოვიდა, ღვთისმსახურების აღმსრულებლებისაგან მოითხოვდნენ ლათინური ენის ცოდნას. უმნიშვნელოვანეს ეკლესიებთან და მონასტრებთან იქმნებოდა სკოლები, სადაც ლათინურ ენას ასწავლიდნენ. ლათინური ენა იყო არა მხოლოდ ეკლესიის ენა, იგი იყო ოფიციალური დამწერლობის ენა; ამ ენაზე იწერებოდა კანონები, სიგელები და ა.შ. ამა თუ იმ დოკუმენტის შედგენა ლათინურ ენაზე ხშირად მოითხოვდა ძველი გერმანიკული სიტყვების ჩაწერას ლათინური ანბანით. ესენი იყო საეკლესიო სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებე-

ბი და სხვა. ასე იკიდებდა ფეხს ლათინური ანბანი ძველ გერმანიკულ ენებში.

როგორც აღვნიშნეთ, ლათინური ფართო მასებისათვის გაუგებარი და მიუწვდომელი იყო. მაგრამ იგი გაუგებარი იყო ბევრ მაღალი საზოგადოების წარმომადგენელისათვისაც, ამიტომ პირველი ჩანაწერები საკუთარ მშობლიურ ენაზე გერმანელებთან გაჩნდა როგორც დამხმარე საშუალება ლათინურის სწავლებისას, აგრეთვე საეკლესიო პროპაგანდის მიზნებისათვის. იმისათვის, რომ ჩაეწერათ თავიანთი მანამდე პრაქტიკულად უდამწერლებო ენები, დასავლეთ და ჩრდილოეთ გერმანელებმა მიმართეს ლათინურ ანბანს. (მაშინ როცა აღმოსავლეთ გერმანიკულმა ტომებმა – გოთებმა შექმნეს თავიანთი დამწერლობა ბერძნული ანბანის საფუძველზე). ამ საკითხთან დაკავშირებით ჩრდილო და დასავლეთ გერმანიკული ტომები დიდ სიძნელებებს წააწყდნენ. ლათინურში ვერ მოიძიეს საკმარისი ანბანი თავიანთი ბგერის გასაქდერებლად, რომ გადმოეცათ სხვადასხვა ხმოვნები სიხშირითა და სიმოკლის ნიშნის მიხედვით, დახურული და ღია მარცვლის შესატყვისი და ა.შ.

ძველ გერმანიკულ ენებში ლათინური ანბანის გამოყენების ყველაზე ადრეული ნიმუშები არის გლოსები ლათინურ ტექსტებში. შემდგომში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით, ლათინური ანბანი უფრო რეგულარულად გამოიყენებოდა ძველ გერმანიკულ ენებზე უფრო დიდი მოცულობის ტექსტების შესადგენად. დასავლეთ გერმანიკულ ენებში ლათინური დამწერლობით შესრულებული ტექსტები გვხვდება VII -IX საუკუნეებიდან, სკანდინავურ ენებში XII-XIII საუკუნეებიდან, სკანდინავიის ქვეყნების უფრო გვიანდელი გაქრისტიანების გამო.

როგორც აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ ჩაეწერათ თავიანთი მანამდე პრაქტიკულად უდამწერლებო ენები, დასავლეთ და

ჩრდილოეთ გერმანელებმა მიმართეს ლათინურ ანბანს. ლათინური ანბანი შეიქმნა ძვ. წ-ის VIII-VII სს-ში დასავლეთ-ბერძნულ და ეტრუსკული დამწერლობის საფუძველზე.

ლათინური ანბანი 23 ასოსგან შედგებოდა: a, b, c, d, e, f, g, h, i(j), k, l, m, n, o, p, q, r, s, t, u (v), x, y, z (უძველეს ანბანს 20 ასო ჰქონდა q, y, z), j და v ანბანის ცალკე ასობად არ ითვლებოდა, ისინი i და u ხმოვნების გრაფიკულ ვარიანტებს წარმოადგენდნენ. ორივე ასო i (j) და u (v) გამოიყენებოდა როგორც ხმოვნების (i, u), ასევე თანხმოვნების (j,v) გადმოსაცემად. არ იყო ასო w-იგი მოგვიანებით წარმოიშვა ორი u/ v-ს შერწყმის შედეგად, საიდანაც მოდის კიდევ მისი სახელწოდება *deuble u*. ანბანში შეტანილი იქნა ცვლილებები. დაემატა ახალი ასობგერები და ასოთშეთანხმებები. მაგალითად ასობგერა w დასავლეთ-გერმანიკულ ენების ანბანში, ასოთშეთანხმება CH ყრუ უკანაბაგისმიერი ხშული თანხმოვნის ხ-ს გამოსახატავად, ან დიაკრიტიკული ნიშნების (მაგალითად უმლაუტის გამოსახატავად).

ამჯერად, გერმანიკული ენების ანბანი, რომლის საფუძველი ლათინური ანბანია, რაოდენობითაც და ბგერათა შემადგენლობითაც ერთმანეთისაგანაც განსხვავდებიან და ლათინურისგანაც. ერთი და იგივე ასობგერა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ასობგერით შეიძლება იქნას გადმოცემული.

გერმანიკული ენების ტრადიციული ორთოგრაფია საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ის გამოირჩეოდა არათანმიმდევრობით და წინააღმდეგობრიობით, კერძოდ, იმით, რომ ბევრ სიტყვაში არსებობს ბგერა, რომელიც არ წარმოითქმება და უღერადობა, რომელიც ცალკეული ბგერით არ გამოიხატება. განსაკუთრებით ბევრია *წარმოუთქმელი ბგერა ინგლისური სიტყვების დამწერლობაში*. საერთოდ ინგლისურ ორთოგრაფიაში შეიმჩნევა ღრმა დაცილება არქაულ დამწერლობაში და

მათ შეცვლილ წარმოთქმებში, რომლებიც თვით ინგლისელებსაც უხერხულ სიტუაციას უქმნის და მითუმეტეს უცხოელებს.

გერმანიკულ ენებზე ლათინური ანბანით შესრულებული უძველესი ჩანაწერები მეტყველებს იმაზე, რომ ლათინური ანბანი აღნიშნულ ენებში თავდაპირველად უცვლელად გამოიყენებოდა. იმ საკუთრივ გერმანიკული ბგერების გადმოსაცემად კი, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა ლათინურისაგან, გამოიყენებოდა მეტ-ნაკლებად შესაფერისი ასო. შემდგომში თანდათან გამომუშავდა გერმანიკულ ენებში ლათინური დამწერლობის განოყენების გარკვეული ტრადიცია. ლათინურ ანბანს რიგ შემთხვევაში ემატებოდა ახალი ასოები იმ ბგერების გადმოსაცემად, რომლებიც უცხო იყო ლათინური ენისათვის. რიგ შემთხვევებში ლათინურ ასოებს ენიჭებოდათ ახალი ბგერითი ღირებულება.

ასოების ზომისა და ფორმის მიხედვით მეცნიერები განასხვავებენ ლათინური ანბანის რამდენიმე სახეობას: ლათინური დამწერლობის უძველესი ფორმაა კაპიტალური დამწერლობა (*scriptura capitalis*). ამ ანბანის ასოები იმდენად დიდი იყო, რომ ერთ გვერდზე ეტეოდა ასეთი ასოებით დაწერილი მხოლოდ 4-5 სიტყვა. კაპიტალური დამწერლობა ფორმით ემთხვევა თანამედროვე დიდ ასოებს.

III-IV საუკუნეებში კაპიტალური დამწერლობიდან განვითარდა უფრო გამარტივებული დამწერლობა - უნციალი (*scriptura uncialis*), რომლის ზოგიერთი ასო ახლოს დგას თანამედროვე პატარა ასოებთან.

საზღვარგარეთ VIII-IX სს-ში ფრანკების სახელმწიფოში ლათინური ანბანის ვარიანტების საფუძველზე გამომუშავებული იქნა მცირე ზომის ასობგერები - ლათინური დამწერლობის კიდევ ერთი სახესხვაობა - მინუსკულური დამწერლობა (ლათინურად *minusculus* - პატარა). მინუსკულუსი ლათინური

დამწერლობის პატარა ასოა. ამ დამწერლობის ასოები ძირითადად უახლოვდება თანამედროვე პატარა ასოებს.

ძველ გერმანიკულ ენებზე დაწერილი ტექსტების დიდი უმრავლესობა მინუსკულური დამწერლობით არის შესრულებული. ეს ანბანი წინამორბედი ანბანისაგან განსხვავდება წერილის ჩაწერის სიზუსტითა და მოწესრიგებულობით. ამ ანბანით სარგებლობდნენ დასავლეთ ევროპაში XII საუკუნემდე (ვიდრე მას „გოთური შრიფტი“ შეავიწროებდა). უმნიშვნელოვანესია ამ დამწერლობის ორი სახესხვაობა:

1. *კუნძულის მინუსკულუსი*, ანუ ინსულარისი (insular);

2. *კონტინენტური მინუსკულუსი*. მათ შორის განსხვავება f, g, r, s ასოების დამწერლობაში გამოიხატება.

ინსულარისი VII საუკუნეში ჩამოყალიბადა ირლანდიაში, სადაც ქრისტიანობამ და ლათინურმა დამწერლობამ შეაღწია VI საუკუნეში. ირლანდიელი მისიონერების მოღვაწეობის შედეგად ამ ფორმამ ფართო გავრცელება ჰპოვა ინგლისში.

კონტინენტური მინუსკულუსის სახეობებიდან ძველ გერმანიკულ ენებში ძირითადად გამოიყენებოდა *კაროლინგული მინუსკულუსი*.

XV ს. ბოლოს, აღორძინების ხანაში, იტალიაში შეიქმნა პრესის საბეჭდი შრიფტი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ანტიკვა“, ეს იყო ლათინური შრიფტის ვარიანტი, რომლის ასობგერების მომრგვალებული ფორმები წარმოადგენენ შეგნებულ მობრუნებას („ბარბაროსული გოთური შრიფტის“ წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად) კაროლინგულ მინუსკულეობთან, რომლებიც იმ დროისათვის კლასიკური ლათინური ასობგერების (ლათ. *Littera antiqua*), ნიმუშად ითვლებოდა.

XVI ს. დასაწყისიდან *ანტიკვამ* ფართო გავრცელება ჰპოვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, თანდათანობით კი იქმნებოდა ანტიკვის სხვადასხვა ვარიანტები. გერმანიაში *ანტიკვას* უპირა-

ტესად უცხოური ტექსტების დასაბუქდად ხმარობდნენ, ხოლო XVIII-ე საუკუნემდე უცხოური სიტყვებისთვისაც, რომელიც გერმანულ ტექსტში იჭრებოდა.

ამჟამად, ლათინური შრიფტი, რომელიც გერმანიკულ და რომანიკულ ენებთან ერთად დასავლეთ ევროპის საზღვრებს იქითაც გავრცელდა, წარმოადგენს ანტიკვის სხვადასხვა ვარიანტს.

5. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი

5.1. ფილოლოგიის სათავეებთან

ფილოლოგია არის ჰუმანიტარულ დისციპლინათა ერთობლიობა, რომელიც სწავლობს კაცობრიობის სულიერ კულტურას ამა თუ იმ ხალხის ენისა და ლიტერატურის მეშვეობით. უპირატესად, დაწერილი სიტყვის, წერილობითი ტექსტების განმარტებაზე, მათ ენობრივ და სტილისტურ ანალიზზე დაყრდნობით.

მაშასადამე, ფილოლოგია წერილობითი ცივილიზაციის პირშემა. იგი პირველად აღმოცენდა ძველ ინდოეთსა და საბერძნეთში. ინდური ფილოლოგიის წარმომადგენლები დიდხანს უცნობი დარჩნენ ევროპისათვის, ამიტომ ევროპული ფილოლოგიის ტრადიციები სათავეს იღებს ანტიკური, კერძოდ, ბერძნული წყაროებიდან.

ანტიკური ფილოლოგიის ტრადიციები შუა საუკუნეებში გაგრძელდა ბიზანტიაში, ხოლო ბიზანტიის დაცემის შემდეგ იტალიაში. ფილოლოგიური კვლევისათვის ახალი ეპოქა დაიწყო XVIII ს-ში.

ფ. ვოლფმა (1759–1824) პირველად გამოიყენა ტერმინი „ფილოლოგია“ – როგორც ცალკე მეცნიერული დისციპლინის აღმნიშვნელი სახელწოდება და მისი უნივერსალური კვლევის საგნად უპირატესად ბერძნულ-რომაული კულტურა დასახა.

ასე აღმოცენდა კლასიკური ფილოლოგია, რომელიც შემდეგ ფილოლოგიის ერთ-ერთ დარგად იქცა. კლასიკური ფილოლოგიის ბატონობას XIX საუკუნის დასაწყისში ბოლო მოუღო ისტორიულ-შედარებითმა მეთოდმა და წარმატებებმა, რომელ-

თა საფუძველზეც შემუშავდა ფილოლოგიის, როგორც ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერების ზოგადი პრინციპები თავისი შემადგენელი სპეციალური დარგებითა და დამხმარე დისციპლინებით.

გერმანიკული ფილოლოგია შეისწავლის ძველ და თანამედროვე გერმანიკულ ენებს და მათ დიალექტებს. მისი ამოცანაა გერმანიკული ენების ნორმატიული და ისტორიული გრამატიკების დამუშავება, ლექსიკონების შედგენა, გერმანიკულ ენებზე შექმნილი წერილობითი ძეგლების ფილოლოგიური დამუშავება და გამოცემა.

მეცნიერულ გერმანისტიკას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის დასაწყისში. იგი უშუალოდაა დაკავშირებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნასთან. მეცნიერული გერმანისტიკის შემქმნელებად გვევლინებიან ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუძემდებლები გერმანელი ლინგვისტი ფრანც ბოპი და დანიელი ენათმეცნიერი რასმუს რასკი.

XVI-XVII საუკუნეებში ერებისა და ეროვნული ენების ჩამოყალიბების ეპოქაში ევროპის ქვეყნებში გაიღვიძა ინტერესმა მშობლიური ენებისადმი. ამ პერიოდში შეიქმნა ცალკეული ევროპული ენების, მათ შორის გერმანიკული ენების: ინგლისურის, ნიდერლანდურის, გერმანულის, დანიურისა და შვედურის ნორმატიული გრამატიკები.

გრამატიკოსები გამოთქვამდნენ მოსაზრებებს ორთოგრაფიის, წარმოთქმის, გრამატიკისა და ლექსიკის ნორმების ნორმალიზაციის აუცილებლობის შესახებ, მოითხოვდნენ მშობლიური ენების გაწმენდას უცხოური ენების გავლენისაგან, ნასესხები სიტყვებისაგან.

ეროვნული თვითშეგნების ზრდამ გააღვიძა ინტერესი ეროვნული ღირებულებებისადმი, მათ შორის მშობლიური ენების წერილობითი ძეგლებისადმი. ამ პერიოდში შეგროვდა

და გამოქვეყნდა უმნიშვნელოვანესი ხელნაწერები ძველ და საშუალო გერმანიკულ ენებზე.

ცალკეული გერმანიკული ენების შესწავლამ მეცნიერები მიიყვანა იმ აზრამდე, რომ გერმანიკულ ენებს შორის შეინიშნება გარკვეული მსგავსება.

1538 წელს ფრანგმა მეცნიერმა გ. პოსტელუსმა (1510–1591წ.წ.) გამოაქვეყნა ნაშრომი “ენათა ნათესაობის შესახებ”. ეს იყო ენათა კლასიფიკაციის პირველი ცდა, სადაც ენათა ნათესაობა დგინდებოდა ლექსიკის დონეზე, უბრალოდ სიტყვების შედარების საფუძველზე.

1599 წელს ჰოლანდიელმა მეცნიერმა იოსებ სვალოგერმა გამოსცა შრომა “მსჯელობა ევროპული ენების შესახებ”, სადაც ენათა 11 ჯგუფი მოგვცა, რომელშიც ენათა კლასიფიკაცია ეფუძნებოდა მხოლოდ ლექსიკურ და ნაწილობრივ გრამატიკულ მონაცემებს.

ენათა ნათესაობის შესახებ დაინტერესებული იყვნენ სხვა მკვლევარებიც. გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, იურისტი, ისტორიკოსი და ფიზიკოსი ვილჰელმ გოთფრიდ ლაიბნიცი (1646–1716 წ.წ.), რომელიც მოითხოვდა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ლექსიკონებისა და გრამატიკული სისტემების შექმნას, რომელთა შედარების საფუძველზე გაირკვეოდა ინდო-ევროპული ენების ნათესაობის საკითხი.

XVII საუკუნის მიწურულს ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. ჰიკსმა გამოსცა რამდენიმე ძველი გერმანიკული ენის-გოთურის, ანგლო-საქსურისა და ფრანკულ-გერმანულის შედარებითი გრამატიკა.

დიდი რუსი მეცნიერი, მიხეილ ლომონოსოვი (1711–1765 წ.წ.), რომელმაც 1755 წელს გამოსცა რუსული ენის საფუძვლიანი გრამატიკა („Российская грамматика“), რომელიც შედგენილი იყო მხოლოდ სლავური ენების მასალათა საფუძველზე, აღნიშ-

ნავდა რუსული, პოლონური, ჩეხური, ბულგარული და სხვა სლავური ენების საერთო სლავური ფუძე-ენისაგან წარმომავლობის შესახებ.

1767 წელს ფრანგმა მღვდელმა კორდუმ საფრანგეთის აკადემიას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც იტყობინებოდა სანსკრიტის, ბერძნულისა და ლათინურის ერთი საერთო წყაროდან წარმომავლობის შესახებ. (ნაშრომი გამოვიდა მოგვიანებით – 1808 წელს).

1710 წელს ჰოლანდიელმა მეცნიერმა ტენ კატემ (L. Ten Kate) პირველად გამოსცა გოთური ენის გრამატიკა, ხოლო 1723 წელს აღწერა გერმანიკული ენების ძლიერი ზმნების ზოგადი კანონზომიერებანი და მიუთითა ამ ენების ხმოვნების შესატყვისობაზე.

ავსტრიელმა ბერმა პაულინო ა. სანტო ბართოლომეომ, რომელიც 1776–1789 წლებში ცხოვრობდა ინდოეთში, შეადგინა სანსკრიტული ენის ორი გრამატიკა და ლექსიკონი. 1798 წელს მან გამოაქვეყნა „ტრაქტატი სპარსულის, ინდურისა და გერმანული ენების სიძველისა და ნათესაობის შესახებ“.

XVIII საუკუნის მეცნიერებს შორის უკვე იკვეთება აზრი ენათა გენეზისური კავშირის თაობაზე, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევარში სანსკრიტის აღმოჩენამ კიდევ უფრო მიუახლოვა ენათმეცნიერები უდიდეს მოვლენას ენათმეცნიერების ისტორიაში: ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნას. სანსკრიტის ენას იმდენი საერთო აღმოაჩნდა ევროპულ ენებთან და ისე კარგად ხსნიდა მათ ფორმებს, რომ ენათმეცნიერებს თითქმის უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდათ იმაში, რომ ენების ამგვარი მატერიალური მსგავსება შეიძლება შედეგი იყოს მხოლოდ მათი საერთო წარმოშობისა, მათი წარმომავლობისა ერთი-ერთი საერთო წყაროდან.

ამის შესახებ წერდნენ XVIII საუკუნის მიწურულს უილიამ ჯოუნზი (1746–1794 წ.წ.) და ფრიდრიხ ფონ შლეგელი (1772–1829 წ.წ.). უილიამ ჯოუნზმა – ორიენტალისტმა (აღმოსავლეთ-მცოდნემ) და იურისტმა ქალაქ კალკუტაში აზიურ მეცნიერებათა საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება, სადაც იგი იუწყებოდა სანსკრიტის ნათესაობის შესახებ ბერძნულთან, ლათინურთან, კელტურთან, გოთურთან, ძველ სპარსულთან და აღნიშნავდა, რომ ასეთი მსგავსება ენებს შორის იყო არა შემთხვევითი, არამედ მეტყველებდა მათ წარმომავლობაზე ერთი საერთო წყაროდან. ჯოუნზი სანსკრიტს არ თვლიდა სხვა მკვლევარების მსგავსად წინარე ენად, რომლისგანაც თითქოსდა წარმოიშვნენ ევროპული ენები.

ფრიდრიხ ფონ შლეგელმა 1808 წელს გამოაქვეყნა თავისი ცნობილი წიგნი „ინდოელთა ენისა და სიბრძნის შესახებ“ სადაც სანსკრიტს თვლიდა ინდოევროპული ენების ფუძემდებლად. შლეგელმა პირველმა შემოიტანა ენათმეცნიერებაში ტერმინი „ინდოგერმანული ენები“, როგორც „ინდოევროპული ენების“ სინონიმი. მაგრამ მიუხედავად დიდი წვლილისა, რაც უილიამ ჯოუნზსა და ფრიდრიხ ფონ შლეგელს მიუძღვის ინდოევროპული ოჯახის სხვადასხვა შტოს ერთმანეთთან შედარების საფუძველზე, მათ შორის, ნათესაური კავშირის შემჩნევის და მტკიცების საკითხში, მათ დაკვირვებებს მაინც აკლდა მეცნიერული დასაბუთება და სისტემატიზაცია.

5.2. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუძემდებლები

შედარებითი ისტორიული ენათმეცნიერება *სწავლობს* მონათესავე ენებს, მათ კლასიფიკაციას, ისტორიასა და გავრცე-

ლებას. შედარებითი-ისტორიული ენათმეცნიერებისა და შედარებით-ისტორიული მეთოდის პრობლემატიკა არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათთვის საერთოა გენეტიკური იგივეობისა და სხვაობის ცნებები.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების უშუალო დამაარსებლად ითვლებიან: ფრანც ბოპი, რასმუს რასკი და იაკობ გრიმი.

ფრანც ბოპმა (1791-1867)- გერმანელმა ლინგვისტმა, ინდოევროპული ენების მკვლევარმა და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებელმა, 1816 წელს პირველმა აღწერა უღლების სისტემა სანსკრიტში - ბერძნული, ლათინური, სპარსული და გერმანიკული ენების შესაბამის სისტემებთან შედარებით. ბოპმა სანსკრიტის ზმნის პირიანი ფორმები შეადარა დანარჩენი ენების ზმნის პირიანი ფორმებს და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ სისტემური მსგავსება მოცემული ენების ზმნათა უღლებაში შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი მიზეზით - მათი საერთო წარმოშობით. ბოპის მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომია „სანსკრიტის, ზენდის (ძველ ირანული-ავესტის ენა), სომხურის, ბერძნულის, ლათინურის, ლიტვურის, გოთურის, ძველსლავურისა და გერმანული ენების შედარებითი გრამატიკა“, რომელიც სამ ტომად გამოვიდა 1833-1852 წლებში. ამ ნაშრომმა ბოპს ენათმეცნიერებაში საბოლოო აღიარება მოუტანა.

(ფრანც ბოპი კარგად იცნობდა ქართველურ ენებსაც, ანუ, როგორც იგი უწოდებდა, იბერიულს. ამ მიმართებით მან დაგვიწერა ნაშრომი, რომელსაც უწოდა „ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით“. წიგნი პირველად დაიბეჭდა 1846 წელს ბერლინის მეცნიერებათა ფილოსოფიურ-ისტორიული განყოფილების მემუარებში, ხოლო 1847 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ოდნავ შეცვლილი სათაურით - "კავკასიის წევრები ინდოევროპულ ოჯახისა". ამ ნაშრომში ბოპი

იზიარებდა მ. ბროსეს (ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი), ვ.რ. როზენის (აღმოსავლეთმცოდნე, არაბისტი, ქართველოლოგი), რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს პოემა „ბალავარიანის“ შესწავლაში, და სხვათა აზრს, რომელთა მიხედვით, ქართული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახში გააერთიანა. იგი ამბობდა, რომ ქართველური ენები ორგანიზმის ყველა ნაწილში (სახელთა ფლექსიისა ზმნის უღლებაში) მოგვაგონებს ინდოევროპულ ენებთან ნათესაობას (სანსკრიტთან და სხვა). (ჭრელაშვილი 1990:93)).

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელია დანიელი ენათმეცნიერი რასმუს რასკი (1787–1832). თავის ნაშრომში „გამოკვლევა ძველი ჩრდილოური, ანუ ისლანდიური ენის წარმოშობის შესახებ“, რომელიც 1818 წელს გამოქვეყნდა და 1822 წელს შემოკლებით ითარგმნა გერმანულ ენაზე სახელწოდებით „თრაკიული ენობრივი ჯგუფის შესახებ“ რასმუს რასკი ასაბუთებს, რომ გოთური-ვესტგოთური (დასავლური გოთური) და ოსტგოთური (აღმოსავლეთ გოთური), რომლებიც გერმანიკული ენების აღმოსავლეთ ჯგუფს ქმნიან, თრაკიულ ენასთან ნათესაობას ამყდავენებს. მანვე დაასაბუთა და მიუთითა ზოგიერთ კანონზომიერ შესატყვისობაზე გერმანიკული ენებისა და სხვა ინდოევროპული ენების ბგერებს შორის. რასკმა ისლანდიური ენა შეადარა გრენლანდიურს, ბასკურს, ფინურსა და სხვა ენებს და გამოორიცხა ამ ენების ნათესაობა ისლანდიურთან; შემდეგ მან მოახდინა თრაკიული ენის შედარება ძველ სლავურთან, ლიტვურთან და განსაზღვრა ამ ენების ადგილი ინდოევროპულ ენათა ოჯახში.

რასკი, რომელიც ისლანდიურ ენას გერმანიკულ ენებს შორის უძველეს ენად თვლიდა, ირწმუნებოდა, რომ ისლანდიურიც, სლავურიც და ბალტიკური ენებიც სათავეს იღებს

ბერძნულ-ლათინურიდან, ხოლო ბერძნულ-ლათინური ენები განვითარდნენ თრაკიულიდანო.

რასმუს რასკის აზრით, ირანული და ინდური ენები არ შეიძლება ისლანდიური ენის ამოსავალ წყაროდ ჩაითვალოს, რადგან ისინი ტერიტორიულად დაშორებული ენებია. რასმუს რასკი ენათა ნათესაობის დადგენისას მხედველობაში იღებდა აგრეთვე რელიგიურ მონაცემებსაც და ხალხებს შორის ადათ-წესების დამთხვევას.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლად ითვლება აგრეთვე გერმანელი ენათმეცნიერი იაკობ გრიმი (1785-1863). მისი „გერმანული ენის გრამატიკა“ ოთხ ტომად გამოიცა (პირველი ტომი-1819, დანარჩენი ტომები -1837 წლამდე). პირველ ტომში განხილულია ფონეტიკური საკითხები, მეორეში - მორფოლოგია, მესამეში - სიტყვათწარმოება, მეოთხეში - სინტაქსი. იაკობ გრიმის ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ჩამოყალიბებაზე. ამ ნაშრომში იაკობ გრიმმა გერმანული ენის გრამატიკის აღწერისას პირველად გამოიყენა სხვა გერმანიკულ ენებთან მისი შედარების მეთოდი.

გრიმი მოითხოვდა არა მარტო მკვდარი ენების (სანსკრიტი, ლათინური და სხვ.), არამედ ცოცხალი ენების შესწავლასაც მათ დიალექტებთან ერთად. იგი თვლიდა, რომ დიალექტებს უფრო მეტად შენარჩუნებული აქვს უძველესი ფორმები, ვიდრე სალიტერატურო ენას. ამიტომ იაკობ გრიმი გვევლინება არა მარტო ისტორიული გრამატიკის დამაარსებლად, არამედ დიალექტოლოგიის ჩამომყალიბებლადაც.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შემქმნელებმა არა მარტო დაასაბუთეს დებულება ენათა ნათესაობის შესახებ, არამედ საფუძველი ჩაუყარეს მონათესავე ენების ფაქტების

მეცნიერულ შესწავლას ისტორიულ-შედარებითი მეცნიერების საფუძველზე.

5.3. ისტორიული-შედარებითი მეთოდის გამოყენების ხერხები

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითადი მეთოდია. იგი შეისწავლის მონათესავე ენების განვითარების გზებს მათი შედარების საფუძველზე.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის *პრინციპია*, ენის ფორმებისა და ბგერების ისტორიული იგივეობის და განსხვავების დადგენა. ამ მეთოდის უმნიშვნელოვანესი ხერხებია: შინაგანი რეკონსტრუქციისა და ქრონოლოგიზაციის, დიალექტოგრაფიის, კულტურულ-ისტორიული ინტერპრეტაციის ხერხები, აგრეთვე ტექსტოლოგიის ხერხი.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გულისხმობს ისტორიულ ენებს შორის ფონემური შესატყვისობების დადგენას და ამის საფუძველზე ამოსავალი ფუძეების აღდგენას. ამ ფუძეებიდან წარმომდგარი ენობრივი სისტემები ქმნიან ე.წ. მონათესავე ენათა გენეტურ ჯგუფებს ანუ ენათა ოჯახებს. მამასა-დამე, საერთო წყაროდან მომდინარე ისტორიულად დადასტურებული ენები ქმნიან მონათესავე ენათა ოჯახს. მონათესავე ენებს გააჩნიათ, როგორც საერთო ლინგვისტური ნიშნები, ასევე განსხვავებული ნიშნებიც. საერთო ნიშნები როგორც წესი ფუძეებიდან მოდის. განსხვავებული ნიშნები კი ენების განვითარების, დიფერენციაციის პროცესის შედეგად წარმოიქმნება. შედარებამ უნდა გვიჩვენოს, როგორ წარმოიქმნება ეს განსხვა-

ვება, შეგვაძლებინოს მონათესავე ენათა წარმოქმნის, მათი ისტორიის რეკონსტრუქცია.

ამგვარი შედარების მიზანია კანონზომიერი შესატყვისობების დაძებნა ყველა დონეზე: ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ დონეებზე. თუ ორი ან მეტი ენის შედარების შედეგად გამოვლინდება კანონზომიერი შესატყვისობები ყველა დონეზე, განხილული ენები შეიძლება მივიჩნიოთ მონათესავე ენებად. ენის ან მათი მოვლენების გენეტური ნათესაობა განსხვავდება შემთხვევითი დამთხვევის ან ენათა უფრო გვიანდელი ისტორიული კონტაქტების შედეგად მიღებული დანთხვევისაგან. შევადაროთ, მაგალითად, *სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა ენაში გამოხატავენ შემდეგ ცნებებს:*

რუს.	ბულგ.	გერმ.	ინგლ.
<i>врач</i>	<i>лекар</i>	<i>Arzt</i>	<i>physician</i>
<i>дуга</i>	<i>дъга</i>	<i>krummholz</i>	<i>shaft-bow</i>

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ რუსულ, ბულგარულ და გერმანულ ენებს ზოგი სიტყვა საერთო აქვთ, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის გენეტიკური ენობრივი ერთობის ფაქტი. რიგ შემთხვევაში გამოვლინდება კულტურულ-ისტორიული კავშირები და ჩნდება ენობრივი არეალი.

ნასესხობათა ფაქტების გვერდით, რაც საერთო ელემენტებს წარმოშობს იმ ენებში, რომლებიც წარმოშობით ერთმანეთის მონათესავენი არ არიან, მხედველობაში უნდა გვქონდეს ძირებისა და აფიქსების ბგერითი შედგენილობის შემთხვევითი დამთხვევა- ენათშორისი ომონიმები. ამის გარდა, სხვადასხვა ენების ძირებისა და აფიქსების ზოგიერთი დამთხვევა იმით აიხსნება რომ, ისინი მემკვიდრეობითაა მიღებული შორეული წარსულიდან, საერთო წყაროდან, ვლინდება გენეტიკური ერთობა. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს ის სიტყვები, რომლებიც ცნებებს აღნიშნავენ ზოგიერთ ინდოევროპულ ენაში.

რუს.	ბულგ.	პოლონ.	ლიტვ.	გერმ.	ტაჯ.
<i>мать</i>	<i>майка</i>	<i>matka</i>	<i>motina</i>	<i>mutter</i>	<i>modar</i>
<i>три</i>	<i>три</i>	<i>trzy</i>	<i>truis</i>	<i>drei</i>	<i>ee</i>
<i>вода</i>	<i>вода</i>	<i>woda</i>	<i>vanduo</i>	<i>wasser</i>	<i>ob</i>

საერთო ძირების პოვნა გენეტურ ერთობაზე მეტყველებს, რამდენადაც ფონეტიკური და მორფოლოგიური სხვაობების ახსნა შესაძლებელია.

იმ ენათა ძირების დამთხვევა, რომელთა ნათესაობაც დასაბუთებულია, არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს, შეუძლებელია ავხსნათ მონათესავე ენების ფლექსიათა დამთხვევა, თუ არ ვივარაუდებთ, რომ ყველა ისინი საერთო წყაროდან წარმოიშვნენ.

შეიძლება თუ არა ერთმანეთს შევუდაროთ არამონათესავე ენები? შეიძლება. მაგრამ ეს იქნება ტიპოლოგიური მსგავსების დადგენა და შესადარებლად ენათა ისტორიის დადგენას არ წაადგება.

მონათესავე ენათა შესწავლისას ისტორია და შედარება ერთმანეთს ზურგს უმაგრებენ და იძლევიან შედეგს, რომელსაც ცალკე ვერც ერთი მოგვემდა და ვერც მეორე. შედარებაც და ისტორიაც ორივე საჭიროა, მაგრამ მათ თანაბარი ხვედრი წონა როდი აქვთ: ისტორია—მიზანია, შედარება კი—დამხმარე საშუალება.

ისტორიისათვის შედარების მეოხებით ხერხდება გავლილი გზის ისეთი ეტაპების აღდგენა, რასაც ისტორია უშუალოდ ვერ წვდება. ასეთ შემთხვევაში შედარება აგრძელებს ისტორიას, იგი ისტორიულ წარსულში უფრო შორს გახედვის საშუალებაა.

მაშასადამე, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითადი მეთოდია და შეისწავლის მონათესავე ენების განვითარების გზებს მათი შედარების საფუძველზე. მონათესავე ენებს გააჩნიათ, როგორც

საერთო ლინგვისტური ნიშნები, ასევე განსხვავებული ნიშნებიც. საერთო ნიშნები, როგორც წესი, ფუძეენიდან მოდის. განსხვავებული ნიშნები კი ენების განვითარების დიფერენციაციის პროცესის შედეგად წარმოიქმნება. შედარებამ უნდა გვიჩვენოს, როგორ წარმოიქმნება ეს განსხვავება, შეგვადლებინოს მონათესავე ენათა წარმოქმნის, მათი ისტორიის რეკონსტრუქცია. მონათესავე ენათა შედარება გულისხმობს მოცემული ენების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური დონეების შედარებით შესწავლას. ამგვარი შედარების მიზანია კანონზომიერი შესატყვისობების დაძებნა ყველა დონეზე (ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ დონეებზე). თუ ორი ან მეტი ენის შედარების შედეგად გამოვლინდება კანონზომიერი შესატყვისობები ყველა დონეზე, განხილული ენები შეიძლება მივიჩნიოთ მონათესავე ენებად.

5.3.1. კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა ლექსიკურ დონეზე

1. ინდოევროპული ენების ნათესაობის აღმნიშვნელი r - ფუძიანი ტიპის არსებითი სახელები, რომლებიც ნათესაურ კავშირებს გამოხატავს:

ძვ.-ინდ. *pitár*, ბერძნ. *patēr*, ლათ.*pater*, გოთ. *fadar*, ძვ.-ინგლ. *fæder*

ძვ.-ზ.-გერმ. *fater* ძვ.- ისლ. *faðir*, ძვ.- ირლ. *athir*, სომხ. *hayr* ინგლ. *father*, გერმ. *Vater* „, მამა“.

ძვ.-ინდ. *matar*, ბერძნ. *mater*, ლათ. *mater*, ძვ.- ირლ. *mathir*, ლიტვ. *mátyna*, ძვ.- ბულგ. *mati*, რუს. *мать*. ინგლ. *mother*, გერმ. *Mutter* „დედა“

ძვ.-ინდ. *bhrātár*, ბერძნ. *phrātōr*, ლათ. *frāter*, გოთ. *brōþar*,

ძვ.- საქს. *brōthar*, ძვ. -სკანდ. *brōþer*, ძვ.-ინგლ. *brōþor*, ძვ.-ზ.-გერმ. *bruoder*, ინგლ. *brother*, გერმ. *Bruder* „ძმა“

2. ზმნა „ყოფნა“ III პირი, მხოლოდითი რიცხვი

ძვ.-ინდ. *ásti*, ბერძნ. *esti*, ლათ. *est*, ლიტვ. *ėsti*, ძვ.-ბულგ. *jestъ*, რუს. *ectъ*, გოთ. *ist*, ინგლ. *is*, გერმ. *ist*, არის“

3. ზმნა “ყოფნა“

გოთ. *finban*, ძვ.- ისლ. *finna*, ძვ.- ზ.-გერმ. *findan*, ძვ.- ინგლ. *findan*, ინგლ. (to) *find*, გერმ. *finden*

4. ზმნა “გაგზავნა“ (გზავნის)

ძვ.- ინგლ. *sand*, ძვ.- ზ.-გერმ. *sant*, ძვ.- ისლ. *sandr*, ინგლ. (to) *sand*, გერმ. *senden*

5. ზმნა “ სიმღერა“ (მღერის)

ძვ.- ინგლ. *singan*, ძვ.- ზ.-გერმ. *singan*, ვოთ. *siggwan*, ძვ. - ისლ. *singva*, ინგლ. (to) *sing*, გერმ. *singen*

6. არსებითი სახელი “მიწა“, „დედამიწა“

გოთ. *airba*, ძვ. ისლ. *jarð*, ძვ.- ზ.-გერმ. *erda*, ძვ.- ინგლ. *eorbe*. ინგლ. *earth*, გერმ. (die) *Erde*

7. არსებითი სახელი „წვერი“

ძვ.-ინგლ. *beard*, ძვ.- ზ.-გერმ. *bart*, ლატვ. *barda*, რუს. *борода*, ინგლ. *beard*, გერმ. *Bart*

8. ზედსართავი სახელი „მწვანე“

ძვ. -ინგლ. *grene*, ძვ.- ზ.-გერმ. *gruoni*, , ძვ. - ისლ. *græn*, ინგლ. *green*, გერმ. *grün*

როგორც დავინახეთ, აღნიშნულმა სიტყვებმა სხვადასხვა ენებში განსხვავებული ფონეტიკური ცვლილებების ნიშნებში მოგვცეს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ ენებმა ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, განსხვავებული ფონეტიკური ცვლილებები განიცადეს. მიუხედავად ამისა, ეჭვს არ ბადებს ის, რომ ამ ენებს შორის არსებობს კანონზომიერი შესატყვისობა ლექსიკის დონეზე.

5.3.2. *მორფოლოგიურ დონეზე* ამგვარი შესატყვისობები დაიძებნება არსებითი და ზედსართავი სახელების, ნაცვალსახელების ბრუნვის დაბოლოებებში, ზმნების უღლებაში და სხვა.

მაგ.:

რუს. მხ.რ.	ლათ.	გოთ.	გერმ.
---------------	------	------	-------

1. верчу	vertō	wairþa	werde
----------	-------	--------	-------

2. вертишь	vertis	wairþis	wirst
------------	--------	---------	-------

3. вертит	ve.tit	wairþip	wird
-----------	--------	---------	------

მრ.რ.

1. вертим	vertimus	wairþam	werden
-----------	----------	---------	--------

2. вертите	uertitis	wairþip	werdet
------------	----------	---------	--------

3. вертят	vertunt	wairþand	werden
-----------	---------	----------	--------

(მოცემული ზმნის პარადიგმა რუსულში და ლათინურში ნიშნავს: 'ვატრიალებ' (შდრ. რუს. 'верчу') გოთურსა და გერმანულში ნიშნავს: 'ვხდები' 'გავხდები' (შდრ. რუს. „становлюсь“)).

ზმნის აღნიშნული ფორმები ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მიერ დადგენილი ფონეტიკური კანონზომიერება ადვილად ამტკიცებს მოყვანილი პირის დაბოლოებების ნათესაობას.

მიუხედავად იმ ფონეტიკური ცვლილებებისა, რაც ფორმათმწარმოებელმა მორფემებმა განიცადეს სხვადასხვა ენებში, მორფოლოგიურ დონეზეც ადვილად დგინდება მორფემათა ნათესაობა. ზემოთმოტანილი მაგალითებიდან ჩანს აგრეთვე განსხვავებები, რომლებიც ადვილად აიხსნება ფონეტიკური შესატყვისობებით.

5.3.3. როგორ ავხსნათ კანონზომიერი შესატყვისობები *ფონოლოგიურ დონეზე*? მივიმართოთ ქართულ და მეგრულ ენებს:

ქართ.მე, მეგრ. მა; ქართ. ერთი, მეგრ. ართი; ქართ. ცხელი, მეგრ.ჩხე; ქართ.წითელი, მეგრ.ჭითა; ქართ.კაცი, მეგრ. კოჩი; ქართ. ძალლი, მეგრ.ჯოლორი და ა.შ.

რეგულარული ბგერათფარდობების სხვა მაგალითები:

ქართულის მსგავსი სიტყვები მეგრულ-ლაზურსა და სვანურში:

ქართ. ძმა, მეგრ. ჯიმა, ლაზ.ჯუმა, სვან. ჯგმილ „ძმა-დისთვის“;

ქართ. თვალი, მეგრ.- ლაზ. თოლი, სვან .თე;

ქართ. ცხვირი, მეგრ.- ლაზ.ჩხვინდი,

ქართ. მზე, მეგრ. ბჟა, ლაზ.ბჟორა , სვან. მიჟ;

ქართ. ასი, მეგრ.-ლაზ.ოში, სვან. აშირ;

ქართ. ცხრა, მეგრ.- ლაზ. ჩხორო, სვან.ჩხარა;

ქართ. ჩემი, მეგრ.-ლაზ. ჩქიმი, სვან. მიშჟუ;

ქართ. შვიდი, მეგრ.-ლაზ. შქვითი, სვან. იშჟუიდ.

ასეთი მსგავსი ფორმების ერთმანეთთან შეპირისპირების საფუძველზე გამოიყვანება ქართულს, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს შორის რეგულარული ბგერათშეფარდების შემდეგი“ ფორმულები“:

ქართ.ძ, მეგრ.-ლაზ. ჯ, სვან.ჯ

ქართ.ც, მეგრ.-ლაზ. ჩ, სვან. ჩ

ქართ. ზ, მეგრ.-ლაზ.ჟ, სვან.ჟ

ქართ.შ, მეგრ.-ლაზ.შქ, სვან. შგ

ქართ.ჩ, მეგრ.-ლაზ.ჩქ, სვან.შგ

ქართ.ე, მეგრ.-ლაზ.ა, სვან. ე

ქართ. ა, მეგრ.-ლაზ. ო და ა, სვან. ა

(თ.გამყრელიძე 2008: 530).

ასევე, ინდოევროპულ p-ს გერმანიკულ ენებში შეესატყვი-
სება f. მაგ.,

ძვ. -ინდ. *pitár*, ბერძნ. *patēr*, ლათ -*pater*, გოთ. *fadar*, ძვ.-ინგლ. *fæder*, ძვ.-ზ.-გერმ. *fater* ძვ. ისლ. *faðir* და ა.შ.

მაშასადამე, თუ ამგვარი კანონზომიერებები გამოვლინდა ყველა დონეზე, შეიძლება ვიმსჯელოთ ენათა ნათესაობაზე და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე არის სწორედ ენათა ნათესაობის აღმოჩენა კანონზომიერი შესატყვისობების დაძებნის საფუძველზე.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების მეორე უმნიშვნელოვანესი მხარეა - რეკონსტრუქცია.

მონათესავე ენების ენობრივი ერთეულების (გარეგანი რეკონსტრუქცია) ან ერთი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპების ფაქტების (შინაგანი რეკონსტრუქცია) შედარების საფუძველზე პირველწყაროს, არქეტიპის რეკონსტრუქცია.

არქეტიპი ანუ პროტოფორმა ეწოდება ისტორიულ - შედარებითი მეთოდის საფუძველზე აღდგენილ ჰიპოთეტურ პროტოენობრივ ფორმას. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი გზით აღდგენილი ფონემები, აფიქსები და ძირისეული მორფემები თანამედროვე ინდოევროპეისტიკასა და გერმანისტიკაში განიხილება არა როგორც რეალური პროტოენობრივი ფორმები, არამედ როგორც განზოგადებანი, რომლებიც გამომდინარეობენ არსებული შესაბამისობებიდან. განვიხილოთ ერთი მაგალითი მორფოლოგიიდან. ძველ გერმანიკულ ენებს აქვთ სახელობითი ბრუნვის მამრობითი სქესის შემდეგი ფორმები: გოთ. *dag s*, ძვ.-ინგლ. *daeg*, ძვ.-ისლ. *dagr*, ძვ.-ზ.-გერმ.- *tak, tag*. როგორ უნდა დადგინდეს ამ ფორმების არქეტიპი? რუნული წარწერების ენაში დადასტურებულია ფორმა *dagaR*. ცნობილია, რომ სკანდინავურ ენებში *R* განვითარდა *z*-სგან. (როტაციზმი). ამგვარად შეიძლება აღდგეს პროტოგერმანიკული არქეტიპი *- *az*. თუ გავაგრძელებთ შედარებას ინდოევროპულ ენებთან, შეიძლება

ინდოევროპული არქეტიპის აღდგენაც. გერმანიკულ z-ს ინდოევროპულ ენებში კანონზომიერედ შეესიტყვება- s, ხოლო a-ს ინდოევროპული- o.

ამგვარად შეიძლება აღდგეს ინდოევროპული არქეტიპი* os, რაც, სხვათაშორის, დასტურდება სხვა ინდოევროპული ენების ფაქტებთან შედარებისას: ბერძნ. *lykos, lupus*, (u<o) "მგელი".

ისტორიულ-შედარებით მეთოდს გამოყენების სხვა მხარეებზე აქვს მაგ., ენობრივი ფაქტების ქრონოლოგიის დადგენა, ენობრივი მოვლენების არეალის განსაზღვრა და სხვა.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის აღმოცენების დღიდან გერმანიკული ენები ყოველთვის იყო კონპარატივისტების ყურადღების ცენტრში. შედარებითი კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულია მნიშვნელოვანი მონაცემები გერმანიკული ენების ფონემური შემადგენლობის, მორფოლოგიური წყობისა და ლექსიკის შესახებ, ასევე დადგენილია გერმანიკული ენების ბევრი საერთო ლინგვისტური ნიშანი, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ პროტოგერმანიკულ ან პროტოინდოევროპულ ენობრივ მდგომარეობას.

5.3.4. გენეტიკური კავშირები თანამედროვე გერმანიკულ ენებში:

1. ლექსიკის დონეზე:

გერმ.	ინგლ.	ნიდერლ.	შვედ.
Vater	father	vader	fader
Wort	word	woord	ord
neu	new	nieuw	ny
frei	free	vrij	fri
bringen	bring	brengen	bringa
kommen	come	komen	komma

2. მსგავსება მორფოლოგიურ სტრუქტურაში; მაგ.,

ა) აბლაუტის საშუალებით ზმნის ძირითადი ფორმების წარმოება:

გერმ. trinken- trank- getrunken

ინგლ. drink- drank- drunk

ნდრ. trinken- dronk- gedronken

შვედ. dricka- drack- drucken

ბ) ანალიტიკური დროის ფორმების წარმოება:

გერმ. ich habe getrunken

ინგლ. I have drunk

ნდრ. ik heb gedronken

შვედ. jag har druckit

გ) ზედსართავი სახელების შედარებითი ხარისხის წარმოება:

გერმ. lang-länger-längest

ინგლ. long- longer -longest

ნდრ. lang-langer-langst

შვედ. long-längre-längst

3. მსგავსება საერთო სიტყვათწარმოებითი საშუალებების გამოყენებაში:

გერმ. -schaft- Freundschaft

ინგლ. - ship- friendship

ნდრ. - schap- vriendschap

შვედ. - skap- vänskap

6. თანხმოვანთა პირველი ზგერათგადაწევა

მეცნიერებაში საკმაოდ დიდი ხანი იყო ცნობილი გერმანიკულ ენებში თანხმოვანთა სისტემობრივი შეცვლა სხვა ინდოევროპულ ენებთან შედარებით. XIX საუკუნეში გერმანელმა ენათმეცნიერმა იაკობ გრიმმა დაადგინა მნიშვნელოვანი კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც, გერმანიკულ ენებში, სხვა ინდოევროპულ ენებთან შედარებით, იცვლებოდა ხშული თანხმოვნები. ამიტომ თანხმოვანთა პირველ გადაწევას, ანუ *გერმანიკულ გადაწევას* „გრიმის კანონი“ ეწოდა.

ტერმინი „თანხმოვანთა დიდი გადაწევა“ იაკობ გრიმს ეკუთვნის. ეს ტერმინი მან უწოდა მთელ კომპლექსს ურთიერთდაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებებისა, რომელთა შედეგად ინდოევროპული თანხმოვნებისგან გერმანიკული ხშული თანხმოვნებისა და სპირანტების გერმანიკული სისტემა ჩამოყალიბდა. ეს პროცესი ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი ზგერათა ცვლილებების პროცესია ენების ისტორიაში.

მასასადამე, პირველი ზგერათგადაწევის კანონზომიერებანი აისახება ხშულ თანხმოვანთა რეგულარულ შესატყვისობაში, რომელიც ინდოევროპულ და გერმანიკულ ენებს შორის დგინდება.

თანხმოვანთა დიდ გადაწევას დაუმკვიდრდა ტერმინი „გრიმის კანონი“. რიგი მეცნიერებისა აღნიშნული ტერმინის წინააღმდეგ გამოდიოდა. მათი აზრით, გრიმი არ იყო პირველი ენათმეცნიერი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ გერმანიკული თანხმოვანთა სისტემა განსხვავდებოდა სხვა მონათესავე ენების შესაბამისი თანხმოვანებისგან. ამ განსხვავებებს ამჩნევდნენ ჯეიმს ჯემისონი, შოტლანდიური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის ცნობილი ავტორი, იუნიუსი, ვოთური ენის მკვლევარი. მათ დაკვირვებებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდათ. ვითარება შეიცვალა, როდესაც ფრანც ბოპმა და

რასმუს რასკმა თავიანთი ცნობილი გამოკვლევები გამოაქვეყნეს. რასმუს რასკისთვის ამკარად ცნობილი იყო გრიმის კანონის ძირითადი დებულებების უმრავლესობა. აქედან გამომდინარე, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ თანხმოვანთა დიდი გადაწვევის კანონი რასმუს რასკის აღმოჩენილია. საქმე ისაა, რომ რასმუს რასკის ცალკეული მისაზრებები კანონად ვერ ჩაითვლება.

იაკობ გრიმის დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან განსაზღვრა შიდა კავშირი, რაც არსებობს თანხმოვანთა დიდი გადაწვევის სხვადასხვა პროცესებს შორის. მან პირველმა წამოაყენა თეზისი, ერთიანი კანონის შესახებ, რომელიც აერთიანებს თანხმოვანთა გადაწვევის ყველა ფაზას. იაკობ გრიმმა შემდეგი მნიშვნელოვანი დებულებები წამოაყენა:

1. თანხმოვანთა დიდი გადაწევა ეფუძნება თანხმოვანთა დაყოფას: მჟღერი, ყრუ, ფშვინვიერი.

2. თანხმოვანთა მეორე ზემოგერმანული გადაწევა თავისი არსით მსგავსია თანხმოვანთა დიდი გადაწვევისა;

3. ერთი და იგივე ფორმულა გამოიყენება სხვადასხვა თანხმოვანისადმი, იქნება ეს ლაბიალური (ბაგისმიერი), დენტალური (კბილისმიერი) თუ სასისმიერი.

აქედან გამომდინარე, კანონი უდავოდ გრიმმა ჩამოაყალიბა და აღნიშნული ტერმინის ექვეყემ დაყენება დიდი უსამართლობაა იაკობ გრიმის მიმართ.

თანხმოვანთა დიდი გადაწევა შეეხო ინდოევროპულ ხშულ თანხმოვნებს.

გამოიყოფა ინდოევროპული ხშული თანხმოვნების სამი კლასი:

1. ყრუ ხშულები- p, t, k (stl. Verschlusslaute) (p-Lippenlaut (Labiale).t-Zahnlaut (k-Gaumenlaut (Velare)

2. მჟღერი ხშულები - b, d, g (sth. Verschlusslaute) (b-Lippenlaut (Labiale).d-Zahnlaut (g-Gaumenlaut (Velare)

3.მჟღერი ფშვინვიერი ხშულები - bh, dh, gh (stillhafte behauchte Verschlusslaute)

პირველი ბგერათგადაწევის შინაარსია ინდოევროპული ხშულების სერიების „გადაწევა“ გერმანიკულში თითო საფეხურით, ხოლო უკანასკნელი ანუ ყრუ ხშულების სერიიდან ნაპრალოვნების (სპირანტების) მიღება.

ამიტომ ზოგიერთი ავტორი (მათ შორის კოეგლერი), განიხილავს ინდოევროპული ხშული თანხმოვნების გერმანიკულ ენებში გადაწევას შემდეგი თანმიმდევრობის მიხედვით: მჟღერი ფშვინვიერი ხშულები bh, dh, gh გადაიწია – მჟღერ ხშულებში b, d, g; მჟღერი ხშულები b, d, g – ყრუ ხშულებში p, t, k; ყრუ ხშულები p, t, k – ყრუ სპირანტებში f, P, h.)

სანსკ. *bharami*, “ვიღებ”; ბერძ.*phero*, “ვიღებ”; ლათ.*fero* „მიმაქვს“ .გოთ. *baira*, –“ვატარებ”; ძვ.-ზ.-გერმ. *beru*.–“ვატარებ”.

ჩვენ ინდოევროპული ხშული თანხმოვნების გერმანიკულ ენებში დადასვლის პროცესს განვიხილავთ შემდეგი თანმიმდევრობის მიხედვით:

I. „გრიმის კანონის“ პირველი მუხლის თანახმად:

ინდოევროპული ყრუ ხშულები p,t,k გერმანიკულ ენებში გადაიწია თვისობრივად ახალ თანხმოვნებში ნაპრალოვნებში (ყრუ სპირანტებში). ეს თანხმოვნებია f, P (θ), h [p, t, k > f, P, h]. (სპირანტი P წარმოითქმის ისე, როგორც ინგლისური ყრუ “th” და გრაფიკულად ხშირად ასევე აღინიშნება. „k“ თანხმოვანს ინდოევროპულ ენებში ორი გრაფიკული ნიშანი აქვს „k“ და „c“).

p>f

ძვ. – ინდ. *pitár*, ბერძნ. *patēr*,
ლათ. *pater*

გოთ. *fadar*, ძვ.- ინგლ. *fæder*,
ძვ.-ზ.-გერმ. *fater*, ძვ.- ისლ.
faðir (შდრ. გერმ. *Vater*, ინგლ.
father-მამა)

ბერძნ. <i>pellá</i> „ტყავი“, ლათ. <i>pellis</i>	გოთ. <i>fill</i> , ძვ.-ინგლ. <i>fell</i> , ძვ.-ზ.-გერმ. <i>fel</i> , ძვ.- ისლ. <i>fjall</i> (შდრ. გერმ. <i>Fell</i> , ინგლ. <i>fell</i> - ბეწვი)
ლათ. <i>piscis</i>	გოთ. <i>fisks</i> , ძვ.-ინგლ. , ძვ.- ზ.-გერმ. <i>fisc</i> , ძვ.- ისლ. <i>Fiskr</i> (შდრ. გერმ. <i>Fisch</i> , ინგლ. <i>fish</i> -თევზი)
ძვ.-ინდ. <i>nápat</i> „შთამომავალი“, ლათ. <i>nepōs</i> „შვილიშვილი“, „ძმისწვილი“	ძვ.- ინგლ. <i>nefa</i> , ძვ.-ზ.-გერმ. <i>nevo</i> , ძვ.-ისლ. <i>nefi</i> „ნათესავი“, „ძმისშვილი“. (შდრ., გერმ. <i>Neffe</i> , ინგლ. <i>-nephew</i> “, ძმის-შვილი“ - ვაჟი).

t > p (θ)

ძვ. - ინდ. <i>tráyas</i> , ბერძნ. <i>treis</i> , ლათ. <i>trēs</i> , რუს. <i>три</i>	გოთ. <i>þreis</i> , ძვ.- ინგლ. <i>þrī</i> , ძვ.- ისლ. <i>þrir</i> (შდრ., გერმ. <i>drei</i> , ინგლ. <i>three</i> - სამი)
ძვ. - ინდ. <i>vértati</i> „ტრიალი“, ლათ. <i>vertō</i> , ძვ. - სლავ. <i>вратити</i>	გოთ. <i>wairþan</i> , ძვ.- ინგლ. <i>weorþan</i> , ძვ.- ისლ. <i>verða</i> (შდრ.გერმ. <i>werden</i> ინგლ. (to) <i>become</i> - გახდომა)
ლათ. <i>mentum</i> „ნიკაპი“	გოთ. <i>munþs</i> , ძვ.- ინგლ. <i>múþ</i> (პირი) (შდრ.-გერმ. <i>Mund</i> ინგლ. <i>mouth</i> - პირი)

k>h

ძვ. - ინდ. <i>dāca</i> , ბერძნ. <i>dēka</i> , ლათ. <i>decem</i>	გოთ. <i>taihun</i> , ძვ.-საქს. <i>tehan</i> , ძვ.-ზ.-გერმ. <i>zehan</i> (შდრ. .გერმ. <i>zehn</i> , ინგლ. <i>ten</i> -ათი)
ძვ. - ინდ. <i>nak(t)</i> , ბერძნ. <i>nykt</i> , ლათ. <i>noct-</i>	გოთ. <i>nahts</i> , ძვ.-ინგლ. <i>niht</i> , ძვ.-ზ.-გერმ. <i>naht</i> (შდრ., გერმ. <i>Nacht</i> ინგლ. <i>night</i> -ღამე)
ბერძნ. <i>kardia</i> , ლათ. <i>cor(d)</i>	გოთ. <i>hairto</i> , ძვ.-ინგლ. <i>heorte</i> , ძვ.-ზ.-გერმ. <i>herza</i> , ძვ.-ისლ. <i>hjarta</i> „გული“ (შდრ. გერმ. <i>Herz</i> , ინგლ. <i>heart</i> -გული)

II. გრიმის კანონის“ მეორე მუხლის თანახმად:

ინდოევროპული მჟღერი ხშულები *b, d, g* გერმანიკულ ენებში გადაიწია ყრუ ხშულებში *p, t, k* [*b, d, g > p, t, k*].

b>p

ლათ. <i>lābi</i> , ლიტვ. <i>slābnas</i> , ძვ.- სლავ. <i>слабъ</i>	გოთ. <i>slēpan</i> , ძვ.-ინგლ. <i>slæpan</i> (შდრ. გერმ. <i>schlafen</i> , ინგლ. <i>sleep</i> -ძილი).
ბერძნ. <i>baitē</i> „საცვალი“	გოთ. <i>paida</i> (ტანსაცმლი), ანგლ- საქს. <i>pād</i> , ძვ.-საქს. <i>pēda</i> „ქვედაბოლო“.

d>t

ძვ.-ინდ. <i>dvá(u)</i> , ბერძნ. <i>dyo</i> , ლათ. <i>duo</i> , სლავ. <i>два</i>	გოთ. <i>twai</i> , ძვ.-ინგლ. <i>twā</i> , ძვ.- საქს. <i>twā</i> , ძვ.-ისლ. <i>tveír</i> , ინგლ. <i>two</i> , (შდრ. გერმ. <i>zwei</i> ინგლ. <i>two</i> -ორი)
ბერძნ. <i>deka</i> , ლათ. <i>decem</i>	გოთ. <i>taihun</i> , ძვ.-ინგლ. <i>tien</i> , ძვ.-საქს. <i>tehan</i> , ძვ.-ისლ. <i>tiu</i> (შდრ. გერმ. <i>zehn</i> , ინგლ. <i>ten</i> - ათი)

g>k

ლათ. <i>ego</i> , ბერძნ. <i>egō(n)</i>	გოთ. <i>ik</i> , ძვ.-ინგლ. <i>ic</i> , ძვ.-ისლ. <i>ek</i> (შდრ. გერმ. <i>Ich</i> , ინგლ. <i>I</i> - მე)
ძვ.-ინდ. <i>jānu</i> , ბერძნ. <i>góny</i> , ლათ. <i>genu</i>	გოთ. <i>kniu</i> , ძვ.-ინგლ. <i>cnēo (w)</i> , ძვ.-ისლ. <i>kné</i> (შდრ. გერმ. <i>Knie</i> ინგლ. <i>knee</i> - მუხლი)
ძვ.-ინდ. <i>yugám</i> , ბერძნ. <i>zygón</i> , ლათ. <i>jugum</i>	გოთ. <i>juk</i> , ძვ.-ისლ. <i>ok</i> (შდრ. გერმ. <i>Joch</i> ინგლ. <i>yoke</i> , რუს. <i>úro</i> - უღელი)

III „გრიმის კანონის“ მესამე მუხლის თანახმად:

ინდოევროპული მჟღერი ფშვინვიერი ხშულები *bh, dh, gh* გერმანიკულ ენებში გადაიწია მჟღერ ხშულებში *b, d, g* [*bh, dh, gh > v, d, g > b, d, g*]. ინდოევროპული ფშვინვიერი ხშულები *bh, dh, gh* სრული სახით შემორჩენილია მხოლოდ სანსკრიტში. მათ ადგილას ბერძნულში გვხვდება (*ph, th, kh*), ხოლო ლათინურში *f, f, h*. ეს თანხმოვნები წარმოდგენილია აგრეთვე საერთოინდო-

ევროპულ რეკონსტრუირებულ ფორმებში (აღნიშნება ვარსკვლავით*)

bh>b

<p>ი.ე. *bher - ძვ.-ინდ. <i>bharāti</i> (ტარება) <i>bharāmi</i></p>	<p>გოთ. <i>bairan</i>, <i>baira</i> (მომაქვს) ძვ.- სკანდ. <i>bera</i>, ძვ.-ინგლ. ძვ.-ზ.-გერმ. <i>beran</i>. (შდრ. ინგლ. to <i>bear</i> - ტარება, ზიდვა, გერმ. თანდებული-<i>bar</i>, რომე- ლიც ადრე დამოუკიდებელი სიტყვა იყო და ასევე 'ტარებას' აღნიშნავდა).</p>
<p>ძვ.-ინდ. <i>bhrātr-</i> ბერძნ. <i>phrātōr</i>, ლათ. <i>frāter</i></p>	<p>გოთ. <i>brōþar</i>, ძვ.-საქს. <i>brōthar</i>, ძვ.- სკანდ. <i>brōþer</i>, ძვ.-ინგლ. <i>brōþor</i>, ძვ.-ზ.-გერმ. <i>bruoder</i>, (შდრ. გერმ. <i>Bruder</i> ინგლ. <i>brother</i> - ძმა)</p>

dh>d

<p>ი.ე. *dhur- (ჰიშკარი)</p>	<p>გოთ. <i>daur</i> (კარი), ინგლ. <i>door</i>, გერმ. <i>Tür</i> (კარი)</p>
<p>ძვ.-ინდ. <i>rudhiras</i></p>	<p>ძვ.- საქს. <i>rōd</i> (შდრ. გერმ. <i>rot</i>, ინგლ. <i>red</i> - წითელი)</p>
<p>ძვ.-ინდ. -<i>medhjo</i></p>	<p>ძვ.-ინგლ. <i>mid</i>, ძვ.-საქს. <i>middi</i>, ძვ.-ზ.-გერმ. <i>Mitti</i></p>

(შენიშვნა. საერთოდ ურიდებიან საილუსტრაციოდ ძველი ზემოგერმანულის გამოყენებას, რადგან მისი ფონეტიკური სისტემა ჩამოყალიბდა მეორე ზგერათგადაწევის შედეგად).

gh>g

ძვ.-ინდ. <i>ghlto-</i>	გოთ. <i>gulþ</i> , ძვ.-სკანდ. <i>gull</i> , ძვ.-ინგლ. <i>gold</i> , ძვ.-ზ.-გერმ. <i>gold</i> (შდრ.გერმ. <i>Gold</i> , ინგლ. <i>gold</i> -ოქრო)
ძვ.-ინდ. <i>ghongh</i>	გოთ. <i>gaggan</i> , ძვ.-სკანდ. <i>ganga</i> , ძვ.-ინგლ. <i>gongen</i> , ძვ.-ზ.-გერმ. <i>gangen</i> (შდრ.გერმ. <i>gehen</i> ინგლ. <i>go</i> - წასვლა)
ძვ.-ინდ. <i>ghostis⁴</i>	გოთ. <i>gasts*</i> (მტერი-სტუმარი), ძვ.-სკანდ. <i>gestr</i> , ძვ.-ინგლ. <i>giest</i> , ძვ.-ზ.-გერმ. <i>gast</i> , (შდრ.გერმ. <i>Gast</i> ინგლ. <i>guest</i> -სტუმარი)
ძვ.-ინდ. <i>ghorto</i>	გოთ. <i>gards</i> , ძვ.-სკანდ. <i>gardr</i> , ძვ.-ინგლ. <i>geard</i> , ძვ.-ზ.-გერმ. <i>gart</i> (შდრ.გერმ. <i>Garten</i> ინგლ. <i>garden</i> -ბაღი)

„გრიმის კანონის“ I დებულებას ორი გამონაკლისი აქვს

1) პირველი ბგერათგადაწევა არ შეეხო *sp, st, sk* კომპლექსებს: ინდოევროპული ყრუ ხშულები უცვლელი რჩება *s*-ის შემდეგ და *sp, st, sk-* გერმანიკულში შენარჩუნდება – *p, t, k* –ს შესაბამისად

ი.-ე. *sp, st, sk.* > გერმ. *sp, st, sk*

ლათ. *spuere*, გოთ. *speiwan* (გადაფურთხება).

ლათ. *stella* - გოთ. *stairno* (ვარსკვლავი) (შდრ. გერმ. *Stern*, ინგლ. *star*).

ძვ.-ინდ. *stignōmi*, გოთ. *steigan* (ვხტები, ავდივარ) (შდრ. ახ.-ზ.-გერმ. *steigen* (ასვლა).

ლათ. *hosts* გერმ., *Feind, Fremdling* (მტერი, უცხო)

გოთ. *gasts*, ძვ.-ზ.-გერმ. *gast* (უცხო, სტუმარი)

ლათ. *miscēre* –ანგლ.–საქს. *miscian.*, ძვ.-ზ.-გერმ. *miskan* “
(შდრ.გერმ. *mischen* ინგლ. *mix*- ამორევა)

ლათ. *piscis – fiskis* (შდრ.გერმ. *Fisch*, ინგლ. *fish*, -თევზი)

2) ინდოევროპული ორი ყრუ ხმულიდან, პირველი იცვ-
ლება „გრიმის კანონის“ შესაბამისად, მეორე კი უცვლელი რჩება.

მაგ. ბერძნ. *octō* – გოთ. *Ahtau* (რვა)

ლათ. *captus*- ძვ.-საქს. *haf* (დაჭერა–დაჭერილი)

ინდოევროპული ხმული თანხმოვნების მესამე რიგი: **bh, dh, gh** აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. არის მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს რიგი იყო ყრუ სპირანტების რიგი **φ (f), θ, χ (h)**. ყრუ სპირანტები გერმანიკულ ენებში გადავიდა მჟღერ სპირანტებში **v, d, ḡ**. მჟღერი სპირანტები კი დასავლურ გერმანიკულ ენებში გადავიდა მჟღერ ხმულებში: **φ, θ, χ > v, d, ḡ > b, d, g**

ინდოევროპული ფშვინვიერი მჟღერი ხმულები **bh, dh, gh** ბერძნულში აისახა როგორც **ph, th, kh**, ლათინურში კი როგორც **f(f)– t– k**.

სანსკ. *bhrātṛ*, ბერძ. *phrātōr*, ლათ. *frāter*, გოთ. *brōpar*, ძვ. ზ.-გერმ. *bruodar* “ძმა“

სანსკ. *bharami*, “ვიღებ”; ბერძ. *phero*, “ვიღებ”; ლათ. *fero* „მიმაქვს“. გოთ. *baira*, –“ვატარებ”; ძვ.-ზ.-გერმ. *beru*.–“ვატარებ”. (შდრ. რუს. *беру* ‘მიმაქვს’).

შენიშვნა. ვილჰელმ შმიდტის მიხედვით ინდოევროპული მჟღერი ფშვინვიერი ხმულები (*Tenues*) **bh, dh, gh** ბერძნულში გადავიდა **P,θ,z(ph, th, kh)**, ხოლო ლათინურში როგორც **f, f, h**

6.1. როდის მოხდა თანხმოვანთა დიდი გადაწევა?

თანხმოვანთა პირველი გადაწევა განხორციელდა, როგორც ვარაუდობენ, წინარეგერმანიკულ პერიოდში – დაახლოებით მეორე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მან განსაზღვრა საერთო გერმანიკულის თანხმოვანთა სისტემის სახე ყველა დანარჩენი ინდოევროპული ენისაგან განსხვავებით. თუმცა, როგორც მოსალოდნელია, ეს საკითხი აზრთა ძალიან დიდ სხვადასხვაობას იწვევს. სავარაუდოა, რომ ასეთი ყოვლისმომცველი ფონეტიკური ცვლილებები, თანაც ერთგვაროვანი ცვლილებები, მომხდარიყო გერმანელი ტომების გადასახლების პროცესებთან კავშირში. ეს განსახლების პროცესები დაიწყო ჯერ კიდევ I ს-ში ძვ.წელთაღრიცხვით და დასრულდა ჩვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნეში.

თანხმოვანთა დიდი გადაწევის დროსთან დაკავშირებით საკმაოდ უკიდურესი მოსაზრებებიც არსებობს. მაგ. კლუგეს აზრით ეს პროცესი ჩვ.წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში დაიწყო. მუკი ასახელებს ჩვ.წელთაღრიცხვამდე III საუკუნეს. ბეტგეს აზრით თანხმოვანთა დიდ გადაწევას ადგილი ჰქონდა 1000 - 400 წლებში ჩვ.წელთაღრიცხვამდე.

ამ მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებენ გ. მეიერი და კოსინი, რომლებიც თანხმოვანთა დიდი გადაწევის დაწყების თარიღად მიიჩნევენ 400 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე. ეს პროცესი სავარაუდოდ დასრულდა ჩვ.წელთაღრიცხვის 500 წელს.

6.2. თანხმოვანთა დიდი გადაწევის მიზეზები

პირველი ბგერათგადაწევის მიზეზებზე გარკვევით არაფერი იცნან.

იაკობ გრიმმა ამ უაღრესად საინტერესო პროცესს ფსიქოლოგიური ახსნა მოუძებნა, რომელიც შესაძლოა ახლოსაც იყოს ჭეშმარიტებასთან, მეტისმეტად რომანტიკულად რომ არ გამოიყურებოდეს.

იაკობ გრიმის აზრით, თანხმოვანთა გადაწევაში აისახა გერმანელი ტომების სწრაფვა გადაადგილებისადმი, ახალ ტერიტორიებზე გავრცელებისადმი, რაც ასე დამახასიათებელი იყო მათთვის გერმანელი ტომების ისტორიის ადრეულ ეტაპზე. ამ თეორიას „ფსიქოლოგიური თეორია“ ეწოდა და მისი ავტორი იაკობ გრიმია.

გ. მეიერმა წამოაყენა განსხვავებული თეორია, რომელიც „გეოგრაფიული თეორიის“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნული თეორიის თანახმად თანხმოვანთა დიდი გადაწევა გამოწვეული იყო ექსპირაციის გაძლიერებით, რაც იყო შედეგი გერმანელი ტომების ცხოვრებისა სკანდინავიის (თანხმოვანთა დიდი გადაწევა) და ალპების (თანხმოვანთა II ზემოგერმანული გადაწევა) მთიან რეგიონებში. ამ თეორიას საკმაოდ ბევრი მომხრე გამოუჩნდა.

მოგვიანებით შეიქმნა ე.წ. „ეთნოლოგიური თეორია“. ამ თეორიის თანახმად, თანხმოვანთა დიდი გადაწევა გამოიწვია საერთოგერმანიკულის შერევამ ადგილობრივ, ავტოქთონურ მოსახლეობასთან, კელტებთან, ფინელებთან, ეტრუსკებთან და სხვა. ადგილობრივი მოსახლეობის დიალექტებმა ზემოქმედება მოახდინეს საერთოგერმანიკულზე და გამოიწვიეს ცვლილებები თანხმოვანთა სისტემაში.

თეორიები განსხვავებულია, მაგრამ ერთი რამ უდავოა. თანხმობანთა დიდი გადაწევა არის ქრონოლოგიურ და მიზეზობრივ კავშირში გერმანელი ტომების გადასახლების სოციალურ, ეკონომიკურ და ემოციურ ფონთან.

6.3. „ვერნერის კანონი“

გარდა განხილული გამონაკლისებისა, ემპირიული მასალა ავლენდა აგრეთვე გარკვეულ რეგულარულ გადახრებს „გრიმის კანონიდან“, ეს მოვლენები შეისწავლა და ახსნა დანიელმა ენათმეცნიერმა კარლ ვერნერმა (1877), რომელიც შემდგომ სახელწოდება – „ვერნერის კანონით“ გახდა ცნობილი.

იგი ეხება პირველი ბგერათგადაწევის შედეგად მიღებულ ყრუ სპირანტთა სერიას (f, þ, h). კარლ ვერნერმა დაასაბუთა, რომ ეს სპირანტები გარკვეულ პოზიციაში შემდგომ ცვლილებებს განიცდიან. კერძოდ, სიტყვის შუაში ისინი ზოგ შემთხვევაში *h d, q*, მჟღერ სპირანტებში გადადიან, რომლებიც თავის მხრივ შემდეგ *b, d, g* მჟღერ ხშულებს იძლევიან. მაგალითად, *phratōr, patēr* ორივე სიტყვის შუა პოზიციაში გვაქვს ყრუ ხშული „t“, მათ გოთურ შესატყვისებში კი – ორი სხვადასხვა თანხმობანი *þ* და *d*

ბერძნული გოთური

phratōr - brōþar

patēr - fadar

კარლ ვერნერის ვარაუდის მიხედვით, პირველი ბგერათგადაწევის ხანაში გერმანიკულს ჰქონდა მოძრავი მახვილი – ინდოევროპული მსგავსად, მახვილიანი შეიძლება ყოფილიყო როგორც სიტყვის ფუძე, ისე დაბოლოება. ამგვარი მახვილის ადგილი დამოკიდებული იყო ძირითადად გრამატიკულ კატე-

გორიაზე. ზემოთ მოყვანილ ბერძნულ სიტყვებსაც მახვილი განსხვავებულად მოუდის: პირველ სიტყვაში მახვილიანია ფუძე, ხოლო მეორეში – დაბოლოება (phrátōr, მაგრამ patér). „ვერნერის კანონიც“ სწორედ მახვილის ბუნებას უკავშირდება. გერმანიკული f, þ, h შენარჩუნებულია სიტყვის შუაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მახვილი უშუალოდ ამ სპირანტების წინ მდგომ ხმოვანს მოუდის. (phrátōr – brþar). მაგრამ, თუ მახვილიანია ამ სპირანტების შემდეგ ან ორი მარცვლით მათ წინ მდგომი ხმოვანი, მაშინ გერმანიკულ ენებში ამ სპირანტების ნაცვლად გვაქვს მჟღერი ხშულები b, d, g (fatér– fadar).

„ვერნერის კანონი“ ძირითადად ეხება p,t,k ხშულებს ინტერვოკალურ პოზიციაში, რომელიც ამ თანხმოვანთა გაჟღერების ყველაზე ხელსაყრელი პოზიციაა. თვით ამ გაჟღერების შესაძლებლობა დიდადაა დამოკიდებული თანხმოვნის გარემომცველი ხმოვნების ხარისხზე, კერძოდ, მათ სიგრძე–სიმოკლეზე. ხმოვნის სიგრძე–სიმოკლის არსებობის საკითხი კი დამოკიდებულია მახვილზე: ხმოვნის აბსოლუტური სიგრძე უმახვილო პოზიციაში უფრო ნაკლებია, ვიდრე მახვილიანში. თუ გაძლიერდა მახვილი, გაიზრდება ხმოვნის სიგრძეც, ხოლო ხმოვანი, რომლის სიგრძეც მატულობს ძლიერი მახვილის შედეგად, ჟღერადობის ნაწილს თანხმოვნის დამართვას გადასცემს, რითაც მის გაჟღერებას იწვევს fadār. ეს პროცესი ბევრად ძლიერდება, თუ მჟღერ ხშულს „ნახევრადსიმჟღერე“ ახასიათებს.

არსებული გამონაკლისი ბგერათგადაწვევის სისტემაში, რომელიც კარლ ვერნერმა შეისწავლა, ყველაზე კარგად გერმანიკულ ენებში აისახა, რადგან სხვა ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით, ხმოვანთა სიგრძე–სიმოკლის მიხედვით დაპირისპირება – ყველაზე მეტად საერთო გერმანიკულს შემორჩა. „ვერნერის კანონის“ საილუსტრაციოდ განსაკუთრებით მოსახერხებელია ერთი ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვათა წყვილები.

ასეთ სიტყვებს ინდოევროპულში ჩვეულებრივ ერთი და იგივე თანხმოვანი აქვთ, გერმანიკულში კი –სხვადასხვა (ყრუ სპირანტი–მჟღერი ხშული).

ბერძნ. გოთ.

déka(ათი), რუს. десять taihun(ათი)

dekás (დეკადა) tigus (ათეული)

მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რომ „ვერნერის კანონით“ შეიძლება აგრეთვე გერმანიკულში თანხმოვანთა მონაცვლეობის იმ შემთხვევების ახსნა, რომლებიც პირველ გადაწევას უკავშირდებიან.

შევეცადოთ ავხსნათ თანხმოვანთა მონაცვლეობა ერთი ფუძის სიტყვებში, რომლებიც ისტორიულად ერთი და იმავე ინდოევროპული თანხმოვნებიდან მომდინარეობენ:

ინდოევროპული / გერმანიკულში

$p = f/b$ — აქედან „f–b“ მონაცვლეობა გერმანიკულში

$t = p/d$ — აქედან „p–d“ მონაცვლეობა გერმანიკულში

$k = h/g$ — აქედან „h–g“ მონაცვლეობა გერმანიკულში

თანხმოვანთა პირველი გადაწევის ნიმუში, სადაც „ვერნერის კანონის“ ასახვაცაა მოცემული:

დავიწყოთ ფშვინვიერი მჟღერი ხშულებით:

ი.–ე. bh,dh, gh გადადის გერმანიკულ b, d, g–ში

ი.–ე. b,d,g გადადის გერმანიკულ p, t, k–ში

ი.–ე. p,t,k გადადის გერმანიკულ f, p, h–ში

ი.–ე. p,t,k ისევ ბრუნდება ი.–ე. b, d, g–ში

როგორც ვხედავთ, „გრიმის კანონის“ თანახმად, ინდოევროპული ყრუ ხშულები p,t,k–გადაიწია გერმანიკულში საერთო მიმართულების შესაბამისად–მარცხნიდან მარჯვნივ p,t,k – f,p,h)– ეს ნორმალური პროცესია. მაგრამ საქმე გვაქვს უკუპრო-

ცესთანაც, როცა „ვერნერის კანონის“ მიხედვით ინდოევროპული ყრუ ხშულები p,t,k მოძრაობს „გრიმის კანონის“ საპირისპირო მიმართულებით – მარჯვნიდან მარცხნივ p,t,k– b,d,g. ამ უკუპროცესის შედეგად მიღებული მჟღერი ხშულები b,d,g თვისობრივად დაემთხვა b,d,g მჟღერ ხშულებს, რომლებიც ისტორიულად ინდოევროპულ ფშვინვიერ ხშულებს „bh,dh, gh“-ს უკავშირდებიან.

ამრიგად, ი. გრიმისა და კ.ვერნერის თვალსაზრისები ერთი და იმავე პროცესის ორ ასპექტს ასახავენ და ამდენად ერთმანეთს ავსებენ. „გრიმის კანონი“ ადგენს საერთოგერმანიკულის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ფონეტიკურ ტენდენციას–სპირანტიზაციის ტენდენციას (სპირანტთა რიცხვის სისტემურად განპირობებული ზრდა გერმანიკულში ინდოევროპულთან შედარებით ხშულების საერთო რიცხვის შემცირების ხარჯზე), ხოლო „ვერნერის კანონი“ ავლენს იმ პირობებს, რომლებმაც დააბრკოლეს სპირანტიზაციის პროცესის განხორციელება შესაძლო სისრულით.

7. თანხმოვანთა მეორე, ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწევა

ჩვენი წელთაღრიცხვის 500 წლისათვის სამხრეთიდან, ალბათ, ალემანურიდან, დაიწყო ბგერათგადაწევა, რომელიც ნამანდობლივი გახდა გერმანული ენის ტერიტორიული დაყოფისათვის, რადგანაც გერმანული ენის ტერიტორიაზე იგი არ მომხდარა ყველგან ერთნაირად და სრულად. მეორე ბგერათგადაწევა შეეხო კვლავ ხშულ ბგერებს. ზემოგერმანულ ენაში ხშულმა თანხმოვნებმა შემდგომი ცვლილებები განიცადა, რასაც თანხმოვანთა მეორე ზემოგერმანული გადაწევა ეწოდება.

ზემოგერმანული ხშული თანხმოვნების სისტემა უპირისპირდება სხვაგერმანიკული ენების შესაბამის სისტემებს. ეს კანონზომიერი შესატყვისობები ზემოგერმანული და სხვა გერმანიკული ენების ხშული თანხმოვნების სისტემებს შორის შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. გერმანიკული ყრუ ხშული ბგერების p, t, k -ს გადაწევა

სიტყვის ანლაუტში, l, r, m, n -სა და დაწყვილებული თანხმოვნების მომდევნო პოზიციასში გერმანული ყრუ ხშულები p, t, k იქცნენ სპირანტულ აფრიკატებად: pf, z, kch (იწერება ch).

მეორე ბგერათგადაწევის მოქმედების დროინდელი დასავლეთგერმანიკული დამწერლობის ძეგლების გერმანულ ენაზე უქონლობის გამო (გარდა კოელნის კულტურული სფეროსი, რომელიც არსებითად 800-იანი წლებისათვის შეწყდა), მეორე ბგერათგადაწევის შედეგების საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ ვოთურის, ინგლისურისა და ძველი საქსურის ლექსიკას, რომელთა ბგერითი შემადგენლობა ამ ბგერათგადაწევის გამო არ შეცვლილა.

p>pf

გოთ. pund	ძვ.-ზ.-გერმ. pfunt ახ.-ზ.-გერმ. Pfund (pound)
გოთ. hilpan	ძვ.-ზ.-გერმ. hēlphan ახ.-ზ.-გერმ. helfen (help)
ძვ.-საქს. appel	ძვ.-ზ.-გერმ. apful ახ.-ზ.-გერმ. Apfel(apple)

t>z

გოთ. tiuhan	ძვ.-ზ.-გერმ. ziehan ახ.-ზ.-გერმ. ziehen
ძვ.-საქს. swart	ძვ.-ზ.-გერმ. swarz ახ.-ზ.-გერმ. schwarz
ძვ.-საქს. holt	ძვ.-ზ.-გერმ. holz ახ.-ზ.-გერმ. Holz
ძვ.-საქს. sittian	ძვ.-ზ.-გერმ. sezzen ახ.-ზ.-გერმ. setzen(sit)

(მდრ. თანამედროვე ინგლისური და გერმანული: two-zwei; ten-zehn, heart Herz)

k >kch (ch)

გოთ. kaúrn	ძვ.-სამზ.-გერმ. chorn ახ.-ზ.-გერმ. Korn(corn)
ძვ.-საქს. wekkian	ძვ.-ზ.-გერმ. wecchau ახ.-ზ.-გერმ. wecken(wake)

ხმოვნებს შუა და სიტყვის აუსლაუტში ხმოვნების შემდეგ გერმანული ყრუ ხშული თანხმოვნები p, t, k იქცევიან ყრუ სპირანტებად: f(ff), ჯ, (ჯჯ წარმოითქმის როგორც გერმ. s), hh (ხშირად იწერება ch).

p > f(ff)

ძვ.-საქს. slāpan	ძვ.-ზ.-გერმ. slāfan ახ.-ზ.-გერმ. schlafen(sleep)
ძვ.-საქს. skip	ძვ.-ზ.-გერმ. skif ახ.-ზ.-გერმ. Schiff ინგლ. ship

t > ჯ(ჯჯ) / t > ჯჯ

ძვ.-საქს. ētan	ძვ.-ზ.-გერმ. ētzan ახ.-ზ.-გერმ. essen (eat)
ძვ.-საქს. fōt	ძვ.-ზ.-გერმ. fuoz ახ.-ზ.-გერმ. Fuß(foot)

k > hh(ch)

ძვ.-საქს. makon	ძვ.-ზ.-გერმ. mahhôn ახ.-ზ.-გერმ. machen (make)
ძვ.-საქს. ik	ძვ.-ზ.-გერმ. ih ახ.-ზ.-გერმ. ich

(შდრ. თანამედროვე ინგლისური და გერმანული: leap-laufen, let-lassen, water-Wasser, joke-Joch და სხვ.).

2. გერმანიკული მკლერი სპირანტების b, d, g-ს გადაწევა მკლერ ხშულებად, ხოლო შემდეგ ყრუ ხშულებად p, t, k.

ეს პროცესი მიმდინარეობდა ცალკეულ დიალექტებში სხვადასხვაგვარად და ძალიან გართულებულია.

ნიმუშები

ძვ.-საქს. dag ძვ.-ზ.-გერმ. tac ახ.-ზ.-გერმ. Tag (day)

გოთ. giban ბავარ. kēpan ახ.-ზ.-გერმ. geben (give)

(შდრ. თანამედროვე ინგლისური და გერმანული: old-alt; daughter- Tochter და სხვ.).

როგორც წესი, შემორჩა მხოლოდ d-ს გადაწევა t-დ. გერმანიკული მჟღერი სპირანტების მჟღერ ხშულებში b, g- ში გადასვლა და შემდეგ ზემოგერმანულის ყრუ ხშულებად p, t-დ გადაქცევა ძალიან არათანაბრად მიმდინარეობდა და უფრო გვიან გათანაბრების (ანალოგიის) შედეგად მოიშალა.

გერმანიკული ყრუ სპირანტებიდან f, th, h, როგორც წესი, d- ში გადავიდა მხოლოდ th. ეს გადაწევა მოხდა ქვემო გერმანულ- ში; ამდენად, იგი ზუსტი გაგებით არ წარმოადგენს მხოლოდ ზ ე მ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ბ გ ე რ ა თ გ ა და წ ე ვ ა ს .

ნიმუშები

ინგლ. brother ძვ.-ზ.-გერმ. brouder ახ.-ზ.-გერმ. Bruder

ინგლ. three ძვ.-ზ.-გერმ. dri ახ.-ზ.-გერმ. drei

(ინგლისურ-გერმანული პარალელები: earth -Erde; thin-dünn)

მეორე ბგერათგადაწევის გავრცელებისა და მოქმედების ძალა დამოკიდებული იყო მრავალგვარ პოლიტიკურ და კულ-

ტურულ ვითარებაზე. იგი მარაოს მსგავსად გავრცელდა გერმანული ენის სამხრეთ და შუა რაიონებში. მისი გავრცელების საბოლოო შედეგი იყო გერმანულის ტერიტორიაზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გავლებული ხაზი, რის გამოც ენა ორ ნაწილად გაიყო.

ეს ხაზი დღეს მოდის *ახენიდან დიუსელდორფზე, ელბერფელდზე, კასელზე, აბერსლენზე და მაგდენბურგზე გავლით-ოდერის ფრანკფურტამდე*. ამ ხაზის ჩრდილოეთით ლაპარაკობენ ქვემოგერმანულზე, ხოლო სამხრეთით – ზემოგერმანულზე. (Ik/Jch ხაზი).

მეორე ბგერათგადაწევა ზემოგერმანულის ტერიტორიაზეც ყველგან თანაბრად არ გავრცელებულა. იგი მთლიანად მოქმედი იყო მხოლოდ სამხრეთში, ჩრდილოეთში კი, რაც უფრო შორს წავიდა, მით უფრო შესუსტდა ძალა, მით უფრო გახშირდა გამონაკლისები. ზემო გერმანულის იმ ტერიტორიას, რომელსაც მეორე ბგერათგადაწევა მხოლოდ ნაწილობრივ შეეხო, ვუნოდებთ შუაგერმანულს სამხრეთგერმანულისაგან განსხვავებით (appel/apfel-ხაზი). ბგერათგადაწევის სხვადასხვაგვარი მოქმედების შედეგად ცალკეულ ენობრივ ტერიტორიაზე გაღრმავდა სხვადასხვა პროვინციაში უკვე აქამდე არსებული ენობრივი თავისებურებანი. ამ დროიდან ისინი გაფორმდნენ როგორც გარკვეული დიალექტები. ეს დიალექტები დროთა განმავლობაში თანდათანობით იცვლებოდნენ და ახალ დიალექტებს ქმნიდნენ.

გერმანული ენის ძირითადი დაყოფა დიალექტებად გამოიწვია ზემოგერმანულის ბგერათგადაწევამ, რომელიც არის არა ერთიანი პროცესის შედეგი, არამედ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცვლილებათა იმ ძალიან რთული პროცესის ნაყოფია, რომელშიც გარკვეული როლი შეასრულეს საეკლესიო და სავაჭრო-ურთიერთობების საზღვრებმაც.

გერმანული გაიყო ორად: ზემოგერმანული და ქვემოგერმანული. ზემოგერმანული თავისმხრივ იყოფა: სამხრეთგერმანული (ბავარული, ალემანური, აღმოსავლეთ ფრანკული, სამხრეთ-ფრანკული) და საშუალოგერმანული (რაინის ფრანკული, შუა-ფრანკული, ტიურინგული). ქვემოგერმანული იყოფა: ქვემოსაქსური, ქვემოფრანკული, ფრიზული).

როგორც აღვნიშნეთ, გარდა გარკვეული გამონაკლისისა, არ მოგვეპოვება იმდროინდელი დამწერლობითი ძეგლები, ამიტომ მიახლოებითი თარიღების დასადგენად მივმართავთ არაპირდაპირ საშუალებებს. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ჰუნთა მეფის ატილას (Attila) სახელი. ეს სახელი დაახლოებით გერმანელებს უნდა ეხმარათ მეორე ბგერათგადაწევამდე, რადგან ის ემორჩილება მეორე ბგერათგადაწევის კანონებს. საშუალო ზემოგერმანულში ამბობენ Etzel. ატილა მოკვდა 453 წელს; მამასადამე, საექვოა, რომ tt –ს გადაწევა tz–დ მომხდარიყო V საუკუნის შუა წლებზე ადრე.

მეორე ამოსავალს წარმოადგენს დაბალი სასულიერო პირის სახელწოდება, რომელიც ბერძნულიდან გოთურის საშუალებით შემოსულა გერმანულში:

ბერძნ. *papás* - ძვ.-ზ.-გერმ. *pfaffo* (სასულიერო პირი).

V საუკუნის შუა წლებამდე გოთური ეკლესია არ ახდენდა გავლენას, ამიტომ ძნელია ყრუ ხშული ბგერის p–ს გადაწევა pf–ში V საუკუნის შუა წლებზე ადრეულად მივიჩნიოთ.

V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნეში არსებითად ხდება გერმანული ენის სამყაროს დღევანდელ დიალექტებად დაყოფა. აქ სახლდებიან დასავლეთ გერმანელთა ტომები: ბავარიელები, ალემანები, ტიურინგები, ფრანკები, საქსები, ფრიზები.

მეორე, ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწევა მოქმედებდა 500–იანი წლებიდან 800–იან წლებამდე, ცალკე შემთხვევებში კი 1500 წლამდე, როგორც რთული პროცესი. მისი საბოლოო შედე-

გი იყო გერმანულის დანაწევრება ერთმანეთისაგან განიჯნულ დიალექტებად.

ზემოგერმანულმა ბგერათგადაწევამ შეცვალა გერმანული ყრუ ხშული თანხმოვნები. სიტყვაში – პოზიციისა და ბგერათ-მეზობლობის კვალობაზე აფრიკატებად ან ყრუ სპირატებად.

ბაზგასმული თანხმოვნების მიხედვით გავარკვიოთ მეორე ბგერათგადაწევის პროცესი:

ინგლ.	ძვ.-ზ.-გერმ.	ახ.-ზ.-გერმ.
path	pfad	Pfad
pan	pfanna	Pfanne
deep	tiof	tief
ten	zēhan	zehn
peap	hūfo	Haufe
pilar	ptīlāri	Pfeiler
pit	pfuzzi	Pfütze
white	wīz	wieß
net	nezzi	Netz
king	chuning	König
tap	zapho	Zaphen

ინგლ.	ძვ.-ზ.-გერმ.	ახ.-ზ.-გერმ.
cake	Chnohho	Kuchen
hot	heiz	heiß
twig	zwīg	Zweig
deal	teil	Teil
weck	wohha	Woche
what	waz	was
hate	haz (ნათ.hazzes)	Hass
plant	pflanze	Pflanze
broad	breit	breit
tide	zīt	Zeit
ship	skif	Schiff

reiyady
death
sweat
token
drop

reiti
tôd
swei
zeihhan
tropfo

bereit
Tod
Schweiß
Zeichen
Tropfen

8. გერმანიკული ენების საერთო ტიპოლოგიური ნიშნები

8.1. მახვილი

ცნობილია, რომ გერმანიკული ენების ფონოლოგიურ სისტემაში, გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში ბევრი მოვლენა ინდოევროპულიდან გადმოვიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალი სტრუქტურული ნიშან-თვისება თვით გერმანიკულ ნიადაგზე განვითარდა, ამიტომ მნიშვნელოვანი სხვაობა შეიმჩნევა ინდოევროპული ფუძეენისა და საერთო გერმანულის, resp. ცალკეული გერმანიკული ენის ლექსიკასა და გრამატიკაში.

ინდოევროპულმა ფუძეენამ დიდი ცვლილებები განიცადა თანხმოვანთა პირველი ბგერათგადაწევის შედეგად. ეს მოვლენა ამა თუ იმ სახით გავრცელდა საერთო გერმანულის თითქმის ყველა სიტყვაზე, რამაც გამოიწვია სხვა ინდოევროპულ ენებთან შედარებით თანხმოვანთა სისტემობრივი შეცვლა გერმანიკულ ენებში. გარდა ამისა, საერთო გერმანულის (გერმანიკული ენების) დამოუკიდებელ ენად გაფორმების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა მახვილის შეცვლამ. საერთო გერმანულში, ნაცვლად თავისუფალი ინდოევროპული მახვილისა, ჩამოყალიბდა ფიქსირებული მახვილი. გერმანიკული მახვილი საერთო გერმანულისთვის დამახასიათებელი ერთი საერთო ლინგვისტური ნიშანია და გერმანიკული ენების უმნიშვნელოვანეს ტიპოლოგიურ მახასიათებლად ითვლება.

ინდოევროპული მახვილი ორი თავისებურებით გამოირჩეოდა:

ა) მას ახასიათებდა ხმის (ტონის) აწევა ერთ-ერთ მარცვალზე (ასეთ მახვილს ტონური ანუ მუსიკალური ეწოდება).

ბ) იგი იყო თავისუფალი(მოდრავი) – ნებისმიერი მარცვალი შეიძლება მახვილიანი ყოფილიყო. ბერძნ. *tómos* („ნაწილი“)-*tomós* („მჭრელი“).

როგორც მეცნიერები ასკვნიან, თავდაპირველად გერმანიკულსაც თავისუფალი, მოძრავი მახვილი ჰქონია. შემდეგ კი მოხდა მისი ფიქსირება პირველ (ძირეულ) მარცვალზე –ე.ი. გახდა ფიქსირებული. ფიქსირებული ეწოდება ისეთ მახვილს, რომელიც მუდმივად მოუდის სიტყვათა გარკვეულ მარცვალს. გერმანიკულ ენებში მახვილი პირველ მარცვალზე დაფიქსირდა. მაგალითად, გოთ. *bindan* „შეკვრა“ ძვ.-ისლ. *leggja* „დაწყობა“; ძვ.- ინგლ. *gangan* „წასვლა“; ძვ.-ზ.-გერმ. *haltan* „დაჭერა“.

გოთ. *giba* 'საჩუქარი'. მამასადამე. გერმანიკულ ენებში ინდოევროპული ტონური მახვილის საპირისპიროდ, თანდათან განვითარდა დინამიკური ანუ ექსპირატორული მახვილი, რომლის ძირითადი მახასიათებელია ბგერათა გაძლიერება. სამ და მეტმარცვლიან სიტყვებს ძირითადი მახვილის გარდა მეორადი მახვილიც ჰქონდა. გარდა ამისა, ზმნებთან და თავსართთან სახელებთან, მახვილის ადგილი განსხვავებულია– არსებით და ზედსართავ სახელებთან მახვილი ეცემა პირველ მარცვალს ე.ი. წინსართს, ხოლო წინსართთან ზმნებთან მახვილი მოუდის ძირეულ მარცვალს: შდრ. გოთ. *andahafts* „პასუხი“ -*and hafjan* „პასუხი“ (ზმნა)

(შდრ.რუს.*ответ и отвечать*); ძვ.-ზ.-გერმ. *urteil* „განაჩენი“ -*ir teilan* „მისჯა“; ძვ.-ინგლ. *'andsæc* „უთანხმოება“-*on sacan* „წინააღმდეგობა“.

ერთი და იმავე წინსართს, სიტყვაში მახვილის ადგილის მიხედვით, სხვადასხვა ბგერითი ვარიანტი შეიძლება ჰქონდეს– უფრო სრული სახელებთან, ასე თუ ისე რედუცირებული ზმნებთან.

ძლიერი დინამიკური მახვილის ფიქსირება პირველ (ძირულ) მარცვალზე გერმანიკულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებად ითვლება – იგი ამ ენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთო ლინგვისტური ნიშანია. გერმანიკული ენების გარდა სხვა ინდოევროპულ ენებშიც გვხვდება დინამიკური ფიქსირებული მახვილი. მაგალითად, კელტური ენებიდან ირლანდიურ ენას ჰქონდა დინამიკური მარცვალი სიტყვის პირველ მარცვალზე. გერმანიკულ ენებში, განსხვავებით სხვა ენებისგან, ფიქსირებული დინამიკური მახვილი ენათა მთელი ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ამ ენების შემდგომი განვითარება. ფიქსირებულმა დინამიკურმა მახვილმა მთელი გერმანიკული ენები მოიცვა. ეს პროცესი ნასესხებ სიტყვებზეც კი გავრცელდა. გერმანიკული ენების მიერ ნასესხებმა ლათინურმა სიტყვებმაც შეიძინა ფიქსირებული ძლიერი მახვილი სიტყვის პირველ მარცვალზე. მაგალითად, ლათინური *asellus* (მახვილი sel-ზე). შდრ. რუს. *оцѣл*, მახვილი *сел*-ზე). გერმანიკულ ენებში გვხვდება გოთ. *úsilus* (მახვილი პირველ მარცვალზე), ძველი ზემოგერმანული *ésel* (მახვილი პირველ მარცვალზე).

8.2. რედუქცია

გერმანიკულმა დინამიკურმა მახვილმა დიდი გავლენა მოახდინა გერმანიკულ ვოკალიზმზე. უმახვილო მარცვლებში ზგერის არტიკულაცია საგრძნობლად სუსტდებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა უმახვილო ბოლოკიდური ხმოვნების სრული ან ნაწილობრივი რედუქცია (შესუსტება). გრძელი ხმოვნები დამოკლდნენ, მოკლე ხმოვნები რედუქციის შედეგად გადავიდნენ

ე-ში. ამ ფონეტიკურ პროცესს ზოგ შემთხვევაში თან სდევდა აგრეთვე თანხმოვნების ცვლილებებიც:

ლათ. *hostis* გოთ. *gast*

ლათ. *iugum* გოთ. *juk*

ბერძნ. *oida* გოთ. *wait*

რედუქციის ტენდენცია გერმანიკული ენების განვითარების შემდგომ ეტაპზე გამოვლინდა.

ხმოვნების რედუქცია სიტყვის ბოლო მარცვალზე არ არის მხოლოდ გერმანიკული მოვლენა. ეს მოვლენა დამახასიათებელია საერთო სლავური, ლიტვური, ლათინური ენებისათვის. გერმანიკულ ენებში ეს ბუნებრივი პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა დინამიკური მახვილით სიტყვის პირველ მარცვალზე. ფონეტიკური რედუქციის პროცესი შეეხო სიტყვის დაბოლოებებს, ფლექსიებს, რამაც გამოიწვია ფლექსიების დაკარგვა და ბევრი გერმანიკული ენის გრამატიკული სისტემის გამარტივება. ზოგიერთ ენათმეცნიერს მიაჩნია, რომ გერმანიკული ენების, განსაკუთრებით, *ინგლისური ენის სინთეზური სისტემის რღვევა* გამოიწვია ბოლო უმახვილო მარცვალში ხმოვანთა ფონეტიკურმა რედუქციამ.

ფონეტიკური რედუქციის პროცესს უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ინგლისური ენის სინთეზური სისტემის რღვევაში, მაგრამ არ არის სწორი მისი როლის მეტისმეტი აბსოლუტიზაცია. გერმანიკული ენების ფაქტების შესწავლა ამ მოსაზრებას არ ადასტურებს. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ შვედური ენა, სადაც არ ჰქონია ადგილი ფონეტიკური რედუქციის პროცესს, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ ენაში მნიშვნელოვნად გამარტივდა სახელის სინთეზური მორფოლოგიური სისტემა. გერმანულ ენაში კი, სადაც მოქმედებდა ფონეტიკური რედუქციის პროცესი, ენამ ძირითადად შეინარჩუნა ძველი გრამატიკული სტრუქტურა, ე.ი. ფონეტიკური რედუქციის პროცესი

და გრამატიკული სტრუქტურის ცვლილება –ორი, ერთმანეთი-საგან დამოუკიდებელი პროცესია. ინგლისური ენის მაგალით-ზე კი ორივე ეს პროცესი მჭიდროდ ურთიერთმოქმედებდა, რამაც ხელი შეუწყო ამ ენაში ანალიზური წყობის ჩამოყალიბებას.

8.3. ალიტერაცია

გერმანიკული ენების თავისებურების მეორე უმნიშვნელო-ვანესი თავისებურებაა– ალიტერაციის მოვლენა. ა ლ ი ტ ე რ ა - ც ი ა ეწოდება ფუძისეული მარცვლის საწყისი ბგერების (თანხმოვნების) ერთნაირ ჟღერადობას. იგი სიტყვის პირველი მარცვლის აქცენტირების უშუალო შედეგია. სწორედ ამით აიხსნება ალიტერაციის ფართო გავრცელება გერმანიკულ ენებ-ში. გერმანულ ენაში იგი გვხვდება არა მარტო პოეზიაში, არამედ პროზაში, შესიტყვებებსა და საკუთარ სახელებში:

“ Hilti brand enti Hadubrand untar herium tuêm” („ სიმღერა ჰილდებრანდზე“).

(Hildebrand und Hadubrand zwischen Heeren zweien).

“Weh, weh Windchen”(ხალხური პოეზიიდან),

Mann und Maus; Haus und Hof; Feuer und Flamme; Kind und Kegel.

ინდოევროპულ ფუძე- ენასთან შედარებით, მნიშვნელო-ვანი ცვლილებები შეინიშნება აგრეთვე საერთო გერმანულის გრამატიკულ ფორმებშიც, მაგრამ ეს ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივ ცვლიდა სისტემას.

8.4. გრამატიკული და ლექსიკური ხასიათის ცვლილებები

გრამატიკული სხვაობიდან აღსანიშნავია ორობითი რიცხვის თანდათანობით გაქრობა. კვდომას განიცდიან მოქმედებითი, წოდებითი და ლოკალური ბრუნვები. გაქრა ძველი პასივიც, როგორც სინთეტური (ერთი სიტყვით გამოხატული) ფორმა. მისი ადგილი დაიკავა მისთვის (ვნებითი გვარის) აღწერილობითმა ფორმამ. საერთო გერმანულში თითქმის სრულიად დაიკარგა ზედსართავი სახელების ბრუნების ინდოევროპული ტიპები. მათ მაგიერ წარმოიშვა ზედსართავი სახელების ძლიერი და სუსტი ბრუნება ისეთი სახისა, როგორც დღეს არის თანამედროვე გერმანულში. ზმნაში განსაკუთრებით გაძლიერდა აბლაუტი, განვითარდა სუსტად უღლებადი ზმნების სრულიად ახალი ტიპი. ახლა ძლიერი ზმნები უკვე აღარ ქმნიან ახალ ფორმებს.

უმთავრესი მოვლენა, რომელმაც გერმანიკული ენების მორფოლოგიურ სისტემაში იჩინა თავი, იყო სიტყვის სტრუქტურის ფუნდამენტური მოდიფიკაცია: ინდოევროპული სამმორფემიანი სტრუქტურა (ძირი+ ფუძესაწარმოებელი სუფიქსი+ დაბოლოება) გერმანიკულში ორმორფემიანით (ფუძე+დაბოლოება) შეიცვალა. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველ გერმანიკულ ენებში ეს პროცესი სანახევროდაა განხორციელებული. ორმორფემიანი სტრუქტურის გვერდით, სადაც დაკარგულია ფუძესაწარმოებელი სუფიქსი, გვხვდება სამმორფემიანი ფორმებიც ანუ ფორმები, რომლებშიც ფუძესაწარმოებელი სუფიქსის გამოყოფა კიდევ შესაძლებელია. ამასთან ზმნის სისტემაში ძველი ფორმები უფრო სრულადაა შემონახული, ვიდრე არსებითი სახელის მორფოლოგიურ პარადიგმებში.

შდრ.

ლათ. *am-ā-re* (სიყვარული) ბერძნ. *ljk-a-s* (მგელი)

გოთ. *salb-ō-m* (ზვენ ვუსმევთ) გოთ. *gib-ō-m* (საჩუქარი)

ძვ.-ზ.-გერმ. *salb-ō-m* (მე ვუსმევ) ძვ.-ზ.-გერმ. *geb-ō-m* (საჩუქარი)

ფუძესაწარმოებელი სუფიქსი გერმანოკულში სამგვარ ცვა-
ლებადობას განიცდის. ერწყმის დაბოლოებას, ერწყმის ფუძეს ან
თვით იქცევა დაბოლოებად. ამ პროცესების შედეგად მიღებულ
ორმორფემიან სტრუქტურაში გამოიყოფა ფუძე (რომელიც
უმრავლეს შემთხვევაში ძირს ემთხვევა), როგორც ლექსიკური
მნიშვნელობის მატარებელი და დაბოლოება, როგორც გრამატი-
კული მნიშვნელობის მატარებელი. შემდგომში აღნიშნული
ტენდენცია გაღრმავდა. ეს თვალნათლივ ჩანს გერმანული ენის
მაგალითზე, სადაც თანდათანობით მთლიანად გაქრა სიტყვა-
ფორმის სამმორფემიანი სტრუქტურის გადმონაშთები:

შდრ.

ძვ.-ზ.-გერმ.

geb-ō-m

dank-ō-n

gib-i-t

ახ.-ზ.-გერმ.

den Gab-en

dank-en

gib-t

გრამატიკაში დასავლეთგერმანულის თავისებურებაა
ძლიერი უღლების ზმნების პრეტერიტის მხოლოდობით რიცხვის
მე-2 პირის წარმოება. ამ ჯგუფის ზმნებით პრეტერიტის მე-2
პირის ფორმად იქცა ძველი ოპტატივი. გოთურისა და ჩრდი-
ლო-გერმანულის ამავე ფორმაში აბლაუტი და -t დაბოლოება.
დასავლეთგერმანულში კი ასეთი ფორმა შეინარჩუნეს მხოლოდ
ისეთმა ზმნებმა, რომლებმაც ძველი ნამყოს ფორმები აწმყოს
გამოსახატავად გამოიყენეს (ე.წ. პრეტერიტო-პრეზენციულმა
ზმნებმა). გარდა ამისა, დასავლეთგერმანულმა ზმნა ამ *sein*
აწმყოს მხოლოდობით რიცხვში გააერთიანა ერთ ფორმაში (ძვ.-ზ.-
გერმ. *bim, bist*; ძვ.-საქს. *bium, bist*); ძვ.- ინგლ. *bio[m], bis[t]*

გოთურსა და ჩრდილო გერმანულში ასე არ მომხდარა, რადგან იქ სხვა კანონზომიერება მოქმედებდა.

რაც შეეხება ლექსიკას, გადმოცემის თანახმად, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა გერმანიკულ ენათა მნიშვნელოვან ურთიერთგავლენას ტომებს შორის, მაგრამ ამავე დროს ძლიერი იყო აგრეთვე არაგერმანიკული ენების გავლენაც, განსაკუთრებით, დასავლეთში (რაინის მიდამოებსა და გალიაში).

რომაელთა დაახლოების შედეგად განსაკუთრებით საგრძნობია ლათინური ენის გავლენა ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ლექსიკაში. საერთო გერმანულის პერიოდში ლათინური ენა ფართოდ იყო ცნობილი თითქმის ყველა გერმანიკული ენის ტერიტორიაზე. ზოგიერთი ლათინური სიტყვა გოთურში დასავლეთის რაიონებიდან შეიჭრა ჩვ.წ. პირველ ორ საუკუნეში. ცნობილია, რომ ამ დროს რომაელები და გოთები უშუალო მეზობლობაში არ ყოფილან. საერთო გერმანულის ეპოქაში ნასესხებ სიტყვებს სპეციალისტები განსაზღვრავენ იმის მიხედვით, განიცადა თუ არა ამ სიტყვამ ძველი ზემოგერმანული ანუ მეორე ბგერათგადაწევა და e-ს გადასვლა i-ში, როცა იგი წ ი ნ უ ძ ღ ო დ ა ბ გ ე რ ა თ კ ო მ პ ლ ე ქ ს n+ თანხმოვანს. უძველეს ეპოქაში ლათინურ სიტყვებში c წინა რიგის ხმოვნების (e-სა და i-ს) წინა პოზიციაში წარმოითქმებოდა როგორც k; V-VII საუკუნეებში k ამ პოზიციაში გადაიქცა ts. მაშასადამე სიტყვები: Kirsche (ლათ. ceresia) „ალუბალი“, Wicke (ლათ. vicia) „ცერცველა“, Kiste (ლათ. cista) „ყუთი“. აღნიშნულ პერიოდამდე უნდა შესულიყო გერმანულში.

უცხოური სიტყვების სესხების პარალელურად, გერმანიკული ენები თვითონვე ახდენდნენ გავლენას სხვა ენებზე. გერმანიკულიდან ნასესხები სიტყვები გვხვდება კელტურში, რომანულში, ფინურში, ლაფლანდურში, პრუსიულში, ლიტვურსა და ლატვიურში. გერმანიკული სიტყვები გვხვდება აგრეთვე ძველ

სლავურშიც. გერმანულიდან სხვა ენებში ნასესხები სიტყვებით შესაძლოა ვიმსჯელოთ ეკონომიური და კულტურული ცხოვრების იმ დარგებზე, რომლებითაც გერმანელები ახდენდნენ გავლენას მეზობელ ხალხებზე.

9. გერმანიკული ზმნა

9.1. ძლიერი ზმნები

ინდოევროპულ ენებში ზმნის ფუძეების სხვადასხვა ტიპი არსებობდა. ეს ფუძეები იყო თემატური და ათემატური. თემატურ ფუძეებში შეიმჩნეოდა ხმოვნების მონაცვლეობა. ინდოევროპულ ენებში ეს იყო ხმოვნები [e/o], რომელიც იყო გარკვეული ფუძის მაჩვენებელი და ფუძისა და დაბოლოებას შორის ერთგვარი მაკავშირებელი რგოლი. შდრ. ბერძნ. *leip/e/te, leip/o/ men* „ტოვებთ“, „ვტოვებთ“. ათემატური ეწოდება უპირველეს ყოვლისა ფუძეებს გრძელი ხმოვნებით ან ფუძის იმ ტიპს, სადაც ძირითადი მაჩვენებელია სონორი (ნარნარი ბგერა) [m(n)]. ყველაზე ფართოდ ათემატური ტიპები წარმოდგენილია სანსკრიტში, შდრ. *bhūrami* (' მიმაქვს'), (*ásmi* სლავ. емь.('ვარ'); შედარებით გრამატიკაში მიღებულია ათემატური ეწოდოს აგრეთვე ფლექსიის უშუალოდ ძირთან შეერთების ხერხს მაერთებელი ხმოვნის გარეშე. მაგალითად, ბერძნ. *phér-to* 'მიჰქონდათ'. როგორც ბერძნული ენის მაგალითებიდან ჩანს, მკაფიოდ გამოიყოფა *ძირი+სიტყვის ფუძესაწარმოებელი სუფიქსი + დაბოლოება*, ე.ი. სამმორფორმიანი (საშწევრიანი) სტრუქტურა. თუმცა ინდოევროპული ენების ფარგლებშიც, რომელიც მდიდარია სხვადასხვა მორფოლოგიური წარმონაქმნებით, ძირი ხშირად ემთხვევოდა სიტყვის ფუძეს და ფუძესაწარმოებელის მაჩვენებელი სუფიქსი, ერწყმოდა რა დაბოლოებას – არ გამოიყოფოდა. ასე, რომ ძველ ბერძნულშიც, რომელსაც ზუსტად განლაგებული და მკაფიოდ გამოხატული მორფემული ნიშნები აქვს, ისეთ ფორმაში, როგორიცაა *phérō* 'მიმაქვს' გრძელ /ō/-ში უკვე შეუძლებელია ფუძესაწარმოებელი ხმოვნის გამოყოფა.

როგორც აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანესი ტენდენცია, რომელმაც გერმანიკული ენების მორფოლოგიურ სისტემაში იჩინა თავი, იყო სიტყვის სტრუქტურის ფუნდამენტური მოდიფიკაცია. ინდოევროპული სამმორფემიანი სტრუქტურა (ძირი+ფუძე-საწარმოებელი სუფიქსი+დაბოლოება) თანდათანობით შეიცვალა ორმორფემიანი სტრუქტურით.

სხვა სახესხვაობა, რაც გერმანიკულმა ენებმა ინდოევროპულთან მიმართებაში განიცადა, მდგომარეობს შემდეგში:

ინდოევროპულ ენაში ზმნის ფუძე გამოხატავდა არა დროის გრამატიკულ კატეგორიას, არამედ ასპექტს. გერმანიკულ ენებში კი ზმნის ფუძე გამოხატავს აწმყო დროს ან წარსულ დროს (პრეტერიტს). მაგ. გოთ. *bindan* (ვკრავ) – *band* (შევკარი). ამრიგად, დროის კატეგორია გერმანიკულ ენებში გადაიქცა ზმნის წამყვან გრამატიკულ კატეგორიად (მაგ. შეადარეთ გერმანულ ენაში ზმნის აღმნიშვნელი სიტყვა *Zeitwort* „დროითი სიტყვა“).

ზმნები გერმანიკულ ენებში იყოფა:

- 1) ძლიერ ზმნებად;
- 2) სუსტ ზმნებად;
- 3) პრეტერიტო-პრეზენტულ ზმნებად;
- 4) არაწესიერ ზმნებად.

ტერმინები „ძლიერი“ და „სუსტი“ ენათმეცნიერებაში იაკობ გრიმმა შემოიტანა. მან ზმნათა ერთ ჯგუფს უწოდა ძლიერი, ვინაიდან მათ უფრო მეტი ფორმა აქვთ, ვიდრე სუსტ ზმნებს. კერძოდ, ძლიერ ზმნებს ოთხი ძირითადი ფორმა აქვთ: *ინფინიტივი, ნამყო / პრეტერიტი მხოლობითი, ნამყო / პრეტერიტი მრავლობითი და ნამყო დროის*

მიმღეობა. სუსტ ზმნებს კი აქვთ მხოლოდ სამი ფორმა: *აწმყო, ნამყო / პრეტერიტი, მიმღეობა II*. გერმანიკული ძლიერი ზმნები თავიანთ ძირითად ფორმებს აწარმოებენ აბლაუტის, ანუ ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობის საფუძველზე.

აბლაუტი ანუ აპოფონია (ბერძნ. *apo* „გან“ „*phōnē* „ბგერა“, „გადაბგერება) არის სიტყვაში ხმოვნის ფონოლოგიური მონაცვლეობის გამოყენება გრამატიკული ფორმის გასარჩევად.

მაგ. ძვ.- ინგლ. *wītan- wrīt- writon-writen*.

მოცემულ მაგალითში *i-ī-i* ხმოვნის ფონოლოგიური მონაცვლეობა გამოიყენება ძველი ინგლისური ზმნის *wītan* გრამატიკული ფორმების გასარჩევად (აწმყო, ნამყო მხოლობითი, ნამყო მრავლობითი, მიმღეობა II).

აბლაუტი არ არის მხოლოდ გერმანიკული ენებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი. იგი ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა და გვხვდება ენათა სხვა ოჯახებშიც. განსაკუთრებით გავრცელებულია სემიტურ ენებში. გერმანიკულმა ენებმა კი იგი შემკვიდრეობით მიიღო პროტოინდოევროპული ენიდან.

აბლაუტმა ფართო გავრცელება ჰპოვა გერმანიკულ ენებში და სისტემატურად გამოიყენებოდა სიტყვათწარმოებისას, ძირითადად კი ფორმათწარმოებისას.

აბლაუტი ორი სახის შეიძლება იყოს: *თვისებრივი* და *რაოდენობრივი*.

თვისებრივი აბლაუტი არის სხვადასხვა ხმოვნების მონაცვლეობა. ძირითადად *e-o* ხმოვნებისა, რომელიც თვისებრივი აბლაუტის ყველაზე გავრცელებული ფორმა ინდოევროპულ ენებში. მაგალითად,

ბერძ. *lego* „ვამბობ“ - *logos* „სიტყვა“.

ლათ. *tego* „ვფარავ“ - *toga* „ტანსაცმელი“.

რაოდენობრივი აბლაუტის დროს მონაცვლეობენ ერთი და იმავე ხმოვნის გრძელი და მოკლე ვარიანტები. ხმოვნის სიგრძის მიხედვით გამოიყოფა აბლაუტის სამი საფეხური: *ნორმალური* (მოკლე ხმოვანი), *დაგრძელების საფეხური* (გრძელი ხმოვანი), *ნულოვანი საფეხური* (რედუქციის საფეხური).

რიგ შემთხვევაში ხმოვანთმონაცვლეობაში მონაწილეობს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი აბლაუტი. ინდოევროპულ თვისებრივ აბლაუტს *e-o*, გერმანიკულში შეესატყვისება ხმოვანთმონაცვლეობა *e-a*.

მაგ. ძვ.- ისლ. *bera* „ტარება“ – *barn* „ბავშვი“.

ძვ.- ინგლ. *bindan* „შეკვრა“ – *band* „თასმა“.

ინდოევროპულ რაოდენობრივ აბლაუტს *o-ō* ინდოევროპულ *o-s* გერმანიკულ *a*-ში გადასვლის გამო ($o > a$) გერმანიკულში შეესატყვისება თვისებრივი აბლაუტი *a-ā*.

გერმანიკულ ენებში აბლაუტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა *e-a-ნული*. ძველ გერმანიკულ ენებში აბლაუტი ყველაზე ფართოდ გამოიყენება ძლიერი ზმნების პარადიგმაში. აბლაუტის საშუალებით იწარმოებოდა ძლიერი ზმნის ოთხი ძირითადი ფორმა: *ინფინიტივი, პრეტერიტი მხოლობითი, პრეტერიტი მრავლობითი, მიმღეობა*.

ძველი გერმანიკული ენების ზმნები 7 კლასად იყოფა. პირველი ხუთი კლასის ძლიერი ზმნები თავიანთ ფორმებს აწარმოებენ *e-a-ნული* ხმოვანთმონაცვლეობის საფუძველზე.

ძველი გერმანიკული აბლაუტი ყველაზე კარგად შემოინახა გოთურმა ენამ.

გოთური ზმნები:

	ინფ.	ნამყო მხ.	ნამყო მრ.	მიმღეობა II
I კლასი	<i>greipan</i>	<i>graip</i>	<i>gripum</i>	<i>gripans</i>
II კლასი	<i>biugan</i>	<i>baug</i>	<i>bugum</i>	<i>bugans</i>
III კლასი	<i>bindan</i>	<i>band</i>	<i>bundum</i>	<i>bundans</i>
IV კლასი	<i>niman</i>	<i>nam</i>	<i>nēmum</i>	<i>numans</i>
V კლასი	<i>qipān</i>	<i>qap</i>	<i>qēþum</i>	<i>qipans</i>

ანალოგიურია: *reisan-rais-risum-risans* –ასვლა–ავიდა, ჩვენ ავდექით, წამომდგარი (წამოყენებული) (I კლასი);

kiusan-kaus-kusum-kusans-ამორჩევა, აირჩია, ჩვენ ამოვირჩიეთ, ამორჩეული (II კლასი) და ა.შ.

ძველი გერმანიკული ენების ძლიერი ზმნების VI კლასის საფუძვლად უდევს თვისებრივი აბლაუტი *a-ō-ნული*

VI კლასი გოთ.	<i>faran</i> 'to travel'	fōr	<i>fōrum</i>	<i>farans</i>
ძვ.-ინგლ.	<i>faran</i>	<i>fōr</i>	<i>fōrom</i>	<i>faran</i>
ძვ.-ისლ.	<i>fara</i>	<i>fōr</i>	<i>fōrum</i>	<i>farinn</i>

VII კლასის ზმნების ფორმების წარმოება გოთურში ეფუძნება რედუპლიკაციას, ანუ ზმნის საწყისი მარცვლის გაორმაგებას.

მაგ. *haitan* 'დაძახება', 'წოდება' - *haihait-haihaitum-haitans*.

ზოგიერთ გოთურ ზმნაში ერთდროულად რედუპლიკაციასაც ვხვდებით და ხმოვანთმონაცვლეობასაც. ძირითადად ასეთი ტიპის ზმნებში ძირი უცვლელი რჩება ყველა ფორმაში; ორმაგდება ძირის თანხმოვანი.

მაგ. *lētan* 'ნების დართვა' - *lailōt-lailōtum-lētans*.

აქ გრძელი ხმოვნების [ē- ō] მონაცვლეობას ზოგიერთი მკვლევარი განიხილავს, როგორც ინდოევროპული [ē- ō-a] - ს რეფლექსს.

უნდა აღინიშნოს, რომ გოთური ენის გარდა, სხვა გერმანიკულ ენებში რედუპლიკაციის თითო-ოროლა შემთხვევაა შემორჩენილი. ძირითადად, გერმანიკულ ენებში რედუპლიკაციის შედეგად მიღებული ძირები შეიკუმშა და წარმოშვა ხმოვნის გრადაციის სრულიად ახალი ტიპი. ვინაიდან VII კლასის ზმნებში ხმოვნის მონაცვლეობა წარმოიშვა სხვადასხვა გაორმაგებული მარცვლების შერწყმის შედეგად, ამდენად VII კლასის ზმნებს, განსხვავებით დანარჩენი 6 კლასისაგან, არა აქვს ხმოვნის გრადაციის ერთი ტიპი, ყველა ზმნას თავისებური ხმოვანთმონაცვლეობა აქვს.

ძლიერი ზმნების უღლებების ნიმუში გოთურში: *niman*

თხრობითი კილო, აწმყო
მხ.რ.

nima „ვიღებ“

nimis „იღებ“

nimiþ „იღებს“

ორობითი

nimōs „ჩვენ ორნი ვიღებთ“

nimats „თქვენ ორნი ვიღებთ“

მრ.რ.

nimam „ვიღებთ“

nimiþ „იღებთ“

nimand „იღებენ“

თხრობითი კილო, ნამყო

მხ.რ.

nam „ავიღე“

namt „არღე“

nam „აიღო“

ორობითი

nēmu „ჩვენ ორმა ავიღეთ“

nēmuts „თქვენ ორმა აიღეთ“

მრ.რ.

nēmum „ავიღეთ“

nēmup „აიღეთ“

nēmum „აიღეს“

კავშირებითი კილო, აწმყო

nimau „ავიღო“

nimais „აიღო“

nimai „აიღოს“

nimaiwa „ჩვენ ორმა ავიღოთ“

nimaits „თქვენ ორმა აიღოთ“

nimaima „ავიღოთ“

nimaiþ „აიღოთ“

nimaina „აიღონ“

კავშირებითი კილო, ნამყო

nēmjau „ავიღებდი“

nēmeis „აიღებდი“

nēmi „აიღებდა“

nēmeiwa „ჩვენ ორნი ავიღებდით“

nēmeits „თქვენ ორნი აიღებდით“

nēmeima „ავიღებდით“

nēmeiþ „აიღებდით“

nēmeina „აიღებდნენ“

9.2. სუსტი ზმნები

სუსტი ზმნები, ძლიერი ზმნებისაგან განსხვავებით, უფრო გვიანდელი წარმონაქმნებია. ამ მორფოლოგიური კლასის ზმნები ძირითადად ნაწარმოებია სახელებისა და სხვა ზმნებისაგან.

გერმანიკულ სუსტ ზმნებს, ძლიერი ზმნებისაგან განსხვავებით საერთო ნიშნები აქვთ, კერძოდ, პრეტერიტისა და ნამყოფის მიმღობას ისინი ერთნაირად აწარმოებენ დენტალური სუფიქსის საშუალებით *d / t/p/D*

გოთ. *haban-habaida- habaiþs; fiskōn-fiskōda-fiskops;*

ძვ.-ზ.-გერმ. *habēn-habēta-gihabēt; dankōn- dankōta-gidankōt;*

ძვ. ისლ. *kalla* 'დამახება' - *kallaDa-kallaDr*

ყველაზე მეტად გავრცელებულია დენტალური სუფიქსის წარმოშობის თეორია „კეთების“ მნიშვნელობის აღმნიშვნელი ზმნისაგან რედუპლიკაციით. შდრ. ძვ.-ინგლ. *dŋn* 'კეთება' გერმ. *tat,taten* (აკეთებდა, აკეთებდნენ). შდრ. გოთური ფორმები, სადაც ხმოვნების [d-t] შესაბამისობა დაკავშირებულია თანხმოვნების II ბგერათგადაწვევის პროცესებთან. ძვ.- ინდ. *dādhāmi* 'ვადგენ'. ბერძნ. *ti-thēmi* 'ვადგებ, ვდებ', ლათ. *fēci* 'აკეთებდა', ლიტ. *dėti*, რუს. *делать* 'კეთება'. აღსანიშნავია, რომ გოთურში ეს ზმნა დამოუკიდებლად არ არსებობს. (იხ. I ბგერათგადაწვევის III მუხლი). საერთოინდოევროპული რეკონსტრუირებული ზმნის **dhē/ dhō*. ფორმები, რომლებიც წარსულ დროს დენტალური სუფიქსების სუფიგირების საშუალებით აწარმოებდნენ, ყველაზე მკაფიოდ მხოლოდ გოთურმა ენამ შემოგვინახა.

სუსტი ზმნები გოთურში იყოფა ოთხ კლასად:

I კლასში შედიან - ზმნები, რომლებსაც სიტყვის ფუძეზე დაერთვის სიტყვამაწარმოებელი სუფიქსი *j* (i); სუფიქს დაერთვის დაბოლოება, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ

გრამატიკული ფორმისთვის: *j* – წარმოადგენს არა ფუძის, არამედ სიტყვამაწარმოებელ სუფიქსს, რამდენადაც მათი მემკვიდრეობით იწარმოება ზმნები. (მათ ხშირად (*jan* ფუძიან ზმნებს უწოდებენ). სუსტი ზმნები, როგორც ავღნიშნეთ ძირითადად ნაწარმოები ზმნებია. ამ კლასში შედის უმეტესწილად ზმნები, რომლებიც ძირითადად ზედსართავი სახელებისაგან, ნაკლებად არსებითი სახელიდან ან სხვა ზმნებიდან, (ე.წ. კაუზატივებიდან) არიან ნაწარმოები. *კაუზატივებია* ზმნები, რომლებიც წაქეზებას, შეგულიანებას გამოხატავენ – განსაზღვრული მოქმედების დასასრულებლად. (ლათ. *causa* 'წაქეზება'). კაუზატივი წარმოიქმნება *ძლიერი ზმნის* წარსული დროს მხოლოდითი რიცხვისაგან. მაგ., V კლასის ძლიერი ზმნა *sitan* 'ჯდომა' –*sat* (წარს. დრ. მხ. რ.) ნაწარმოებია კაუზატივიდან – *sat-j-an* 'დარგვა', I კლასის ზმნა *reisan* 'ადგომა' – *rais* – აწარმოებს კაუზატივს წინსართით: *ur-rais-j-an* 'წამოყენება', V კლასის ზმნა *Ligan* 'წოლა' – *lag* – წარმოქმნის კაუზატივს *lag-j-an* 'დადება'. შდრ. კაუზატური წყვილები ინგლისურში: *sit-set; rise-rear*, (*rear* 'აწევის' მოძველებული მნიშვნელობაა, მისი ხელახალი გააზრებით ნიშნავს: 'აღზრდა').

ძველ გერმანიკულში გაცილებით ბევრი იყო კაუზატური წყვილები. იგი არსებობდა სხვა ენებშიც. ადამიანის აბსტრაქტული აზროვნების განვითარების პროცესში, იმ გრამატიკულმა მაჩვენებლებმა, რომლებიც აბსტრაქირების ნაკლებ უნარს ამჟღავნებდნენ, თანდათან დაკარგეს კაუზატივები, ორობითი რიცხვი და წაიშალა შესაბამისი განსხვავებებიც.

მიუხედავად იმისა, რომ დენტალურსუფიქსიანი ზმნები სუფთა გერმანიკული მოვლენაა, სიტყვამაწარმოების მაჩვენებლების ანალოგიური ტიპები *j(i)* ელემენტებით არსებობს ინდოევროპულ ენებშიც. ეს მოვლენა მემკვიდრეობით გადმოეცა

სპეციფიკურ გერმანიკულ კატეგორიებს: (შდრ. *capio* 'ვღებულობ', *facio* 'ვაკეთებ').

I კლასის ზმნები გოთური ენის ოთხივე ფორმაში:

ა) ზედსართავ სახელებში: *daup/ida* - „მოკვლა“ *daup/i/dē-dum- daup/iþs* (წარმოქმნილია ზედსართავი სახელისაგან *daups* 'მკვდარი').

სუსტი ზმნები გერმანიკული ინოვაციაა. ზმნათა ასეთი ჯგუფი არ გვხვდება არცერთ სხვა ინდოევროპულ ენაში. მიმდებარე II-ის დენტალური სუფიქსი მომდინარეობს ინდოევროპული სუფიქსიდან- *to. შდრ. ლათ. *amatus* (ნაცემი, ნაბეგვი, გატეხილი) I ბგერათგადაწვევის თანახმად [-t>þ]; ინტენსივობის პოზიციამი ხდება [þ] -ს გახმოვანება და გადადის [d]-ში (მჟღერი სპირანტი [d]). - *daupida* - არის სუსტი ბრუნების მიმდებარის ფორმა; *hail/j/an, მკურნალობა* - *hail/i/dēdum -hailiþs* წარმოქმნილია ზედსართავი სახელისაგან *hails* 'მთელი', 'ჯანმრთელი'.

ბ) არსებითი სახელებისაგან: *namn/j/an* 'დასახელება', 'წოდება' - *namnida-namnidēdum-namnþs* (წარმოქმნილია არსებითი სახელისაგან: *namo* სახელი). *nasjan* 'გადარჩენა' - *nasida-nasidēdum-nasiþs* (წარმოქმნილია არსებითი სახელისაგან: *naseins* 'გადარჩენა/ შველა, როგორც არს.სახ.)

გ) კაუზატივი- *sat-j-an* 'დარგვა' *satida-satidēdum-satiþs* - წარმოქმნილია - V კლასის ზლიერ ზმნისგან *sitan* 'ჯდომა'.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად წარმოშობისა, I კლასის ზმნების ძირითადი ფორმები ერთნაირია. ზმნების ეს კლასი სხვა კლასებთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია და ისევ ვითარდება სხვა გერმანიკულ ენებშიც.

I ჯგუფის კლასებში გამოიყოფა ზმნების მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომლებსაც სუფიქსი j(i) მხოლოდ ინფინიტივში აქვთ, წარსულში ეს სუფიქსი არ აღინიშნება. სუსტი ზმნების პრე-

ტერიტის ეტიმოლოგია არ არის დადგენილი. ეს ფორმა ა. მეიეს აზრით, არ არის ინდოევროპული ფორმა, ამიტომ სხვა ენებთან შედარება არაფერს არ იძლევა. ეს ფორმა გერმანიკული ინოვაციაა და მისი წარმოშობა განეკუთვნება უფრო გვიანდელ პერიოდს, ვიდრე ინდოევროპული ეპოქა.

ამრიგად, I კლასში შემავალ *-jan* ფუძიან ზმნებს აქვთ ხმოვანი *i* დენტალური სუფიქსის წინ პრეტერიტსა და მიმდებარე II-ში.

lagjan – lagida – lagij.s 'to say' (თქმა)

blindjan – blindida – blindij.s 'to blind' (დაბრმავება)

fulljan – fullida – fullij.s 'to fill' (ავსება)

hrainjan – hrainida – hrainij.s 'to clean' (გასუფთავება).

II კლასში შედის *sn* ფუძიანი არსებითი სახელები.

ესენი არიან სახელებისაგან ნაწარმოები ზმნები. ამ კლასის ზმნებს აქვთ ხმოვანი *-n* დენტალური სუფიქსის წინ. ამ კლასის ზმნებს აბსოლუტური მკაფიო სტრუქტურა აქვთ. ანალოგიური სუსტი ზმნების ყველა კლასის გრამატიკული დაბოლოებები.

Fisk/s/n – fisk/s/da – fisk/s/dēdum – fisk/s/ps (*fisks* "თევზი")

salb/s/n – salb/s/da – salb/s/dēdum – salb/s/ps.

sn ტიპის ზმნებს აქვთ პარარელები სხვა ინდოევროპულ ენებშიც; მაგალითად, ბერძნ. *timā* ²*mi* 'პატივს მივაგებ'

III კლასი აერთიანებს *-ai* ფუძიან ზმნებს.

haban – habaida – habaidēdum – habaijs;

liban – libaida – libaidēdum – libaijs.

სუსტი ზმნების ეს კლასი შეიცავს ზმნების მცირე ჯგუფს, რომელთა წარმომავლობის შესახებ ბევრი საკითხი გაურკვეველია. შესაძლებელია, რომ ამ კლასში გაერთიანებულ ზმნებში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ინდოევროპული ფუძის ერთმანეთში არევას.

IV კლასი გამოიყოფა მხოლოდ გოთურ ენაში. ამ კლასში შედის *nan* ფუძიანი გარდაუვალი ზმნები. გამოხატავენ რა ახალ

მდგომარეობაში გადასვლის ან ახალი მოქმედების დაწყებას- აქვთ პასიური მნიშვნელობა. ისინი ნაწარმოებია ზმნებიდან, ზედსართავი სახელებისაგან, ხდება მათი I კლასის ზმნებთან გადაჯვარება. შდრ. *fulljan'* შევსება', *fullnan* შევსება-ივსება) – *fullnōda* –*fullnōdēdum*, „ავსება (ავსება)“.

blindnan –*blindnoda* „დაბრმავება (დაბრმავედება)“. ამ ზმნებს პასიური მნიშვნელობის გამო არ აქვთ მიმღეობა.

როგორც ძლიერი და სუსტი ზმნების ფორმამაწარმოებლების მაგალითებზე ვნახეთ, სუსტი ზმნების კატეგორია დენტალური სუფიქსით ნაწარმოები პრეტერიტითა და მიმღეობა II-ით ჩამოყალიბდა საერთოგერმანიკულში. მაშასადამე, ისინი, ერთი მხრივ, სპეციფიკურ გერმანიკულ გრამატიკულ მოვლენას წარმოადგენს, მეორე მხრივ –ასე თუ ისე უახლოვდებიან საერთო ინდოევროპულ ტიპს.

თანამედროვე გერმანიკულ ენებში დაიკარგა განსხვავება სუსტი ზმნების კლასებს შორის და სუსტი ზმნები უპირის-პირდებიან იმ ზმნებს, რომლებიც ძლიერი ზმნებისგან შემორჩა.

9.3. პრეტერიტო-პრეზენსული ზმნები

ზმნათა ეს ჯგუფი მცირერიცხოვანია. ისინი გამოხატავენ სურვილს, ვალდებულებას, აუცილებლობას, შესაძლებლობას და ა.შ. ზმნათა ეს ჯგუფი შემდგომში საფუძვლად დაედო მოდალურ ზმნებს. პრეტერიტო-პრეზენსულმა ზმნებმა ეს სახელწოდება შემდეგი თავისებურების გამო მიიღო: ამ ზმნების აწმყო დროის ფორმა დაემთხვა ძლიერი ზმნების პრეტერიტს. ამრიგად, პრეტერიტო-პრეზენსული ზმნების აწმყო დროის ფორმა არის შინაარსით აწმყო, ფორმით კი პრეტერიტი. აქედან წარმოდგება ტერმინი– პრეტერიტო-პრეზენსული.

პრეტერიტის ფორმის დამთხვევამ აწმყო დროის ფორმასთან წარმოშვა ახალი პრეტერიტის წარმოების აუცილებლობა და ახალი პრეტერიტი აღმოცენდა დენტალური სუფიქსის საშუალებით, ე.ი. სუსტი ზმნების პრეტერიტის მიხედვით. გერმანიკულ ენებში შემონახულია პრეტერიტო-პრეზენსული ზმნების თითქმის ყველა ფორმა.

პრეტერიტო-პრეზენსულ ზმნებს აქვთ ექვსი ძირითადი ფორმა.

ინფ.	აწმყო მხ.	აწმყო მრ.	ნამყო მხ.	ნამყო მრ.	მიმღეობა II
გოთ.					
<i>kunnan</i>	<i>kann</i>	<i>kunnum</i>	<i>kunþa</i>	<i>kunþedun</i>	<i>kunþs</i>
ძვ. ინგლ.					
<i>cunnan</i>	<i>can</i>	<i>cunnon</i>	<i>cuDe</i>	<i>cuDon</i>	<i>cunnan</i>

გოთურში შემორჩენილი ამ ტიპის ზმნების ზოგიერთი ნიმუში

I რიგის აბლაუტი (ძლიერი ზმნების I კლასი)

I ს. მხ. რ. აწ. დრ. 'wait' 'მე ვიცი', მრ. რ. *witum* 'ჩვენ ვიცით'

(შდრ. ძლიერი ზმნების შესაბამისი კლასის აბლაუტი)

I ს. მხ. რ. წარს. დრ. *wissa* 'მე ვიცოდი', მრ. რ. *wissēdum* 'ჩვენ ვიცოდით'

I ს. მხ. რ. აწ. დრ. *aihi* 'მე მაქვს/მყავს' მრ. რ. *aigum* 'ჩვენ გვაქვს/გვყავს'.

I ს. მხ. რ. წარს. დრ. *aihta* 'მე მქონდა/მყავდა'

II რიგში გვხვდება ერთადერთი ზმნა ფორმით *daug-* მნიშვნელობით: 'მე გამოვდგები', 'მე შემიძლია'.

III რიგი:

kann 'მე ვიცი', *konnum* 'ჩვენ ვიცით', *kunþa* 'მე ვიცოდი', *kunþs* 'ცნობილი'.

IV რიგი:

skal 'მე უნდა'..(გავაკეთო რაღაც). *skulum* 'ჩვენ უნდა' (გავაკეთოთ რაღაც), *skulda*, მე უნდა (გამეკეთებია). *skuldēdum* 'ჩვენ უნდა (გაგვეკეთებია)', *skulds* 'ვალდებულნი'.

V რიგი:

mag 'მე შემიძლია', *magum*, 'ჩვენ შეგვიძლია', *mahta* 'მე შემეძლო'.

ამ კლასში ხმოვანთმონაცვლეობა მთლიანად არ ემთხვევა V რიგის აბლაუტს, ამიტომ პრეტერიტში გვაქვს მონაცვლეობა /a-ē/

VI რიგი:

gamōt 'მე შემიძლია (დადასტურებულია ფორმა- *gamōstē dun*' მათ შეეძლოთ'. წარს.დრ.მრ.რ.ფორმა). ამ ზმნების ინფინიტივი (თუ ისინი საერთოდ დასტურდება) წარმოიქმნება აბლაუტის საწყისი საფეხურიდან: *witan*, *kunnan*.

მიუხედავად იმისა, რომ გოთურ ბიბლიაში პრეტერიტი – პრეზენსული ჯგუფის ზმნების ყველა ფორმა არ გვხვდება, ეს წარმონაქმნები წარმოადგენს რეგულარულ, თუმცა თავისებურ სტრუქტურას, რომელიც ისევ გვხვდება სხვა გერმანიკულ ენებში, კერძოდ, ინგლისურშიც.

9.4. არაწესიერი ზმნები

არაწესიერ ზმნებს ზოგჯერ არასტანდარტულ ზმნებსაც უწოდებენ მათი განსაკუთრებული მორფოლოგიური მახასიათებლების გამო, რომელიც ჩვენ მიერ განხილული ზმნების კლასების არც ერთ ტიპს არ შეეფერება.

ეს არის მცირერიცხოვანი ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც თავის ძირითად ფორმებს აწარმოებენ სუპლექტურად. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის ყველაზე გავრცელებული ზმნაა 'ყოფ-

ნა', რომელიც ყველაზე ძველ და ყველაზე გამოყენებად ზმნად ითვლება. ამიტომ მათში შემორჩენილია რელიქტური ფორმები. ერთ-ერთი ასეთი რელიქტური ფორმა ათემატური დაბოლოება -mi, შდრ. ძვ.- ინდ. āsmi, სლავ. есмь, ლათ. sum, ინგლ. am, გერმ. bin. ზმნა 'ყოფნა'-ში შემორჩენილია გრამატიკული ფორმების წარმოების ძველი ხერხი-სუპლექტურობა, ე.ი. ერთი სიტყვიდან სხვადასხვა ფორმის წარმოება სხვადასხვა ძირის საშუალებით: ინგლ. be, was, been; I go- I went; I am-he is; გერმ. sein, war, gewesen; Ich bin-Er ist და ა.შ.

'ყოფნა' (to be, sein) ზმნის ფორმების საერთო ინდოევროპული წარმომავლობის პარადიგმა სხვადასხვა ინდოევროპულ ენების პრეზენსში:

ძვ.-ინდ.	ბერძნ.	ლათ.	სლავ.	გოთ.	ძვ. ინგლ.	ძვ.-ზ. გერმ.
მხ.რ.						
āsmi	eimí	sum	есмь	im	eom, bēom	bim, bin
āsi	eis	es	еси	is	eart	
āsti	ésti	est	есть	ist	is	

მრ.რ.

āsmu	ésmén	sumus	есмы	sijum	sind(on)
ásthu	ésté	estis	есте	sijub	sint
santi	eisi(n)	sunt	суть	sind	

ამ ზმნების პარადიგმა მომდინარეობს ინდოევროპული ძირიდან *es, რომელიც ძვ. ინდურში, ბერძნულსა და ლათინურში გამოისახება როგორც *as*, რუსულშიც როგორც [e]. ეს შესატყვისობა ინდოევროპული ხმოვნების კორესპონდენციის წესის თანახმად კანონზომიერია; *sun* ტიპის ფორმაში ძირი *es-ს გაჟღერება ნულთანაა გატოლებული ინდოევროპული და

გერმანიკული კორელაციის მიხედვით, გოთურში კი ხმოვანი [e] გაჟღერებულია როგორც [i], დასავლურგერმანიკულ ენებში [e].

‘ყოფნა’ ზმნის მნიშვნელობით არა ერთი ზმნა არსებობდა ინდოევროპულ ენებში. ინდოევროპული *es –ძირთან პარარელურად არსებობს ძირი *bheu, bhū რომლის ორი საწყისი თანხმოვანი I ბგერათგადაწევის კანონზომიერების მიხედვით მხოლოდ ძველ ინდურში აისახებოდა როგორც bh.სავარაუდოა, რომ ამ ძირის პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო: ‘წარმოქმნა’, ‘გაზრდა’, ‘გახდომა’. სანსკრიტში ეს ძირი გამოსახულია ზმნაში – bhāvati ‘გახდომა’. გერმანიკულ და სლავიანურ ენებში [bh] იძლევა [b]–ს.რუს.–быть და ინგლ.be გერმ. (ich bin). ბერძნულსა და ლათინურში [bh] გამოსახულია როგორც [f] შდრ. ბერძნ. phūo ‘ვზადებ’, ლათ. fieri ‘გახდომა’, ‘ყოფნა’. აქედან განვითარდა futūres ‘მომავალი’.

‘ყოფნა’ მნიშვნელობით წარმოდგენილია Vკლასის ძლიერი ზმნა გოთურში: (was, wēsun, wisans), შდრ. ინგლ. was- were, გერმ. war,

ძვ.–ინდ. vísati ‘ცხოვრობს’.

გოთურში არის კიდევ ერთი სუპლექტური ზმნა, რომელმაც ასახვა ჰპოვა ინგლისურში –gaggan-(gg=[ŋ]) ‘წასვლა’ წარს.დრ. iddja ‘მიდიოდა’. პრეტერიტის ძირი ნაწარმოებია ინდოევროპული ძირისაგან ἰმნიშვნელობით ‘წასვლა’, ‘ისურვო’, ‘მიისწრაფოდე’. შდრ.რუს.идти ლათ.īre.

დასავლეთგერმანიკულ ენებში წარმოდგენილია არაწესიერი ზმნები მნიშვნელობით: ‘კეთება’ და ‘წასვლა’; ძვ.–ინგლ. dōn, ძვ.–ზ.–გერმ. tuon (კეთება); ძვ.–ინგლ.gān, ძვ.–ზ.– გერმ.gān (წასვლა); ძველ საქსონურსა და ძველ ზემოგერმანულში დასტურდება არაწესიერი ზმნა ‘დგომა.’ ძვ.–საქს .stān, ძვ.–ზ.–გერმ, stān, (შდრ. რუს. стоять).

10. არსებითი სახელი გერმანიკულ ენებში

ყველაზე სრულყოფილად გერმანიკული არსებითი სახელის მაჩვენებლები შემოინახა გოთურმა, თუმცა გოთურშიც უკვე შეიმჩნევა უმახვილო ბოლო მარცვალზე რედუქციის პროცესის მოქმედება. ამ პროცესმა დააჩქარა გერმანიკული სიტყვის სამნაწილიანი სტრუქტურის გამარტივება.

გოთურში ისევ საკმაოდ მკვეთრად ჩანს არსებითი სახელის სამწევრიანი სტრუქტურა: სიტყვის ძირი + ფუძისმაწარმოებელი სუფიქსი - დაბოლოება, რომელიც განსაზღვრავდა სქესის, რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიას. ინდოევროპული სიტყვის ეს სამმორფეიანი სტრუქტურა გოთურ ენაში ჩანს ორი ბრუნვის დაბოლოებაში: მიცემითი მრავლობითი და ბრალდებითი მრავლობითი.

dags - დღე	gibo - საჩუქარი	gasts - სტუმარი	sunus - ვაჟი
მიც. მრ. dag-a-m	gib-ō-m	gast-i-m	sun-u-m
ბრ. მრ. dag-a-ns	gib-ō-ns	gast-i-ns	sun-u-ns

dag, gib, gast, sun - სიტყვის ძირია;

m და *ns* კი შესაბამისი ბრუნვების დაბოლოებები.

მოგვიანებით, კერძოდ კი VIII საუკუნეში, როცა გამოჩნდა ძველი გერმანიკული ენების პირველი წერილობითი ძეგლები, ეს ფუძისმაწარმოებელი საშუალებები ერწყმის ბრუნვის ფლექსიას. ფუძისმაწარმოებელი საშუალებებისა და გრამატიკული ფლექსიის გაერთიანების პროცესი ჯერ კიდევ ადრე, ინდოევროპულ ენებშიც ხდებოდა, რადგან სიტყვის ისეთი ელემენტის, როგორიცაა ფუძისმაწარმოებელი საშუალება- სემანტიკური მოტივირებულობა დაკარგული იყო უკვე ინდოევროპულ წერილობით ძეგლების გამოჩენის დასაწყისში. სავარაუდოა, რომ ეს იყო რომელიმე საგანთა კლასის ან მოქმედების

ხასიათის იდენტიფიკატორები. გრამატიკულ და სემანტიკურ დატვირთვას მოკლებული ფუძისმაწარმოებელი სუფიქსები ადვილად რედუცირდებოდნენ, რომლის შედეგი უკვე ძველი ინგლისურის პერიოდშიც შეიმჩნევა. გარდა ამისა, ყოველთვის ზუსტად ვერ ხდებოდა ფუძისმაწარმოებელ და სიტყვის წარმომქმნელ სუფიქსებს შორის გამიჯვნა.

ფუძე – ეს არის სიტყვის ძირი (ფესვი)+ფუძისმაწარმოებელი სუფიქსი. ზმნების მსგავსად, არსებითი სახელების ფუძეები იყოფიან: თემატურ (ხმოვანი+ თემა-კლასის იდენტიფიკატორად) და არათემატურ (თანხმოვანი – ფუძის მაჩვენებელი).

არსებითად, თემატურ ფუძეებს გერმანიკული სახელების ბრუნებაში მხოლოდ ერთი ტიპი მიეკუთვნება. ეს არის სახელის ბრუნება-*a* (ი.-ე *o*) ფუძით. ამ საფუძველზე გამოიყოფა გერმანიკული ბრუნების სხვა ხმოვანფუძიანი ტიპები: *ō, i, u*, რომლის მიხედვითაც მიღებულია არსებითი სახელების ბრუნების ტიპების დაყოფა: ხმოვანფუძიანებად და თანხმოვანფუძიანებად. ხმოვანფუძიანები მიეკუთვნება ძლიერ ბრუნებას, *n*-თანხმოვანფუძიანები – სუსტ ბრუნებას (ი. გრიმის ტერმინები). გარდა *a, ō, i, u*, ხმოვანფუძიანებისა და *n*-თანხმოვანფუძიანებისა – არსებობს იზოლირებული ტიპებიც, რომლებიც არსებითი სახელების მცირე ჯგუფს ქმნიან.

არსებითი სახელის ყველა ტიპს გერმანიკულ ენებში ასე თუ ისე აქვთ პროტოტიპები სხვა ინდოევროპულ ენებში, მაგრამ ასეთი ზუსტი დაპირისპირება და ბრუნების ტიპების განსაზღვრა არცერთ სხვა ინდოევროპულ ენაში არ აღინიშნება. (ისე, როგორც არ არსებობდა დიქოტომია: ძლიერი და სუსტი ზმნები).

მაშასადამე, არსებითი სახელის ბრუნვის ტიპი არსებითად შეიცვალა ინდოევროპულიდან პროტოგერმანიკული ტიპის ჩამოყალიბებამდე. შეიცვალა ბრუნვათა დაბოლოებები, შეიკვეცა ბრუნვათა რიცხვი, გერმანიკულ ენებში მათი რიცხვი

ოთხამდე შემცირდა (სახელობითი – Nominative, ნათესაობითი – Genitive, მიცემითი – Dative, ბრალდებითი – Accusative). არსებით სახელებს ძვ. გერმანიკულ ენებში ჰქონდა სამი კატეგორია: ბრუნვის, სქესის და რიცხვის.

ძვ. გერმანიკულ ენებში გამოიყოფა არსებითი სახელების ბრუნების სამი ძირითადი ტიპი:

1. ძლიერი ბრუნება, ანუ ხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება;

2. სუსტი ბრუნება, ანუ -n- თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება;

3. ბრუნების სხვა ტიპები, რომლებიც აერთიანებენ:

ა) ძირისეული არსებითი სახელების ბრუნებას;

ბ) r, s, nt თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნებას.

გერმანიკულ ენებში ინდოევროპული სამმარცვლიანი სტრუქტურა შეიკვეცა და დავიდა ორ მარცვალზე: სიტყვის ძირი + დაბოლოება. ყოფილი ფუძისმწარმოებელი სუფიქსი კი რიგ შემთხვევაში შეერწყა ძირს, რიგ შემთხვევაში ბრუნვის დაბოლოებას, რიგ შემთხვევაში კი თავად იქცა ბრუნვის დაბოლოებად, როგორც ეს მოხდა -n- ფუძიანი არსებითი სახელების შემთხვევაში (სუსტი ბრუნება).

ყოფილი ინდოევროპული ფუძისმწარმოებელი სუფიქსი მრავლადაა შემორჩენილი რუსულ ენაშიც.

მაგ.

пламя – пламе-н-и (n ფუძიანი)

племя – племе-н-и (n ფუძიანი)

чудо – чуде-с-а (s ფუძიანი)

мать – мате-р-и (r ფუძიანი)

дочь – доче-р-и (r ფუძიანი)

და სხვა.

10.1. არსებითი სახელების ძლიერი ბრუნება

ძლიერი ბრუნების ხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ტიპები ყველაზე კარგად მხოლოდ გოთურმა ენამ და III-IV სს. რუნულმა ჩანაწერებმა შემოინახა. VIII საუკუნისთვის ფუძეების თემატური მაჩვენებლებიდან თითქმის არაფერი შემორჩენილა.

ხმოვანფუძიანების ბრუნების, როგორც აღვნიშნეთ, ოთხი ტიპი არსებობდა: *a, ā, i, u*.

a- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება, ანუ *a* ტიპის ბრუნება, აერთიანებს მამრობითი და საშუალო სქესის არსებითი სახელებს. ამ ტიპის ბრუნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ძველ გერმანიკულ ენებში, რადგან იგი მოიცავს ძველი გერმანიკული ენების არსებითი სახელების უმეტეს ნაწილს. *a-* ფუძიან გერმანიკულ სიტყვას ინდოევროპულში შეესიტყვება *-o*. შდრ. ბერძნ. *anthrōp/o/s* 'ქმარი', 'ადამიანი'. ლათ. II ბრუნება *-o*-ზე: *hortus* 'ბაღი' *horto*, *hortūrum*- მიც.ბრ.მხ.რ. და ნათ. (**hortos*-დან.)

მხ.რ. სახ. *stains* 'ქვა' მრ.რ. *stainōs*

ნათ. *stainis*

stainā

მიც. *staina*

stainam

ბრ. *stain*

stainans

საშუალო სქესთან სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვები ყოველთვის ემთხვეოდნენ ერთმანეთს. გოთურში სახელობითი ბრუნვა კარგავს ფუძისმაწარმოებელ მაჩვენებელს და რჩება ნომინატივის *s*, რომელიც ინდოევროპული ენებისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ბერძნული და ლათინური მაგალითებიდან ჩანს, ინდოევროპული ნომინატივის(სახ.ბრ.) დაბოლოება-*os* შენარჩუნებულია *a*-ხმოვანფუძიან ბრუნებაშიც. ძველ ნორვეგიულ რუნულ წარწერებში *a* ფუძეების არსებობა დასტურდება სიტყვაში *stainaR* ('ქვა'), სადაც *s>z>ɾ* როტაციზმის თანახმად. შდრ. გოთ. *stains*, სადაც *a* რედუცირებულია.

გენიტის (ნათ.ბრ) აქვს ინდოევროპული დაბოლოება - es/-os,-s,-is. შდრ. ლათ. ნათ.ბრ. *hominis* 'ადამიანი', ბერძნ. *ky^o-nos* 'ძალღები'.

დატივის (მიცემითი ბრუნვის) დაბოლოების წარმოშობის დადგენა ძნელია, რადგან მასში შეიძლება ადგილი ჰქონოდა სხვადასხვა ინდოევროპული ენების ბრუნვების ერთმანეთში არევის. მხ. და მრ. რ. ბრუნვების დაბოლოებების წარმოშობასთან მიმართებაში სხვადასხვა ვარაუდი არსებობს: ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით მიცემითი ბრუნვის *a* გოთურში წარმოიქმნა ინდოევროპული ლოკატივიდან (ადგილის ბრ.) *oi-* ზე.

მრ. რ. სახ.ბრ. ინდოევროპულმა *-es-*მა (შდრ.ლათ. *mores* 'ზნე-ჩვეულება' *patres* 'მამები') - მოგვცა *ns* გოთურში (შესამლებელია, ფუძეების სუფიქსის დაბოლოების ხმოვანთან შერწყმის შედეგად).

ამ პროცესის საილუსტრაციოდ ვაკეთებთ შემდეგ შეპირისპირებას: გოთური *dag-ns^o* (სახ. ბრ. მრ. რ.) წარმოიქმნა ინდოევროპული **dhogho-es-*გან, სადაც ინდოევროპულში აშკარად გამოიკვეთება ფუძისმაწარმოებელი მორფემა *-o* და ბრუნვის დაბოლოება *-es*, მაშინ როცა გოთურში ფუძისმაწარმოებელი სუფიქსი და დაბოლოება განუყოფელია. ი.ე. თემატური ხმოვნის გამარტივების ეს პროცესი- თემატური ხმოვანი+დაბოლოება შეიმჩნევა გერმანიკული ბრუნვების თითქმის ყველა დაბოლოებაში.

a- ფუძისმაწარმოებელი სუფიქსი აღინიშნება მრ.რ. მიცემით და ბრალდებით ბრუნვებში მოცემული ტიპის ბრუნებაში: (-am,-ans).

a- ტიპის ბრუნებას აქვს 2 ქვეტიპი *-ja-* და *-wa-* ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება, აღნიშნული ქვეტიპის არსებითი სახელები იბრუნვიან ისე, როგორც *a* ტიპის არსებითი სახელები. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ *-ja-* ფუძიან არსებით

სახელებში ბრუნვის დაბოლოების წინ ჩნდება ფუძისეული ელემენტი -j-, ხოლო -wa ფუძიანებში – ფუძისეული ელემენტი -w-. მაგალითად, გოთ. მიც. ბრ. მხ.რ. *kun/j/a* წარმოქმნილია *kuni-*დან (სქესი). ამ მოვლენასაც ინდოევროპული ანალოგია აქვს, შდრ. რუს. *тряпье, белье* ლათ. *officium*.

a- ტიპის ბრუნების ნიმუში გოთური ენაში

	a- ტიპი	ja- ტიპი	wa- ტიპი
მხ. რ. სახ.	dags (დღე)	harjis (ჯარი)	kniu
ნათ.	dagis	harjis	kniwis
მიც.	daga	harja	kniwa
ბრ.	dag	hari	kniu
მრ.რ. სახ.	dagōs	harjōs	kniwa
ნათ.	dagē	harjē	kniwē
მიც.	dagam	harjam	kniwam
ბრ.	dagans	harjans	kniwa

a- ტიპის ბრუნების ნიმუში ძველ ინგლისურში:

	a- ტიპი	wa- ტიპი
მხ. რ. სახ.	stān	bearu
ნათ.	stān-es	bear-wes
მიც.	stān-e	bear-we
ბრ.	stān	bearu
მრ.რ. სახ.	stān-as	bear-was
ნათ.	stān-a	bear-wa
მიც.	stān-um	bear-wum
ბრ.	stān-as	bear-was

ā- ბმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება

ā-ტიპის ბრუნება (ი-ე. ანალოგია ფუძე ā) შდრ. ბერძნ. *chōrā* 'საათი' ლათ. *rosā* 'ვარდი' *rosārum* (მიც.ბრ.მრ.რ.); რუს. *голова-рука* აერთიანებს მდებდრობითი სქესის არსებით სახელებს:

გოთ.*giba*, ძვ.-ინგლ. *iefu* ძვ.-ისლ.*gipf* 'საჩუქარი', ძვ.-ზ-გერმ. ძვ.-სლავ. *hwil(a)*'დრო'. *ō* ტიპის ბრუნება (a- ტიპის მსგავსად) ქმნის ფონეტიკურ ვარიანტებს: *wī* და *ī*. (*jō*- და *wō*- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება). მაგალითად, *maifjōs* 'გოგოები'. შდრ. რუს. *статья*-ს ტიპის უღლება, ლათ. *copia* 'სიუხვე'.

wō- ფუძიანი არსებითი სახელები წმინდა ფუძიანებისაგან შედარებით არავითარ თავისებურებებს არ ქმნის.

	გოთ.	ძვ.-ზ.-გერმ.	ძვ.-ინგლ.
მხ.რ. სახ.	<i>giba</i>	<i>geba</i>	<i>wund</i>
ნათ.	<i>gibōs</i>	<i>geba</i>	<i>wunde</i>
მიც.	<i>gibai</i>	<i>gebu</i>	<i>wunde</i>
ბრ.	<i>giba</i>	<i>geba</i>	<i>wunde</i>
მრ.რ. სახ.	<i>gibōs</i>	<i>gebā</i>	<i>wunda</i>
ნათ.	<i>gibō</i>	<i>gebōno</i>	<i>wunda</i>
მიც.	<i>gibōm</i>	<i>gebōm</i>	<i>wundum</i>
ბრ.	<i>gibōs</i>	<i>gebā</i>	<i>wunda</i>

i- ხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება

i- ფუძიანი არსებითი სახელები გერმანიკულ ენებში აერთიანებენ მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებით სახელებს. ამ ტიპის ბრუნებამ განიცადა a- (მამრობითი სქესისათვის) და *ō*- (მდედრობითი სქესისათვის) ტიპის ბრუნებათა ძლიერი გავლენა.

აღსანიშნავია, რომ *i*- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება მოიცვა ძველ გერმანიკულ ენებში მოქმედი ბრუნვათა ტიპების უნიფიკაციის ტენდენციები.

ამ ტიპის ბრუნებას აქვს პარალელები, მაგალითად, ლათინურის III ბრუნებაში *finis* 'დასასრული', *hostis* 'სტუმარი', ბერძნ. *polis* 'ქალაქი'. რუს. *кость, мышь (кости, мышцы)*. მდედრობითი

სქესის გოთური არსებითი სახელის *qēns[kwens]* ('ქალი', 'ცოლი') პარადიგმა:

qēns	qēneis
qēnais	qenē
qēnai	qēnim
qēn	qēnins

i ფუძე სახელობით ბრუნვაში შემორჩენილია ძველ ნორვე-გიულ რუნულ წარწერებშიც: *gastiR* 'სტუმარი', (გოთ. *gasta*). შდრ.ლათ. *hostis*-ეტიმოლოგიურად მონათესავე სიტყვა გოთურის მრავლობითი რიცხვის, მიცემითი ბრუნვის *gastim*-ში, ისე როგორც სხვა ბრუნებებში, ნათლად ჩანს ფუძისმანარმოებელი სუფიქსი-i; შდრ.ინდოევროპული **ghosti+mis*, გოთური *gastim* (I ბგერათგადაწევის მე-3 მუხლის თანახმად, ლათინური და ბერძნული [h], გერმანიკული [g] მოწმობენ ინდოევროპულ [gh]-ს არსებობაზე.

i ფუძიანი სახელების ბრუნების პარადიგმები

გოთ. მამრ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ.	
სახ. <i>gasts</i>	<i>ansts</i> („სიხარული“, „გულისხმიერება“)
ნათ. <i>gastis</i>	<i>anstais</i>
მიც. <i>gasta</i>	<i>anstai</i>
ბრ. <i>gast</i>	<i>anst</i>
მრ. რ.	
სახ. <i>gasteis</i>	<i>ansteis</i>
ნათ. <i>gastē</i>	<i>anstē</i>
მიც. <i>gastim</i>	<i>anstim</i>
ბრ. <i>gastins</i>	<i>anstins</i>
ძვ. - ზ. - გერმ.	ძვ. - ინგლ.

მხ. რ.	
სახ. gasts	ziest
ნათ. gastes	ziestes
მიც. gaste	zieste
ბრ. gast	zieste
მრ. რ.	
სახ. gesti	ziestas
ნათ. gesto	ziesta
მიც. gestin	ziestum
ბრ. gesti	ziestas

u- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება

u- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება მოიცავს სამივე სქესის არსებით სახელებს. გოთურ ენაში u- ფუძიანი არსებითი სახელები წარმოადგენს აბლაუტის მიხედვით ხმოვანთმონაცვლეობის ნართს. ამ ტიპის ფუძეები მყარი იყო ინდოევროპულ და გერმანიკულ ენებში. შდრ.ძვ.-ინდ. *sunuh* 'ვაჟიშვილი', *fructus* 'ხილი' manus 'ხელი', რუს. сынов (-ой) (რუსულ ენაში- u დაბოლოება გავრცელდა სხვა ტიპის ბრუნებებშიც).

გოთ.	ძვ.- ინგლ.
მხ. რ.	
სახ. sunus	sunu
ნათ. sunaus	suna
მიც. sunau	suna
ბრ. sunu	suna
მრ. რ.	
სახ. sunjus	suna
ნათ. suni <u>wē</u>	suna
მიც. sunum	sunum
ბრ. sununs	suna

ხმოვანთმონაცვლეობა დაბოლოებებში II კლასის ძლიერი ზმნების ანალოგიური გაქდერებაა *iu(-iu/s, iw/e, სადაც j= i , w=u), au, u. ამ სახით – u სახელობით ბრუნვაშიც შენარჩუნებულია/*

10.2. არსებითი სახელის სუსტი ბრუნება

ინდოევროპულ ენებში ფართოდ იყო გავრცელებული *n* - ფუძისმაწარმოებელი სუფიქსის მქონე არსებითი სახელები. როგორც აღინიშნა, გერმანიკულ ენებში შეიკვეცა ინდოევროპული სამმორფემიანი სტრუქტურა და იგი დავიდა ორ მორფემაზე: ძირი + დაბოლოება. გერმანიკულ ენებში *n* - ფუძისმაწარმოებელმა სუფიქსმა ახალი ფუნქცია შეიძინა. იგი იქცა დაბოლოებად და დასაბამი მისცა ბრუნვის ახალ ტიპს - სუსტ ბრუნებას.

სუსტი ბრუნება ფართოდ იყო გავრცელებული გერმანიკულ ენებში. ინდოევროპულ ენათა ოჯახის არც ერთ შტოში არ ფიქსირდება ანალოგიური პარადიგმები. ამიტომ, სუსტი ბრუნება გერმანიკული ენების მნიშვნელოვანი საერთო ლინგვისტური ნიშანია მორფოლოგიურ დონეზე.

სუსტი ბრუნება გერმანიკული ინოვაციაა. ეს ათემატური ბრუნების ტიპი შენარჩუნებულია დღესაც (გერმანულ ენაში). ხშირად *n* ფუძე შეფერხებულია სიტყვის ბოლოში (განსაკუთრებით VIII-IX საუკუნეებით დადასტურებული გერმანიკულ ენებში). მაგალითად, გოთური საშ.სქ. არსებითი სახელი *hairto* (გული), ლათ.*cor, cordis* (I ზგერათგადაწევის I მუხლის თანახმად *sataem-centum*-ის თანხმოვანების კორელაციის გათვალისწინებით).

hairto- hairtona

hairtins- hairtanē

haírtin- haírtam
haírto haírtona

მამრ.სქ.

მდედრ.სქ.

(ლათ. homo, hominis)

გოთ.

-in- / -an-

-an-

მხ. რ.

სახ. guma (ქმარი)

tuggō(gg=[ŋ] 'ენა'

ნათ. gumins

tuggōns

მიც. gumin

tuggōn

ბრ. guman

tuggōn

მრ. რ.

სახ. gumans

tuggōns

ნათ. gumanē

tuggōnō

მიც. gumam

tuggōm

ბრ. gumans

tuggōns

ძვ.- ზ. - გერმ.

ძვ.- ინგლ.

მხ. რ.

სახ. zunga

tunze

ნათ. zungūn

tunzan

მიც. zungūn

tunzan

ბრ. zungūn

tunzan

მრ. რ.

სახ. zungūn

tunzan

ნათ. zungōno

tunzena

მიც. zungōm

tunzum

ბრ. zungūn

tunzan

10.3. r - ფუძიანი s - ფუძიანი და nt - ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება

ძლიერი და სუსტი ბრუნების გარდა, ძვ. გერმანიკულ ენებში იყო ბრუნების რამდენიმე ტიპი, რომელიც რამდენიმე არსებით სახელს აერთიანებს: r - ფუძიანი (მოიცავს ნათესაობის აღმნიშვნელ არსებით სახელებს), s - ფუძიანი, nt - ფუძიანი. ცალკე ჯგუფს შეადგენენ ძირეული სიტყვები, ანუ ის არსებითი სახელები, რომლებსაც ინდოევროპულ ენებშიც არ ჰქონდათ ფუძისმაწარმოებელი სუფიქსი.

თანამედროვე ინგლისური ენის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი მთლიანად დაიკარგა თანამედროვე ინგლისურში. ძველი გერმანიკულის სუსტი ბრუნების სუფიქსი-en - შემორჩენილია სამ არსებით სახელში: ox-oxen; child-children; brother-brotheren. რაც შეეხება ე.წ. გამონაკლისებს man, women, mouse, goose, tooth და ა.შ., ისინი ძვ. ინგლისურში ძირეულ არსებით სახელებს წარმოადგენენ და უმლაუტით აწარმოებდნენ მრავლობითი რიცხვის ფორმას. მაგალითად,

zēs-zēs

mz-tēz

mūs-mys და ა.შ.

თანამედროვე ინგლისური ენა შეიძლება განვიხილოთ იმ უკიდურესობად, რომელმაც ძველი გერმანიკული არსებითი სახელისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება დაკარგა. არსებითი სახელის სისტემის თვალსაზრისით მეორე უკიდურესობაა თანამედროვე ისლანდიური ენა, სადაც მაქსიმალურად სრულადაა შემონახული ძველი გერმანიკული არსებითი სახელის ბრუნების ტიპების მრავალფეროვნება. თანამედროვე ისლანდიურში გამოიყოფა ძლიერი ბრუნება ყველა ტიპითა და ქვეტიპით და სუსტი ბრუნება (n ფუძიანი). თანამედროვე ისლანდიურში გამოიყოფა აგრეთვე r- ფუძიანი ნათესაობის აღმნიშვნელი ხუთი არსებითი სახელი.ორი მამრობითი

სქესის: fadīr, brodīr და სამი მდედრობითი სქესის: modīr, sister. გამოიყოფა აგრეთვე nd-ფუძიანი არსებითი სახელები.

თანამედროვე გერმანულ ენაში გამოიყოფა: ძლიერი ბრუნება (ძველი a-ტიპის ბრუნება), სუსტი ბრუნება (ძველი n-ტიპის ბრუნება), მდედრობით სქესის არსებით სახელთა ბრუნება (ძველი o-ტიპის ბრუნება).

ძლიერი ბრუნება

ახალი	Nom.	der (ein) Arbeiter	der Tisch	das (ein) Mittel	das Buch
	Gen.	des (eines) Arbeiters	des Tisches	des (eines) Mittels	des Buch
	Dat.	dem (einem) Arbeiter	dem Tisch	dem (einem) Mittel	dem Buch
	Akk.	den (einen) Arbeiter	den Tisch	das (ein) Mittel	das Buch
ძველი n-ტიპის	Nom.	tag		horo	
	Gen.	tages		horwes	
	Dat.	tage		horwe	
	Akk.	tag		horo	

სუსტი ბრუნება

ახალი	Nom.	der (ein) Genosse	der (ein) Mensch
	Gen.	des (eines) Genossen	des (eines) Menschen
	Dat.	dem (einem) Genossen	dem (einem) Menschen
	Akk.	den (einen) Genossen	den (einen) Menschen
ძველი n-ტიპის	Nom.	guma	tuggo
	Gen.	gumins	tuggons
	Dat.	gumin	tuggon
	Akk.	gumari	tuggon

მდედრობითი სქესის არსებით სახელთა ბრუნება

ახალი	Nom.	die (eine) Frau	die (eine) Hand	die (eine) Tafel
	Gen.	der (einer) Frau	der (einer) Hand	der (einer) Tafel
	Dat.	der (einer) Frau	der (einer) Hand	der (einer) Tafel
	Akk.	die (eine) Frau	die (eine) Hand	die (eine) Tafel
ძველი o-ტიპის	Nom.		geba	
	Gen.		geba	
	Dat.		gebu	
	Akk.		geba	

თანამედროვე ჰოლანდიურ ენაში არ არის სუსტი ბრუნება, მაგრამ ძველი გერმანიკული სუფიქსი -en (სუსტი ბრუნების ფლექსია) ფართოდ გამოიყენება არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად -s სუფიქსთან ერთად.

არსებით სახელის მრავლობით რიცხვი ჰოლანდიურში:

სუფიქსი-s

de váda(მამა)-de váders

de láfaard (მშობარა)- de láfaards

de stéutel(გასადები)- de stéutels

de blóempje (ყვავილი)- de blóempjes

სუფიქსი-en, n

het boek(წიგნი)- de bóeken

de boer (გლეხი)-de bóeren

de bal (ბურთი)- de bállen

de boom(ხე)- de bómen

11. ზედსართავი სახელი გერმანიკულ ენებში

ინდოევროპულ ენაში ზედსართავ სახელს არ ჰქონდა საკუთარი ბრუნება, ანუ არსებითი სახელისაგან განსხვავებული ბრუნვის დაბოლოებები. მაგალითად,

ლათ. მამრ. სქ. bonus hortus 'კარგი ბაღი'

მდედრ. სქ. bona mensa 'კარგი მაგიდა'

საშ. სქ. bonum donum 'კარგი საჩუქარი'.

შეადარეთ ძვ. რუსული - красно солнышко, сыра земля

არსებითი სახელისაგან განსხვავებული ტიპის ბრუნება ჰქონდათ ჩვენებით ნაცვალსახელებს, კითხვით და განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს და ზოგიერთ ზედსართავ სახელს.

„ჩვენებითების“ ტიპის ბრუნების მიხედვით ინდოევროპულ ენაში იბრუნვოდა რამდენიმე ზედსართავი სახელი, რამაც შემდგომში გამოიწვია მისი გავრცელება სხვა ზედსართავ სახელებზეც. ლიტვურ ენაში „ჩვენებითების“ ტიპის ბრუნება გავრცელდა ყველა ზედსართავ სახელზე და ამდენად, ზედსართავ სახელებს განუვითარდათ ისეთი ტიპის ბრუნება, რომელიც განსხვავდებოდა არსებითი სახელის ბრუნებისაგან და დამოუკიდებელი იყო მისგან. ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი გერმანიკულ ენებში, სადაც „ჩვენებითების“ ტიპის ბრუნება გავრცელდა ყველა ზედსართავ სახელზე და ამდენად, გერმანიკულ ენებშიც ზედსართავ სახელს განუვითარდა არსებითი სახელისაგან განსხვავებული ბრუნების სისტემა.

„ჩვენებითების“ ტიპის ბრუნების გავრცელება ყველა ზედსართავ სახელზე თარიღდება საერთოგერმანიკული პერიოდით. ამ ტიპის ბრუნებას გერმანიკული ენების შედარებით გრამატიკაში ძლიერი ბრუნება ეწოდება.

11.1. ზედართავი სახელის ძლიერი ბრუნება

გოთურ ენა

	მამრ. სქ.	საშ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ. სახ.	blinds	blindata	blinda
ნათ.	blindis	blindis	blindaizos
მიც.	blindamma	blindamma	blindai
ბრ.	blindana	blind	blinda
მრ. რ. სახ.	blindai	blinda	blindōs
ნათ.	blindaizē	blindaizē	blindaizō
მიც.	blindaim	blindaim	blindaim
ბრ.	blindans	blinda	blindōs

შეადარეთ ზედსართავ სახელთა ძლიერი ბრუნება ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნებას გოთურში.

	მამრ. სქ.	საშ. სქ.	მდედრ. სქ.
	rot	ro	ra
მხ. რ. სახ.	sa	ḡata	sō
ნათ.	Pis	ḡis	ḡizōs
მიც.	ḡamma	ḡamma	ḡizai
ბრ.	ḡana	ḡata	ḡō
მრ. რ. სახ.	ḡai	ḡō	ḡōs
ნათ.	ḡizē	ḡize	ḡizō
მიც.	ḡaim	ḡaim	ḡaim
ბრ.	ḡans	ḡō	ḡōs

ძვ.-ზ.- გერმ.

	მამრ სქ.	საშ.სქ.	მდედრ.სქ.
მზ.რ. სახ.	{blint { blintêr	{ blint { blintaz	{ blint { blintiu
ნათ.	blintes	blintes	blintera
მიც.	blintemu,-emo	blintemu,- emo	blinteru, ero
ბრ.	blintan	blint (blintaz)	blinta
მოქმ.	blintu, -o	blintu, -o	blintu, -o
მრ.რ. სახ.	blinte	blintiu	blinto
ნათ.	blintero	blintero	blintero
მიც.	blintêm, -ên	blintêm, -ên	blintêm, -ên
ბრ.	blinte	blintiu (blintu)	blinto

შეადარეთ ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნებას ძვ.-ზ.-
გერმ.-ში

	მამრ სქ.	საშ.სქ.	მდედრ.სქ. მზ.
რ. სახ.	der	daz	diu
ნათ.	des	des	dera (deru, -o)
მიც.	demu, demo	demu, demo	deru, -o
ბრ.	den, diu	daz	dea, dia, die
მოქ.	diu	diu	diu
მრ.რ. სახ.	dê, dea, die	diu	deo, dio
ნათ.	dero	dero	dero
მიც.	dêm, dên	dêm, dên	dêm,dên
ბრ.	dê, dea, dia, die	diu	deo,dio

ძვ. ინგლისური

	მამრ. სქ.	საშ.სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ. სახ.	zōd	zōd	zōd
ნათ.	zōdes	zōdes	zōdre
მიც.	zōdum	zōdum	zōdre
ზრ.	zōdne	zōd	zōde
მოქმ.	zōde	zōde	zōde
მრ.რ. სახ.	zōde	zōd	zōda
ნათ.	zōdra	zōdra	zōdra
მიც.	zōdum	zōdum	zōdum
ზრ.	zōde	zōd	zōda

ჩვენებითი ნაცვალსახელები:

	მამრ. სქ.	საშ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ. სახ.	sē	þæt	seo
ნათ.	þæs	þæs	þære
მიც.	þæm	þæm	þære
ზრ.	þone	þæt	þa
მოქმ.	þý, þon	þý, þon	þa
მრ.რ.სახ. þā			

ნათ. þāra, þæra

მიც. þām, þæm

ზრ. þā

„ჩვენებითების“ ტიპის ბრუნებასთან, ან ძლიერ ბრუნებასთან ერთად, გერმანიკულ ზედსართავ სახელებს ჩამოუყალიბდათ ბრუნების მეორე ტიპი, რომელიც გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როცა ზედსართავ სახელს ახლდა ჩვენებითი ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი. ბრუნვის ეს ტიპი ეფუძნება -n-თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნებას და მას დაუმკვიდრდა ტერმინი 'სუსტი ბრუნება'.

11.2. ზედსართავი სახელის სუსტი ბრუნება

მაშასადამე, გერმანიკულ ენაში ზედსართავ სახელს ჩამოუყალიბდა ორგვარი ბრუნება: ძლიერი და სუსტი. ზედსართავი სახელების ძლიერი ბრუნება ძველი, ინდოევროპული მოვლენაა, იგი აგრძელებს ე.წ. „ჩვენებითების“ ტიპის ბრუნებას. რაც შეეხება ზედსართავი სახელების სუსტ ბრუნებას, იგი გერმანიკული ინოვაციაა, გერმანიკული სიახლეა და იგი გერმანიკული ენების ერთ-ერთ მორფოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს.

გოთური ენა

	მამრ. სქ.	საშ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ.	სახ. blinda	blindō	blindō
	ნათ. blindins	blindins	blindōns
	მიც. blindin	blindin	blindōn
	ბრ. blindan	blindō	blindōn
მრ.რ.	სახ. blindans	blindōna	blindōns
	ნათ. blindanē	blindanē	blindōnō
	მიც. blindam	blindam	blindōm
	ბრ. blindans	blindōna	blindōns

ძვ. ინგლისური

	მამრ. სქ.	საშ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ.	სახ. zōda	zōde	zōde
	ნათ. zōdan	zōdan	zōdan
	მიც. zōdan	zōdan	zōdan
	ბრ. zōdan	zōde	zōdan
მრ.რ.	სახ. zōdan		
	ნათ. zōdra		

მიც. ჯოდუმ

ბრ. ჯოდან

ამ ორი ტიპის ბრუნებას შორის გარდა ფორმალური განსხვავებისა, რაც გამოიხატება განსხვავებული ბრუნვის დაბოლოებებში, ზედსართავი სახელების ძლიერ და სუსტ ბრუნებას შორის სემანტიკური სხვაობაცაა. ეს ორი ბრუნება გერმანიკულ ენებში გამოიყენებოდა: განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორიის გადმოსაცემად. კერძოდ, ზედსართავი სახელების ძლიერი ბრუნება გადმოსცემს განუსაზღვრელობას, ხოლო სუსტი ბრუნება - განსაზღვრულობას. სუსტი ბრუნება გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როცა არსებით სახელს ახლდა ჩვენებითი ან კუთვნილებითი ნაცვლასახელი (სწორედ ჩვენებითი ნაცვლასახელებისაგან განვითარდა გერმანიკულ ენებში განსაზღვრული არტიკლი).

მაგ.:

ძვ.-ინგ. *zōd mann* (ძლიერი ბრუნება) – a good man (გერმ. *guter Mann*)

სწ *zōda mann* (სუსტი ბრუნება) – the good man (*der gute Mann*).

გოთური. *blinds manna* – a blind man (*blinder Mann* (შდრ. შერეული ბრუნება გერმანულში *ein guter Mann*) *sa blinda manna* – the blind man (*der blinde Mann*).

გერმანიკული ენების ზედსართავი სახელების უმრავლესობა იბრუნვოდა როგორც ძლიერი, ისე სუსტი ბრუნების მიხედვით. მხოლოდ მცირე ჯგუფი ზედსართავი სახელებისა იბრუნვოდა ან მხოლოდ სუსტი, ან მხოლოდ ძლიერი ბრუნებით. ზედსართავი სახელების შედარებითი და აღმატებითი ხარისხები იბრუნვოდა მხოლოდ სუსტი ბრუნების ტიპის მიხედვით.

11.3. ზედსართავი სახელის ხარისხები

გერმანიკული ენების ზედსართავ სახელებს აქვთ ინდოევროპული წარმოშობა. ძველ გერმანიკულ ენებში ზედსართავ სახელებს ჰქონდათ სამი ხარისხი: დადებითი, შედარებითი, აღმატებითი. შედარებითი ხარისხი – ესაა ი.ე. სუფიქსი: **jost-is*, აღმატებით ხარისხში –*is* სუფიქს ემატება გამამდიერებელი ნაწილაკი *to*, რომელიც უმაღლესი ხარისხის მნიშვნელობას ღებულობს.

შდრ. ბერძნ. *kratis -tos* „ყველაზე ძლიერი“, გოთ. *batiza* „უკეთესად“, *batists* „ყველაზე უკეთესი“.

ზოგიერთი შედარებითი ხარისხი იწარმოებოდა სუფიქსებით: –*iz-*, *ōz-*, (იგივე –*iza*, –*ōza*), ხოლო აღმატებითი ხარისხი სუფიქს–*ist-*, *ōst-* ის საშუალებით, რომლებიც ჩრდილოურ და დასავლურ გერმანიკულ ენებში განიცდიდა როტაციზმს $z > r$.

გოთ. *hauhs* – „მაღალი“ –*hauhiza* –*hauhists*;

blinds – *blindiza* – *blindists*;

ძვ.– ინგლ. *lan* – „გრძელი“ –*lenra* – *lenest*;

ძვ.–ზ.–გერმ. *lang* – *lengiro* – *lengist*;

ძვ.–ისლ. *langr* – *lengri* – *lengstr*;

გოთ. *swinþs* “ძლიერი” –*swinþoza*;

ძვ.–ინგლ. *lēof* “ძვირფასი” –*lēofra* – *leofost*;

ძვ.–ზ.–გერმ. *liob* – *liobōro* – *liobōst*;

ძვ.–ისლ. *rikr* – „ძლიერი“ „ღონიერი“ –*rikare* – *rikastr*;

რიგი ზედსართავი სახელებისა, რომლებიც აღნიშნავენ აბსტრაქტულ რაოდენობრივ და თვისობრივ ნიშნებს შედარებით და აღმატებით ხარისხებს აწარმოებენ სუპლექტური გზით. ამ ზედსართავ სახელებს ეკუთვნიან: :

გოთ. *mikils*, ძვ.–ინგლ. *micel*, ძვ.–ზ.–გერმ. *Michil*, ძვ.–ისლ. *Mikill* “დიდი”.

ძვ.– ინგლ. *lytel* – *læssa* – *læst*

12. ნაცვალსახელი გერმანიკულ ენაში

მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით, ნაცვალსახელი გერმანიკულ ენაში შერეული მეტყველების ნაწილს წარმოადგენს. პირის ნაცვალსახელისთვის დამახასიათებელია სუპლექტიურობა (ფორმების წარმოქმნა სხვადასხვა ძირიდან), რომელიც ამ კატეგორიის სიტყვების ძველ წარმოშობაზე მეტყველებს.

იმ მორფოლოგიური თავისებურების მიხედვით, რომელიც აზრობრივ სხვაობას უკავშირდება, ნაცვალსახელების ორი ჯგუფი გამოიყოფა: ნაცვალსახელები, რომლებიც *მოქმედების პირს* გამოხატავენ (ძირითადად, 1 და მე-2 პირი) და *ჩვენებითი*, რომელიც იმ საგანზე მიუთითებს, რომელიც დიალოგის უშუალო მონაწილეს არ წარმოადგენს, როგორცაა „მე“ და „შენ“. აქედან მოდის განსხვავება პირის და ჩვენებით ნაცვალსახელების ძირების წარმოშობაში.

თუ არსებითი სახელი, ზმნა და ზედასართავი სახელი, კლასების ისეთ რიცხვს ეკუთვნის, რომელშიც ისეთი დიდი რაოდენობის ერთეული შედის, რომლის ჩამოთვლა შეუძლებელია – შეიძლება ყველა ნაცვალსახელი დასახელდეს, ამავედროულად, თითოეულ ნაცვალსახელს თავისი განსაკუთრებული პარადიგმა აქვს. როცა ჩვენ არსებითი სახელის ბრუნების, ან ზმნის უღლების ნიმუშს ვიძლევიტ, ეს ნიმუშები მთელი კლასის ან მისი ქვეგანაყოფის განზოგადებულ მოდელს წარმოადგენს. ნაცვალსახელების ბრუნების პარადიგმა გამოხატავს უშუალოდ მოცემული, კონკრეტული ნაცვალსახელის პარადიგმას.

ინდოევროპული და გერმანიკული ენების ნაცვალსახელებში ერთმანეთს უპირისპირდება ნაცვალსახელების დაბოლოებების ორი ძირითადი ტიპი, რომლის მიხედვით ნაცვალსა-

ხელები ორ ძირითად კლასად იყოფა: ესენია—პირის და ჩვენებითი ნაცვალსახელების დაბოლოებები.

გოთურისა და სხვა ძველი გერმანიკული ენების ნაცვალსახელებში შენარჩუნებულია 1 და მე-2 პირის რიცხვის ორპირიანი ფორმები: „ჩვენ ორივე“ და „თქვენ ორივე“. რუს. „мы ინა“ და „вы ინა“. (შდრ. პირის დაბოლოების ორპირიანი რიცხვი ზმნაში).

შემდგომში, ეს კონკრეტული ფორმები, გრამატიკული კატეგორიების აბსტრაქტირების განვითარების პროცესში არ შენარჩუნებულა, ამიტომ ჩვენ მათ აღარ განვიხილავთ.

რამდენადაც ნაცვალსახელები წარმოადგენენ უფრო კონკრეტულ, ცალკეულ ერთეულებს, ვიდრე განზოგადებული კლასები, ინტერესს იწვევს მათი არა მარტო მორფოლოგიური დახასიათება, არამედ ზოგიერთი ნაცვალსახელის ეტიმოლოგიაც.

1 პირი

მხ.რ. სახ.ბრ. ik ლათ. ego სლავ. аз

ნათ. *meina* (ei=ī), შდრ. რუს. меня, ლათ. mei, mihi, me

მიც. *mis*

ბრ. *mik*

მრ. რ. სახ. *weis*

ნათ. *unsara* (შდრ. ლათ. nos, რუს. нас)

მიც. *unsis*

ბრ. *unsis*

(ნაცვალსახელების პირველ პირში მკაფიოდ ჩანს სუბლექტიური ფორმები).

მხ. რ მე-2 პირი

გოთ. *þu* (შდრ. ლათ. tu, რუს. ты)

þeina (შდრ. ლათ. tibi, რუს. тебе)

þus

buk

მრ.რ.

jus

izwara

izwis

izwis

სუპლექტიური ფორმები გამოვლინდა მე-2 პირის ნაცვალსახელების მხოლოდობით და მრავლობით რიცხვებში. მრ. რ. ძირი *ju* ფლობს პარალელებს: სანსკრიტში *yūyām*, ბერძნ. *úmmē*, ლიტ. *Jus* ('თქვენ' რუს. вы, ინგლ. you, გერმ. Ihr (Sie))

განსხვავებულ მორფოლოგიურ სტრუქტურას ავლენს დაბოლოებებისა და ძირების მიხედვით მე-3 პირის ნაცვალსახელები (er, sie, es, sie; he, she, it, they; он, она, оно, они; იგი, ის ისინი). ყველა ეს ნაცვალსახელი წარმოშობით „ჩვენებითია“ და მათ დაბოლოებებში აღინიშნება საერთო ელემენტები არა მართლ 1 და მე-2 პირის პირის ნაცვალსახელებთან, არამედ ხშირად ისეთი ტიპის ჩვენებით ნაცვალსახელებთანაც, როგორცაა მაგ. 'იგი', 'ის' რუს. 'той', 'то' და სხვ.

ეს ფაქტი, შესაძლებელია, ადამიანებს შორის ურთიერთობის განსხვავებულობაზე მეტყველებს, რადგან "მე და შენ" ურთიერთობის უშუალო მონაწილეებია, ხოლო „ის“ არის პირი, რომელზედაც მიუთითებენ, ე.ი. პირი, რომელიც კომუნიკაციაში არ მონაწილეობს.

გერმანიკული ენების მსგავსად, რუსულ ენაშიც მე-3 პირის ნაცვალსახელს „ჩვენებითობის“ წარმომავლობა აქვს. შდრ. *оний*. ლათინურ ენაში მე-3 ნაცვალსახელის როლს ასრულებენ ჩვენებითი ნაცვალსაცელები: *is, ea, id* (მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესი), მრ.რ. *ī, eae, ea*.

გოთურში და სხვა გერმანიკულ ენებში მე-3 პირის *პირისა* და *ჩვენებითი* ნაცვალსახელების პარადიგმა ანალოგიურია.

მამრ. სქ. ნაცვალსახელი *is*: და საშ. სქ. ნაცვალსახელი *ita*:

მხ.რ.	მრ.რ.
<i>is</i>	<i>eis</i>
<i>is</i>	<i>izē</i>
<i>imma</i>	<i>im</i> (შდრ.რუს.მრ.რ. <i>им</i>)
<i>ina</i>	<i>ins</i>

მდედრ. სქ. ნაცვალსახელი *si* და საშ. სქ. ნაცვალსახელი *ita*:

მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.
<i>si</i>	<i>ijōs</i>	<i>ita</i>	<i>ija</i>
<i>izōs</i>	<i>izō</i>	<i>is</i>	<i>izē</i>
<i>izai</i>	<i>im</i>	<i>imma</i>	<i>im</i>
<i>ija</i>	<i>ijōs</i>	<i>ita</i>	<i>ija</i>

ძვ.ინგლისურშიც მე-3 პირის ნაცვალსახელი „ჩვენებითობიდან“ წარმოქმნილია, მაგრამ სხვა ძირი აქვს, მისი ფესვები მოდის ინდოევროპული ჩვენებითი ნაწილაკიდან *ki/ko*, რომელიც ლათინურში გვევლინება *cis* სახით „ამ მხარეს, აქეთ“. ჩვენებით ნაწილაკში *ce* (შდრ.ფრ.*que, parceque,esque* და ა.შ.). ჩვენებითი ძირი **k* წარმოდგენილია გოთურშიც: *himma*–“მას” (შდრ.რუს.“*к нему*”(h+imma). ძველ ინგლისურში მე-3 პირის ყველა ნაცვალსახელი იწყება *h*-თი: *he, hēō, hit, hīē* და ა.შ. ამ ნაცვალსახელებში ვლინდება აგრეთვე ინდოევროპული ძირი *ī* სხვადასხვა ფორმით, შდრ.ლათ. *is, eius*, გოთ.*eis, is, ija, ijōs* და ა.შ. გოთურში არის ნაწილაკი *ei*, შდრ. სლავ. *и-же*.

ჩვენებით ნაცვალსახელებს გერმანიკულ ენებში საერთო ინდოევროპული ელემენტებიდან აქვთ თანხმოვანი *þ*, ი.-ე.**tad*, შდრ.რუს.*то*, ბერძნ.*το*, გერმ. *das* – ‘*то*’, იგი; გოთ. *þata* (მხ.რ.გარდა)

	მამრ.სქ.	საშ.სქ.	მდედრ. სქ
	<i>ror</i>	<i>ro</i>	<i>ra</i>
მხ. რ.	სახ. <i>sa</i>	<i>ḡata</i>	<i>sā</i>
	ნათ. <i>ḡis</i>	<i>ḡis</i>	<i>ḡizōs</i>
	მიც. <i>ḡamma</i>	<i>ḡamma</i>	<i>ḡizai</i>
	ბრ. <i>ḡana</i>	<i>ḡata</i>	<i>ḡō</i>
მრ.რ.	სახ. <i>ḡai</i>	<i>ḡō</i>	<i>ḡōs</i>
	ნათ. <i>ḡizē</i>	<i>ḡize</i>	<i>ḡizō</i>
	მიც. <i>ḡaim</i>	<i>ḡaim</i>	<i>ḡaim</i>
	ბრ. <i>ḡans</i>	<i>ḡō</i>	<i>ḡōs</i>

როგორც ბრუნების პარადიგმიდან ჩანს, ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და პირის ნაცვალსახელების ბრუნებას მხ. რ. მე-3 პირში ანალოგიური ფორმები აქვს. ზოგიერთ ნაცვალსახელებს აქვთ პარადიგმა, რომელიც ჰგავს სახელებს, მაგალითად მდედრ. სქ. *si* (შდრ. დაბოლოებას *ḡ(jō)* ფუძეზე). აღინიშნება საერთო დაბოლოებები მრ.რ. მიცემით—*m* სა და ბრალდებით *ns*-ბრუნვებს შორის.

ჩვენებითი ნაცვალსახელები უკვე გოთურ ენაში ხშირად დებულობდა არსებითი სახელების დეტერმინატორის ფუნქციას, რომელიც ჰგავდა არტიკლის ფუნქციას, მაგალითად: *ḡata skip*= 'the ship'.

უკუქცევით და კითხვით ნაცვალსახელებსაც საერთო ინდოევროპული ფესვები აქვთ. შდრ.რუს. *ceŋe*, ლათ. მიც. ბრ. *sibi*, გოთ. მიც. ბრ. *sis*.

კითხვით ნაცვალსახელებს გოთურ ენაში *hwas, hwa, hwō* ('ვინ', 'რა'. რუს. 'кто', 'что' გერმ. *wer, was* ინგლ. 'who', 'what') (მამრ. მდედრ.საშ.სქ) აქვთ ჩვენებით ნაცვალსახელებთან მსგავსი პარადიგმები. ინდოევროპულ ძირს **kwo (d)* შდრ. ლათ. *qui, quae*,

quod რუს. *который (-ая ,ое)'*, ძვ.-ინდ. *kás*, რუს. *который ,кто, кто*—წარმოადგენს ერთი ძირის სხვადასხვა ვარიაციას.

კითხვითი და ჩვენებითი ნაცვალსახელების ბაზაზე, ნაწილაკების *ei* და *ih*-ს დამატებით, წარმოიქმნენ მიმართებითი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელები, ნაცვალსახელური ზმნი-ზედები, კავშირები. ასეთი სიტყვების წარმოქმნის რაოდენობა საგრძნობლად შეზღუდული იყო გერმანიკული ენების განვითარების ადრეულ ეტაპზე.

13. რიცხვითი სახელი

როგორც წესი, გერმანიკულ ენებში ყველა რიცხვით სახელს, ზედსართავი სახელების მსგავსად, მოეპოვებათ პარალელები ინდოევროპულ ენებში, რადგანაც ისინიც ძველი წარმოშობის ერთეულებია.

რიცხვითი სახელი, როგორც ზედსართავი სახელი, გერმანიკულ ენებში მცირე რაოდენობის სიტყვებით შემოიფარგლება, თუმცა იგი, ჩვეულებრივ, იყოფა რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებად.

რიგობითი რიცხვითი სახელები იბრუნვის სუსტი ბრუნების ზედსართავი სახელების მსგავსად, ე.ი. ლებულობენ არსებითი სახელის დაბოლოებას, ხოლო რაოდენობრივ რიცხვით სახელებს ძირითადად არ გააჩნიათ მკაფიო ბრუნვითი ფორმანტები. რიცხვით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ რიცხვებს: 1, 2, 3 (გოთ.*ains, twai, þrei*), აქვთ ძლიერი ბრუნების ზედსართავების ნაცვალსახელურ-სუბსტანტივური დაბოლოებები, რომლებიც განპირობებულია ზედსართავი სახელებისთვის დამახასიათებელი სუბსტანტივური პოზიციით.

რადგანაც რიცხვითი სახელების კლასი, არსებითი და ზედსართავი სახელებისაგან განსხვავებით, მცირე რაოდენობის, ადვილად თვალმისაწვდომი სიტყვებისგან შედგება, ინტერესის სფეროს წარმოადგენს მათი ეტიმოლოგიური კუთხით განხილვა.

მორფოლოგიური მაჩვენებლების არამდგრადობის და ძველ გერმანიკულ ენებში მისი არარეგულარული ხასიათის გამო, რიცხვითი სახელების ბრუნების თავისებურებებს არ შევხებით. შემოვიფარგლებით მხოლოდ რიცხვითი სახელების ეტიმოლოგიური წარმოშობის დახასიათებით.

გოთ. *ains*, ძვ.-ინგლ. *ān*, გერმ. *ein*, ბერძნ. *oīne* 'ერთი ქულა' ლათ. *ūnus* (<**oinos*), ძვ.-სლავ. *ину*, რუს. *один* (ერთი).

გოთ. მამრ. სქ. *twai*, მდედრ. სქ. *twūs*, საშ. სქ. *twā*; ძვ.-ინგლ. *twegen*, *tū*, *twā*, ბერძნ. *duo*, ლათ. *duo*, რუს. *два* (ორი). (1 ბგერათგადაწევის შესაბამისად, გერმ. *zwei* მე-2 ბგერათგადაწევის მიხედვით).

გოთ. მამრ. და მდედრ. სქ. **preis*, საშ. სქ. *prija*; ძვ.-ინგლ. *prīe*, *prēo*, ბერძნ. *treis*, ლათ. *tres*, რუს. *три* (სამი). (1 ბგერათგადაწევის შესაბამისად, გერმ. *drei* მე-2 ბგერათგადაწევის მოვლენა).

გოთ. *fidwār*, ძვ.-ინგლ. *fēower*, ბერძნ. *téttares*, ლათ. *quattuor*, რუს. *четыре* (ოთხი). თანხმოვანთა შეუსატყვისობა შეიძლება გამოწვეული იყოს ასიმილაციის ან რიცხვითი სახელი „ხუთის“ ანალოგიის შედეგი.

გოთ. *fimf*, ძვ.-ინგლ. *fiſ*, ბერძნ. *pénte*, ლათ. *quinque* (ასიმილაციის პროცესის შედეგი), რუს. *пять* (ცხვირისმიერი [я]) [p-f] პირველი ბგერათგადაწევის მიხედვით.

გოთ. *saihs*, ძვ.-ინგლ. *.siex*, ბერძნ. *héks*, ლათ. *sex*, რუს. *шесть* (ექვსი).

გოთ. *sibun*, ძვ.-ინგლ. *seofon*, ბერძნ. *heptá*, ლათ. *septem*, რუს. *се⁷* (შვიდი). ეს არის სპირანტ [f] -ის გაჟღერება, რომელსაც ინდოევროპულში შეესიტყვება [p] (1 ბგერათგადაწევის მიხედვით), ვერნერის კანონის მიხედვით [f > b] შდრ. მახვილი ბოლო მარცვალზე ბერძნულ *hept á*-ში.

გოთ. *ahtau*, ძვ.-ინგლ. *eahta*, ბერძნ. *oktō*, ლათ. *octō*, რუს. *(в)осемь* (რვა).

გოთ. *niun*, ძვ.-ინგლ. *nigon*, ბერძნ. *ennéa*, ლათ. *novem*, რუს. *девять* - ცხრა (ათი-ის ანალოგიით).

გოთ. *taihun*, ძვ.-ინგლ. *tīen*, ბერძნ. *déka*, ლათ. *decem*, რუს. *десять*. (1 ბგერათგადაწევის შესაბამისად, გერმ. *zehn* მე-2 ბგერათგადაწევის მიხედვით), აგრეთვე გოთ. *tigus*, ბერძნ. *dekáis*,

რუს.*десяток*, [k>g]- ხდება გაუღერება ვერნერის კანონის მიხედვით. შდრ.მახვილი ბოლო ხმოვანზე ბერძნულ ენაში.

მარტივ, ძირულ რიცხვით სახელებს მიეკუთვნება: გოთ.*hund*, ძვ.-ინგლ.*hund*, ბერძნ.*he/katón*, ლათ.*centum*, რუს.*сотня*. (ასი) (შესატყვისობა 1 ზგერთაგადაწევის შესაბამისად და სატემ-კენტუმის კანონის მიხედვით).

დანარჩენი რიცხვითი სახელები წარმოადგენენ სხვადასხვა სახის რთულ წარმონაქმნებს, რომლებიც ძველ ინგლისურ ენასაც შემორჩა. ასე, მაგალითად, ათეულობის გამომხატველი რიცხვითი სახელები (20, 30 და ა.შ.) წარმოიქმნება სიტყვა 'ათი', 'ათელი'—იპ გამოხატვის გზით— ესაა საერთო გერმანიკული ფუძე **tigu*-შდრ. ძვ.-ინგლ. *ti -fti* (50).

რიცხვითი სახელები 11, 12 წარმოიქმნება რიცხვით სახელებზე 1, 2 კომპონენტის დამატებით, მნიშვნელობით 'ნარჩენი' – გოთ. **ainlif, twālif*, ძვ.-ინგლ. *endlefan, twelf* – აქვს ინდოევროპული ფესვები, გამოხატულებას ჰპოვებს ლიტვურ –*lika*-ში, რომელიც აგრეთვე რიცხვითი სახელის კომპონენტს წარმოადგენს. მამასადაძე, 11 და 12 წარმოდგენილია, როგორც 'ერთით ან ორით' ზედმეტი (ათის შემდეგ).

13-დან 19-მდე რიცხვითი სახელები წარმოიქმნებიან რიცხვითი სახელი „ათის“ კომპონენტებთან შეერთებით: გოთ. *taihun*, ძვ.-ინგლ. *tiēne* გოთ. **fimftaihun*, ძვ.-ინგლ. *fiftiene*.

თავისებური აგებულება აქვთ ძველ გერმანიკულ რიცხვით სახელებს 70 –დან: რიცხვით სახელებს ემატებათ სიტყვა 'ასი'. შდრ. ძვ.-ინგლ. *hundsiofontig* '70'.

რიცხვითი სახელი 'ათასი' ინდოევროპულ ენებში გაგებულია, როგორც დანაწევრებულის ცნება, რომელიც შედგება რიცხვითი სახელისაგან 'ასი' და ინდოევროპული კომპონენტიდან *tū* მნიშვნელობით— 'ძლიერი, დიდი'. შდრ. ლათ. *tumēre* 'გასივება' (თანამედროვე ინგლისურში ნასესხები სიტყვა *tumour*

'სიმსივნე' წარმოქმნილია ამ ძირიდან): გოთ. *pūsundi*, ძვ.-ინგლ. *pūsend* წარმოქმნილია საერთო გერმანიკული * *pūs-hund-i*-დან.

რიგობითი რიცხვითი სახელები წარმოიქმნება რაოდენობით რიცხვით სახელებზე სიტყვაწარმოებელი მორფემის დამატებით. ყველაზე მეტად გავრცელებულია ინდოევროპული *-*to* ს მაჩვენებელი, გერმანიკული *-*þa* (**þia*), რომელიც გაქდვრდა ვერნერის კანონის ზეგავლენით: [*þ>d*]. მაგალითად: გოთ. *þridja*, ძვ.-ინგლ. *þridda*.

განსაკუთრებული ფორმებით გამოირჩევა რიცხვითი სახელები 'პირველი' და 'მეორე', რომლებიც სხვა ძირებიდან იწარმოებიან: გოთ. *fruma*, *frumist* (შდრ. ლათ. *primus*), ძვ.-ინგლ. *forma*, *fyrest*, რუს. *первый*; გოთ. *anþar*, ძვ.-ინგლ. *þper*; შდრ. ძვ.-ინდ. *ántaras*, ლათ. *alter*. როგორც ინდოევროპულში, ისე გერმანიკულში ამ რიცხვით სახელს ჰქონდა მნიშვნელობა 'სხვა', რაც სიტყვის სტრუქტურაშიც ჩანს: იგი შედგება ნაცვალსახელური-*an* ძირისა და სუფიქსისაგან, გერმანიკული-*þara*, ინდოევროპული -*tero* (შდრ. ლათ. *al-ter*).

14. საერთო ინდოევროპული ლექსიკიდან საერთო გერმანიკულ ლექსიკამდე

14.1. ინდოევროპული არეალისთვის დამახასიათებელი ლექსიკური იზოგლოსები

გერმანიკული ენების ლექსიკა ჰორიზონტალურ ჭრილში შედგება მშობლიური სიტყვებისა და ნასესხებისაგან. ვერტიკალურ ეტიმოლოგიურ ჭრილში კი მშობლიურ სიტყვებში გამოიყოფა საერთო გერმანიკული ლექსიკა და საერთო ინდოევროპული ლექსიკა.

გერმანიკული ენების ლექსიკის უძველეს შრეს საერთო ინდოევროპული წარმოშობის სიტყვები შეადგენს. ეს სიტყვები ინდოევროპული ერთობის პერიოდს განეკუთვნება და დადასტურებულია ინდოევროპულ ენათა ოჯახის ბევრ ენაში. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, გამოყოფს რა ლექსიკურ იზოგლოსებს, რომელიც დამახასიათებელია არა მარტო ინდოევროპული არეალისთვის, არამედ უფრო ფართო არეალისთვისაც, განსაზღვრავს ამ უძველესი ლექსიკის გენეტიკურ იგივეობას. ეს ლექსიკური იზოგლოსები მოწმობს გერმანიკული ენების კავშირზე მეზობელ ენობრივ ჯგუფებთან. ასე მაგალითად, ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკის ეტიმოლოგიური კავშირი ყველა ინდოევროპულ ენაში დასტურდება. მაშინ, როცა გერმანიკული სიტყვა, რომელიც 'ხალხს' აღნიშნავს, გერმანიკული არეალის გარდა დასტურდება კელტურ, ბალტიკურ და იტალიკურ ენებში, მაგრამ არ გვხვდება სლავიანურ, ინდო-ირანულ, ლათინურ, სომხურ და ბერძნულ ენებში: გოთ. *iuda* 'ხალხი', ძვ.-ირლ. *tūoth*, ძვ.-პრუს. *tauto* 'ქვეყანა', ძვ.-ლიტვ. *tautà*, ოსკ. *touto*, უმბრ. *totam* 'ხალხი, 'მოსახლეობა'.

შედარებით პლანში უძველესი ლექსიკის შესწავლის ერთ-ერთი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ინდოევროპულმა ძირებმა ცალკეულ ინდოევროპულ ენებში განსხვავებული მნიშვნელობები შეიძინეს. გარდა ამისა, რთულია წერილობითი ძეგლების მიხედვით ლექსიკური თანხვედრისა და განსხვავების რეალური ვითარების დადგენა.

საერთო ინდოევროპული ლექსიკის განხილვისას მიზანშეწონილია მისი დალაგება ლექსიკურ-გრამატიკული კლასის მიხედვით. მეტყველების ნაწილების მიხედვით წარმოდგენილი ეტიმოლოგიური პარალელები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა თემატურ ჯგუფებად:

არსებითი სახელები

ინდოევროპული წარმოშობის არსებითი სახელები იყოფა შემდეგ თემატურ ჯგუფებად:

1) ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები; ამ ჯგუფის არსებითი სახელების უმეტესობა – r-ფუძიანებია:

დედა

ძვ.- ინდ. *mātar*, ძვ.- სპარს. *mātar*; სომხ. *mayr*, ძვ.- ირლ. *mathir*, ძვ.-ზ.- გერმ. *muoter*; ძვ.-ინგლ. *mōdor*, ლატვ. *māter*, პრუს. *mūti*, *mothe*, ძვ.- სლავ. *mati*, *marep*.

მამა

ძვ.- ინდ. *pitar*, ავესტ. *pitar*, სომხ. *hayr*, ბერძ. *patēr*, ლათ. *pater*, ძვ.- ირლ. *athir*, გოთ.

fadar, ძვ.-ინგლ. *fuder*, ძვ.- გერმ. *fater*.

ძმა

ძვ.- ინდ. *bhrātar*, ბერძ. *phrātōr* ძვ.- სპარს. *bratar*, სომხ. *etbayr*, ლათ. *frāter*, ძვ.- ირლ. *brāth(a)ir*,

გოთ. *brōþar*, ძვ.- ისლ. *brodir*; ძვ.- ზ.- გერმ. *bruoder*, ძვ.- ინგლ. *brōtor*; პრუს. *brāti*; ლიტვ. *broterėlis*, ძვ.- სლავ. *братъ*.

და

ძვ.- ინდ. *svāsar*, ლათ. *soror*; ძვ.- ირლ. *siur*; გოთ. *swistar*, ძვ.- ისლ. *systēr*, ძვ.- ინგლ. *sweostor*, ძვ.- ზ.- გერმ. *swester*, პრუს. *swestō*, ძვ.- სლავ. *sestra*. ლიტვ. *seser*.

ქვრივი

ძვ.- ინდ. *vidhavā*, ლათ. *uidua* (გამორებული ან გაუთხოვარი ქალი); გოთ. *widuwō*; ძვ.- ინგლ. *widuwe*, ძვ.- ზ.- გერმ. *wituwa*, პრუს. *widdewur*, ძვ.- სლავ. *vǔdova* „вдова“.

ქალი, ცოლი

ინდოევროპული **k'en* ძვ.- ინდ. *janī*, სპარს. *zan*; სომხ. *kin*; გოთ. *qinō*, ძვ.- ზ.- გერმ. *quena*, ძვ.- ინგლ. *cwene*; პრუს. *genno*; ძვ.- სლავ. *žena*.

2) ცხოველები და მცენარეები

საერთო ინდოევროპულ ეტიმოლოგიურ შრეს განეკუთვნება: ცხოველების (როგორც შინაური ისე გარეული), ფრინველების და მცენარეების სახელებიც; აქვე შეიძლება შევიტანოთ ხილის სახელწოდებები.

მგელი.

ამ სიტყვის სემანტემა ინდოევროპულში რამდენიმე ლექსე- მითაა წარმოდგენილი: **ul̥k[h]* და **ul̥p[h]*

ძვ.- ინდ. *vṛk̥ah*; ავესტ. *vəhrka*, ძვ.- სლავ. *vilkŭ*; ლიტვ. *vilkas*; ალბ. *ulk*;

ხეთ. *ulippana*; გოთ. *wulfs*; ბერძნ. *lykos*, ინგლ. *wolf*, ლათ. *lupus*. რუს. *волк*

მგელი ინდოევროპულ ენაში რიტუალური დანიშნულების იყო. მაგ. ძველხეთურ ტრადიციაში იგი საკრალური თვისებების

განსახიერებადაა მიჩნეული და ერთიანობისა და ყოვლისწყდომის სიმბოლოა.

საყურადღებოა ძველი ხეთური რიტუალის პარალელი გერმანიკულ ენებში. სადაც მეომრებს აღწერენ როგორც მგლებს. მაგ. ძვ.- ინგლ. *heoruwulfas, waewlfas* „მეომარი-მგლები“

საინტერესოა, რომ ბიზანტიაში საკმაოდ დიდხანს შობის დღესასწაულის დროს აღადგენდნენ მგლების ტყავში გახვეული გოთი მეომრების რიტუალურ ცეკვებს. ასევე ნიშანდობლივია „მგლის“ მნიშვნელობის მქონე ლექსემის ხშირი გამოყენება გერმანიკულ საკუთარ სახელებში:

გოთ. *ulfilas*, ძვ.- ისლ. *ulf-bjorn*; *Bjorn-olfr*, ძვ.- ზ.- გერმ. *wulf-berø*, ძვ.- ინგლ. *bēo-wulf*.

ჯოჯი, ნახირი, ფარა

ძვ.-ინდ-*páçuh*, ლათ.*pecus*, გოთ. *faihu*, ძვ.-ზ.-გერმ.*fihu* (შდრ. გერმ. *Vieh*).

ხარი, ძროხა

ძვ.- ინდ. *gāuh*, ბერძნ. *boūs*, ლათ.*būs*, ირლ.*bō* ავესტ. *gāuš*, სომხ. *kov*, ძვ.-სლავ.*говѣдо*, ძვ.-ზ.-გერმ.*kuo* (შდრ. გერმ. *Kuh*, ინგლ. *cow*).

მამალი, დედალი

ლათ. *gallus* „მამალი“ (შდრ. ძვ.- სლავ. *glasī* „ხმა“, რუს. *голос*); გოთ. *hana*, ძვ.- ზ.-გერმ. *heno* „მამალი“; ძვ.- ინგლ. *henn* „დედალი“; ძვ.- ისლ. *heni*

თაგვი

ძვ.- ინდ. *mūs*, სპარს. *mūš*, ბერძნ. *mūs*; სომხ. *mukn*; ძვ.-სლავ. *mysŭ*, ლათ. *mūs*; ძვ.-ისლ. ძვ.- ზ.- გერმ. ძვ.- ინგლ. *mūs*.

ცხვარი, ბატკანი

ძვ.-ინდ. *ávih*, ბერძნ. *oís*, ლათ. *ouis*, ლიტვ. *avis*, ირლ. *oi*, ძვ.-სლავ. *овѣца*, ძვ.-ზ.-გერმ. *ouwi*

წერო

ბერძნ. *gérenos*, ლათ. *grūs*, ლიტვ. *gėrvė*, სომხ. *křunk*, ძვ.-სლავ. *жеpавь*, ძვ.-ინგლ. *cran*, სამ.-ზ.-გერმ. *krane*, ძვ.-ისლ. *trani*
ხე, მუხა

ხეთ. *taru*, ძვ.- ინდ. *dīru*, ბერძნ. *dōru* ' ხე'. ალბ. *dru*, ძვ.-ირლ. *daur*, გოთ. *triu*, ძვ. -ისლ. *trē*; ძვ. -ინგლ. *trē* (w)' ხე' ძვ.-საქს. *trio*; ძვ.- სლავ. *drivo* ლიტვ. *dervà* „ფიჭვი“. ძვ.-სლავ. *дрѣво*
წიფელა

ბერძნ. *phēgós*, ლათ. *fīgus*, ძვ.-ისლ. *bók*, ძვ.-ზ.-გერმ. *buohha*
ვაშლი

ძვ.- სლავ. *ablŭko*; ბულგ. *аблъко*; ძვ.- პოლ. *jabło*; ლატ. *abele*,
ძვ.- ინგლ. *apþai*; ძვ. -ზ.-გერმ. *apful*; გოთ. *apel*.

ყურძენი, ღვინო

ხეთ. *ujana* „ღვინო“; მიკენური ბერძნ. *wono* „ღვინო“; სომხ. *gini*; ალბ. *vën* €; ლათ. *uīnum*; გოთ. *wein*; ძვ.- ინგლ. *wīn*; ძვ.-ზ.-გერმ. *wīn*; ძვ.- სლავ. *vinŭ*; პოლ. *wino*.

ინდოევროპული სახელწოდება „ღვინოსათვის“ მსგავსია მისი წინააზიური სახელებისა.

მაგ. არაბ. *wain*; ძვ.- ებრ. *jajin*; ეგვიპტ. *wnš*; ასევე სამხრეთ-კავკასიურ ანუ ქართველურ ენებში აღდგენილია ფორმა *ywino* (ღვინო).

მამასადაძე, ეს სიტყვა გვხვდება როგორც ინდოევროპულ, ისე სემიტურ და ქართველურ ენებში. ასეთ ტერმინებს თ. გამყრელიძე „მიგრაციულ“ ტერმინებს უწოდებს. ეს ტერმინი, სავარაუდოდ, ერთი ენიდან მეორეში გადადიოდა იმ პერიოდში, როდესაც ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაშლილი ცალკეულ ენებად, მაგრამ, როგოც ჩანს, უძველესი კერა ღვინისა და ყურძნისა, ვაზისა არის კავკასია. ვაზის კვალი კავკასიაში აღმოჩენილია ძვ. წ. V- IV ათასწლეულის კულტურულ შრეში.

3) ადამიანის სხეულის ნაწილები:

გული

ძვ.-ინდ. *hṛd*, ბერძნ. *kardia*, ლათ. *cord*, ლიტვ. *širdis*, ხეთ. *kardi*, სომხ. *sirt*, ძვ.-სლავ. *сръдѣ*, გოთ. *hairto*, რუს. *сърдце*

კბილი

ძვ.-ინდ. *dán*, ბერძნ. *od n*, ლათ. *dēns*, ლიტვ. *dantis*, გოთ. *tunþus*, ძვ.-ინგლ. *tǣþ*, ძვ.-ზ.-გერმ. *zand*

ფეხი, ტერფი

ძვ.-ინდ. *pāt*, ბერძნ. *poús*, ლათ. *pēs*, გოთ. *fiþus*, ძვ.-ინგლ. *fēt*, ძვ.-ზ.-გერმ. *fouz*, ძვ.-ისლ. *fótr*

ამ თემატური ჯგუფის სიტყვები შეიცავენ ისეთ ცნებებს, როგორცაა 'მუხლი', 'ყური' 'ღვიძლი', 'სისხლი', 'თვალი', 'თავი', 'წარბი', 'ცხვირი', 'მვალი', 'იდაყვი', 'თეძო', 'ხელისგული და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს იზოგლოსები გადიან სამ, ან ორ არეალზეც კი, როგორც, მაგალითად, სიტყვები, რომლებიც 'პირს' და 'ბაგეს' აღნიშნავენ: ლათ. *mentum* 'ნიკაპი', კელტ. *mant* 'ყბა', გოთ. *munþs* 'პირი', ლათ. *la ia*, *le ra* 'ტუჩები', სპარს. *lab*, ძვ.-ინგლ. *lippa*, 'ბაგე', ძვ.-იდ. *lippe*, ძვ.-ნიდერლ. *lippe*, ძვ.-ფრიზ. *lippa*, ძვ.-ისლ. *lepor*

4) გეოგრაფიული ცნებები, ზუნების მოვლენები, ციური ცთომილებები

ზღვა

ლათ. *mare*, ლიტვ. *māres* (მრ.რ.) ლატ. *mare* 'ყურე', 'უბე'. ძვ.-სლავ. *mope*, ძვ.-ირლ. *muir*, გოთ. *mar*, ძვ.-ინგლ. *mere*, ძვ.-ზ.-გერმ. *meri*, ძვ.-ისლ. *mar*

თოვლი

ლათ.*nix* ('*snig hs*) ბერძნ. *nípha*, ძვ.-ირლ. *snehti*, ძვ.-სლავ.*ch hrx*, ძვ.-პრუს.*snaygis* ლიტვ.*sniegas*, გოთ.*snaiws*, ძვ.-ინგლ. *snāw*, ძვ.-ზ.გერმ.*snēo*

მზე

ძვ.- ინდ. *si var*, ლიტვ. *saule*, პრუს. *saule*, ძვ.- სლავ. *slūnice*, გოთ. *sauil*; ძვ.- ზ.- გერმ. *sunna*; ძვ.- ინგლ. *sunne*, ლათ. *sōl*

ღრუბელი

ძვ.-ინდ. *nábhah*, ბერძნ.*véφος* 'ცა.'ძვ.-სლავ.*nebo*.'ცა' ხეთ. *nepis* 'ცა' ბერძნ.*νεφέλη* "ღრუბელი", ლათ. *nebula* 'ნისლი', ძვ.-საქს.*nebal* 'ღრუბელი'.

საერთო ინდოევროპულ სიტყვებს, რომლებიც გარემოში არსებულ ბუნებრივ წიაღისეულის აღმნიშვნელ ცნებებს გამოხატავს, ყოველთვის იდენტური მნიშვნელობები არ აქვთ:

თიხა

ლათ. *limus* 'შლამი',ძვ.-ინგლ.*līm* 'წებო', ძვ.-ზ.-გერმ. *līm* 'კირი'ძვ.-სკანდ.*lēmō* თიხა'. (შდრ.რუს. *тина*, *ил* 'შლამი').

5) ადამიანის საქმიანობის აღმნიშვნელი საგნების სახელწოდება:

ეს ჯგუფი აერთიანებს სხვადასხვა სახის საგნების სახელწოდებებს, რომელთა არსებობა გერმანიკული ენების გარდა, სხვა ინდოევროპულ ენებშიც დასტურდება:

ბორბალი

ლათ. *rota*, ძვ.-ირლ. *roth*, ლიტვ. *rātas*, ძვ.-ზ.-გერმ. *rad*

ხომალდი

ძვ.-ინდ. *nāuh*, სპარს. *nāv*, სომხ.*naw*, ბერძნ. *naūs*, ლათ.*nāuis*,ირლ.*nau*,ძვ.-ისლ.*nór*

ფარცხი

ლათ. *occa*, ლიტვ.*akėčios*, ლატ. *ecēšas*,, ბრეტ. *oguet*, ძვ.-ინგლ. *egeðe*, ძვ.-ზ.-გერმ.*egida*

ზმნა

ინდოევროპული ზმნის ძირების უმეტესობაში დასტურდება ინდოევროპული არეალისთვის საერთო მნიშვნელობის მქონე სიტყვების არსებობა, ისეთი ცნებების გამოსახატავად, როგორცა: 'ცხოვრება', 'მოკვდომა', 'დაღევა', 'ჭამა', 'დაძინება', 'ფხიზლობა". კბენა' 'აღება', 'დატოვება', 'დანახვა', 'მოსმენა', 'ფიქრი', 'ცოდნა', 'წასვლა', 'გაქცევა' და სხვა. ერთნაირად აღინიშნებოდა, აგრეთვე, ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნება:

ცოდნა

ძვ.-ინდ. *jnāyate* 'იცის', ბერძნ. *gignōskō* 'ვიცი', ლათ. *cōgnoscō*, ხეთ. *kaneszi*, ძვ.-სლავ. *знати*, ლიტვ. *žinóti*, გოთ. *kunnan*

ძილი

ძვ.-ინდ. *svāpiti* 'ძინავს', ძვ.-სლავ. *спати*, ძვ.-ინგლ. *swefan*, ძვ.-ზ.-გერმ. *swefan*; შდრ. ბერძნ. *húpnos* 'ძილი', ლიტვ. *s āpnas* 'ძილი'.

მიწის ხვნა

ლათ. *arō*, ბერძნ. *ἀρό*, ირლ. *airim*, ლიტვ. *ar̃ti*, ძვ.-სლავ. *орати*, გოთ. *arjan*

წველა

ბერძნ. *amélgein*, ლათ. *mulgeō*, ლიტვ. *mélzu*, ირლ. *mligim*, ძვ.-ინგლ. *melkan*, ძვ.-ზ.-გერმ. *melchan*

კერვა

ძვ.-ინდ. *sīvyati* 'კერავს', ლათ. *suere*, ლიტვ. *siúti* 'კერვა' ძვ.-სლავ. *ши-ти*, გოთ. *siujan*, ძვ.-ინგლ. *siwan*, ძვ.-ზ.-გერმ. *siuwen*
ზედსართავი სახელი

უძველესი ინდოევროპული ზედსართავი სახელები გამო-
ხატავენ ისეთ ცნებებს, როგორცაა 'ახალი', 'ძველი', 'ახალ-
გაზრდა', 'უძველესი' და ზოგიერთ ფერს:

ახალი

ბერძნ. *ne(w)os*, ლათ. *novus*, რუს. *новый*, გოთ. *niujis*, ძვ.-
ინგლ. *nīwe*, ძვ.-ზ.-გერმ. *niuwi*, ძვ.-ისლ. *nýr*

წითელი

ძვ.-ინდ. *rudhirá* ბერძნ. *éruthrós*, ლათ. *ruber*, ირლ. *rúad*,
ძვ.-სლავ. *ръдръ*, უკრ. *рудий*, გოთ. *raups*

ცხელი

ძვ.-ინდ. *gharmáh* 'სიცხე' ბერძნ. *thermós*, ლათ. *formus*, გოთ.
warmjan 'გაცხელება', გერმ. *warm*, ინგლ. *warm*

რიცხვითი სახელი

გერმანიკული რიცხვითი სახელების შრე უძველესი წარმო-
შობისაა და ყველას აქვს ინდოევროპული პარალელები. მაგალი-
თად,

რვა

ძვ.-ინდ.(ვედური) *aṣṭi*, ბერძნ. *óktō*, ლათ. *octō*, ლიტვ.
aštuoni, ძვ.-ირლ. *ocht*, ძვ.-სლავ. *осмь*, გოთ. *ahtau*

ათი

ძვ.-ინდ. *dáśa*, ბერძნ. *déka*, ლათ. *decem*, ლიტვ. *dėšimt-*, ძვ.-
სლავ. *десат*, გოთ. *taihun*

ასი

ძვ.-ინდ. *śatám*, ბერძნ. *(he)-katón*, ლათ. *centum*, ავესტ. *satəm*
ლიტვ. *šimtas*, ძვ.-სლავ. *сѣсто*, გოთ. *hund*

ნაცვალსახელი

გერმანიკული პირის, ჩვენებითი, კითხვითი-მიმართებითი
და უკუქცევითი ნაცვალსახელების ფუძეების უმეტესობას საერ-

თო ინდოევროპული ეტიმოლოგია აქვს. ნაცვალსახელების იზოგლოსების ისტორიულ-შედარებითა შესწავლამ დაადგინა ნაცვალსახელური ფუძეების შედარებითი ქრონოლოგია ინდოევროპულში. გენეტიკურად დაკავშირებულია აგრეთვე სუბლექტივის მაწარმოებელი ფორმებიც, რომლებიც სავარაუდოდ, დამოუკიდებელი ნაცვალსახელებიდან წარმოიქმნენ: მაგალითად,

მე

ძვ.-ინდ. *ahám*, ბერძნ. *égō(n)*, ლათ.*ego*, ძვ.-სლავ.*азъ*,

ხეთ.*uk*, გოთ.*ik*

მე [ბრალ. ბრ.] (შდრ.რუს. меня, ინგლ. me, გერმ. mich):

ძვ.-ინდ. *mām*, ბერძნ. *emé*, ლათ. *mē*, ძვ.-სლავ. *mA* ხეთ.

amuk, გოთ. *mik*

ის/იგი

ძვ.-ინდ. *sa*, ბერძნ. *ὁ*, ძვ.-სლავ. *тъ*, გოთ. *sa*

იმ (ადამიანს) (ბრალ. ბრ) შდრ.რუს. *того*

ძვ.-ინდ. *tam*, ბერძნ. *tón* ძვ.-სლავ. *тъ*, ლიტვ. *tš*, გოთ. *þana*

ვინ

ძვ.-ინდ. *kah*, ლათ. *quis*, ხეთ. *kwiš*, ლიტვ. *kás*, ძვ.-სლავ. *къто*,

გოთ. *has*

წინდებულები (თანდებულები), კავშირები

გერმანიკული ენების ისტორიული განვითარების პროცესში დიდი სიმყარით გამოირჩევიან დამხმარე სიტყვები, წინდებულები და კავშირები, რომელთა ძირითადი ფონდი ინდოევროპულიდანაა ნაწარმოები:

'თვის' (რუს. для გერმ. für, ინგლ. for)

ძვ.-ინდ. *pra-*, ლათ. *pro*, რუს. *про*, ლიტვ. *pro*, გოთ. *faúr*, ძვ.-

ინგლ. *for*, ძვ.-ზ.-გერმ. *fora*, ძვ.-ისლ. *fyrr*

დან, გან (რუს. 'от', 'из')

ძვ.-ინდ. *ápa*, ბერძნ. *apó*, ლათ.*ab*, გოთ.*af*, ძვ.-ინგლ.*of*, ძვ.-ისლ. *af*

თან,დროს (რუს.'y', 'при')

ლათ. *ad*, გოთ. *at*, ძვ.-ინგლ. *æt*, ძვ.-ზ.-გერმ. *az*, ძვ.-ისლ. *at*

წარმოდგენილი ლექსიკური იზოგლოსები მოიცავს ინდო-ევროპულ სხვადასხვა ენობრივი სფეროს და აერთიანებს გერმანიკულ ენებს ინდოევროპული ენების თითქმის ყველა ჯგუფთან. ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და წარმოადგენენ გერმანიკული ლექსიკის უძველეს შრეს.

14.2. საერთო გერმანიკული ლექსიკა (საერთო გერმანიკული იზოგლოსები)

ინგლისური და გერმანული ენების ლექსიკის მეორე უმნიშვნელოვანეს შრეს გერმანიკული წარმოშობის სიტყვები შეადგენენ. ეს სიტყვები საერთო გერმანიკული ერთობის პერიოდს განეკუთვნებიან და ამ ენიდან შევიდნენ სხვადასხვა გერმანიკულ ენებში.

თუ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვები სხვადასხვა ინდოევროპულ ენაში გვხვდება, გერმანიკული ლექსიკა მხოლოდ გერმანიკული ენების ლინგვისტური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი. გერმანიკული სიტყვები აღმოცენდა პროტო-გერმანიკულში, მისი დიფერენციაციის შედეგად შეაღწია სხვადასხვა გერმანიკულ ენებში და ამ ენების ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. გერმანიკული წარმოშობის სიტყვები, ანუ გერმანიკული ლექსიკა წარმოადგენს გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტურ ნიშანს ლექსიკურ დონეზე და ამ ენობრივ დონეზე გერმანიკულ ენებს მიჯნავს ინდოევროპული ენების სხვა შტოებისგან.

საერთო გერმანიკული ეტიმოლოგიური პარალელები წარმოდგენილია მეტყველების ნაწილების მიხედვით, რომლებიც დაყოფილია თემატურ ჯგუფებად.

არსებითი სახელი

გერმანიკული წარმოშობის არსებითი სახელების ლექსიკურ-გრამატიკული კლასი შეიცავს შემდეგ თემატურ ჯგუფებს:

1) სხეულის ნაწილების სახელწოდებები:

ხელი

გოთ. *handus*, ძვ.-ინგლ. *hand*, ძვ.-ზ.-გერმ. *hant*, ძვ.-ისლ.

h nd

ძვალი, ფხა

ძვ.-სლავ. *bĕn*, ძვ.-ინგლ. *bān*, ძვ.-ზ.-გერმ. *bein*, ძვ.-ისლ.

bein

2) ცხოველებისა და მცენარეების სახელწოდებები:

ჩიტი

გოთ. *fugis*, ძვ.-ინგლ. *fuzol*, ძვ.-ზ.-გერმ. *fogal*, ძვ.-ისლ. *fugl*

ცხენი

ძვ.-ინგლ. *hors*, ძვ.-ზ.-გერმ. *(h)ros*, ძვ.-ისლ. *hross*

ხზო

გოთ. *kalbō*, ძვ.-ინგლ. *cealf*, ძვ.-ზ.-გერმ. *kalb*, ძვ.-ისლ. *kálfr*

ფოთოლი

გოთ. *laufs*, ძვ.-ინგლ. *lĕaf*, ძვ.-ზ.-გერმ. *loup*, ძვ.-ისლ. *lauf*

3) ბუნების მოვლენებისა და გეოგრაფიული ცნებების სახელწოდებები:

ზღვა

გოთ. *saiws*, ძვ.-ინგლ. *sǣ*, ძვ.-ზ.-გერმ. *sēo*, ძვ.-ისლ. *sǣr*

წვიმა

გოთ. *rign*, ძვ.-ინგლ. *regn*, *rĕn*, ძვ.-ზ.-გერმ. *regan*, ძვ.-

ისლ. *regan*

ავდარი

ძვ.-ინგლ. *storm*, ძვ.-ზ.-გერმ. *sturm*, ძვ.-ისლ. *stormr*

4) ზოგიერთი საგნის სახელწოდებები:

ხიდი

ძვ.-ინგლ. *brycz*, ძვ.-ზ.-გერმ. *brucká*, ძვ.-ისლ. *bryggja*

ფეხსაცმელი

გოთ. *skōhs*, ძვ.-ინგლ. *scōh*, ძვ.-ზ.-გერმ. *scuoh*, ძვ.-ისლ. *skór*

თოკი/ ბაწარი/ საბელი

გოთ. *raip*, ძვ.-ინგლ. *rāp*, ძვ.-ზ.-გერმ. *reif*, ძვ.-ისლ. *reip*

5) აბსტრაქტული ცნებები

იმედი

ძვ.-ინგლ. *hopa*, საშ.-ზ.-გერმ. *hoffe*, დან. *háb*, შვედ. *hopp*

ცხოვრება

ძვ.-ინგლ. *lif*, ძვ.-ზ.-გერმ. *Lib*, ძვ.-ისლ. *lif*

ზმნები

ზმნების ლექსიკო-გრამატიკული კლასი წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი საერთო გერმანიკული იზოგლოსებით.

დალევა (სვამს)

გოთ. *drigkan*, ძვ.-ინგლ. *drincan*, ძვ.-ზ.-გერმ. *trinkan*, ძვ.-ისლ. *drekka*

სიყვარული (უყვარს)

გოთ. *leikan*, ძვ.-ინგლ. *lician*, ძვ.-ზ.-გერმ. *lihhen*, ძვ.-ისლ. *lika*

გაგდება (აგდებს), დადევნება, გარეკვა (მიერეკება)

გოთ. *dreiban*, ძვ.-ინგლ. *drifan*, ძვ.-ზ.-გერმ. *triban* ძვ.-ისლ. *drifa*

გაგზავნა (გაგზავნის)

გოთ. *sandjan*, ძვ.-ინგლ. *sendan*, ძვ.-ზ.-გერმ. *senten*, ძვ.-ისლ. *senda*

ჰერა (უჰირავს)

გოთ. *haldan*, ძვ.-ინგლ. *haldan*, ძვ.-ზ.-გერმ. *haltan*, ძვ.-
ისლ. *halda*

დაფიცება (ფიცულობს)

ძვ.-ინგლ. *swerian*, ძვ.-ზ.-გერმ. *swer(i)an*, ძვ.-ისლ. *sverja*

თხოვნა/ ხვეწნა

გოთ. *bidjan*. ძვ.-ინგლ. *biddan*, ძვ.-ზ.-გერმ. *bitten*, ძვ.-
სკანდ. *bidja*

დაბადება/ წარმოშობა

ძვ.-ინგლ. *e-byrd* - „დაბადება, წარმოშობა“; ძვ.-ზ.-გერმ.
geburt; ძვ.-სკანდ. *byrd, byrdr*; გოთ. *gabaurts*

პოვნა

ძვ.-ინგლ. *findan*; ძვ.-ზ.-გერმ. *finden*, ძვ.-სკანდ. *finna*,
გოთ. *fintan*

ზედსართავი სახელი

ფართო

გოთ. *braiþs*, ძვ.-ინგლ. *brād*, ძვ.-ზ.-გერმ. *breit*, ძვ.-ისლ.
breiðr

ავადმყოფი

გოთ. *siuks*, ძვ.-ინგლ. *sēoc*, ძვ.-ზ.-გერმ. *sioh*, ძვ.-ისლ. *sjúkr*

საკუთარი

ძვ.-ინგლ. *āzen*, ძვ.-ზ.-გერმ. *eigan* ძვ.-ისლ. *eiginn*

ერთგული/ საიმედო

გოთ. *tryggws*, ძვ.-ინგლ. *zetrīewe*, ძვ.-ზ.-გერმ. *gitriuwi* ძვ.-
ისლ. *tryggr*

ნაცვალსახელი

ასეთი

გოთ. *swaleiks*, ძვ.-ინგლ. *swilc*, ძვ.-ზ.-გერმ. *solih*, ძვ.-ისლ.

Slikt

ზმნიზედა

პირდაპირ

ძვ.-ინგლ. *onzēan* ძვ.-ზ.-გერმ. *ingagan*, ძვ.-ისლ. *i gegn*

ხშირად

გოთ. *ufta*, ძვ.-ინგლ. *oft*, ძვ.-ზ.-გერმ. *oft*, ძვ.-ისლ. *oft*

საერთო გერმანიკული ლექსიკა შეადგენს გერმანიკული ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს (დაახლოებით 30%).

14.2.1. ადრეული ნასესხობანი კელტური და ლათინური ენებიდან

ძველი გერმანელები ისტორიულ არენაზე დამწერლობის შექმნამდე დიდი ხნით ადრე არსებობდნენ. სხვადასხვა დროს მათ ჰქონდათ შეხება სხვადასხვა ხალხთან. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძველი გერმანელები ევროპის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით შეხვდნენ ფინელებს, ბალტიისპირელებს და სლავებს, სამხრეთით – ძველ ბერძნებს და რომაელებს. გერმანელი ხალხის კონტაქტები სხვა ხალხთან ასახვას ჰპოულობს ამ დასახელებული ხალხის ენებში გერმანულიდან ნასესხობანის სახით და პირიქით, მეზობელ ხალხებთან ეკონომიკურ-კულტურულმა კონტაქტებმა დიდი გავლენა მოახდინა საერთო-გერმანულ (გერმანიკულ) ლექსიკაზე.

ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ გერმანულ ტომების ძვ. წ. VI-V საუკუნეებში დაკავებული ჰქონდათ ცენტრალურ ევროპაში ელბასა და ოდერს შორის მდებარე დაბლობების ჩრდილო ნაწილი, სკანდინავიის სამხრეთით იუტლანდიის ნახევარკუნძულის ჩათვლით. შვეციის ზღვის სანაპიროები. გერმანელთა მეზობლად, როგორც გადმოგვცენენ რომაელები, ცხოვრობდნენ კელტური ტომები.

ძველი გერმანიკული ენები ზევრ საერთოს ნახულობენ მათი ლექსიკური ფონდის შევსების გზებსა და წყაროებში, რაც აიხსნება ამ ენების ისტორიული განვითარების პირობების თანხვედრაში. გერმანიკული ენების ლექსიკური ფონდი მათი განვითარების სხვადასხვა პერიოდში ივსებოდა კელტური და ლათინური ენებიდან შემოსული სიტყვებით. ძველ გერმანიკულ ტომებს არაგერმანული წარმოშობის ეთნიკური ჯგუფებიდან ძალიან ადრე მოუხდათ კელტებთან შეხვედრა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კელტები ამ დროს კულტურით წინ უსწრებდნენ თავიანთ გერმანელ მეზობლებს. კელტური ენებიდან ნასასხები სიტყვებიც მოწმობენ იმაზე, რომ სესხების ეპოქაში კელტური ტომები განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იყვნენ. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მიუთითებენ კელტურიდან გერმანულში შესულ ხელისუფლებისა და სასამართლოს ცნებების გამოხატველ სიტყვებზე;

შდრ.: კელტ. *rig*, გოთ.*reiki*, ძვ.-ზ.-გერმ. *rihhi*, (შდრ.Reich „სახელმწიფო“).

კელტ. ლათ. *ambactus*, გოთ. *andbahti*, ძვ.-ზ.-გერმ. *ambahti*, ა.-ზ.-გერმ. Amt (სამსახური) და ა.შ.

ჩვ.წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის შუა წლებში, კელტურიდან იქნა სასესხები სიტყვა მნიშვნელობით- 'რკინა'.

კელტ.* *isarno*, ძვ.-ირლ.*iarann*, გოთ. *eisarn*, ძვ.-ინგლ. *isern*, *iren*, ძვ.-ზ.-გერმ. *isarn*, *isan*, ძვ.-ისლ. *isarn*, *farn*

კელტურიდან ადრე ნასესხობანში გვხვდება სიტყვები, რომლებიც ადამიანის სოციალურ მდგომარეობას აღნიშნავენ და ამ ეთნოსის უფრო მაღალ ცივილიზაციაზე მეტყველებენ:

კელტ.(გაელ.) *ambactos*, ლათ.< გოთ.*andbahts*. ძვ.-ინგლ. *ambiht*, ძვ.-ზ.-გერმ. *ambaht* ' მოსამსახურე ' ძვ.-ისლ. *amb* it (მოსამსახურე ქალი) კელტ.* *rīg*, გაელ. *rig*, ძვ.-ირლ. *rī*, ნათ.

ბრ.*rīg* 'შმართველი', გოთ.*reiks* 'შმართველი', ძვ.-ინგლ. *rice* 'ხელისუფლება' 'სამეფო', ძვ.-ზ.-გერმ. *Rihhi* 'სამეფო' მფლო-ბელი'. ძვ.-ისლ. *riki* 'ხელისუფლება', 'სამეფო'.

გაელ.* *lēgyo*, ირლ.* *liaig* 'ექიმი' გოთ. *lēkais*, ძვ.-ინგლ. *læce*, ძვ.-ზ.-გერმ. *lāhhi* 'ექიმი'.

ზოგიერთი ძველი სემანტიკის მქონე სიტყვების ეტიმოლოგია საფუძველს გვაძლევს მივაკუთვნოთ ისინი ამ პერიოდის კულტურიდან ნასესხებ სიტყვებს. შდრ.

ძვ.-ირლ. *clocc* ძვ.-ინგლ. *clugge*, ძვ.-ზ.-გერმ. *glocka* 'ზარი';

ძვ.-ირლ. *ōeth* - გოთ. *aifs*, ძვ.-ინგლ. *āp*, ძვ.-ზ.-გერმ. *eid*, ძვ.-ისლ. *eiþr* 'ფიცი'

ძვ.-ირლ. *giall* ძვ.-ინგლ. *zisl*, სპ.-ზ.-გერმ. *gisel*, ძვ.-ისლ. *gisl* 'მძვეალი'.

როგორც ჩანს, კულტური ნასესხობანის ეს ფენა გერმანიკული ენების ლექსიკაში შეიჭრა ჯერ კიდევ საერთო გერმანიკული-ფუძე ენის არსებობის ეპოქაში, ამიტომ იგი საერთო გერმანულის მიღწევაა.

თანამედროვე გერმანული და ფრანგული დიალექტების შესწავლის საფუძველზე ენათმეცნიერებამ შეძლო სიზუსტით დაედგინა ის რაიონები, რომლებშიც პირველად იქნა შეთვისებული *ლათინური სიტყვები*, მათი გერმანულ ენაში შეღწევის გზები, აგრეთვე ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ძირითადი ცენტრები, საიდანაც ვრცელდებოდა რომაული კულტურის გავლენა გერმანულ ხალხზე.

ძვ. წ. I საუკუნეში გერმანელებს რამდენიმე შეჯახება მოუხდათ *რომაელებთან*. მომთაბარე ტევტონები და კიმბრები შეიჭრნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე. მეცნიერებაში ვარაუდობენ აგრეთვე, რომ გერმანიის დასავლეთ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვა, არაინდოევროპელი ხალხებიც, რომელთა ენასა და სახელწოდებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ძვ. წ. IV -I საუკუ-

ნებში, დასახლდნენ რა დასავლეთით მდინარე რაინის ნაპირე-
ბამდე, მათ წინ წაიწიეს აღმოსავლეთშიც. ძვ. წ. I საუკუნეში
გერმანელებმა მიაღწიეს დუნაის ნაპირებს და უშუალოდ დაუ-
მეზობლდნენ რომაელებს. ბრძოლა რომაელებსა და გერმანე-
ლებს შორის დიდხანს გაგრძელდა. ძვ. წ. 58 წელს იულიუს
კეისარმა დაამარცხა გერმანელთა ჯარები არიოვისტის სარ-
დლობით. რომაელები შეიჭრნენ რაინის აღმოსავლეთ ტერიტო-
რიაზე და დაიკავეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები.

ახ. წ. მე-9 წელს ჰერუსკებმა(გერმანული ტომი) არმი-
ნიუსის (ჰერმანიუსის) სარდლობით ტევტობურგის ტყეში ალყა
შემოარტყეს და თითქმის მთლიანად ამოხოცეს რომალთა
ჯარები, რის შემდეგ რომაელები ძირითადად თავდაცვის
პოლიტიკაზე გადავიდნენ.

რომაელებთან უშუალო მეზობლობა გავლენას ახდენს
გერმანელებზე, რომაელთა და გერმანელთა უშუალო მშვიდო-
ბიანი ურთიერთობა გრძელდება III საუკუნემდე. ამ პერიოდში
საერთო გერმანულმა ენამ აითვისა ბევრი ლათინური სიტყვა
ეკონომიკისა და კულტურის მრავალფეროვანი სფეროებიდან;
მაგ.

ლათ. *vinum* ძვ.-ზ.- გერმ. *win*, ახ.- ზ. - გერმ. *Wein* (ღვინო),
ლათ. *copa* ძვ.-ზ.- გერმ. *koufa*, ახ.- ზ. - გერმ. *Kufe* (კასრი),
ლათ. *caulis*, ძვ.-ზ.- გერმ. *kol*, ახ.- ზ. - გერმ. *Kohl*
(კომბოსტო),

ლათ. *pira*, ძვ.-ზ.- გერმ. *bira*, ახ.- ზ. - გერმ. *Birne* (მსხალი),
ლათ. *radix*, ძვ.-ზ. გერმ. *retih*, ახ.- ზ. - გერმ. *Retih*
(ზამთრის ბოლოკი). და ა.შ.

იულიუს კეისარი და ტაციტუსი გვაწვდიან ძვირფას
ცნობებს უძველესი გერმანელების ცხოვრების, საზოგადოებ-
რივი წყობისა და ეკონომიურ-კულტურული საქმიანობის შესა-
ხებ. დღეს მეცნიერებაში ცნობილია, რომ კეისარისა და ტაციტუ-

სის დროს გერმანელები ცხოვრობდნენ გვაროვნულ-პატრიარქალური წყობის სისტემით (შდრ. გვარის აღმნიშვნელი სიტყვები: გოთ.*kuni* ლათ. *gens-gentis*, ბერძნ.*genos*).

გარკვეული სხვაობა საერთო გერმანულის ლექსიკაში, ინდოევროპულ ენასთან შედარებით, შექმნა ამ პერიოდში ინდოევროპული სიტყვების ნაწილის ახალი სიტყვებით შეცვლამ. მაგ., *po*-დაღევა (შდრ. ლათინური *potūs* სასმელი, *pusulum* „სასმისი, თასი, რუს.*пить*) შეცვალა სრულიად ახალმა სიტყვამ *trinken* (შდრ. ინგლ.*drink*) და ა.შ.

მკვლევართა აზრით, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა გერმანიკულ ენათა მნიშვნელოვან ურთიერთგავლენას (ტომებს შორის), მაგრამ, ამავე დროს, ძლიერი იყო აგრეთვე არაგერმანიკული ენების გავლენაც, განსაკუთრებით - დასავლეთში (რაინის მიდამოებსა და გალიაში).

რომაელთა დაახლოების შედეგად ლათინური ენის გავლენა პირველ ხანებში შეიმჩნევა ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ლექსიკაში. დადასტურებულია, რომ საერთო გერმანულის პერიოდში ლათინური ენა ფართოდ იყო ცნობილი თითქმის ყველა გერმანიკული ენის ტერიტორიაზე. ზოგიერთი ლათინური სიტყვა გოთურში დასავლეთის რაიონებიდან შეიჭრა ჩვ. წ. პირველ ორ საუკუნეში. ცნობილია, რომ ამ დროს რომაელები და გოთები უშუალო მეზობლები არ ყოფილან.

უძველესი დროის გერმანელი ტომებისათვის საქონელი არსებობის ძირითადი საშუალება იყო. საქონლის აღმნიშვნელი სიტყვა (გოთ.*faihu*, ძვ.-ზ.-გერმ. *fihu*, ახ.-ზ.-გერმ. *Vieh*) გერმანელებისათვის ნიშნავდა აგრეთვე „ქონებას“, „ფულს“ იულიუს კეისრის გადმოცემით, ამ დროს გერმანელებთან მიწა თემის საკუთრება იყო და მუშავდებოდა გვარის საერთო ძალებით. გერმანელები ამ დროს ჯერ არ იყვნენ დამკვიდრებული ერთ ადგილზე. ტაციტუსთან კი უკვე აღნიშნულია, რომ გადა-

ადგილების შესაძლებლობის შეზღუდვამ, რასაც რომაელებთან შეჯახების შედეგად ჰქონდა ადგილი, აიძულა გერმანელები დამკვიდრებულიყვნენ გარკვეულ ტერიტორიაზე.

მართალია, ამ დროს გერმანელებს ჰქონდათ გვაროვნულ-თემური წყობილება, მაგრამ უკვე შეიმჩნეოდა სოციალური დიფერენცირება. არსებობდა უხუცესთა საბჭო, გვარისა და ტომის უხუცესს ეწოდებოდა "*Kuning*" (შდრ. ახ.-ზ.-გერმ. *König*- მეფე), შემდეგ უხუცესთა უფლება მემკვიდრეობით განმტკიცდა. უხუცესთან ერთად გერმანელებს ჰყავდათ აგრეთვე ტომის ბელადი, მხედართმთავარი (შდრ. ძვ.-ზ.-გერმ. *herizogo* -ახ.-ზ.-გერმ. *Herzog* (მხედართმთავარი, ჯართმძლოლი). უკვე ძვ.-ზ.-გერმ. *heri*- ახ.-ზ.-გერმ. *Heer* (ჯარი); *ziohan*-ახ.-ზ.-გერმ. *ziehen*- გაძლოლის, წაყვანის მნიშვნელობით; უკვე ამ დროს გერმანელებთან გვარის თავისუფალი წევრების გვერდით გვხვდება მონა-სამხედრო ტყვეები, რომელთა შრომითაც სარგებლობენ წარჩინებულები - *edel* (ძვ.-ზ.-გერმ. *edeli*). III საუკუნის დასასრულს თანდათანობით ქრება გვაროვნული ოჯახები და მათ ადგილს იკავებს უფრო დიდი ტომობრივი კავშირები.

ლათინურიდან ნასესხები სიტყვების ყველაზე ადრეული ნაკადიც კი იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა საერთო გერმანულის არსებობის ხანა უკვე დაშლილი იყო. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა გერმანიკული ენების ნასესხები სიტყვების შემადგენლობაში დიდი მსგავსება შეიმჩნევა. ამ ფენის ლათინური ნასესხობანისთვის დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ იგი ძირითადად ზეპირი მეტყველების სახით გავრცელდა და ადრე ჰჰოვა საერთო გამოყენება.

ამ ფენის ნასესხები სიტყვები მოწმობენ ძველი გერმანელების მატერიალურ კულტურასა და საზოგადოებრივ წყობაზე რომაული ცივილიზაციის მრავალმხრივ გავლენას.

ლათ. *caupōnari* ნაწარმოებია *caupo*-დან 'წვრილი ვაჭარი' - გოთ. *kaopōn*, ძვ.-ინგლ. *cēpian*, ძვ.-ზ.-გერმ. *koufōn*, ძვ.-ისლ. *kaupa* 'ვაჭრობა'

ლათ. *catillus* 'ლამბაქი' *catinus* 'ლანგარი/ სინი' - გოთ. * *katils*, ძვ.-ინგლ. *cytel*, ძვ.-ზ.-გერმ. *kezzil*, ძვ.-ისლ. *ketill* 'ქვაბი' (შდრ. რუს. котёл)

ლათ. *molīna* 'წისქვილი' - ძვ.-ინგლ. *mylen*, ძვ.-ზ.-გერმ. *muli (n)* 'წისქვილი'

ლათ. *pondō* 'წონითი ერთეული' - გოთ. *pund*, ძვ.-ინგლ. *pund*, ძვ.-ზ.-გერმ. *pfunt*, ძვ.-ისლ. *pund* 'ფუნტი'.

ლათ. *vinum* 'ღვინო' - გოთ. *wein*, ძვ.-ინგლ. *wīn*, ძვ.-ზ.-გერმ. *wīn*, ძვ.-ისლ. *vín* 'ღვინო' (შდრ. რუს. вино)

ლათ. *coquina* 'სამზარეულო' - ძვ.-ინგლ. *cycene*, ძვ.-ზ.-გერმ. *chuhhina* 'სამზარეულო'.

ლათ. *cuppa* 'ბოკალი', 'სირჩა' - ძვ.-ინგლ. *cuppe*, ძვ.-ზ.-გერმ. *chuph, chuppha* 'თასი', 'ფიალა', 'ჯამი'

ლათ. *carcer* 'საპყრობილე', 'დილეგი' - გოთ. *karkara*, ძვ.-ინგლ. *carcern*, ძვ.-ზ.-გერმ. *karkāri* 'საპყრობილე', 'დილეგი'

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო გერმანული ენა სიტყვებს სესხულობდა მხოლოდ ხალხური (ვულგარული) ლათინურისაგან და არა კლასიკური ენიდან. არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, თითქოს იმ საგნებს, რომელთა სახელებს წარმოადგენდნენ ახლანასესხები სიტყვები, გერმანელები მანამდე არ იცნობდნენ. რა თქმა უნდა, უმეტეს შემთხვევაში ეს ასე არ ყოფილა. ნასესხებმა სიტყვებმა ზოგჯერ იმავე მნიშვნელობის გერმანული სიტყვების ადგილი დაიკავეს. ზოგჯერ კი უცხოური სიტყვები ენამ გარკვეული მოდის მიხედვით აითვისა და ა.შ. (ხაზგასმა ჩვენია - ნ.ს.).

ამრიგად, გერმანიკული არეალის საერთო თავისებურებების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიკულმა ენებმა

დამოუკიდებელი განვითარების პროცესში თავისი დამახასიათებელი, განმასხვავებელი ნიშან-თვისებები შეიძინა, რომლებმაც განსაზღვრა მათი თავისებურება ინდოევროპული ენების წრეში. ყველაზე არსებითი იყო ის ინოვაციები, რომლებიც მახვილის დასმას, ხმოვნებისა და თანხმოვნების გადაწევას უკავშირდება. ინოვაცია იყო, აგრეთვე, ზედსართავი სახელის მორფოლოგიაში სუსტი ბრუნების ჩამოყალიბება, სუსტი ზმნების წარსულ დროში დენტალური სუფიქსის გაჩენა, აბლაუტის მონაცვლეობის მიხედვით ძლიერი ზმნების უღლების სისტემის ჩამოყალიბება, გერმანიკულ ენების ლექსიკურ სისტემაში ახალი წარმონაქმნების გაჩენა, რამაც გაამდიდრა გერმანიკული ენების ლექსიკური ფონდი.

14.2. 2. გერმანიკული ლექსიკა სხვა ენებში

უცხოური სიტყვების სესხების პარალელურად, გერმანიკული ენები თვითონვე ახდენდნენ გავლენას სხვა ენებზე. გერმანულიდან ნასესხები სიტყვები გვხვდება კელტურში, რომანულში, ფინურში, პროუსიულში, ლიტვურსა და ლათვიურში, ძველ სლავურში.

დაწყებული IV ს –დან ჩვ. წელთაღრიცხვამდე, ანტიკური სამყარო გაეცნო თავის ჩრდილო მეზობლებს – გერმანიკულ ტომებს. რომაელ ავტორებთან – ცეზართან და რომის უფრო გვიანი პერიოდის ავტორებთან (VI ს. ჩვ.წელთაღრიცხვით) მრავალრიცხოვან გერმანულ საკუთარ სახელებთან ერთად გვხვდება (ლათინიზებული ფორმით), გერმანული ნასესხობანი, რომელიც კულტურის საგნებს, საყოფაცხოვრებო და გერმანელების აღჭურვილობის ნივთებს აღნიშნავს. ცეზართან გვხვდება სიტყვა *alces* (მრ.რ.), „ხარ–ირემი“ (მდრ რუს. лоси). პლინიუს უფროსთან *sapo* „საღებავი კრემი თმისათვის“, ტაციტუსთან – *glesum* „ქარვა“ *framea* (გერმ.) „შუბი“, *barditus* „საბრძოლო სიმღე-

რა". უფრო გვიანდელ ავტორებთან გვხვდება *medus* „თაფლი“ (შდრ. რუს. мѣд) *flado* -ორცობილა (შდრ. რუს. лешка), *harpa* „არფა“ *runa* „რუნა“, „რუნული ანბანი“ და სხვ. მრავალრიცხოვანი გერმანული საკუთარი სახელები გვხვდება ლათინური ენის ძეგლებში, წარმოქმნილი გერმანული დამწერლობის შექმნის წინა პერიოდში თვით გერმანულ ენაზე. ლექსიკური თვალსაზრისით ყველაზე ღირებულ მასალას შეიცავს ე.წ. „ბარბაროსული სიმართლები“. ეს არის კანონების კრებული, ჩანაწერები, გერმანელი ხალხის ჩვეულებრივ უფლებებზე, – ვესტგუთებზე, ბურგუნდიელებზე, ფრანკებზე, ალემანებზე, ლანგობარდებზე, ტიურინგებზე, ბავარიელებზე (V-IX სს). ლათინურ ენაზე ჩაწერილი ეს „კანონები“ შეიცავს ლათინურ ტექსტებში შეგროვილი ფორმით გერმანულ ტერმინოლოგიას, რომელიც ასახავს გერმანელი ხალხის უფლებრივ ურთიერთობებს სამხედრო დემოკრატიის დაშლის და ფეოდალური ურთიერთობების წარმოშობის ჩასახვის პერიოდში.

განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს გერმანული ნასესხობანი *ფინურ ენაში*, რომლის უმეტესობა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისშია დაფიქსირებული. მაგალითად, ფინ. *rengaz*, გერმანიკული *hrengaz*, გოთ. *hriggs* –დან, ძვ.-ზ.-გერმ. *hring*, (შდრ. გერმ. *Ring*, ინგლ. *ring*, „ბეჭედი“);

ფინ. *kuningas* “ გერმანიკულ *kunin haz* –დან, ძვ.-ზ.-გერმ. *Chuning*, ძვ.-საქს. *cuning*, (შდრ. გერმ. *König* –ინგლ. *king* ‘მეფე’

ფინ. *kermas* (willig) გერმანიკული *gernaz* –დან, გოთ. *gairms*, ძვ.-ზ.-გერმ. *gern*– ‘სიამოვნებით’.

ფინ. *tiuris*, გერმანიკული *diuriz* –დან, ძვ.-ზ.-გერმ. *tiuri*, ძვ.-საქს...*dēore*, გერმ. *teuer* ‘ძვირი’

ფინ. *kulta*, გოთ. *gulp*, ძვ.-ზ.-გერმ. *gold* ‘ოქრო’.

ფინ. *rikas*, გოთ. *reiks*, ძვ.-ზ.-გერმ. *rich* (შევ. გერმ. *reich*, ინგლ. *rich* ‘მდიდარი’.

ფინ. *kaunis*, გოთ. *skauns*, ძვ.-ზ.-გერმ. *skoni* “ლამაზი”;
kansa ‘ხალხი’ (*Volk*), გოთ. *hansa* „ხროვა“ *Schar*);

ფინ. *Juko*, გოთ. *juk*, ძვ.-ზ.-გერმ. *Joh* (მდრ. გერმ. *Joch* ინგლ.
Yoke „რუს. *úro* ‘ულელი’).

saippja, ძვ.-ინგლ.- *sape* ‘საპონი’.

მოხვდნენ რა ფინურ ენაში, ეს ნასესხობანი თითქოს გაქვავდნენ, შეინარჩუნეს სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ იშვიათად თუ არის დამოწმებული სიტყვის ფორმაში, რომელიც გვხვდება ძალიან ძველ დამწერლობით ძეგლებში, სახელდობრ: სუფიქსების და დაბოლოების სრული სახე, რომელთაც განიცადეს გერმანელთა დამწერლობის (III-IV სს) დასაწყისში მნიშვნელოვანი რედუქცია.

გერმანულიდან სხვა ენებში შესული სიტყვების მიხედვით შესაძლოა ვიმსჯელოთ ეკონომიური და კულტურული ცხოვრების იმ დარგებზე, რომლებითაც გერმანელები ახდენდნენ გავლენას მეზობელ ხალხებზე.

საერთო გერმანულის ეპოქაში არ იყო გაფორმებული და ჩამოყალიბებული ს ა ე რ თ ო ე ნ ა. მაგრამ მეცნიერები ითვალისწინებდნენ მაშინდელი გერმანელების პოეზიის მონაცემებს, ასევე იულიუს კეისრისა და ტაციტუსის ცნობებს და თვლიდნენ, რომ ამ დროს გერმანელებს ჰქონდათ პოეზიის „ხელოვნური ენა“ (*Kunstsprache der Dichtung*). საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გერმანელებს ჰქონდათ მაღალ დონეზე დაყენებული სამხედრო ხელოვნება. ეს ასახულია საბრძოლო-სამხედრო ლექსიკაში, რამაც ჩვენამდე მოაღწია ძირითადად საკუთარ სახელებში.

ამ პერიოდში გაჩნდა სოციალური დიალექტების, პროფესიული ჟარგონების ჩანასახებიც. საქმე ის არის, რომ ამ დროს შრომის დიფერენციაცია, ე. ი. პროფესიული დანაწევრება ჯერ კიდევ არ ყოფილა მნიშვნელოვანი და იგი მხოლოდ იწყებოდა.

მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება განვასხვაოთ მჭედლისა და მეზღვაურების პროფესიული ლექსიკა. მასში შედიოდა სიტყვები, რომლებიც ნაკლებად გასაგები, საერთოდ გაუგებარი იქნებოდა ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც ამ პროფესიას არ ეკუთვნოდნენ.

ს ა ე რ თ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ე ნ ა თავიდანვე არ იყო ერთიანი და ერთგვარი სხვაობა შეიმჩნეოდა ცალკეული ტომების მიხედვით. ამჟამად მეცნიერებაში დადგენილია, რომ განსხვავება გერმანიკული ტომების, ამ ტომთა ჯგუფების მეტყველებაში დროთა ვითარებაში იმდენად გაიზარდა და გაღრმავდა, რომ III საუკუნიდან უნდა ვილაპარაკოთ არა საერთო გერმანულ ენაზე, არამედ გერმანიკული ტომების მეტყველებაში დიდი ენობრივი სხვაობის მიხედვით, – მათ უკვე ც ა ლ კ ე უ ლ გ ე რ მ ა ნ ი კ უ ლ ე ნ ე ბ ა დ თვლიან.

15. კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა თანამედროვე გერმანული და ინგლისური ენების ლექსიკაში

ჰომოგრაფიული სიტყვების თანხვედრა:

Der Arm-arm; blind-blind; der Frost-frost; gold-gold;

*Nestling-nestling ; der Sommer.-summer, die Station-station;
der Tiger-tiger;*

wild wild; der Wind, -wind, der Winter-winter

ა) ერთ ენაში არსებობს რედუცირებული თანხმოვანი, მეორეში კი არა (ან არსებობს მხოლოდ ერთი).

die Damme- dame; der Damm-dam; die Flagge-flag;

die Flame-flame; die Galle -gall; das Glas-glass; das Gras- grass;

die Henne-hen; die Lippe-lip; der Market-market; die Ratte-rat.

ბ)ჰომოგრაფიულ ზმნებში განსხვავება გერმანული ინფინიტის მანარმოებული სუფიქს en- ით შემოიფარგლება:

backen-bake; bringen-bring; binden-bind;

enden-end; hängen-hang, kosten-cost; missen-miss;

rollen-roll; spenden-spend; singen-sing; wringen-wring.

ამ ენებს შორის ფორმალურ-აზრობრივი მსგავსების კვალდაკვალ გვხვდება კანონზომიერი დაცილება თანხმოვნებს შორის:

1) გერმანული pf-ან f(f) —ინგლისური p- p(p)

der Apfel-apple; der Affe-ape; der Griff -grip;

der Gaffer-gape; öffnen- open; der Pfeffer-pepper; scharf-sharp

2) გერმანული ss (ß)და z(t) ინგლისური - t

der Hass- hate; das Holz-holt; die Katze-cat; das Los-lot;

die Nese- nettle; das Netz- net; die Nuß-nut;

pflanzen-plant; sitzen-sit; der Zopf-top;

das Wasser-water; der Zug-tug.

3) გერმანული (c) *h* - და ინგლისური -*k* (c)
die Eichel-acorn; machen-make; die Milch- milk,
rechnen-reckon; wachen-wake

4) გერმანული *d-t*- ინგლისური- *d*
das Bett-bed; das Blatt-blade; hart-hard
trinken-drink; das Tropfen-drop

5) გერმანული *d*-ინგლისური- *th*
das Bad-bath, danken-thank, denken-think,
dünn-think, dick-thin.

6) გერმანული *b*- ინგლისური *v(f)*

გერმანული *d*- ინგლისური -*th*
das Dieb-thief; graben-grave;
haben-have; halb-half, silber-silver

(Dieb-thief სიტყვებში შეიმჩნევა ორ ფონემათა მონაცვ-
ლეობა: *th*- *d*-ს ნაცვლად და *v(f)* -*b*-ს ნაცვლად).

7) გერმანული *g* და ინგლისური *y*
das Garn-yarn, gestern-yesterday, gelb-yellow,
das Hohig-honey, der Tag-day, sagen-say

8) გერმანული -*g* ინგლისური *w*
der Elbogen-elbow, folgen-follow, die Säge-saw,
Sorge-sorrow, das Vogel-fowl

9) გერმანული -*k(ch)* ინგლისური - *ch*
die Birke- birch, der Käfer-chafer,
der Kalk-chalk, die Lärche-larch

ისტორიული განვითარების პროცესში, როცა აღნიშნული ენები დამოუკიდებელ ენებად თანაარსებობის თავის გზას გადიოდნენ, კანონზომიერი იყო ცვლილებები ორივე ენის ფონეტიკურ სისტემაში, რაც ამ ენების საერთო გერმანიკული

ასიმილაციით გამოიხატება. გაჩნდა უმლაუტი და აბლაუტი. უმლაუტი დამახასიათებელი იყო გერმანული ენისათვის. ინგლისურს უფრო უუმლაუტო ხმოვანთა სისტემა აქვს.

ისტორიული \acute{a} უმლაუტი გერმანულ ორთოგრაფიაში ხშირად გამოიხატება –e- თი. აქედან – მათ შორის შესატყვისობა:

*das Fest-fast, fett-fat, legen-lay, die Menge-many,
der Schmerz-smart, die Espe-asp*

ბოლო რიგის ხმოვანთა უმლაუტი გერმანულ ორთოგრაფიაში აისახება ორი წერტილით ხმოვანის ზემოთ:

გერმანული– \ddot{u} ინგლისური *u*

der Bünde- bundle

die Esche-ash

die Hülle - hull

der Käfer- chafer

die Krücke-crutch

der Mönch- monk

დაცილება ხმოვანთა სისტემაში

ხშირად გვხვდება კანონზომიერი დაცილების მთელი რიგი შემთხვევები:

lassen-let, der Gast-guest

1) გერმანული *i(e)* ინგლისური *e*, გერმანული – *e* ინგლისური *i*, აგრეთვე გერმანული *a-* ინგლისური *-ue*

der Fieber-fever; frisch- fresh; der Hirt-herd

das Leben-live; stecken-stick; irren-err; der Gast-guest

2) გერმანული *-o-* ინგლისური *-u*

der Sommer-summer, der Donner- thunder, die Sonne- sun.

3) გერმანული *u* ინგლისური *o* ან ორი *(o)* \ddot{o}

der Fuchs-fox; der Bruder-brother; der Sturm-storm; das Blut-blood;

*das Buch-book; das Futter-food; der Fuß-foot;
das Kupfer-cooper; die Mutter-mother; die Tür-door*

4) გერმანული -au - ინგლისური -ou (ow),u
*aus-out, die Braue-brow, das Haus (e)-house
die Maus-mouse, die Schau-show; tauchen-duck*

5) გერმანული -au-ინგლისური -ea
*der Haufen-heap; taub-deaf;
das Laube-leaf; der Traum-dream*

6) გერმანული ei-ინგლისური -i,o (oa) ea,ou
*die Eiche-oak; das Eis-ice; ein -one; rife-ripe;
der Heim-home; bleiben-bleach; weit-wide;
greifen-gripe; fein-fine; der Wein-wine; heilen-heal;
das Weib-wife; der Weizen-wheat;
die Reine-row; der Zweig-twig*

7) გერმანული - e (ä) ინგლისური -ea
*der Bär-bear; das Fest-feast; das Herz-heart;
der Herd-hearth; heben-heave*

8) გერმანული a ინგლისური e(e)და პირიქით
*kauen-chew; lassen-let; der Stern-star;
die Straße-street; dia Nadel-needle*

შეინიშნება უმნიშვნელო დაცილება ასოთკომპლექსებში:

1) გერმანული -ch ინგლისური -ight
*fechten-fight; die Flucht-flight; das Licht-light;
die Nacht-night; die Nachtigal-nightingale;
night-light-Nachtlicht,;
das Recht-right; der Wicht- wight.*

2) გერმანული -age, ინგლისური -ai
*der Hagek-hail; der Nagel-nail;
der Regen-rain; das Segel-sail.*

3) გერმანული -ü(u) ინგლისური - i (ee)

*die Buche-beech; grüssen-greet; füllen-fill;
das Füllen-filly;küssen-kiss,;münzen-mint*

ისტორიული განვითარების შედეგად, საერთო გერმანიკულ სიტყვებში ხდებოდა მნიშვნელობათა დაშორება, თუმცა გარკვეული კანონზომიერი შესატყვისობა მათ შორის მაინც არსებობს:

· გერმანული ინგლისური

die Blume-ყვავილი bloom-ფერი

bekommen-მიღება become- გახდომა (გახდება)

der Baum –ხე beam კოჭი, ძელი, სხივი

faul- ზარმაცი foul - ქუჩყიანი, საზიზღარი

der Feind- მტერი fiend-ბოროტი, სატანა,

ემშაკი, დემონი

die Gasse– შესახვევი gate- ჭიშკარი

der Hose- შარვალი hose-წინდა, შლანგი

der Gift- საწამლავი gift- საჩუქარი

der Stuhl– სკამი stool- ტაბურეტი

der Lenz- დაზაფხული (პოეტ.) Lent- დიდმარხვა,

გაზაფხული

საერთო და მსგავსი სიტყვამაწარმოებელი მოდელების შეპირისპირება მეტყველების ნაწილების მიხედვით

არსებით სახელს აქვს საერთო გერმანიკული სიტყვათ-
მაწარმოებელი სუფიქსი -er, რომელიც პიროვნების საქმიანობის
ან მისი წარმოშობის გამომხატველია:

der Lehrer-teacher; der Leiter-leader; der Reiter-rider;

der Nestling-nestling; der Saatling- seedling და ა.შ.

გერმანულ ენაში ფუძისეული ხმოვანი იღებს უმლაუტს

der Bäcker-baker; der Gärtner-gardener; der Hörer-hearer; der

Müller-miller

გერმანული სიფიქსი ei- ინგლისური-y

die Bäckerei-bakery; die Dieberei-thievery, die Fischerei-fishery

გერმანული - ung- ინგლისური- ing

die Haltung-holding; die Meinung-meaning; die Landung-
landing;

die Sitzung-sitting; die Warnung-warning

ინგლისური სუფიქსი- hood იგივეა, რაც სუფიქსი-ness,
ამიტომ გერმანულ სუფიქს- heit -ხშირად შეესიტყვება ინგლი-
სური - ness

die Halbheit-halfness;

die Offenheit- openness; die Taubheit-deafness; die Steifheit-
stiffness

გერმანულ ენაში ზედსართავის ფუძეებზე e+ უმლაუტით
ნაწარმოებ სიტყვებს (თუმცა ისინი ნაკლებპროდუქტიულია
გერმანულ ენაში) შეესიტყვება ინგლისური სუფიქსი -ness.

die Bläuse - blueness; die Härte-hardness;

das Grüne-greenness; die Kälte- coldness;

die Güte-goodness; die Dicke-thickness.

გერმანული - schaft ინგლისური - ship

die Freundschaft-friendship; die Mitgliedschaft- membership

გერმანული - schaft ინგლისური-hood (ორივე ენაში ისინი
არაპროდუქტიულია).

die Bruderschaft-brotherhood; die Mutterschaft-motherhood

ზედსართავი სახელების სიტყვათმანარმოებელი
მოდელები:

გერმანული-ig-lich

ინგლისური-y

blutig

bloody;

freundlich

friendly;

<i>grasig</i>	<i>grassy;</i>
<i>hungrig</i>	<i>hungry;</i>
<i>saftig</i>	<i>juicy;</i>
<i>steinig</i>	<i>stony;</i>
<i>seifig</i>	<i>soapy;</i>
<i>vaterlich</i>	<i>fatherly;</i>
<i>wolking</i>	<i>cloudy</i>

გერმანული - <i>lich</i>	ინგლისური - <i>ish</i>
<i>fahlgelb</i>	<i>yellowish;</i>
<i>rötlich</i>	<i>redish;</i>
<i>kindlich</i>	<i>childish</i>

ინგლისური *-ish-* დაერთვის აგრეთვე ეთნო-გეოგრაფიულ სახელებს: Polish, Swedish

პრეფიქსები

გერმანული - <i>miss</i>	ინგლისური <i>mis</i>
<i>Missverhältnis</i>	<i>misproportion;</i>
<i>das Misstrauen</i>	<i>mistrust</i>
<i>Misstat</i>	<i>misdeal;</i>
<i>Misshandeln</i>	<i>mishandle</i>

პრეფიქსები *un-un* ზედსართავ სახელებთან:

<i>unpopular</i>	<i>unpopular,</i>
<i>unreal</i>	<i>unreal</i>

საერთო გერმანიკული მოვლენაა პრეფიქსები: *be, ver -for*

<i>bedanken</i>	<i>bethink;</i>
<i>befallen</i>	<i>befall;</i>
<i>behaben</i>	<i>behave;</i>
<i>belügen</i>	<i>belie;</i>
<i>vergessen</i>	<i>forget</i>
<i>verbieten</i>	<i>forbid;</i>

vergeben

forgive

გერმანული ენის პრეფიქსიანი ზმნები : *ge-,er-,zet-,be-, ent,*
ver- და ინგლისური ენის უპრეფიქსო შესატყვისები:

gewinnen

win;

beenden

end;

erfüllen

fulfil;

begrüssen

greet;

zerbrechen

break;

vermissen

miss და ა.შ.

როული სიტყვები:

ა) შედგენილი არსებითი სახელებიЖ

Fußball

football;

Fußpfad

footpath;

das Handbuch

hand-book;

dunkelkammer

dark-room;

das Segelboot

sailing-boat;

dunkles Zimmer

dark-room და ა.შ.

ბ) ზედსართავი სახელები

bittersüß

bittersweet;

grassgrün

grassgreen;

gelbreif

yellow ripe

steingrau

stonegrey

dunkelblau

dark-blue

hellgrün

light-green

rötlichbraun

reddish-brown

ორივე ენაში საერთო გერმანიკული ლექსიკის 59-60%-ია შემორჩენილი.

16. გერმანიკულ ტომთა მოკლე ისტორია

16.1. პირველი ცნობები ძველ გერმანელებზე

ჩრდილო ევროპის დასახლება ინდოევროპულ ტომებით დაიწყო ჩვ.წ-მდე 3000–2500 წლის წინათ.

გერმანიკული ტომების არსებობის წინაისტორიულ პერიოდზე შეიძლება ვიმსჯელოთ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ცნობებზე დაყრდნობით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ცნობების გარდა, სხვა მომთაბარე ტომებისაგან (ფინელები, ლაპლანდიელები) ნასესხები სიტყვების არსებობით.

გერმანელმა ტომებმა და მათმა დიალექტებმა დასაბამი მისცეს თანამედროვე გერმანიკულ ენებს. ამასთან ერთად, ამ ტომებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს თანამედროვე ევროპული ერების – გერმანელების, ჰოლანდიელების, ფლანდრიელების, დანიელების, ნორვეგიელების, შვედების, ინგლისელების და სხვათა ეთნოგენეზში.

გერმანელი ტომები არ იყვნენ ევროპის პირველი მცხოვრებლები. მათ, სულ ცოტა, სამი რასა უძლოდა წინ. ევროპაში ადამიანის უძველესი კვალი აღმოჩენილია სამხრეთ ინგლისში. მაგრამ ევროპაში პირველი ადამიანის გამოჩენის ზუსტი თარიღი მეცნიერებს არა აქვთ დადგენილი. დაახლოებით კი ისინი ასახელებენ პირველი გამყინვარების ეპოქას. მეორე გამყინვარების შემდეგ, ჰავის დათბობასთან ერთად ადამიანი გამოჩნდა მთელ ევროპაში, ჩრდილო აფრიკაში, წინა აზიასა და ინდოეთში. ამ პერიოდის იარაღი მეტყველებს იმაზე, რომ ეს რასა განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იდგა—უხეში ტყავის დანები, ქვის უტარო ნაჯახები, ცხოველთა ტყავის გასაფხევი ასტამი და სხვა.

არაფერია ცნობილი იმ პირველი რასის- პირველი ადამიანების ბედის შესახებ. ინგლისის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ბელგიის და სამხრეთ გერმანიის გამოქვაბულებში ამ ადამიანთა იარაღები შემორჩენილია მხოლოდ ნიადაგის უდაბლეს შრეებში, რომლებიც მომდევნო შრისაგან სტალაქტიკის სქელი ფენითაა გამოყოფილი.

მომდევნო რასა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე მისი წინამორბედი რასა. ისინი მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ჰყავდათ შინაური ცხოველები (ძაღვი, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი). მათთვის ცნობილია ხელის სამეთუნეო წარმოება, ძაფის დართვა, ქსოვა. მათი იარაღები, მართალია, ისევ ქვისაგან არის დამუშავებული, მაგრამ ნაჯახს ტარი აქვს გაკეთებული, რის გამოც შესაძლებელია მისი გამოყენება ტყის გასაჩეხად. ამ რასის წარმომადგენლები მიცვალებულს მიწაში მარხავდნენ, რის გამოც შემორჩა ამ რასის წარმომადგენლების მრავალი ჩონჩხი და თავის ქალა და მეცნიერებს შეუძლიათ მსჯელობა მათი სხეულის აგებულების შესახებ: საშუალო სიმაღლე (ქალები- დაახლოებით 1, 46 მ., მამაკაცები-1, 65 მ.), გრძელი თავის ქალა, დაბალი შუბლი, კეხიანი ცხვირი-ამ რასის უკანასკნელი წარმომადგენლებად თანამედროვე ევროპაში **ბასკებს** თვლიან.

* ბასკების წარმოშობის საკითხი საბოლოოდ გარკვეული არაა. მეცნიერთა ერთ ნაწილს ისინი დასავლეთ პირინეების ენეოლითური ხანის მოსახლეობის შთამომავლებად მიაჩნია. ზოგი მხარს უჭერს ბასკების წინაპრების აღმოსავლეთიდან (საბერძნეთი, აფრიკა, კავკასია და სხვა) მიგრაციის თეორიას, რასაც უკავშირდება ძველთაგანვე ცნობილი შეხედულება ბასკებისა და კავკასიელთა, კერძოდ ქართველთა გენეტიკურ კავშირზე. ამ თეორიის მიმდევარ ავტორთა ერთი ნაწილი პირენეის ნახევარკუნძულის იბერიალთა წინაპრებად კავკასიის იბერიელებს მიიჩნევს, ზოგს პირიქით - კავკასიის იბერიელები პირენეებიდან გადმოსახლებულად მიაჩნია. ზოგი მკვლევარი კი საერთოდ უარყოფს ევროპისა და აზიის იბერიელთა ნათესაობას.

ამ რასას პირობითად *იბერიულ რასას* უწოდებენ, რადგან ითვლება, რომ ისინი წარმოშობით პირენეის ნახევარკუნძულიდან (ძვ. იბერიის ნახევარკუნძული Iberia peninsula) არიან.

შემდეგი რასა, რომელიც ევროპაში დასახლდა, იყო კელტური რასა—ინდოევროპული წარმოშობის ერი, რომელსაც მოყვნენ გერმანელები.

საერთოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება გერმანიკული ტომების ცხოვრებასა და რელიგიაზე. რაც ვიცით – ეს არის ანტიკური ხანის მწერლების მიერ მოწოდებული ცნობები კელტებზე, შუა, აღმოსავლეთ და ჩრდილო ევროპული ტომების შესახებ. ერთი რამ ცნობილია, რომ კულტის, საკრალური რწმენის ეპოქაში ევროპელი ხალხებისათვის აგრარული საზოგადოების შესაბამისი აგრარული რელიგია უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან მათ მითებსა და კულტებში თემატიზებულია ნაყოფიერება, სიცოცხლე და სიკვდილი, გარეგანი ძალებისა და მტრისაგან დაცვა. ჰქონდათ ვეგეტაციური დღესასწაულები, ცხოვრებისეული ციკლების ცვლის რიტუალები, საფლავს მიბარების წესები: გორაკების აგება ან რუნული წარწერიანი საფლავის ქვის დადგმა (თუ გარდაცვლილი მაღალი წოდების იყო). საზოგადოებაში რელიგიურ ენას განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა, იგი საერო ენისაგან განსხვავდებოდა სპეციფიკური საკულტო საკრალური ენითა და განსაკუთრებული ლექსიკით (ფრაზეოლოგიით).

უმველესი ცნობა გერმანელების შესახებ მოიპოვება ქრისტეს შობამდე 80 წლისთვის პოსეიდონიოს აპამეილის მიერ ჩაწერილ ისტორიულ ნაშრომში, ოცდამეათე წიგნში ციტატის, ერთი წინადადების სახით გადმოცემულია გერმანელების ჭამის ჩვეულებები: მთავარი ჭამის დროს ისინი მიირთმევენ დანაწევრებულად შემწვარ ხორცს, სვამენ რძეს და ასევე ღვინოს, შეურეველს. დღეისთვის ბანალურად აღქმული ეს გამოთქმა იმ

დროინდელი, ანტიკური ხანის განათლებული ადამიანებისთვის საკმაოდ გასაგები დახასიათება იყო, თუ ცივილიზაციის რა საფეხურზე იმყოფებოდნენ გერმანელები. ისინი ითვლებოდნენ ცალსახად ბარბაროსებად, იყვნენ არაცივილიზებული ველურები, რომლებიც არ ცხოვრობდნენ დაწერილი წესებითა და სახელმწიფოებრივ წესრიგით. ამოსავალი წერტილი გერმანელთა ისტორიაში არის ეს, გადარბენით დაწერილი ცნობა.

პირველი წერილობითი ძეგლები გერმანელების შესახებ ეკუთვნის ბერძენ ვაჭარს პითეასს მასელიიდან (Pytheas aus Massalia), რომელიც ქრისტესშობამდე 330 წელს მოგვითხრობს ჩრდილოეთით ზღვის გარშემო არსებული ქვეყნებზე და იქ მცხოვრებ ხალხზე. იგი ახსენებს გოთებს და ტევტონებს⁶, რომლებთანაც მოუხდა შეხვედრა ზღვით მოგზაურობის დროს. მართალია მის ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი ჩანაწერებით სარგებლობდნენ უფრო გვიანი ხანის ისტორიკოსები და გეოგრაფები, რომლებიც პითეასის ჩანაწერების მიხედვით მოგვითხრობენ ჩვ- წელთაღრიცხვამდე, II საუკუნის ბოლოს გერმანიკული ტომების თავდასხმებზე ელინურ სახელმწიფოებზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ გალიაზე და ჩრდილო იტალიაზე.

გერმანელების საბრძოლო შემართება, თავგანწირულობა და სიკვდილისადმი გულგრილი დამოკიდებულება ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა რომაელებზე, რომელთაც განსაკუთრებით ხშირად უხდებოდათ ურთიერთობა ტევტონურ ტომებ-

⁶ „ტევტონებიც“ და „გერმანელებიც“ კონკრეტული გერმანიკული ტომის სახელები იყო, მაგრამ, თანდათანობით, მნიშვნელობის გაფართოების შედეგად, ამ ტერმინებმა გერმანიკულ ტომთა საერთო სახელწოდების მნიშვნელობა შეიძინა. ამ მნიშვნელობით ტერმინები „ტევტონები“ და „გერმანელები“ დღესაც იხმარება და მათ სინონიმური მნიშვნელობა აქვთ.

თან. აქედან მოდის ფრაზეოლოგიური გამოთქმა „ტევტონური მრისხანება“ furor teutonicus (რომაელი პოეტი ლუკანუსი)

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ცნობები ძველი გერმანელების შესახებ უფრო სარწმუნო და დაწვრილებითი ხდება. მათ შესახებ წერს ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი, ბერძენი მწერალი პლუტარქე, რომელიც გერმანელებს ახასიათებს, როგორც მომთაბარე ტომებს, რომელთა მთავარი მოწოდება ომია. პლუტარქეს გადმოცემით, გერმანელი ტომები ჩვ.წ-მდე II ს. მსახურობდნენ მაკედონიის მეფის, პირსეის ჯარში, როგორც დაქირავებული ჯარისკაცები.



ევროპის რუკა სტრაბონის მიხედვით

ჩვ.წ-მდე II საუკუნეში კიმბრების გერმანიკული ტომი გამოჩნდა აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში. ძველ გერმანელებს ანტიკური ავტორები აღწერენ, როგორც გამბედავ, ახოვან, ქერათმიან და ცისფერთვალება ხალხს. ხშირად გამოწყობილი იყვნენ ცხოველების ტყავში ჩაკერებული ფარებით, მარგილებითა და ქვის წვეტიანი ისრებით

შეიარაღებულები. მას შემდეგ, რაც დაარბიეს რომაელთა ჯარები, გასწიეს დასავლეთისაკენ და შეურთდნენ ტევტონებს.

ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნის ბოლოსათვის (102-101 წ.წ.) ინგვეონები: ანგლები, საქსები, იუტები, ხავკები, ფრიზები, კიმბრები, ტევტონები და სხვა. იტალიაში შეიჭრნენ და რამდენიმე დამარცხება მიაყენეს რომაელთა არმიას, თუმცა საბოლოოდ განადგურებული იქნენ რომაელ მხედართმთავარ გაიუს მარიუსის მიერ. შემდგომშიც ძველი გერმანელები არ წყვეტენ რომაელებზე თავდასხმებს და საფრთხეს უქმნიან რომის იმპერიას.

16.2. გერმანიკული ტომები იულიუს კეისრისა და ტაციტუსის ეპოქაში

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად გერმანელებს, ანუ ტევტონებს ვერ ასხვავებდნენ კულტური ტომებისაგან. კელტებისაგან გერმანელები პირველად იულიუს კეისარმა გამოყო. ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნის შუა ხანებში. როცა იულიუს კეისარი (100-44) გალიაში შეეჯახა გერმანიკულ ტომებს, მათ დაკავებული ჰქონდათ ცენტრალური ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი; ძველი გერმანიკული ტომების მიერ დაკავებული ტერიტორიები დასავლეთით მდ. რაინზე გადიოდა, სამხრეთით – დუნაიმდე, აღმოსავლეთით – ვისლამდე, ხოლო ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვებს. გერმანელებს აგრეთვე ეკავათ იუტლანდიის ნახევარკუნძული და სამხრეთ სკანდინავია. იგი თავის „ჩანაწერებში გალიის ომის შესახებ“ უფრო დაწვრილებით, ვიდრე მისი წინამორბედები, აღწერს გერმანელი ტომების საზოგადოებრივ წყობილებას, მეურნეობას, ყოფას, ბრძოლის ტაქტიკას და სხვა. იულიუს

კეისრის ცნობების თანახმად, გერმანელ ტომთა მთავარი საქმიანობა მესაქონლეობა იყო. აშენებდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვს. მიწათმოქმედებას გერმანელები მიმართავდნენ უკიდურეს შემთხვევაში, როგორც კვების დამატებით წყაროს.

კეისარმა ორი ექსპედიცია მოაწყო გერმანელების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ დაეპყროთ რაინის მარცხენა სანაპიროები. ძვ. წელთაღრიცხვის 58 წელს იულიუს კეისარმა დაამარცხა არიოვისტის მეთაურობით რაინს გადასული *სვევები*, ხოლო ძვ. წელთაღრიცხვის 55 წელს გერმანელი ტომები – *უზუპეტები* და *ტენქტერები*, რომლებიც განდევნა გალიის ჩრდილოეთი ნაწილიდან.

ინფორმაციის საიმედო წყარო ძველი გერმანელების შესახებ არის რომაელი მწერლის, ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის – პლინიუს უფროსის თხზულებები (23–79 წწ). თხზულებაში „ბუნების კარი“ მან აღწერა გერმანიკული ტომები, მათი საომარი მოქმედებები, გერმანიკული ტომების მიერ დაკავებული უზარმაზარი ტერიტორიების ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება და პირველმა მოახდინა გერმანელი ტომების კლასიფიკაცია. პლინიუსი დიდხანს ცხოვრობდა გერმანელებთან და ამდენად, მისი აღწერა საკუთარ დაკვირვებებს ემყარება.

ყველაზე სრული ცნობები ძველი გერმანელი ტომების შესახებ მოცემულია რომაელი მწერლისა და ისტორიკოსის კორნელიუს ტაციტუსის (55–120 წწ.) ნაშრომში „გერმანია“, სადაც მან დაწვრილებით მიმოიხილა გერმანელთა საზოგადოებრივი წყობილება, ყოფა, რელიგია, ადათ-წესები და ზნეჩვეულებები. ტაციტუსი არასდროს ყოფილა გერმანიაში. თავის მონათხრობში იგი ეყრდობა ცნობებს, რომლებსაც ის, როგორც რომის სენატორი, მხედართმთავრებიდან, მოგზაურთაგან და ლაშქრობაში მონაწილეთაგან ლებულობდა. გარდა ამისა, იგი იყენებდა მისი წინამორბედების შრომებში მოპოვებულ მასა-

ლებს (პირველ რიგში კი – პლინიუს უფროსის შრომებში მოცემულ ცნობებს) გერმანიკული ტომების შესახებ. ტაციტუსის ეპოქა, ისე, როგორც შემდგომი ეპოქა, სავესტა რომაელებსა და გერმანელებს შორის საომარი შემართებებით. რომაელების არაერთი მცდელობა – შეეჩერებინათ გერმანელები, მარცხით მთავრდებოდა. რომ შეეჩერებინათ მათი გადაადგილება იმ ტერიტორიებისკენ, რომლებიც რომაელებმა კელტებისაგან ბრძოლებით დაიბრუნეს, იმპერატორმა ანდრიანემ (117–138წწ.) რომისა და გერმანული სამფლობელოების საზღვრებზე – რაინსა და დუნაის ზემოდინებაზე აღმართა უზარმაზარი ნაგებობა. ეს ტერიტორია გახდა რომაელების მრავალრიცხოვანი სამხედრო ბანაკების საყრდენი პუნქტი. შემდგომში ამ ადგილებზე გაჩნდნენ ქალაქები, რომლებშიც შენარჩუნებულია ძველი ისტორიის გამოძახილი¹

16.2. 1. ძველი გერმანელების საზოგადოებრივი წყობა და ყოფა-ცხოვრება

საღბთა დიდი გადასახლების ეპოქამდე, გერმანელებს ჰქონდათ გვაროვნული წყობილება. იულიუს კეისრის მონაცემებით, გერმანელები სახლდებოდნენ გვარებად და გვაროვნულ თემებად. ზოგიერთ თანამედროვე გეოგრაფიულ სახელწოდებ-

¹ ქალაქ კიოლნის (გერმ. Köln) სახელწოდება წარმოქმნილია Colonia Agrippinensis-დან, სადაც დასახლებული იყო ერთ-ერთი გერმანიკული ტომი – უბები, 55 წ. იმპერატორ ნერონის დედის – აგრეპინას მიერ კოლონიზებული. ქალაქ ტრიის (Trier) სახელწოდება მოდის Augusta Trevirorum-დან, რომელიც იყო რომაელების მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი მდინარე მოზელზე – რომელი იმპერატორების დროებითი რეზიდენცია. აუგსბურგი – Augusta Vindelicorum, რომელი პროვინციის – რეციის ყოფილი ცენტრი ალპების მთისწინში, ბონი – Castra Bonnensia, კობლენცი – ad confluentes, სიტყვასიტყვით 'შესართავთან' (მოზელისა და რაინის სამფლობელოებთან). ლათინური სიტყვები შენარჩუნებულია ევროპის ქალაქების სახელწოდებებში და დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე.

ბამი შემორჩენილია ასეთი დასახლების მტკიცებულება: გვარის მეთაურის სახელი, რომელიც გაფორმებულია ე.წ. პატრონი-მული სუფიქსით (მამის სახელის სუფიქსი)-*ing/-ung*, რომელიც გვარის ან ტომის დასახელებას ერთვოდა, მაგალითად: *ვილი-სუნგი(ები)* – *ვალისუნგის ხალხი*. ასე წარმოიქმნა გერმანიაში ზოგიერთი ქალაქის სახელწოდება: *ეპინგენი* (პირველადი მნიშვნელობა „ეპოს ხალხთან“), ქალაქი *ზიგმარინგენი* („ზიგმარის ხალხთან“), *მაინინგენი* და სხვა. მორფემა-*ingen/-ungen* – გადაიქცა რა ტოპონიმიურ სუფიქსად, გვაროვნულ-თემური წყობილების დამლის შემდეგ, უფრო გვიანი ხანის ისტორიულ ეპოქაშიც დარჩა ქალაქების სახელწოდებების წარმოების საშუალებად. ასე წარმოიქმნა *გოტინგენი*, *ზელინგენი*, *შტრალუნგენი* გერმანიის ტერიტორიაზე. ინგლისში სუფიქს-*ing*-ს ემატებოდა ფუძე-*ham* (ძვ.-ინგლ. *hām* ‘საცხოვრებელი’, მამული’ შდრ.ინგლ *home* ‘სახლი, საცხოვრებელი ბინა’, სადგომი’); მათი შერწყმის საფუძველზე ჩამოყალიბდა ტოპონიმიური სუფიქსი-*ინგემ*: ბერ-მინგემი, *ნოტინგემი* და ა.შ. საფრანგეთის ტერიტორიაზე, სადაც ფ რ ა ნ კ ე ბ ი ს (გერმანიკული ტომი) მოსახლეობა იყო, შემორჩენილია მსგავსი გეოგრაფიული სახელწოდებები: *კარლინგი*, *ეპინგი*. მოგვიანებით სუფიქსმა განიცადა რომანიზაცია და გვხვდება უკვე ფრანგული ფორმით-*ange*: *ბრულანჟი*, *ვოლმერანჟი* და ა. შ. (პატრონიმული სუფიქსები გვხვდება სლავიანურ ენებშიც და ქართულ ენაშიც).

გერმანიკული ტომის სათავეში იდგა ტომის უხუცესი-კუნიგი (ძვ.-ზ.-გერმ. *kuning* სიტყვასიტყვით: „გვარის ფუძემდებელი“, შდრ. გოთ. *kuni*, ძვ.-ინგლ. *cynn* ძვ.-ზ.-გერმ. *kunni*, ძვ.-სკანდ. *kyn*, ლათ. *genus*, ბერძნ. *genos* გვარი, მოდგმა).

მიწა საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენდა და თემის წევრები ერთობლივად სარგებლობდნენ სათემო მიწე-ბით. უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა ტომის სახალხო

კრებას, რომელიც წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს, ომის დროს ირჩევდა სამხედრო ბელადებს, ნიშნავდა მხედართმთავარს (ძვ.-ზ.-გერმ. *herizogo*, ძვ.-ინგლ. *heretoga*, ძვ.-ისლ. *heretogr*; შდრ. გერმ. *Herzog* „ჰერცოგი“). განაჩენდა სამართალს და ა.შ. უხუცესი ხელმძღვანელობდა სახალხო კრების მსვლელობას და განაგებდა საგარეო ურთიერთობებს. გერმანელი მოსახლეობის უმრავლესობა თავისუფალი მეთემეებისაგან შედგებოდა და თანასწორუფლებიანი იყო.

ამ ეპოქაში გერმანიკულ ტომებში იყო პარტიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობა. მაგრამ ტაციტუსთან და სხვა წყაროებში მოიპოვება ცნობები გერმანიკულ ტომებში მატრიარქალური გადმონაშთების არსებობის შესახებ. ასე, მაგალითად, ზოგიერთ გერმანიკულ ტომთან უფრო მჭიდრო ნათესაური კავშირი დედის მხრიდან ბიძებსა და ბიძაშვილებში არსებობდა, ვიდრე მამასა და ვაჟიშვილს შორის, მაშინ როცა მემკვიდრე ვაჟიშვილი იყო. მტრისათვის მძევლად დისშვილი უფრო სასურველი იყო. ყველაზე სანდო გარანტიად ითვლებოდა გოგონები ტომის ბელადის მოდგმიდან: ქალიშვილები ან დისშვილები. მატრიარქალური წყობის გადმონაშთები იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ქალში ძველი გერმანელები ხედავდნენ განსაკუთრებულ წინასწარმეტყველურ ძალას, თათბირობდნენ მასთან ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. ქალები არა მარტო ამხნევებდნენ მათ ბრძოლის წინ, არამედ ბრძოლის დროსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მის დასასრულზე, ეგებებოდნენ რა ბრძოლის ველიდან გაქცეულ მამაკაცებს, აჩერებდნენ მათ და აიძულებდნენ გამარჯვებამდე ბრძოლას, რადგან გერმანელი მეომრებისთვის საშიში იყო ფიქრი იმაზე, რომ მისი ტომის ქალები შეიძლებოდა ტყვედ ჩავარდნილიყვნენ. მატრიარქალური წყობის გადმონაშთების კვალი გვხვდება უფრო ძველ წყაროებშიც, მაგალითად, სკანდინავიურ პოეზიაში.

გერმანელებისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნათესაურ გრძნობებს, ნათესაურ კავშირებს. ძველ ტევტონებს მეტად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ, თუნდაც საკმაოდ შორეულ, ნათესავთან. ნათესავთათვის ნებისმიერი დახმარების აღმოჩენა, მათი დაღუპვის შემთხვევაში მკვლელზე შურისძიება, მოკლულის სისხლის აღება (ან ერთგვარი კომპენსაცია) ძველი გერმანელისათვის ჩვეულებრივი საქმე და უპირველესი მოვალეობა იყო (ტაციტუსი, იხ. გერმ.21).

ძველ გერმანელებს ჰყავდათ მონები, მაგრამ მონობას მათთან, მონათმფლობელური რომისაგან განსხვავებით, სხვა ხასიათი ჰქონდა. იგი პატრიარქალური იყო. მონები იყვნენ სამხედრო ტყვეები, მონად შეიძლება თავისუფალი მეთემეც ქცეულიყო, თუ იგი საკუთარ თავს წააგებდა აზარტული თამაშების დროს. მონა მის ბატონს შეიძლებოდა გაეყიდა ან მოეკლა, მაგრამ სხვა მიმართებებში იგი გვარის უმცროს წევრად ითვლებოდა. მას ჰქონდა საკუთარი მეურნეობა (თუმცა საქონლისა და მოსავლის ნაწილი ბატონისათვის უნდა მიეცა) და მისი შვილები თავისუფალი გერმანელების შვილებთან ერთად იზრდებოდა.

მონების არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ გერმანელებში ისახება სოციალური დიფერენციაცია, რომლის წყაროც ომები იყო. თანდათან დაიწყო საგვარეულო არისტოკრატის გამოყოფა, რომლის ხელშიც მნიშვნელოვანმა ქონებამ მოიყარა თავი. მის ხელშივე გადავიდა სათემო მიწების საუკეთესო და დიდი ნაწილი. წარჩინებულნი თემის რიგითი წევრებისაგან ჩაცმულობითა და იარაღითაც გამოირჩეოდნენ.

კორნელიუს ტაციტუსის ცნობებით, გერმანულმა ტომებმა ახალი ერის პირველ საუკუნეებში თანდათან შეწყვიტეს მომთაბარეობა და ბინადრობაზე გადავიდნენ, თუმცა ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის განუწყვეტელი საომარი ლაშქრობები,

იძულებულს ხდიდნენ მათ ხშირად შეეცვალათ ადგილსამყოფელი. ისინი სახლებს აშენებდნენ უხეში, დაუმუშავებელი ძელებისაგან. ცეზარის აღწერილობით, გერმანელები ისევ მომთაბარეობდნენ, ძირითადად მისდევდნენ მესაქონლეობას, ნადირობდნენ და ეწეოდნენ საომარ თავდასხმებს. მიწათმოქმედებას გერმანელები უკვე ანიჭებენ მნიშვნელობას, თუმცა პირველ ადგილზე მათთვის მაინც მესაქონლეობაა. ცეზარი თავის „ჩანაწერებში გალიის ომის შესახებ“ აღწერს სვევების ტომს, რომლის თითოეული ოლქი ყოველწლიურად ათასობით მეომარს უშვებს ომში, დანარჩენი რჩება ოჯახში და ეწევა მიწათმოქმედებას. ერთი წლის შემდეგ დარჩენილები მიდიან ომში და მათ ომიდან დაბრუნებულები ენაცვლებიან. ამრიგად, არ ჩერდებოდა არც მიწათმოქმედებითი და არც საომარი საქმიანობა.

ცეზარი აღწერს, რომ გერმანელების საკვებს ძირითადად შეადგენდა: რძე, ყველი, ხორცი, ნაკლები პური. პლინიუსი ახსენებს საკვებში შვრიის ფაფასაც.

უკვე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გერმანელები ხმარობდნენ რკინისსახნისიან გუთანს, მოჰყავდათ ქერი, ჭვავი, შვრია. ამუშავებდნენ სპილენძის, ვერცხლის, რკინის მადანს. განვითარებული იყო ფეიქრობა, მეთუნეობა.

ცეზარი გერმანელების ჩაცმულობაზე შესახებაც წერს, რომ ისინი ძირითადად ნადირის ტყავით იმოსებოდნენ. პლინიუსი წერს, რომ გერმანელები იცვამდნენ სელის ქსოვილს, ეწევიან რთვას „მიწისქვეშა სადგომებში“. ტაციტუსი წერს, რომ ნადირის ტყავის გარდა, გერმანელები იცვამენ ტყავის მოსასხამებს ჩაკერებული ბეწვით, ქალებს აცვია წითლად შეღებილი ტილოს ტანსაცმელი. ცეზარი წერს გერმანელების მკაცრ ცხოვრების წესზე, სიღარიბეზე, იმაზე, რომ ისინი ბავშვობიდანვე გადიოდნენ წვრთნას, რომ შეგუებოდნენ ხელმოკლეობას და გაჭირვებას.

ტაციტუსს მოყავს გერმანელი ყმაწვილების გართობის ერთ-ერთი მაგალითი, რომელსაც ისინი ძალებისა და ენერჯის გამომუშავებისათვის იყენებდნენ. ერთ-ერთი ასეთი გართობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ბასრი წვერით ზემოთაღებულ ხმლებს შორის ხტებოდნენ.

ტაციტუსის ცნობებით, გერმანიკული ტომების საცხოვრებელი სახლები უბადრუკი ქოხებია, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებულია და შემორტყმულია მიწის ნაკვეთებით. შესაძლებელია ამ სახლებში ცხოვრობდა არა ცალკეული ოჯახი, არამედ მთელი მოდგმა. სახლის გარეგან მორთულობაზე გერმანელები არ ზრუნავდნენ, თუმცა ნაგებობის ფასადებს ფერად თიხას უსვამდნენ, რაც მათ სახლებს უფრო ლაზათიან იერს აძლევდა. გერმანელები მიწათხრილებსაც აკეთებდნენ, სადაც ისინი ინახავდნენ სურსათ-სანოვაგეს და ზამთრიდან თავის დაღწევასაც ცდილობდნენ. ასეთი სახის „მიწისქვეშა“ ნაგებობების არსებობაზე მიუთითებს აგრეთვე პლინიუსი.



გათხრების მიხედვით რეკონსტრუირებული ერთ-ერთი გერმანული ქოხი



გერმანელების სახლი – რვინის ხანის დროინდელი რეკონსტრუქცია 400 წ. აარჰუზისში მოესგარდის მუზეუმში აარჰუზისთან (დანია)

გერმანელები ცნობილი იყვნენ სხვადასხვა ხელობით. ძველი გერმანელები ქსოვდნენ, ჰქონდათ საპნისა და ტანსაცმლის საღებავების წარმოება, ზოგიერთი ტომი მისდევდა მექოთნეობას, ამუშავებდნენ მეტალს. ბალტიის ზღვასა და ჩრდილო ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომები ძირითადად მისდევდნენ გემთმშენებლობას, თევზჭერას.

III საუკუნის დაწყებამდე გერმანელებსა და რომაელებს შორის ყალიბდება მყარი, მშვიდობიანი ურთიერთობა, რომელმაც ხელი შეუწყო გერმანელების საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების აღმავლობას. ისეთ ადგილებში, რომელიც რომის სამფლობელოებს ესაზღვრებოდა, ვითარდებოდა ინტენსიური ვაჭრობა. რომაელებისაგან გერმანელები ყიდულობდნენ მეტალის ნაკეთობებს, იარაღს, სახლის ჭურჭელს, სამკაულს, ტუალეტის სხვადასხვა მოწყობილობას, ხილს და რვინოს. გერმანელებისაგან რომაელები ყიდულობდნენ საქონელს,

ტყავს, ბეწვს, ბალტიის ზღვის ნაპირებზე მცხოვრებთაგან – ქარვას.

16.2.2. ძველი გერმანელების ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები, რწმენა

ტაციტუსი წერს იმის შესახებ, რომ გერმანელები პატივს სცემდნენ ოჯახს და მას ძალიან მყარი საფუძველი ჰქონდა, რომ გერმანელები მეტად სტუმართმოყვარენი იყვნენ, ნადიმების დროს უსაზღვროდ ბევრს სვამდნენ, თამაშის დროს იმდენად აზარტულები იყვნენ, რომ ხშირად საკუთარ თავსაც კი აგებდნენ. გერმანელებისათვის მნიშვნელოვანი იყო ბავშვის დაბადება, მამაკაცად მონათვლა, შეუღლება, დაკრძალვა და სხვა, რომელსაც თან ახლდა შესაბამისი რიტუალი და სიმღერა. ძველი გერმანელების ზეპირსიტყვიერება აისახებოდა ლექსებსა და სიმღერებში, გავრცელებული იყო სარიტუალო სიმღერები, ჯადოქრობა. სხვადასხვა წარმართულ წყაროში შემონახულია X საუკუნეში ძველ ზემოგერმანილზე შესრულებული „მერზებურგის“ შელოცვები (Merseburger Zaubersprüche). მოგვიანებით გვხვდება ძველ ინგლისურზე მეტრული ტაეპით დაწერილი შელოცვების ჩანაწერები. როგორც ჩანს, წარმართული კულტურის ძეგლები განადგურდა შუა საუკუნეებში ქრისტიანობის გავრცელების დროს. გერმანიკული ტომების წინარექრისტიანული რწმენა და მითები გადმოცემულია ძველ სკანდინავიურ საგებსა და ეპოსში.

ძველი გერმანელების რელიგია თავისი ფესვებით დაკავშირებულია საერთო ინდოევროპულ წარსულთან, მაგრამ მასში ასახვას პოულობს საკუთრივ გერმანიკული ნაკვეთები.

ცნობებს ძველ გერმანელთა ღმერთების შესახებ ვხვდებით როგორც ანტიკურ, ასევე შუა საუკუნეების ავტორებთან, რომლებიც გერმანელთა ღმერთებს ბერძნულ-რომაული მითო-

ლოგის პერსონაჟთა: ჰერკულესის, მარსის, მერკურისა და ა.შ. სახელებით მოიხსენიებენ. სახეზეა ძველ-გერმანიკული წარმართული პანთეონი ღმერთებისა, რომელთა შესახებ გაცილებით უფრო სრულ წარმოდგენას სკანდინავიური, ძირითადად, ისლანდიური წყაროები იძლევა. ასე, მაგალითად, „ჰერკულესი“ აშკარად თორი (Þórr), დასავლეთ გერმანელთათვის დონარი (Donar), რომელსაც ისინი მეხის ღმერთს უწოდებდნენ (გამოსახავდნენ მძლავრი უროთი, რომელიც აკეთებდა მეხს და მუსრავდა მტერს). „მერკური“ – უნდა იყოს ოდინი (Óðinn) ანუ ვოდანი, ვოტანი (Wodan, Wuotan), ხოლო „მარსი“ – უნდა იყოს ძველ სკანდინავთა ტიური (Týr), დასავლეთგერმანიკულ ტომთა ტიუ ან ციუ (Tiw, Ziu). ყველაზე მეტად ღმერთებდნენ ვოდანს და ტიუს (სკანდ.ოდინი). ვოდანი (სკანდ.ოდინი)–ბატონობდა როგორც ხალხზე, ასევე ვალგალაშზე (სკანდ.valhǫll, valr 'ბრძოლაში დაღუპული ცხედრები', hǫll 'ემშაკი'), სადაც სიკვდილის შემდეგ განაგრძობს ცხოვრებას ბრძოლაში დაღუპული მეომარი. ჰქონდათ განსაკუთრებულ უსიტყვო მელოდია, რომელსაც ეწოდებოდა ბარდიტი (barditus), – სრულდებოდა ძლიერი, წყვეტილი გუგუნის სახით მეტოქის შესაშინებლად.

მთავარი და უძველესი ღმერთების–„ასების“ გარდა, ძველ გერმანელებს ჰყავდათ „ვანები“, რომლებსაც, სავარაუდოდ, ინდოევროპული ტომები აღიქვამდნენ მათ მიერ დამარცხებულ სხვა ეთნიკური ჯგუფის ტომებად. გერმანული მითები მოგვითხრობს ასებისა და ვანების ხანგრძლივ ბრძოლებზე, რომელიც, საბოლოოდ, შერიგებით დამთავრებულა.

არაა გამორიცხული, რომ ამ მითებში გამოიხატა ინდოევროპელებისა და მათ მოსვლამდე ჩრდილო ევროპაში დასახ-

* საკუთრივ სკანდინავიური პანთეონი ღმერთების ორი ოჯახისაგან შედგებოდა. ესენი არიან ასები (æsir, მხოლოდით რიცხვში –áss) და ვანები (vanir).

ლებული ხალხის რეალური ისტორია, რომელთა შერევის შედეგად წარმოიშვა გერმანელები.

გერმანელების სამი ძირითადი ტომის – *ინგვეონების*, *ისტვეონების* (*ისკვეონების*) და *ჰერმინონების* წინაპრად ითვლებოდა პირველი ადამიანი მანუსი – ძე ღვთაება ტუისტოსი, რომლის დედად მიაჩნდათ დედამიწა – უმაღლესი ღვთაება. გერმანელებს სწამდათ იმქვეყნიური ცხოვრება, რასაც მოწმობს იარაღის, საოჯახო ნივთების ჩაყოლება მიცვალებულებისათვის.

ძველი გერმანიკული ტომები ღმერთებს ადამიანურ თვისებებს მიაწერდნენ.

სამყარო ძველ გერმანელებს წარმოედგინათ, როგორც გოლიათური კოპიტის ხე, რომლის იარუსებზე განლაგებულია ღმერთები და ადამიანები. შუაგულში ბინადრობენ ადამიანები და ისინი, ვინც მათთან უშუალო კონტაქტშია და მისაწვდომია მათი აღქმისთვის. ასეთი გაგება შენარჩუნებულია ძველი გერმანიკული ენების დედამიწის სახელწოდებებში: ძვ.-ზ.-გერმ. **mittilgart**. ძვ.-სკანდ. **middilgard**, ძვ.-ისლ. **miðgarðr**, ძვ.-ინგლ. **middangeard** გოთ. **midjungards** (სიტყვასიტყვით: 'შუა საცხოვრებელი'). მთავარი ღმერთები – ასები – ყველაზე მაღლა ცხოვრობდნენ, ყველაზე ქვევით შავბნელი სულების და ბოროტების სამყარო – ჯოჯობეთი იყო. სამყაროს ირგვლივ არსებობდნენ სხვადასხვა ადამიანები, რომლებიც სამყაროს სხვადასხვა ძალებს ფლობდნენ: სამხრეთით იყო ცეცხლის სამყარო, ჩრდილოეთით: სიცივისა და ბურუსის სამყარო, აღმოსავლეთით – გოლიათების სამყარო, ხოლო დასავლეთით – ვანების სამყარო.

ძველი გერმანელების თითოეული ტომობრივი გაერთიანება წარმოადგენდა საკულტო კავშირს. გერმანელები ღმერთებს მსხვერპლად სწირავდნენ ცხოველებს და ადამიანებს. ჰყავდათ ქურუმები და წინასწარმეტყველები. წყაროებში მოიხსენიებენ სპეციალურ საკულტო ადგილებს – წმინდა წარაფებს (როგორც

ჩანს, ტაძრები ჯერ არ ჰქონდათ). თავიანთ საკულტო რიტუალს ისინი ადავლენდნენ ადამიანის და ცხოველის შეწირვით. წმინდა ადგილებზე, სადაც ინახებოდა ღმერთების გამოსახულება, ჰქონდათ თეთრი ცხენი, რომლებსაც აბამდნენ წმინდა მარხილში – ფრუტუნზე და ჭიხვიანზე წინასწარმეტყველებდნენ, მარჩიელობდნენ კენჭებზე და ჯოხებზე, აგრეთვე, ჩიტების ფრენაზე დაკვირვებით. სტრაბონი ყვება წინასწარმეტყველ-ქურუმებზე, რომლებიც მათ მიერ მოკლული ტყვეების სისხლზე და შიგნეულობაზე მარჩიელობდნენ. რუნული დამწერლობა, რომელიც გერმანელებს ჩვ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ჰქონდათ, მისაწვდომი იყო თავდაპირველად ქურუმთათვის – სამარჩიელო-წინასწარმეტყველური და ფიცის დადების რიტუალის გამოსახატავად.

გერმანელები პატივს სცემდნენ თავიანთ გმირებს. გერმანელები უდიდეს განმათავისუფებელს ეძახდნენ არმანს*, რომელმაც დაამარცხა რომის მთავარსარდალი ვარი ბრძოლაში, ტევტობურგის ტყეში, ჩვ.წ. I საუკუნის დასაწყისში.

ძველი გერმანიკული რელიგიური კულტის გამოძახილმა ჩვენამდეც მოაღწია ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებაში. ნორვეგიის დედაქალაქის – ოსლოს სახელწოდება მოდის ძველ ისლანდიურ áss-დან, „ღმერთი“ და Id „განაკაფი ადგილი ტყეში, კორდი“ ფარერიის კუნძულების დედაქალაქი-ტორსჰავნი-ტორის ნავსადგური, ქალაქ -ოდენსეს სახელწოდება, სადაც დაიბადა ანდერსონი, ნაწარმოებია უმაღლესი ღმერთის –

* არმანი იყო ჰერუსკების ტომიდან, სიყმაწვილე გაატარა რომაელების სამხედრო სამსახურში და ვარი მას ენდობოდა. არმინის მეთაურობით გერმანელ და რომაელებს შორის ატეხილი დავის მიზეზი იყო ის, რომ რომაელები შემოიჭრენ გერმანიის ტერიტორიაზე ემსისა და ვეზერს შორის. უნდოდათ გერმანელებისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი კანონები, ძალავდნენ ხარკს, ავიწროებდნენ. დამთავრდა იმით, რომ არმინმა გაანადგურა რომის სამი ლეგიონი.

ოდენის სახელისაგან; მეორე დანიური ქალაქის-ვიბორგის სახელწოდება წარმოიქმნა ძველი დანიური wi ('სალოცავი')-დან. შვედეთის ქალაქი - ლუნდი, როგორც ჩანს, წარმოიქმნა წმინდა ქალის ადგილზე, რამდენადაც თანამედროვე შვედურში lund - ნიშნავს 'ქალას'. ბალდურსჰაიმური - ხუტორის სახელწოდება ისლანდიაში - ინახავს ახალგაზრდა ღმერთის ბალდურეს ხსოვნას, რომელიც ოდინის შვილი იყო. გერმანიის ტერიტორიაზე არსებობს რამდენიმე პატარა ქალაქი, რომელშიც შენარჩუნებულია ვოდენის სახელი. ბად-გოდესბერგი - ბონის მახლობლად. სახელი (w შეცვლილია g-თი). (947 წელს მოიხსენება მისი პირველი სახელწოდება - ვოდენსბერგი), გუტენსვეგენი, გუდენსბერგი და სხვ.

16.3. ხალხთა დიდი გადასახლება

გერმანელი ტომების ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ხალხთა დიდ გადასახლებას“ იგი იწყება აღმოსავლეთის გერმანელთა, კერძოდ, გოთების გადაადგილებით. როგორი იყო ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის წინაპირობები?

III საუკუნეში იწყება გერმანელთა ტომობრივი კავშირების შექმნა (ალემანები, ფრანკები, საქსები, გოთები და სხვა).

IV საუკუნეებში გერმანელები უკვე იყენებენ რკინისასხისიან და ბორბლიან გუთანს, უმჯობესდება ლითონის იარაღი, გამოიგონეს სამეთუნეო დაზგა. გაფართოვდა ვაჭრობა რომთან. ყოველივე ამან დააჩქარა ქონებრივი დიფერენციაცია და გვაროვნული წყობილების რღვევა. გაძლიერდა მემკვიდრეობითი სამეფო ხელისუფლება და საგვარეულო დიდკაცობა, დაკნინდა

სახალხო კრების მნიშვნელობა, იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების ჩანასახი. მიწების გაფართოების სურვილმა, მონებისა და მეზობელი ხალხების მიერ დაგროვილი სიმდიდრეების ხელში ჩაგდების წყურვილმა გამოიწვია გერმანელ ტომთა მასობრივი მიგრაცია, რომელმაც მოიცვა ევროპის უზარმაზარი ტერიტორია და რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე (IV-VII სს.) გრძელდებოდა. ამ მიგრაციას ხელი შეუწყო გერმანელთა ტომობრივი კავშირების წარმოქმნამ, რომელიც მრისხანე სამხედრო ძალას წარმოადგენდა. გერმანელთა მეზობელი ხალხები, რომლის ტერიტორიაზეც ისინი გადასახლდნენ, უმეტეს შემთხვევაში მათზე გაცილებით მაღლა იდგა მატერიალური კულტურის განვითარების თვალსაზრისით.

როგორც ისტორიკოსები აღწერენ, გერმანელთა მთელი ტომები აიყრებოდნენ მიწებიდან და ოჯახებთან ერთად გადადიოდნენ ახალ ადგილებზე. ცხოველების ტყავადაკრული ურმები საცხოვრებლის ფუნქციას ასრულებდნენ. მამაკაცები საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თავდასხმა. ასეთი მიგრაციის დროს, ცხადია, დიდი იყო ადამიანური დანაკარგი.

გზაში ბევრი იხოცებოდა ავადმყოფობისაგან, შიმშილისაგან, გაუთავებელი ბრძოლებისაგან. რიგ შემთხვევაში, გერმანელები ახერხებდნენ ახალ ადგილებამდე მისვლას და სახლდებოდნენ ახალ მიწებზე. წარუმატებლობის შემთხვევაში კი მთელი ტომი აღიგვებოდა ხოლმე პირისაგან მიწისა, ისინი ან ბრძოლებში იღუპებოდნენ, ან მონობაში.

ხალხთა დიდი გადასახლების დასაწყისს ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ ევროპაში ჰუნების შემოჭრის დროს. მაგრამ გერმანელ ტომთა გადანაცვლებები დაიწყო უფრო ადრე (კელტების მოძრაობა იტალიისაკენ, საბერძნეთისკენ და შემდეგაც, მცირე აზიის ჩრდილოეთით III საუკუნეში). მარკომანების ომის

დროიდან გერმანელების შეტევა რომის საზღვრებზე გრძელდებოდა, სანამ V საუკუნეში მათ არ მიაღწიეს ყველაზე უფრო მოშორებულ ტერიტორიებს (ესპანეთსა და აფრიკას). მთლიანი ტომების გადაადგილების გამოწვევი მიზეზები მდგომარეობდა სხვა ხალხების მოწოლასა და მიწების უკმარისობაში, მულდმივად მზარდი მოსახლეობის პირობებში.

ბალტიის ზღვა



კვადები



როგორც ვთქვით, გადასახლებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია გოთების გადაადგილება*.

* გოთები იყვნენ პირველნი, რომლებმაც დუნაის ქვემოწელში და ყირიმში ქრისტიანობა არიანაზმის ფორმით მიიღეს.

III საუკუნეში, (ჩვ.წ.258წ.) გოთების ნაწილმა ყირიმის ნახევარკუნძული დაიპყრო. გადმოცემის მიხედვით, გერმანელთა ეს ტომი ევროპაში მოვიდა სკანდინავიის კუნძულებიდან. II საუკუნეში გოთები ბალტიის ზღვის სანაპიროებიდან სამხრეთისაკენ დაიძრნენ. III საუკუნის დასაწყისში ისინი უკვე რომის იმპერიის საზღვრებზე, შავი ზღვის სანაპიროებზე ცხოვრობდნენ დუნაისა და დნეპრს შორის. აქ გოთები დაიყოფიან ორ ჯგუფად: აღმოსავლეთის გოთებად (*ostrogothi*) და დასავლეთის გოთებად (*wisigothi*), მაგრამ მათ შორის კავშირი მაინც არსებობს.

ვესტგოთებიდან გამოყოფის შემდეგ, ოსტგოთებმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დააარსეს საკმაოდ დიდი სამეფო, რომელსაც მათი მეფის, ჰერმინარიხის სახელის მიხედვით, "ჰერმინარიხის იმპერიას" უწოდებენ ხოლმე.

IV საუკუნის მე-2 ნახევარში (375 წ.) მომთაბარე ჰუნებმა მოსპეს გოთების კავშირი. მათ დაიპყრეს აღმოსავლეთ გოთების ტერიტორია და მეფე ატილას (საშ.-ზ.-გერმ. Etzel) სიკვდილამდე (453 წ.) მორჩილებაში ჰყავდათ ეს ხალხი. (გადმოცემის თანახმად, ჰუნების მოახლოებით თავზარდაცემულმა ჰერმინარიხმა თავი მოიკლა). ეს და ზოგიერთი სხვა დრამატული მოვლენა ტევტონთა ძველი ისტორიისა, მათ შორის, გოთებისა და ჰუნების დამოკიდებულება, ასახულია შუა საუკუნეების გერმანულ ეპოსში: „თქმულება ნიბელუნგებზე“, „ჰილდებრანდის სიმღერაში“, აგრეთვე ძვ-ისლანდიური „უფროსი ედის“ უძველეს სიმღერებსა და სხვა პოეტურ თუ პროზაულ ქმნილებებში.

ვესტგოთები, რომლებსაც გაძლიერებული ჰუნები ავიწროებდნენ, რომის იმპერიის სიღრმისაკენ დაიძრნენ. ამას დაემატა სხვადასხვა ტომთა შემოსევები რომის იმპერიის საზღვრებზე და დასაწყისი მისცა მოვლენათა იმ წყებას, რომელსაც ეწოდება "ხალხთა დიდი გადასახლება". ამ პროცესში

თანდათან ჩაერთნენ სხვადასხვა მონღოლოიდური (ჰუნები, ავარები), სლავური (ანტები, სკლავენები), ირანული (ალანები, სარმატები), აგრეთვე, დასავლურგერმანიკული ტომები (ფრანკები, ალემანები, მარკომანები) და სხვა, როგორც გერმანიკული, ისე არაგერმანიკული მოდგმის ხალხები. რომის იმპერია ამ პერიოდში ძლიერ დასუსტდა დაუსრულებელი ომებისაგან და შიდა არეულობისაგან (მონების ამბოხება) მას სულ უფრო და უფრო უჭირდა თავის დაცვა, რის გამოც მან ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა ბარბაროსების სულ უფრო მზარდ თავდასხმებს.

საბოლოოდ, ბრძოლა სხვადასხვა მომთაბარე ტომებსა და რომს შორის დასავლეთ რომის იმპერიის დაცემით დამთავრდა—რომი რამდენიმეჯერ იქნა აღებული *ვესტგოთების* (410წ.), *ვანდალების* (455 წ.) და ბოლოს *ოსტგოთების* (490წ) მიერ. ბარბაროსმა ტომებმა ოდოაკრის წინამძღოლობით 476 წელს საბოლოოდ მოუღეს ბოლო დასავლეთ რომის იმპერიას. დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე დაარსდა სახელმწიფოები, რომლებიც დღესაც განაგრძობენ არსებობას (ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი).

გერმანელთა აღმოსავლეთის ტომების მოძრაობამ გავლენა მოახდინა დასავლეთის გერმანულ ტომებზეც. III საუკუნის ოციან წლებში დაწყებული ალემანების ომი IV საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ალემანებმა დაიპყრეს დუნაისა და რაინის ზედა წელის ვრცელი ტერიტორიები. III საუკუნის შუა წლებში ფრანკები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ გალიას, რომელ-ლებმა დაუთმეს მათ სასაზღვრო ტერიტორიები. V საუკუნის დასაწყისში ფრანკებმა დაიპყრეს რაინის შუა და ქვემო დინების მნიშვნელოვანი ტერიტორიები. ფრანკთა ჯგუფებისგან შეიქმნა ორი ტომობრივი გაერთიანება: *ს ა ლ ი ე ბ ი* (Salii) და *რ ი პ უ ა რ ე ბ ი* Ripuarii).

ყველაზე უფრო რომის საზღვარი გაარღვიეს ალემანებმა. V საუკუნეში ალემანებმა რაინის მარცხენა ნაპირზე დაიპყრეს ელზასი და ჩრდილოეთ შვეიცარია, ხოლო აღმოსავლეთში გავრცელდნენ მდ. ლეხამდე, 496 წელს ისინი დაიმორჩილეს ფრანკებმა.

ფრანკებისა და ალემანების კოლონიზაციის შედეგად რაინის ორივე ნაპირზე დამკვიდრდა გერმანული მოსახლეობა. რომანიზებული კელტების ნაწილი გაძევებული იქნა, ნაწილმა კი ასიმილაცია განიცადა და გერმანული ენა მიიღო. ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში გერმანელთა ტომებს: ფრანკებს, ალემანებს, საქსებს, ტიურინგებსა და ბავარებს ეკირათ თანამედროვე გერმანიის დასავლეთი ნაწილი. აქვე ცხოვრობდნენ არაგერმანელი ხალხებიც. ამრიგად, ჩამოყალიბდა თანამედროვე გერმანელი ხალხი და მისი ენა. როგორც ვხედავთ, მათ შექმნაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტომმა.

“ხალხთა დიდი გადასახლების” ეპოქა, რომელშიც ევროპის ტერიტორიაზე მთავარი მონაწილენი გერმანიკული ტომები იყვნენ, დამთავრდა VI-VII სს. გერმანული ბარბაროსული სახელმწიფოების ჩამოყალიბებით.

ხალხთა დიდი გადასახლებისა და ბარბაროსული სახელმწიფოების ჩამოყალიბების ეპოქამ ასახვა ჰპოვა თანამედროვეთა შრომებში, რომლებიც თვითონ იყვნენ არსებული ბრძოლების თვითმხილველნი. რომაელი ისტორიკოსი ამიან მარცელინი (IV ს) ‘რომის ისტორიაში’ აღწერს ალემანების ომებს და ეპიზოდებს გოთების ისტორიიდან. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი (VI ს.), რომელიც მონაწილეობდა მხედართმთავარ ველიზარიუსის ლაშქრობაში, მოგვითხრობს ოსტგოთების სამეფოს ბედზე იტალიაში, რომლის დამხობის მონაწილე თვითონ იყო. გოთებზე, მათ წარმოშობაზე და მათი ისტორიის წინაპირობებზე წერს გოთი ისტორიკოსი—იორდანი-

სი (VI ს.) (ფრანკების სახელმწიფო მეროვინგების დროს VI საუკუნეში აღწერა ისტორიკოსმა გრიგოლ ტურსკიმ). გერმანიკული ტომების – ანგლების, საქსებისა და იუტების დასახლებას ბრიტანეთში აღწერს ანგლოსაქსონელი ბერი – ქამთმრიცხველი ბედა პატივცემული (Beda Venerabilis) (VIII ს.) ლათინურად დაწერილ ნაშრომში „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია“ (Historia ecclesiastis gentis Anglorum).

ანგლოსაქსების მიერ ბრიტანეთის დაპყრობა, ფაქტობრივად, თანამედროვე ინგლისის ისტორიის დასაწყისი იყო. (აქედან თავად სახელწოდება *Englond* “ანგლების ქვეყანა”. შდრ. თანამედროვე ინგლ. *England*).

ლანგობარდების ისტორია აღწერა ქამთმრიცხველმა ლანგობარდების ტომიდან პავლე დიაკონმა (VIII ს.). ყველა ეს და იმ ეპოქის სხვა ნაშრომები დაწერილია ლათინურ ენაზე.

16.4. ბარბაროსული სამეფოების წარმოქმნა

ხალხთა დიდი გადასახლება ეწოდება გერმანელი, სლავური და სხვა ტომების მასიურ შეჭრას რომის იმპერიის ტერიტორიაზე IV-VII საუკუნეებში, რამაც დააჩქარა დასავლეთ რომის იმპერიის დამხობა და მის ტერიტორიაზე ე.წ. ბარბაროსული სამეფოების წარმოქმნა.

V საუკუნის შუა წლებში დასავლეთ რომის იმპერიის დიდი ნაწილი დაიპყრეს სხვადასხვა ტომებმა. (უმთავრესად გერმანელებმა) და თითოეულმა საფუძველი ჩაუყარეს თავის სახელმწიფოებს.

გერმანელების საზოგადოებრივ ურთიერთობათა და რღვევის პროცესში მყოფი მონათმფლობელური რომის საზოგადოებრივი წყობილების ურთიერთგავლენამ და შერწყმამ დი-

დად შეუწყო ხელი ფეოდალიზმის განვითარებას დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

მაშასადამე, ხალხთა დიდი გადასახლების ერთ-ერთი უშუალო შედეგი იყო დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე მონათმფლობელური წყობილების ფეოდალურით შეცვლა.

აღმოსავლეთგერმანიკული ტომები, რომლებსაც ყველაზე ადრე მოუხდათ რომაელებთან შეტაკება რომის იმპერიის ტერიტორიაზე, აყალიბებენ ბარბაროსულ სამეფოებს: *ოსტგოთები იტალიაში, ვესტგოთები ესპანეთში, ბურგუნდიელები შუა რაინზე და ვანდალები აფრიკაში.*

ჰუნების ბატონობისაგან თავდაღწეული ოსტგოთები, 489 წელს მეფე თეოდორიხის მეთაურობით იტალიაში შეიჭრნენ და 493 წელს დაარსეს გოთური სახელმწიფო, რომლის დედაქალაქიც იყო რავენა. მას შემდეგ, რაც ვესტგოთებმა, მათი პირველი მეფის, ალარიხის ხელმძღვანელობით 410 წ. შეძლეს რომის აღება, ისინი გალიასა და ესპანეთში შეიჭრნენ, სადაც 418 წ. დაარსეს ტულუზის სამეფო, თუმცა მალე იძულებული იყვნენ გალია ფრანკებისათვის დაეთმოთ. გოთებთან ერთად ერთ ტომობრივ ჯგუფს მიეკუთნებოდნენ ვანდალები, რომლებმაც ალბანელებთან და სვებებთან ერთად დაიკავეს *ესპანეთი*. 415 წელს ესპანეთში გოთები შეიჭრნენ და შეებრძოლნენ ვანდალებს. 429 წლის მაისში ვანდალებმა დატოვეს ესპანეთი და ჰიბრალტარის გავლით აფრიკაში შეიჭრნენ. 439 წლის 19 ოქტომბერს ვანდალებმა აიღეს კართაგენი, რომელიც ჰენზერიხის რეზიდენციად გამოცხადდა. ეს წელი ვანდალების აფრიკული სახელმწიფოს დაარსების წლად ითვლება.*

* ეს ახალი სამეფო მოიცავდა დღევანდელი ტუნისის, ჩრდილო-აღმოსავლეთ ალჟირის და ჩრდილო-დასავლეთ ლიბიის ტერიტორიებს. ამ მიწების რომანიზებული მოსახლეობის ნაწილი ან განიდევნა. ან მონებად და მსახურებად იქცა. ადგილობრივი მავრული ტომების ნაწილი ვანდალებს



გერმანიკული ტომების როლი რომის იმპერიის დაცემაში

ესპანეთში გოთების შეჭრით იწყება დღესაც არსებული სახელმწიფოს – ესპანეთის სამეფოს ისტორია. თანამედროვე

დაემორჩილა, ნაწილი კი მათი მოკავშირე გახდა. სხვა გერმანული ტომები-საგან განსხვავებით ვანდალებში სამეფო ძალაუფლება აბსოლუტური გახდა და მონათმფლობელობიდან თანდათანობით ფეოდალიზმის პირველი ნაბიჯები გადაიდგა.

დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის (ბიზანტია) იმპერიებმა სცადეს ვანდალების მოსპობა. მაგრამ ვანდალთა ლეგენდარული მეფე მოესწრო იმ დღეს, როდესაც დასავლეთ რომის იმპერია საბოლოოდ დაეცა ბარბაროსთა ფეხქვეშ. ჰენზერიხის დროს ვანდალებმა ჩამოაყალიბეს ერთიანი ძლიერი ქვეყანა და მოჭრეს მონეტა. რომელზეც თავდაპირველად ისევ იმპერატორი ჰონორიუსი იყო გამოსახული. დოკუმენტებში ლათინური ენა გამოიყენებოდა. ჰენზერიხი არიანული ქრისტიანობის მიმდევარი იყო, რადგან ფიქრობდა, რომ კათოლიკობის შემთხვევაში ვანდალებზე რომის გავლენა გაერცვლდებოდა. თუმცა ალანებისა და ვანდალების ნაწილი კათოლიკე იყო და ამან გამოიწვია უამრავი შიდა კონფლიქტი ქრისტიანობის ორ განშტოებას შორის.

ესპანეთის პირველი მეფეები სწორედ ვესტგოთები იყვნენ. ესპანეთი (იბერია) საკმაოდ ძველი და მაღალი ცივილიზაციის ქვეყანა იყო, მაგრამ მან ვერ შეძლო შეენარჩუნებინა პოლიტიკური სტაბილურობა, აჯანყებები, ომები, მომთაბარე ტომთა შემოსევანი აქ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ხოლო ვესტგოთებმა შეძლეს შეექმნათ იბერიის ტერიტორიაზე პოლიტიკურად ძლიერი და თავდაცვისუნარიანი სახელმწიფო*.

ვანდალებმა ერთ-ერთი დიდი როლი ითამაშეს მარადიული ქალაქის – რომის განადგურებაში. ოსტგოთების სამეფოს იტალიაში დიდხანს არ უარსებია. VI საუკუნის შუა წლებში ვანდალებისა და ოსტგოთების სამეფოები გაანადგურა ბიზანტიელმა იმპერატორმა იუსტინიანემ. მან 533 წელს 15 ათასიანი არმია გადასხა აფრიკაში ველიზარიუსის მეთაურობით. პირველივე ბრძოლების შემდეგ ბიზანტიელებმა დაამარცხეს ვანდალები და აიღეს კართაგენი. ასე დასრულდა ვანდალთა აფრიკული სამეფოს ისტორია, ხოლო მათი ჩრდილოელი თანამოძმეები ავარებს და სლავებს შეერივნენ და მათი სახელი ნელ-ნელა გაქრა მსოფლიო ისტორიიდან.

გეპიდები გოთებთან ერთად გადმოსახლდნენ სკანდინავიიდან, ბალტიის ზღვის სამხრეთით, საიდანაც განდევნეს ბურგუნდები. შემდეგ მათ დაიწყეს გადაადგილება სამხრეთ-აღმოსავლეთით და 210 წელს დაკიაში დასახლდნენ. გეპიდების ნაწილი, ვანდალებთან და ოსტგოთებთან ერთად, გადასახლდა რომის იმპერიის ტერიტორიაზე, მდინარე დუნაის სამხრეთით.

* ვესტგოთების სახელთანაა დაკავშირებული ესპანეთში მრავალი ტოპონიმი. ასე მაგალითად, გერმანიკული (გოთური) წარმოშობისაა ესპანური საკუთარი სახელი როდრიგო (*Rodrigo* - ლათინიზირებული გერმანიკული *Rodericus*) მომდინარეობს გოთური სიტყვებიდან *hroþs* - „გამარჯვება“ და *reika* - „მეფე“, „ბატონი“, „მეფე“.

VI-ე საუკუნის დასაწყისში, გარდა უნგრეთისა და რუმინეთისა ისინი ფლობდნენ თანამედროვე სერბეთის ტერიტორიასაც. გეპიდები რომის იმპერიის მოკავშირეები გახდნენ და ასე დარჩნენ VI- საუკუნის შუამდე. 567 წელს გეპიდები, რომელთაც მხარს უჭერდათ ბიზანტია, დამარცხდნენ ლანგობარდებისა და ავარების ერთობლივ ძალებთან ბრძოლაში. ავარებმა დაიკავეს გეპიდების სამეფოს ტერიტორიები. გეპიდების სამეფო საზოლოდ განადგურდა.



534 წელს ბურგუნდიელების სამეფო შეუერთდა მეროვინგების სახელმწიფოს. ფრანკები, ვესტგოთები, ბურგუნდიელები შეერწყნენ ადრე რომანიზირებულ გალიისა და ესპანეთის მოსახლეობას, რომლებიც საზოგადოებრივი და კულტურული

განვითარებით უფრო მაღლა საფეხურზე იდგნენ და მიიღეს მათ მიერ დაპყრობილი ხალხის ენა. იგივე ბედი ეწია ლანგობარდებს.

VI საუკუნეში ლანგობარდები სამხრეთისაკენ დაიძრნენ და ჩვ.წ. 546 წელს პანონიაში დასახლდნენ და გეპიდების აღმოსავლეთგერმანიკული სახელმწიფო გაანადგურეს. 568 წელს კი ლანგობარდები მეფე ალბოინის მეთაურობით შეიქრნენ ჩრდილოეთ და შუა იტალიაში, აქ მათ დაარსეს ლანგობარდთა სამეფო, ლანგობარდთა სამეფომ სამხედრო წარმატებებს მიაღწია. ამას ხელს უწყობდა ის, რომ ისინი ბიზანტიის მოკავშირეები იყვნენ.

VII საუკუნის დამდეგისთვის ლანგობარდებმა კათოლიკობა მიიღეს რამაც ხელი შეუწყო მათ რომანიზაციას. 751 წელს ლანგობარდებმა ბიზანტიელებს *რავენა*, თეოდორისის ყოფილი დედაქალაქი წაართვეს, მოგვიანებით კი რომსაც დაემუქრნენ. რომის პაპის თხოვნით, ფრანკთა მეფემ პიპინ მოკლემ მოაწყო ლაშქრობები ლანგობარდების წინააღმდეგ და ლანგობარდები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორიები. ლანგობარდთა სამეფომ, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ერთეულმა, არსებობა შეწყვიტა მას შემდეგ, რაც 773-774 წლებში იგი ფრანკთა მეფემ კარლოს დიდმა დაიპყრო.

(ფრანკების, ბურგუნდიელებისა და ლანგობარდების სახელი შემონახულია ფრანგული პროვინციების სახელწოდებებში: საფრანგეთი, ბურგუნდია, ლომბარდია).

ანგლები, საქსები და იუტები (ზოგი მკვლევარის აზრით კი, ფრიზები), როგორც ცნობილია, მეხუთე საუკუნეში (449 წელს) შეიქრნენ რომაელების მიერ დატოვებულ ბრიტანეთში, სასტიკად დაამარცხეს კელტური ტომი- ბრიტები (რომელთა შთამომავლები დღეს უელსელები და კორნუოლელები არიან) და საფუძველი ჩაუყარეს შვიდმეფობას ანუ **კ ე კ ტ ა რ ქ ი ა** ს:

საქსების - უესექსი (ძვ.-ინგლ. Westseaxe-“ დასავლელი საქსები“), ესექსი (ძვ.-ინგლ. Eastseaxe-“აღმოსავლელი საქსები“) და სასექსი (ძვ.-ინგლ. Sudseaxe- „სამხრეთელი საქსები“); ანგლების- მერსია, ნორთუმბრია - და აღმოსავლეთ ანგლია და იუტებისა (ზოგიერთა აზრით ფრიზებისა) - კენტი.

დასავლეთგერმანიკულ ტომებს შორის გამოირჩეოდა ფრანკები (ლათ. franci - გერმანიკულად „თავისუფლება“); რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ევროპის ისტორიაში.

V საუკუნეში დასავლეთ ფრანკები შეიქმნენ რომანიზებული გალიის ტერიტორიაზე და დაარსეს იქ თავიანთი სამეფო, რომელსაც მოგვიანებით მათი სახელის მიხედვით Francia „ფრანკების ქვეყანა“, „საფრანგეთი“ ეწოდა. ფრანკების სახელმწიფომ იარსება IX საუკუნის შუა წლებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკები გალიაში გაბატონდნენ, ისინი მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ (განსაკუთრებით მდ.სენის სამხრეთით). დროთა განმავლობაში მოხდა ფრანკების ასიმილაცია ადგილობრივ გალიურ - რომაულ მოსახლეობასთან. ფრანკებმა მიიღეს მათ მიერ დაპყრობილი ერის ენა. ეთნოგრაფიული თვითმყოფადობა უფრო დიდხანს შეინარჩუნეს რაინის შუა წელსა და მასის აუზში მცხოვრებმა ფრანკებმა და ქვედა რაინის აუზში ბინადარმა ფრანკებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჰოლანდიელთა და ფლამანდელთა ეთნოგენეზში.

ფრანკთა სახელმწიფოს I სამეფო დინასტიას, V საუკუნის შუა წლებში სათავე დაუდეს მეროვინგებმა (ესენი იყვნენ კონუნგები მეროვინგების მოგდმიდან, რომელმაც გააერთიანა სალიები და რიპუარები, თუმცა გერმანიკული ტომის “ფრანკების“ სახელწოდება პირველად გვხვდება III საუკუნის შუა ხანებში (სალებური და რიპუარული ფრანკები). მეროვინგების ეპოქაში ფრანკთა სახელმწიფო გაიზარდა. ფრანკთა სამეფოს პირველი მმართველი გახდა ხლოდვიგი, რომელმაც გააერთიანა

დამლილი ფრანკთა სამეფო. ხლოდვიგ I იყო ფრანკთა პირველი მეფე და მეროვინგთა დინასტიის დამაარსებელი. 481-511 წწ-ში ხლოდვიგის დროს მეროვინგების სამეფო იყო ვრცელი, მან ომებით შემოიერთა სომსა და ლუარს შორის მდებარე რომის სახელმწიფოს ნარჩენები, რაინთან ალემანების და ვესტგუთების მიწები სამხრეთ გალიაში. რაც ფრანკთა სამეფოს პირველი მმართველი გახდა, მას უნდა დაეძლია თავისი თანატომელთა წინააღმდეგობა და უნდა მოეგვარებინა ურთიერთობა ადგილობრივ დაპყრობილ გალურ-რომაულ მოსახლეობასთან, საკუთარი ძალების განმტკიცებისათვის ხლოდვიგმა მოკავშირედ რომის ეკლესია გაიხადა და მიიღო ქრისტიანობა (498-499 წწ.). ფრანკების სიდიადე განაპირობა რომის ეკლესიასთან კავშირმა, რომელიც რომის იმპერიის დაცემის შემდეგ დიდ როლს თამაშობდა დასავლეთ ევროპაში და დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანობის გავრცელებით, ბარბაროსული სამეფოების ჩამოყალიბებით. ეკლესია ქმედით დახმარებას უწევდა ხლოდვიგს სახელმწიფო მოწყობასა და მართვაში. ხლოდვიგის ძალაუფლების ლეგიტიმაციას საფუძვლად დაედო ქრისტიანული სწავლება - "ყოველგვარი ძალაუფლება ღვთისაა".

511 წელს ხლოდვიგის გარდაცვალების შემდეგ სამეფო მისმა ვაჟებმა დაიყვეს ოთხ ნაწილად: პარიზის სამეფო, მეცის სამეფო, სუასონის სამეფო, ორლეანის სამეფო). ამის შემდეგ ფრანკთა სახელმწიფოების დაშლა კვლავ გაგრძელდა. 673-675 წლებში სამეფო გაერთიანდა ხილდერიხ II-ის მიერ.

VIII საუკუნის დასაწყისში, არაბთა სახალიფოში შიდაომები დასრულდა, არაბებმა განაახლეს დაპყრობითი ომები. ჩრდილოეთი აფრიკის დაპყრობის შემდეგ, ისინი გადავიდნენ გიბრალტარის სრუტეზე და სამ წელიწადში დაიპყრეს მთელი პირენეის ნახევარკუნძული. ევროპაში მათი შეჩერება მხოლოდ

732 წელს შეძლეს ფრანკებმა, როდესაც პუატისთან დაამარცხეს არაბები.

მეროვინგების დროს ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვამ გამოიწვია განცალკავებულობა და განდიდებისკენ ლტოლვა ზოგიერთ სამყაროში. სახელმწიფო აპარატი არ იყო მტკიცე, არ იყო ცენტრალური მმართველობა, რამაც გამოიწვია სამეფოების დაკნინება

დაგობერტ I-ის მეგვიდრეების, ე.წ. „ზარმაცი მეფეების დროს“, სახელმწიფო ძალაუფლება დაეცა და ფაქტობრივად, დიდებულთა მოდგმის – მაიორდომების ხელში აღმოჩნდა. მაიორდომები უმაღლესი თანამდებობის პირები იყვნენ მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფოში. განსაკუთრებით აღზევდნენ მაიორდომები პიპინიდების საგვარეულოდან. ერთმა მათგანმა პიპინ მოკლემ, 751 წელს ხელთ იგდო სამეფო ტახტი და საფუძველი ჩაუყარა *კაროლინგების დინასტიას*.

ეკლესიას და სახელმწიფოს შორის ხლოდვიგის დროს ჩამოყალიბებულ კავშირს, ფრანკთა სამეფოს შემდგომი მმართველებიც ინარჩუნებდნენ. ეს კავშირი განმტკიცდა მეროვინგთა სამეფო დინასტიის კაროლინგებით შეცვლისას 751 წელს.

ფრანკთა სახელმწიფოს სამეფო ტახტზე გაჩნდა კაროლინგების ახალი დინასტია.

კაროლინგების დინასტიის აღზევებას ხელს უწყობდა წარმატებული ომები არაბების წინააღმდეგ გალიის სამხრეთით. კაროლინგებმა უფრო გააფართოვეს ფრანკთა სახელმწიფო საზღვრები, შემოიერთეს რა მას გერმანიის ჩრდილო-დასავლური მხარე, რომელიც ფრიზებით იყო დასახლებული.

16.5. კარლოს დიდი (2.IV.742-28. I. 814)

ფრანკულმა სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია კარლოს დიდის მეფობის დროს. კარლოს დიდი (ლათ. Carolus magnus) იყო წარმომადგენელი პიპინიდათა, ანუ არნულფინგთა დინასტიის, რომელსაც მოგვიანებით მისსავე საპატივცემულოთ კაროლონგთა (ლათ. Carolingi) დინასტია ეწოდა.

კარლი უფროსი ვაჟი იყო პიპინ მოკლესი. პიპინის გარდაცვალების შემდეგ სამეფო გაიყვეს კარლოსმა და მისმა ძმამ, კარლომანმა.

კარლოსი ფრანკთა მეფე იყო 768 წლიდან, როცა კარლოსი ფრანკთა და საერთოდ ევროპის პირველი ბარბაროსი იმპერატორი გახდა ამ წლიდან იწყება სწორედ ახალი პერიოდი ფრანკთა სამეფოს ისტორიაში.

ეს მონარქი ფართომასშტაბიან ომებს აწარმოებდა: ებრძოდა მავრებს ესპანეთში, შემოიარა აღმოსავლეთ ფრანკთა მიწები (მომავალი გერმანიის სახელმწიფოს ტერიტორია), დაიპყრო ლანგობარდთა სამეფო იტალიაში, ეომებოდა ევროპის ჩრდილოეთში მცხოვრები საქსების ინგვეონურ ტომს. (772-804წწ.) ეს სისხლისმღვრელი საომარი ქმედება საბოლოოდ საქსების დამარცხებითა და იძულებითი ქრისტიანიზაციით დამთავრდა. ამ და სხვა ომების შედეგად კარლოს დიდმა არნახულად გააფართოვა ფრანკთა სახელმწიფოს საზღვრები. მან თავის სახელმწიფოს შემოუერთა ესპანეთის დიდი ნაწილი, ლანგობარდების სახელმწიფო იტალიაში. კარლოს დიდის იმპერია მოიცავდა მთელ დასავლეთ ევროპას (ბრიტანეთისა და სკანდინავიის გამოკლებით) და ცენტრალური ევროპის ნაწილს. კარლოს დიდის იმპერიაში შედიოდა ევროპის არა ერთი ქვეყნის მიწა-

წყალი, მისი საზღვრები დუნაიდან პირენეის ნახევარკუნძულამდე და ჩრდილოეთის ზღვიდან აპენინამდე გაფართოვდა.

IX დასაწყისში შემოიერთა ბავარია, საქსონია და ტიურინგია. ფრანკების, ალემანების, ტიურინგების, ბავარიელებისა და საქსების გაერთიანება ერთი ქრისტიანული სახელმწიფოს ფარგლებში *გერმანული ეროვნული ერთობლიობის* ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო.

800 წელს კარლოს დიდი რომში იმპერატორად ეკურთხა. იმპერატორის გვირგვინი მას უბოძა პაპმა ლევ მესამემ, რისთვისაც ძლიერ გაანაწყენა ბიზანტიის იმპერატორი. კარლოსმა შექმნა ერთ-ერთი უდიდესი იმპერია რომის იმპერიის დაცემის შემდეგ. იმპერიის შემადგენლობაში სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში შედიოდა დასავლეთ ევროპის ტერიტორიები: საქსონია, ბავარია, ლომბარდია. იმპერიის ვასალურ მდგომარეობაში იყო: ბოჰემია, მორავია, ბენევიტის საჰერცოგო, ბრეტანი. აღმოსავლეთ-ფრანკთა სამეფოდ კარლოს დიდს ასევე განუზრახავს ესპანეთის დაპყრობა, თუმცა ამ მიზნის მიღწევა ვერ მოუხერხებია. ერთ-ერთი ასეთი მცდელობისას, ჩრდ. ესპანეთზე იერიშის მიტანისას მოკლულ იქნა მისი ერგული მცველი გრაფი როლანდი . ამ ინციდენტს მიემდვნა შემდგომში ცნობილი "როლანდის სიმღერა."

ამ პერიოდს ეკუთვნის უდიდესი შუა საუკუნეების ლიტერატურული წრეები, კარლოს დიდის წრე ან ე. წ. "ფრანკთა საქმეები", რომელიც კარლოს დიდის ბრეტონის საზღვრის ისტორიული მხედართმთავრის, როლანდის, საქმიანობასა და მიღწევებზე აღწერს და ასევე პალადინთა წრე, რომლებიც ჯვრის ორდენის მეომართა მარჯვენა ხელად ითვლებოდნენ მრგვალ მაგიდასთან. ამბები მათ შესახებ პირველად მოყოლილ იქნა ჰეროიკულ სიმღერებში "chansons de geste"

კარლოს დიდმა დიდი კულტურული და ეკონომიკური წინსვლა მოუტანა ჩამორჩენილ ფრანკთა სამეფოს. მან შემოიღო კონტინენტური სამონეტო სისტემა, მაგრამ მის გარდაცვალების შემდგომ, მის მიერ შემოღებული კონტინენტური სამონეტო სისტემა ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა.

კარლოს დიდის ეპოქა ხასიათდება განსაცვიფრებელი კულტურული აღმავლობით, რომელიც ცნობილია „კაროლინგული აღორძინების“ სახელით. ამ პერიოდში დაარსდა ახალი სკოლები, სამეფო კარზე მოიწვიეს განათლებული ადამიანები, გაცხოველდა ინტერესი ანტიკური ლიტერატურისადმი, განვითარდა სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა. კაროლინგური ხელოვნების განვითარების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს უფრო გვიანდელი რომანული და გოტიკური სტილი არქიტექტურაში. კაროლინგური ხელოვნება ჩამოყალიბდა გვიანდელი ანტიკური და ბიზანტიური ხელოვნების ადგილობრივ ბარბაროსულ ხელოვნებასთან შერწყმის საფუძველზე. იგი შემდგომში საფუძვლად დაედო ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნებას. კარლოს დიდი იყო აგრეთვე ჰეროიკული შინაარსის ფოლკლორული ნაწარმოებების შეგროვების მოთავეც.

* კარლოს დიდს გვიხატავენ, როგორც გერმანიკული ჩვეულებების, კანონებისა და ტრადიციებისა მიმდევარსა და დამცველს. გადმოცემის თანახმად, იგი მთელი თავისი უზარმაზარი სამფლობელოს ტერიტორიაზე აწერინებდა გერმანიკული ზეპირმეტყველების ნიმუშებს: ლეგენდებს, თქმულებებს, საგმირო თუ მითოლოგიურ სიმღერებს.

იგი დაინტერესებული იყო რუნებით და რუნული წარწერებითაც. მეტად ვრცელი ბიბლიოთეკა შეუგროვებია, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია (კარლოს დიდის სიკვდილის შემდეგ პროზულიტური ენთუზიაზმის შეტევისას თითქმის მთლიანად გაუნადგურებია მის შვილს, ლუდოვიკო (ფრანგ. Louis) ღვთისმოსავს, როგორც „წარმართული“ და „არაქრისტიანული“). წინააღმდეგ შემთხვევაში მეტი გვეცოდინებოდა გერმანიკულ ხალხთა წინაქრისტიანულ სულიერი კულტურის შესახებ.

ფრანკთა სახელმწიფოში დაიწყო ორი ენის – *გერმანულისა* და *ფრანგულის* განვითარება, რომლებიც არსებობდა თავდაპირველად დიალექტების სახით ლათინურის გვერდით. ფრანკთა სახელმწიფოში გერმანულისა და ინგლისურის გვერდით ენობრივ სიტუაციას განსაზღვრავდა ლათინური ენა, რადგან იგი იყო ეკლესიისა და სახელმწიფო საქმის წარმოების ენა.

იმ პროცესს; რომ გერმანული ენა თანდათან იმკვიდრებდა ადგილს ლათინურის გვერდით, როგორც ეკლესიისა და სახელმწიფო მმართველობის ენა, განსაკუთრებით შეუწყო ხელი კარლოს დიდის მოღვაწეობამ. კარლოს დიდის განკარგულებით ითარგმნა რელიგიური ტექსტები გერმანულად, რათა გაადვილებულიყო ხალხში ქრისტიანობის გავრცელება. კარლოს დიდმა ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით შემოიღო წესი, რომლის თანახმადაც, ყველა ქვეშევრდომს ზეპირად უნდა ესწავლა „*მამაო ჩვენი*“, მანვე შემოიღო სამონასტრო სკოლებში ღვთისმეტყველება დედაენაზე.

კარლოს დიდის მოღვაწეობა მიმართული იყო სახელმწიფოს გამლიერებისაკენ. კარლოს დიდის მიწის რეფორმამ ხელი შეიწყო ფრანკული საზოგადოების ფეოდალიზაციას.

ფრანკების სახელმწიფოში მეროვინგებისა და კაროლინგების დინასტიის დროს დასავლეთ ნაწილი უმეტესად რომანული იყო, ხოლო აღმოსავლეთი – გერმანული. ამ პერიოდში, რა თქმა უნდა, ერის თანამედროვე გაგებით არ შეიძლება ლაპარაკი ფრანკების ან გერმანელების შესახებ.

ენობრივი განსხვავება გამოკვეთილად შეინიშნება მხოლოდ კარლოს დიდის ეპოქის შემდეგ. გერმანული ეროვნული ერთობლიობის საბოლოო გამოკვეთას დიდად შეუწყო ხელი ფრანკთა იმპერიის დაყოფამ, რომელიც კარლოს დიდის შვილიშვილებმა განახორციელეს.

კარლოს დიდი გარდაიცვალა 814 წელს. ის საკუთარ კათედრალში, აახენში დაკრძალეს.

კარლოს დიდის შემდგომ, ფრანკთა იმპერიამ დასუსტება დაიწყო. სახელმწიფოს დაშლამ შეუქცევადი სახე მიიღო. ერთიანი ფრანკული სახელმწიფო ჩამოყალიბდა დასავლეთ-ფრანკთა სამეფოდ და აღმოსავლეთ-ფრანკთა სამეფოდ.

კარლოს დიდის მემკვიდრეების მეფობის პერიოდში მისი იმპერია დაიშალა. ვერდენის ხელშეკრულებით 843 წელს კარლოს დიდის იმპერია ურთიერთშორის გაინაწილეს მისმა შვილიშვილებმა—იმპერატორმა ლოთარ 1-მა და მისმა ძმებმა — ლუდვიგ გერმანელმა და შარლ მელოტმა. ლოთარს, რომელმაც შეინარჩუნა იმპერატორის ტიტული, ერგო იტალია და ხმელეთის ვიწრო ზოლი. ლუდვიგ გერმანელს—რაინის აღმოსავლეთით მდებარე მიწები (აღმოსავლეთ ფრანკთა სამეფო), ხოლო შარლ მელოტს — რაინის დასავლეთით მდებარე მიწები (დასავლეთ ფრანკთა სახელმწიფო). ლანგობარდთა ტერიტორიები იტალიის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. ეთნიკური უმცირესობის როლში აღმოჩენილმა ლანგობარდებმა საბოლოოდ დაკარგეს ენა და ეროვნული ინდივიდუალობა, ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყნენ.(იტალიის ჩრდილოეთს კი შერჩა სახელი ლომბარდია, რომელიც ტოპონიმ ლანგობარდის დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს). ფრანკთა სახელმწიფოს გაყოფა ვერდენის ხელშეკრულებით შეესაბამებოდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ფრანგი, გერმანელი და იტალიელი ხალხების განსახლების საზღვრებს და მან, არსებითად, დასაბამი მისცა სამი დიდი სახელმწიფოს—საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის არსებობას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ისტორიული მომენტიდან იწყება ევროპის სამი ქვეყნის: საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის დამოუკიდებელი არსებობა.

842 წელს დასავლეთისა (საფრანგეთის) და აღმოსავლეთის

(გერმანიის) მომავალ მმართველებს შორის დაიდო ხელშეკრულება სამხრეთის (იტალიის) სამეფოს წინააღმდეგ. ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც „სტრასბურგის ფიცს“ უწოდებენ, შედგა ორ ენაზე, რათა გასაგები ყოფილიყო ორივე ქვეყნის მეთაურებისათვის. ამრიგად, ამ ტექსტებით ფიქსირებულ იქნა ორი ენის – ფრანგულისა და გერმანულის – დამოუკიდებელი არსებობა.

ევროპის ამ სამი დიდი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და ევროპის პოლიტიკური რუკისთვის იმ სახის მიცემაში, რაც მას დღეს აქვს – უდავოდ დიდი როლი ითამაშა ფრანკების დასავლეთგერმანიკულმა ტომმა.

კარლოს დიდის მშობლიური ენა ძველი მაღალი გერმანულის დიალექტი, სახელად ფრანკული იყო. ის ასევე ფლობდა ლათინურს და ესმოდა ცოტაოდენი ბერძნული.

კარლოს დიდის მრავალრიცხოვანი ქორწინებებისა და ნათესაობრივი პოლიტიკის შედეგად მას მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა. მრავალი მათგანი ევროპის სხვა არისტოკრატიულ გვართა წარმომადგენელზე დაქორწინდა და მოგვიანებით ამ გვართა შორის მომდევნო ქორწინებების შედეგად ევროპის თითქმის ყველა სამეფო გვარის გენეალოგიას კარლოს დიდთან მივყავართ.

კარლოს დიდის ყველაზე ცნობილი შთამომავლები იყვნენ უილიამ ჰაუარდ ტაფტი (აშშ-ის 27-ე პრეზიდენტი), ტირონ პაუერი (ამერიკელი მსახიობი), ქრისტოფერ ლი (ბრიტანელი მსახიობი), და ელისაბედ II (გაერთიანებული სამეფოს დედოფალი)

16.6. გერმანიკულ ტომთა კლასიფიკაცია

ზოგადად, გერმანიკულ ტომებს, ანუ ტევტონებს სამ ჯგუფად ყოფენ: აღმოსავლურ, ჩრდილო და დასავლურგერმანიკულ ჯგუფებად. აღმოსავლურგერმანიკული ტომები ისტორიის ასპარეზზე მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც *ბურგუნდები*, *გოთები*, *ვანდალები*, *გეპიდები* და ზოგიერთი სხვა ტომი ჩვენი ერის პირველი წლებისათვის მდინარეების: *ვისლასა* და *ოდერის* ქვემოწელს შორის მდებარე ტერიტორიაზე დასახლდნენ. მანამდე ისინი სკანდინავიაში ცხოვრობდნენ. გოთი ისტორიკოსი *იორდანისის* ცნობითაც გოთები მატერიკზე გადმოსახლებულან კუნძულიდან, რომელსაც იორდანისი სკანდზას ან სკანდიას (Scandza, Scandia) უწოდებს. ამ ჯგუფის წარმომადგენლები გადაშენდნენ, ან სხვა ხალხებს შეერწყნენ და მათი ენები დღეს მკვდარ ენებად ითვლება (გოთური ენა ბიბლიის გოთურმა თარგმანმა შემოგვინახა, ხოლო დანარჩენი აღმოსავლურგერმანიკული ენებისაგან კი, ზოგიერთი საკუთარი სახელისა და ცალკეული სიტყვების გარდა, თითქმის არაფერი შემორჩენილა). ვანდალები (ლათ. Vandili) – გოთებთან მონათესავე ძველი აღმოსავლეთ გერმანული ტომი, დასავლეთ ევროპაში გამოჩნდნენ ხალხთა დიდი გადასახლების პერიოდში. პირველად ვანდალებს მოიხსენიებს პლინიუს უფროსი ახ.წ I საუკუნეში. ვანდალები, გადმოცემის თანახმად, იმპერატორ კონსტანტინე დიდის მმართველობის პერიოდში (306–337წწ.) დასახლდნენ *პანონიაში*, დღევანდელი უნგრეთისა და ავსტრიის ტერიტორიაზე, სადაც ადვილი შესაძლებელია, მოხდა მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმა. V საუკუნეში ვანდალები სვებებთან და ალანებთან ერთად იბრძოდნენ გალიაში ფრანკების წინააღმდეგ, შეიჭრნენ ესპანეთში; ესპანეთიდან გოთების მიერ განდევნილი ვანდალები შეიჭრენ აფრიკაში და დაარსეს აფრიკული სამეფო. მას შემდეგ, რაც ბიზანტიე-

ლებმა დაამარცხეს ვანდალები და აიღეს კართაგენი – დასრულდა ვანდალთა აფრიკული სამეფოს ისტორია, ხოლო მათი ჩრდილოელი თანამომხეები ავარებს და სლავებს შეერივნენ და მათი სახელი ნელ-ნელა გაქრა მსოფლიო ისტორიიდან.

იგივე ბედი ეწია გეპიდებს. სავარაუდოდ, გოთებთან მონათესავე სიტყვა “გეპიდი” წარმოიშვა გოთური ან გეპიდური სიტყვისგან “გეპანტა” – “ზარმაცი”. გეპიდები გოთებთან ერთად გადმოსახლდნენ სკანდინავიიდან, ბალტიის ზღვის სამხრეთით, საიდანაც განდევნეს ბურგუნდები. გეპიდების პირველი შეტაკება რომაელებთან მოხდა 269 წელს, სადაც რომის იმპერატორმა კლავდიუს II-მ, ნაისტან ბრძოლაში მთლიანად გაანადგურა გეპიდებისა და სხვა გერმანული ტომების (მათ შორის, გოთების) გაერთიანება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 567 წელს გეპიდები დამარცხდნენ ლანგობარდებისა და ავარების ერთობლივ ძალებთან ბრძოლაში. გეპიდების სამეფო საბოლოოდ განადგურდა.

ასე რომ, დღეისათვის არსებული გერმანიკული ერები და ტომები (ისევე, როგორც თანამედროვე გერმანიკული ენები) იყოფიან ორ ქვეჯგუფად: *ჩრდილოგერმანიკულ (სკანდინავიურ) და დასავლეთგერმანიკულ (კონტინენტალურ)*.

დასავლურგერმანიკული ტომობრივი ჯგუფი: *ინგვეონები, ისტვეონები (ისკვეონები), ჰერმინონები* და მათი თანამედროვე შთამომავლები

ინგვეონები (*Ingwäonen*) მოიცავდნენ შემდეგ ტომებს: *ანგლები, საქსები, იუტები, ხაკები, ფრიზები* და სხვანი. ამავე ჯგუფს აკუთვნებენ *კიმბრებსა და ტევტონებსაც*, რომელნიც ძვ.წელთაღრიცხვის II საუკუნის ბოლოსათვის იტალიაში შეიჭრნენ, თუმცა საბოლოოდ განადგურებულნი იქმნენ რომელიც მხედართმთავრის გაიუს მარიუსის მიერ.

ინგვეონურმა ტომებმა: *ანგლებმა, საქსებმა, იუტებმა, ფრიზებმა* მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თანამედროვე დასავ-

ლურგერმანიკული ერების ეთნოგენეზში: ინგვეონური ტომების ანგლებისა და საქსების შთამომავლები არიან დღევანდელი ინგლისელები, ფრიზების ინგვეონურმა ტომმა (რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას ცალკე ეთნოსის სახით) გავლენა მოახდინა ნიდერლანდელი და, სავარაუდოდ, აგრეთვე ინგლისელი ერის ჩამოყალიბებაში, ხოლო საქსების ის ნაწილი, რომელიც არ გადასახლდა ბრიტანეთში და კონტინენტზე დარჩა, გერმანელი ერის შემადგენლობაში შევიდა. ამავე საქსებმა ნიდერლანდურ ეთნოგენეზშიც მიიღეს მონაწილეობა. ამ საქსების შთამომავლები არიან გერმანიის ისტორიული პროვინციის, ქვემო საქსონიის (გერმ. Niedersachsen) მცხოვრებლები, რომლებიც გერმანული ენის ქვემოსაქსურ (niedersächsisch) დიალექტზე მეტყველებენ. ქვემოსაქსური ქვემოფრანკულსა და აღმოსავლეთ ქვემოგერმანულთან ერთად ქმნის გერმანულის ე.წ. ქვემოგერმანულ (niederdeutsch, plattdeutsch) დიალექტურ ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ ქვემოფრანკულის (niederfränkisch) გამოკლებით, რომელიც ისტვეონურ ჯგუფს მიეკუთვნება, ქვემოგერმანული დიალექტები სწორედ ი ნ გ ვ ე ო ნ უ რ ი ჯგუფის წარმომადგენლები არიან. ამ დიალექტებში, როგორც ცნობილია, ე.წ. „თანხმოვანთა მეორე ზემოგერმანული ბგერათაგადაწევა“ არ გავრცელებულა და ამდენად ქვემოგერმანული ფონეტიკურად ნიდერლანდურთან, ინგლისურთან და შვედურთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ზემოგერმანულ დიალექტებთან, რომელთა ბაზაზეც ჩამოყალიბდა ლიტერატურული გერმანული (Hochdeutsch).

ისტვეონები/ისტვეონები/ისკვეონები/ისკვეონები-


(Istwäonen) – ამ ტომობრივ ჯგუფში შედიოდნენ: ბატავები, ხამავები, ბრუქტერები, სიგამბრები, ტენქტერები, სალიუსები, ტენქტერები, უზუპიდები და სხვა. ჩვ. წელთაღრიცხვის III საუკუნეში. ეს ტომები შეერწყნენ ფრანკების ტომობრივ კავშირს და ამ დროიდან მოყოლებული ფრანკებად (ლათ. Franci) იწოდებიან.

ჰერმინონები (Herminonen)- მარკომანები, ხატები, ლანგობარდები, ჰერმუნდურები (ტიურინგები), სვეები, ხერუსკები , ალემანები და სხვა.

ჰერმინონულ ტომებში, ძველი ავტორების თანახმად, შედიოდნენ მარკომანები (მომავალი ბავარები), ხატები (ჰესუნელები), ჰერმუნდურები (ტიურინგები), სვეები (მომავალი შვაბები და ალემანები), ხერუსკები, და სხვანი. ამ ჯგუფს აკუთვნებენ ხოლმე ლანგობარდებსაც. დღესდღეობით ჰერმინონულ დიალექტებზე მოლაპარაკე, ჰერმინონული წარმოშობის ტომები ძირითადად ცხოვრობენ შვეიცარიაში (სადაც გერმანულად მოსახლეობის 70% მეტყველებს), გერმანიის სამხრეთ რეგიონებში და ავსტრიაში.

ისტევეონების და ჰერმინონების შთამომავლები არიან დღევანდელი გერმანელები.

Nordseegermanen



გერმანიკული ტომების რუკა ჩვ. წელთაღრიცხვის 100 წ. (სკანდინავიელების გარდა).

ძველი ჩრდილოგერმანიკული ტომობრივი ჯგუფი (ჰილვეონები) და მათი შთამომავლები:

ძველ ჩრდილოგერმანიკულ ტომობრივ ჯგუფში – ჰილვეონებში / ჰილვეონებში შედიოდა: გაუტები, სვიონები, ტეუსტები, ბერგები, დანები, ჰარუდები, რაუმები, რუგები, აუგანდები, ჰალეიგები, თრონდები, გრანები და სხვ. მათი შთამომავლები არიან თანამედრივე სკანდინავიური ერები: გაუტებისაგან (ნაწილობრივ), სვიონებისაგან (ძირითადად), ტეუსტებისაგან (მცირე ნაწილი), ბერგებისაგან (მცირე ნაწილი)– წარმოიშვნენ შვედები. დანებიდან – დანიელები; ჰარუდებმა, რაუმებმა, რუგებმა, აუგანდებმა, ჰალეიგებმა, თრონდებმა, გრანებმა და სხვ. შექმნეს ნორვეგიელების, ისლანდიელებისა და ფარე-რელების ერი.

ვინ ლაპარაკობდა აღმოსავლურ, ვინ დასავლურ და ვინ ჩრდილო-გერმანიკულ ენებზე? – ვინდილები (ბურგუნდიელები, გოთები, ვანდალები) ლაპარაკობდნენ აღმოსავლურ-გერმანიკულ ენებზე, ინგვეონები, ისტვეონები და ჰერმინონები დასავლურ-გერმანიკულ ენებზე, ხოლო ჰილვეონები, ანუ სკანდინავიური ტომები ლაპარაკობდნენ ჩრდილო-გერმანიკულ, ანუ სკანდინავიურ ენებზე.

17. ძველი სკანდინავიური ტომები

უცნობია, პირველად როდის გამოჩნდა სკანდინავიის ტერიტორიაზე გერმანიკულ ენაზე მოლაპარაკე ტომები. უძველესი ცნობები სკანდინავიის შესახებ მოგვეპოვება ჩვ.წ.-მდე პირველი საუკუნიდან. ამ დროისათვის უკვე მთელი დანია და სკანდინავიის ნახევარკუნძულის უმეტესი ნაწილი გერმანელებით იყო დასახლებული

პირველად ცნობებს სკანდინავიელებზე ვხვდებით პითეასთან, ბერძენ მოგზაურთან, ჩვ.წ.-მდე 330 წელს, უფრო მოგვიანებით, რომაელ ავტორებთან - პლინიუს უფროსთან (23-79), სტრაბონთან (63 წ. ჩვ.წ.-მდე- 20წ. ჩვ.წ.-ვით)-, პტოლემეუსთან (II საუკ. ჩვ. წ.) ტიციანთან (დაახლოებით 100 წელს ჩვ.წ.-ვით). გოთ ისტორიკოსთან იორდანისთან (VI საუკ. შუა წლები ჩვ.წ.). თუმცა ფაქტები, რომელსაც ეს ისტორიკოსები და გეოგრაფები მოგვაწვდიან, საკმაოდ შწირვა და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო, ასე, რომ არსებული ცნობები გერმანიკული ტომების განსახლების შესახებ მიახლოებითია. უფრო გვიანდელ წყაროებს შეადგენს გერმანელი ისტორიკოსის ადამ ბრემენსკის მიერ (დაახლ. 1040- 1085 წწ.) ლათინურ ენაზე დაწერილი შრომები და დანიელი ისტო-

* საკითხი ეხება ძველი სამყაროს ხალხთა ჯგუფს, რომლებსაც გერმანელები ეწოდათ. ამ გაგებით სახელწოდება "გერმანელები" არ არის იგივე, რასაც დღევანდელ გერმანელ ერს ვუწოდებთ. თავად გერმანელები თავიანთ თავს ასე არ მოიხსენიებენ. ძველი გერმანელები გაცილებით უფრო ფართო ცნებაა. დღევანდელი ევროპის დიდი ნაწილი დასახლებულია გერმანული ძირის ერებით: გერმანელებით, ავსტრიელებით, ინგლისელებით, შვედებით, ნორვეგიელებით, დანიელებით და ა.შ. და ამ ხალხებმა ევროპის ისტორიის მსვლელობაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს.

რიკოსის საქსონ გრამატიკის ავტორობით (1150-1220) შექმნილი “დანიელთა საქმეები”.

თავდაპირველად სკანდინავიის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ბევრმა ტომმა დატოვა თავის სამშობლო და გაემართა ათასობით კილომეტრით შორს ცენტრალური და სამხრეთ ევროპისკენ. ასე, მაგალითად, კიმბრები და ტევტონები, რომლებიც ჩვ.წ-მდე 102-101 წწ. რომაელმა მხედართმთავარმა მარიუსმა დაამარცხა, ცხოვრობდნენ იუტლანდიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით, კიმბრებთან და ტევტონებთან სამხრეთით ცხოვრობდნენ იუტები და ანგლები, რომლებიც ჩვ.წელთადრიცხვის V-VI სს. გადასახლდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე, საიდანაც წარმოიქმნა სახელწოდებები: *იუტლანდია* და *ინგლისი*. დანიური ტომების სახელწოდება გვხვდება მხოლოდ VI საუკუნიდან, ბერძენ ისტორიკოსთან პროკოფიუსთან და გოთ ისტორიკოს-იორდანისთან; მისი ძველი ინგლისური სახელწოდებაა *dene* გვხვდება „ბოევულფში“ (VIII ს.). დანიის თანამედროვე სახელწოდება *Danmark* (ძვ.ისლ. *Danmörk*) ნიშნავს: ‘დანიელების სასაზღვრო მიწა’. ასე ეწოდებოდა სამხრეთ იუტლანდიის ნახევარკუნძულის ძველ სასაზღვრო მხარეს. იორდანისის თანახმად, დანიელები III-IV სს. შეედეთიდან მოვიდნენ და დასახლდნენ დანიის კუნძულებზე და იუტლანდიაში, განდევნენ რა იქ მცხოვრები ჰარუდები. ჰარუდები გადასახლდნენ ცენტრალურ ევროპაში, მაგრამ VI საუკუნეში დაბრუნდნენ სამხრეთ შვედეთში. როგორც ჩანს, ზელანდიის კუნძულებზე ცხოვრობდნენ სილინგების ტომი, რომელთა სახელწოდებიდან წარმოიქმნა სახელწოდება ‘ზელანდია’. (დან. *Sjælland*, ძვ.-დან. *Seland*). იუტლანდიაში ცხოვრობდნენ აგრეთვე ჰარუდები; ამ სახელწოდებას მოგვიანებით ვხვდებით დასავლეთ ნორვეგიაში, ოლქში, რომელიც დღესაც ატარებს სახელწოდებას-ჰორდოლანი (*Hordaland*, ძვ.-ნორვ. *Hordaland*).

ბორნჰოლმის კუნძულზე თავდაპირველად ცხოვრობდნენ. ბურგუნდიელები (*Bornholm* <ძვ.-დან. *Burghuendæholm*) ე.ი. ბურგუნდიელების კუნძული), რომლებიც გადასახლდნენ ვისლის მიდამოებში. და შემდგომ, V საუკუნეში დააარსეს *ბურგუნდიის სამეფო* დასავლეთ ევროპაში.

ნორვეგიის ტერიტორიაზეც ცხოვრობდა სხვადასხვა გერმანიკული ტომი. აქ ბინადარ ტომებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ამ მხარეში არ ჰქონია ადგილი ტომობრივ გადაადგილებას. ჰარუდების სამხრეთით ცხოვრობდნენ რუგები, საიდანაც მოდის სახელწოდება რუგალანი (*Rogaland*). უფრო სამხრეთით იყო აუგანდების მხარე, (ძვ.-ნორვ. *egdir*, შდრ. ნორვეგიის სამხრეთით – *Agder*). სხვა ტომები, რომლებიც ნორვეგიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, იყვნენ ტრენდები (აქედან ოლქის: *ტრენდელაგი* და ქალაქის *ტრონჰაიმის* სახელწოდებები).

აშკარაა, რომ სახელწოდება ნორვეგია (*Norge*), მოგვიანებით წარმოიშვა. ამ სახელწოდების უძველეს ფორმებს ვხვდებით ჩვ.წ. IX ს. წყაროებში. ეს ფორმები წარმოადგენენ დამახინჯებულ* *Norðvegr*, ე.ი. 'ჩრდილოეთის გზა, ჩრდილოური ადგილი'. ამ სახელწოდების მიხედვით (და იმ წყაროების მიხედვითაც, სადაც ეს სახელწოდება გვხვდება), იგი უფრო სამხრეთით მდებარე მხარეებში: გაუტებთან და დანებთან წარმოიქმნა და თავდაპირველად ალბათ, ნორვეგიის სანაპიროების გასწვრივ, საზღვაო გზას ნიშნავდა, შემდეგ კი იგი გავრცელდა მთლიან მხარეზე, რომელიც გარს არტყამდა ნორვეგიის სანაპიროს.

თანამედროვე ცენტრალურ შვედეთში ცხოვრობდა სვევების, იგივე სვიონების მრავალრიცხოვანი ტომი, რომელსაც პირველად მოიხსენიებს ტაციტუსი. სიტყვის ეტიმოლოგია ზუსტად არაა დადგენილი. ვარაუდობენ, რომ იგი შეიცავს რუსული 'свои'-ის ძირებს, საიდანაც წარმოიქმნა სიტყვა

Sverige-შვედეთი (<ძვ.-შვედ. Svearike 'სვევეების სახელმწიფო'). სვევეების სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდნენ-გაუტები, ანუ გოთები, რომელთა სახელწოდება შემონახულია თანამედროვე შვედურ პროვინციებში ვესტერგოტლანდი (Västergötland) და ოსტერგოტლანდი (Östergötland), აგრეთვე მდინარეს სახელწოდებაში ეტა-ელვი (Götaälv). სავარაუდოა, რომ გაუტების ტომების სახელწოდებასთანაა ეტიმოლოგიურად დაკავშირებული გოთების სახელწოდებაც. დაახლოებით 100 წლისთვის გოთები უკვე სკანდინავიის საზღვრებს მიღმა ცხოვრობდნენ - მდინარე ვისლის ქვემოწელს შორის მდებარე ტერიტორიაზე, (ცნობილია, რომ აღმოსავლურ გერმანიკული ტომები ისტორიის ასპარეზზე მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც ბურგუნდები, გოთები, ვანდალები, გეპიდები და ზოგიერთი სხვა ტომი ჩვენი ერის პირველი წლებისათვის მდინარეების ვისლასა და ოდერის ქვემოწელს შორის მდებარე რაიონში დასახლდნენ. მანამდე ისინი სკანდინავიაში ცხოვრობდნენ) სადაც ისინი გადმოცემის თანახმად და გოთი ისტორიკისის იორდანისის ცნობითაც მატერიკზე გადმოსახლებულან კუნძულიდან, რომელსაც იორდანისი სკანდზას/სკანდიას (Scandza) უწოდებს. სარწმუნოა, რომ ისინი წამოვიდნენ კუნძულ გოთლანდიდან და შემდგომში გადასახლდნენ სამხრეთ ევროპაში.

სახელწოდება სკანდინავია (Skandinavia)- ესაა გერმანიკული სახელწოდების ლათინირებული ფორმა, რომელიც შემორჩენილია შვედეთის ერთ-ერთი თანამედროვე ოლქის სკონე-ეს სახელწოდებაში (Skane სამხრეთ შვედეთში, შდრ. ძვ.-ისლ. Skáney). ამ რთული არსებითი სახელის პირველი წევრი სავარაუდოდ, წარმოიქმნა პროსკანდინავიური *skaðin-დან, რაც ნიშნავს: 'ზიანი', 'საშიშროება', მეორე წევრი-პროსკანდინავიური- aujð- დან და ნიშნავს: 'კუნძული' (შდრ.ძვ.-ისლ. ey). ამრიგად, სიტყვა, ალბათ, ნიშნავდა" საშიშ კუნ-

ბულს". ზოგიერთ ავტორთან (პლინიუსთან და სხვ.) გვხვდება ამ სახელწოდების მოკლე ფორმა- *Skandia* (<*Skadnia); შდრ. *Scandza*- იორდანისთან, საიდანაც გადმოცემის თანახმად წარმოიშენენ *გოთები*.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში სკანდინავიურ ტომებს ჰქონდათ გვაროვნულ- თემური წყობილება. ამ დროს მატრიარქალური ცხოვრების წესი უკვე შეცვლილი იყო პატრიარქალურით, მაგრამ მისი მთელი რიგი გადმონაშთები მაინც არსებობდა. ადამიანების მთავარი საქმიანობა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება იყო. მიწა თემის საკუთრება იყო და მისი დამუშავებაც მსხვილი პატრიარქალური ოჯახის საქმე იყო. ჩანს, რომ ზღვაოსნობა სკანდინავიაში ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა.: ხომალდების გამოსახულება სკალეზზე. რომლებიც სკანდინავიის მთელ რიგ ადგილებს შემორჩა და რომელთა ასაკი სამათასწლეულს ითვლის, თავისი კონტურებით საოცარ მსგავსებას ამჟღავნებენ ვიკინგების ეპოქის ხომალდების ფორმებთან.

ძველი სკანდინავიელების, ისე როგორც სხვა გერმანიკული ტომების საზოგადოებრივი წყობა, წარმოადგენს "სამხედრო დემოკრატias" (ენგელსი). სახალხო კრებები-თინგები - იყო უმაღლესი ხელისუფლების ორგანო; მასში მონაწილეობდა ყველა ასაკოვანი მამაკაცი. თინგი ირჩევდა ტომის მამასახლისს და ბელადს (კონუნგს). თანდათან გამოიკვეთა მოსახლეობის პრივილიგირებული ფენა- დიდგვაროვნები. ბელადებს უკვე დაწინაურებული წრეებიდან ირჩევდნენ. თანდათან ეს თანამდებობები მემკვიდრეობითი გახდა.

ზოგიერთ ადგილებში იქმნება ტომობრივი კავშირები, რომლებიც მცირე, დაქუცმაცებულ ტომებს აერთიანებდა. ასეთ გაერთიანებულ ტომებად იორდანისი დანებს და სვევებს თვლის. ეს პროცესი არათანაბრად მიმდინარეობდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში სკანდინავიურ ტომებს ჰქონდათ ინტენსიური ვაჭრობა რომის იმპერიასთან. ერთ-ერთი ასეთი სავაჭრო გზა სკანდინავიიდან რომამდე გადიოდა გოტლანდიის გავლით. ბალტიის ზღვაზე და ვისლაზე, მეორე - სამხრეთ იუტლანდიიდან ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროებზე და რაინის ზემოდინებაზე. მოგვიანებით (VII-VIII.) გაძლიერდა სკანდინავიელების სავაჭრო კავშირები კონტინენტზე მცხოვრებ გერმანიკულ ტომებთან, განსაკუთრებით - ფრანკებთან; VI-VIIIსს. იგრძნობოდა გამოცოცხლებულ კავშირები ფრიზებთან.



18. ვიკინგების ეპოქა

სკანდინავიური ქვეყნების ისტორია VIII საუკუნიდან დაახლოებით XI საუკუნის შუა წლებმდე იწოდება "ვიკინგების ეპოქად"*

ეს ეპოქა ორი ძირითადი ნიშან-თვისებით გამოირჩევა: გვაროვნული წყობილების რღვევით, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენდა და სკანდინავიელების ძლიერი და ფართო ექსპანსიით.

ვიკინგების ლაშქრობები ორნახავარი საუკუნის მანძილზე თავზარს სცემდა ევროპის მოსახლეობას. ამ ლაშქრობების შედეგი იყო სკანდინავიელების მიერ მთელი რიგი ტერიტორიების დაპყრობა და სკანდინავიის საზღვრებს იქით რამდენიმე სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

ვიკინგების ლაშქრობების დასაწყისად მიიჩნევენ VIII საუკუნის ბოლოს, დაახლოებით, 793 წელს, სკანდინავიელი ზღვის მეკობრეების თავდასხმას ინგლისურ მონასტერზე ლინდისფარის კუნძულზე. მალე ასეთი თავდასხმები განმეორდა ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიისა და უელსის ბევრ რაიონში. ვიკინგები, რომლებიც დასავლეთ ევროპაში 'ნორმანდიელების' სახელით იყვნენ ცნობილი, (<ძვ.- ნორმ. **nordimað** 'წრდილოეთის ადამიანი'), მიიწვედნენ აგრეთვე ბალტიის ზღვის სანაპიროებისა და საფრანგეთისკენ სხვა კონ-

* ვიკინგები-სკანდინავიელი, ნორმანი მეზღვაური მეომრების დასახელება, რომლებიც VIII - XI საუკუნეებში თავს ესხმოდნენ ევროპის ქვეყნებს და აარსებდნენ კოლონიებს. ვიკინგები იყვნენ ოჯახში მეორე და მესამე ვაჟები, რომლებსაც მამის ქონება არ ეკუთვნოდათ მემკვიდრეობით და იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ სკანდინავიის ნაპირები და ზღვაში ეძებნათ ბედნიერება. ვიკინგები იყვნენ ისლანდიის და გრენლანდიის პირველი მოსახლეები, ზოგი ცნობებით, ისინი იყვნენ კანადის და ნიუ-ფაუნდლენდის პირველი ევროპული მოსახლეობა.

ტინენტალურ ქვეყნებისაკენ. ვიკინგების თავდასხმების მსხვერპლი გახდა მთელი დასავლეთ ევროპა: თეთრი ზღვიდან სიცილიამდე. ვიკინგების კოლონიზაციის ქვეშ მოექცნენ ორკნის, ჰიბრალტარის და შოტლანდიის კუნძულები, შემდგომში კი ფარერიის კუნძულებიც. 874 - 930 წლებს შორის პერიოდში ვიკინგებმა დაიკავეს ისლანდიის მთელი სანაპიროები, მოგვიანებით კი აფუძნებენ დასახლებას გრენლანდიაში. გადმოცემის თანახმად, 1000 წლისთვის, კოლუმბამდე თითქმის ნახევარ ათასწლეულამდე ადრე, ისინი მიუახლოვდნენ ჩრდილო ამერიკის სანაპიროებს. IX საუკუნის ბოლოს, ინგლისის მეფე ალფრედი იბულებულია დაუთმოს ვიკინგებს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი. ამ ოლქმა მიიღო სახელწოდება - დანელაგი - 'დანიური უფლების მხარე' (ინგლისში ვიკინგებს დანიელებს ეძახდნენ). 911 წელს ნორმანებმა დაიპყრეს საფრანგეთის სანაპიროების ჩრდილოეთი მხარე და აიბულეს მეფე შარლ მიაშიტი დაეთმით მათთვის იგი. ასე შეიქმნა ნორმანდიის საჰერცოგო. სკანდინავიელებმა ჩქარა განიცადეს ასიმილაცია და უკვე ერთნახევარი საუკუნის შემდეგ (1066წ.) ისინი ინგლისში მოვიდნენ, როგორც ფრანგული ენისა და ფრანგული კულტურის მატარებლები. ვიკინგებმა თავდასხმები განახორციელეს ესპანეთის და სამხრეთ იტალიის სანაპიროებზე. ნორმანდიელებმა (ე.ი. ნორმანდიაში ჩასახლებულმა სკანდინავიელების შთამომავლებმა) XI საუკუნეში დაიპყრეს სიცილია და სამხრეთ იტალია და დააარსეს იქ თავიანთი სამეფო.

ნორმანდიელები ძირითადად ნორვეგიიდან და დანიიდან გადმოსახლებულები იყვნენ. ვიკინგები, რომლებმაც შვედეთიდან აღმოსავლეთ ევროპისკენ გასწიეს, იქ ცნობილი გახდნენ ვარიაგების სახელწოდებით. (ძვ.-ნორმ. varar „ფიცი“ და ganga „წასვლა“).

ვარიაგები რუსეთში გამოჩნდნენ IX საუკუნეში. ესენი იყვნენ ზღვის მეკობრეები, ვაჭრები, დაქირავებული მეომრები. ლეგენდა ვარიაგების მიერ რუსული სახელმწიფოს დაარსების შესახებ ისტორიულ ფაქტებს არ შეესაბამება. საქმე იმაშია, რომ ამ პერიოდისთვის რუსეთი ისტორიულად განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა: აქ უკვე არსებობდა ქალაქები, მაშინ როცა სკანდინავიაში ისინი უფრო გვიან წარმოიქმნენ. რუსეთს სკანდინავიელები ეძახდნენ აგრეთვე **Gardariki**, ('ქალაქების ქვეყანას');

რუსეთში უფრო ადრე იყო ფეოდალიზმის ჩანასახები, ვიდრე სკანდინავიის ქვეყნებში, რუსეთიც უფრო ადრე გაქრისტიანდა, ვიდრე სკანდინავიური ქვეყნები.

მდინარეებით გასასვლელი გზების სისტემის მიხედვით, რომელიც ბალტიის ზღვას შავ ზღვასთან აკავშირებდა და რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით: „გზა ვარიაგებიდან ბერძნებამდე“, ვიკინგები კონსტანტინოპოლამდე ჩავიდნენ. აქ ისინი ბიზანტიელი მეფეების ჯარში დაქირავებულ მეომრებად მუშაობდნენ.

ვიკინგების ფინეთზე თავდასხმების შედეგად გაჩნდა ფინეთში შვედი მოსახლეობა.

XI საუკუნის მეორე ნახევარში ვიკინგების შემოსევები შეწყდა.

18.1. ვიკინგების ლაშქრობების მიზეზები და შედეგები

თანამედროვე ისტორიკოსები ვიკინგების ლაშქრობების მთავარ მიზეზად იმ გარემოებას თვლიან, რომ სკანდინავიურ ქვეყნებში არ იყო საკმარისი მიწები მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საწარმოებლად. შემთხვევითი არაა, რომ

სკანდინავიელების გარე ექსპანსიის პარალელურად, ხდება შინაგანი კოლონიზაცია, მიწების ათვისება სკანდინავიის შიდა რაიონებში. ადამ ბრემენსკის წერდა, რომ ნორვეგიელებს მეკობრეობისკენ მათი ქვეყნის სიღარიბე უბიძგებდა.

ვაჭრობის განვითარებამ, რომელსაც სკანდინავიელებმა სხვა ხალხთან კონტაქტების შედეგად მიიღწიეს, განსაკუთრებით ისეთ ხალხებში, რომლებიც მათ ეკონომიურად და კულტურითაც წინ უსწრებდნენ, სტიმული მისცა მათ დაეღწათ შორეული ქვეყნებიც. ამ შორეული საზღვაო ლაშქრობების აუცილებელი წინაპირობა კი შექმნა სკანდინავიაში არსებულმა საზღვაო-სანაოსნო ისტორიის ხანგრძლივმა გამოცდილებამ.

გარდა სუფთა ეკონომიური მიზეზებისა, ვიკინგების ლაშქრობები განპირობებული იყო სოციალური და პოლიტიკური მიზეზებით. თანდათან ძლიერდება ჯერ კიდევ ვიკინგების ეპოქამდე დაწყებული გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესი, რომელსაც თან ახლდა დიდგვაროვანთა გამოყოფა. გამდიდრების და მათი ხელისუფლების განმტკიცების სურვილით შეპყრობილი კონუნგები ცდილობდნენ გარს შემოეკრიფათ ძლიერი, მათთვის თავდადებული მეომრები. ქვეყნები, რომლებსაც ვიკინგები ესხმოდნენ თავს, პოლიტიკურად სუსტი ქვეყნები იყო, ხშირად მეფობდა შინააშლილობა და ერთმანეთში შუღლი, რის გამოც ისინი ადვილად ხელთჩასაგდები ნადავლი იყვნენ თავდამსხმელებისთვის. ამ დროს სკანდინავიაში უკვე ფხვს იკიდებს ცენტრალიზირებული სამეფო ხელისუფლება. ნორვეგიაში, მაგალითად, IX საუკუნის ბოლოს ქვეყანა ერთიანდება ჰერალდ თამმშვენერიის ხელისუფლების ქვეშ. ისინი კი, ვისაც არ სურდა მეფის ხელისუფლებისადმი დამორჩილება, ტოვებდნენ ქვეყანას და მიემართებოდნენ უცხოეთში.

ვიკინგების ლაშქრობები სხვადასხვა ფორმას ღებულობდა. უმეტეს შემთხვევაში, ეს იყო მეკობრეების თავდასხმები, რასაც ნადავლის მოპოვებასთან ერთად, თან ახლდა ადამიანების დატყვევება და დამონება.

არცთუ იშვიათად, ეს იყო სავაჭრო მოგზაურობა, რომელსაც, შეიძლება თავდასხმითი ხასიათის შეხლა-შემოხლა არ მოყოლოდა. ვიკინგები ხშირათ სახლდებოდნენ მათ მიერ დაპყრობილ ადგილებში, სადაც ეს კოლონიზაცია სრულიად მშვიდობიანი ხასიათის იყო (მაგ. ისლანდიაში). მაგრამ შეიძლებოდა დაპყრობითი ხასიათისაც ყოფილიყო. ზოგჯერ ლაშქრობაში ყველაფერი ერთად თავსდებოდა: შეხლა-შემოხლაც, ვაჭრობაც და კოლონიზაციაც.

სიტყვა ვიკინგი (ძვ.-ნორმ. **vikingr**) მეცნიერებისთვის სადავო საკითხი გახდა. ზოგჯერ მას აკავშირებენ სიტყვა **vik**-თან, რაც ნიშნავს: 'ყურე'. 'უბე' (ე.ი. ყურეში მიმალული") და საკუთარ სახელთანაც **-Vik**, რომელიც ჰქვია ოსლო-ფორდთან ახლო მდებარე ოლქს. სიტყვა **vikingr**-ს აგრეთვე აკავშირებენ ზმნა **vikja**-სთან, რაც ნიშნავს: 'შემოტრიალება', 'გადახრა' და მნიშვნელობას ხსნიან შემდეგნაირად: "ადამიანი, რომელმაც მიატოვა სამშობლო და გაცურა სამშობლოსაგან შორს". ყველა ამ ახსნა-განმარტებას შეიძლება სერიოზული საწინააღმდეგო აზრი მოენახოს, ასე, რომ სიტყვის ეტიმოლოგია კვლავ გაურკვეველი რჩება.

ვიკინგების ლაშქრობებს სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა შედეგი მოყვა. იმ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე იდგა და რიცხობრივად ჭარბობდნენ მათ, ვიკინგები ადვილად განიცდიდნენ ასიმილაციას (მაგალითად, ნორმანდიაში). მაგრამ ხდებოდა პირიქითაც, იპყრობდნენ რა ცარიელ მიწებს, ვიკინგები ქმნიდნენ მოსახლეობას და ინარჩუნებდნენ წათ

ენას და კულტურას. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ფარერიის კუნძულები ისლანდიაში. ვიკინგების ეპოქაში, ბევრ მათ მიერ კოლონიზირებულ მხარეებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნდა სკანდინავიური მეტყველება: ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისში XI საუკუნის ბოლომდე, ირლანდიაში XIII საუკუნის II ნახევრამდე, ჰებრიდის კუნძულებზე XIV საუკუნემდე, ორკნის კუნძულებზე XVII საუკუნის ბოლომდე, შოტლანდიისა და მენის კუნძულებზე კი XVIII საუკუნის II ნახევრამდე. XV საუკუნის II ნახევრამდე იარსება სკანდინავიურმა მოსახლეობამ გრენლანდიაში.

სკანდინავიელების ჩრდილო ამერიკის ტერიტორიაზე ყოფნის ხასიათისა და ადგილის საკითხის შესახებ ბევრი რამ გაურკვეველი რჩება. გაურკვეველია სად მდებარეობს ვინლანდი (ასე უწოდა ახალ ქვეყანას ლაიფ ბედნიერმა – გრენლანდიის პირველი მოზინადრის ერიკ წითურის ვაჟმა, რომელმაც იგი პირველად აღმოაჩინა). ბევრი მეცნიერი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სკანდინავიელები იმყოფებოდნენ ნიუფაუნდლანდის სანაპიროებზე. წარმოებული გათხრებიც ადასტურებს ამ ვარაუდს, მაგრამ არქეოლოგიური მონაცემები სხვა ინტერპრეტაციის მომხრეა. ასეა თუ ისე, ნავარაუდევის ჭეშმარიტობის აღიარების შემთხვევაშიც, გაურკვეველი რჩება რამდენ ხანს იარსება სკანდინავიურმა მოსახლეობამ ნიუფაუნდლენდში.

ვიკინგების ეპოქაში საფუძველი ეყრება ძველ სკანდინავიურ სახელმწიფოებს. ნორვეგიის გაერთიანება დაკავშირებულია ჰარალდ თამაშვენიერის სახელთან (დაახლ. 860–940წწ.), სახელმწიფოს ჩამოყალიბებას თან ახლდა გაქრიასტიანება; ნორვეგიაში იგი XI საუკუნის დასაწყისში დასრულდა. დანიის პირველი, თუმცა არამყარი გაერთიანება მოხდა მეფე გოთფრედის დროს (800 წლამდე). ერთიანი დანიური სახელმწიფო

























ჩამოყალიბდა მოგვიანებით ჰორმ მოხუცის დროს (940წ.). მისი ვაჟი ჰარალდი გაქრისტიანდა 960 წელს. შვედეთში სახელმწიფოს ჩამოყალიბება გაცილებით გვიან მოხდა. შვედეთის გაქრისტიანებაც ასევე გაცილებით უფრო გვიან დასრულდა (XII საუკუნეში), ვიდრე დანიასა და ნორვეგიაში.

კონტინენტალურ სკანდინავიურ ქვეყნებში იდეენებოდა წარმართული კულტურა ქრისტიანული რელიგიის მიერ, რომელიც სამეფო ხელისუფლების საჭეს წარმოადგენდა, ისლანდიაში ქრისტიანობა არ წარმოადგენდა ძალას, რომლის საშუალებითაც ფეოდალიზმი ცდილობდა თავისი ხელისუფლების განმტკიცებას: განსაკუთრებული პირობების თანახმად, ალთინგის გადაწყვეტილებით, 1000 წელს – ისლანდიაში ქრისტიანობა მშვიდობიანი გზით იქნა მიღებული; ამავდროულად ნებადართული რჩებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმართი ღმერთებისადმი რწმენის შენარჩუნება. ამ მიზეზით იყო, რომ ვიკინგების ეპოქის ძირითადი კულტურული ძეგლები – ძველი სკანდინავიური მითები და საგმირო თქმულებები, ისე როგორც სკალდების პოეზია – ყველაზე სრულად ისლანდიაშია შემორჩენილი, თუმცა გვიანდელ ჩანაწერებში (XIII საუკუნე).

სკანდინავიურ ქვეყნებში ფართოდ იყო გავრცელებული რუნები – საერთო გერმანიკული წერითი ნიშნები, ადრე ხეზე, შემდგომში ქვაზე, ძვალზე, ლითონზე ნაკვეთი ასო-ნიშნები გერმანიკულ ტომებში გავრცელებულმა ამ საკულტო ნიშნებმა შემოგვინახა ანბანი. გავრცელებული იყო გრენლანდიიდან დნეპრისპირეთამდე, ჩრდილოეთ სკანდინავიიდან ბალკანეთამდე.

რუნებმა ევროპაში XX საუკუნის დასაწყისამდე იარსება. ყველაზე დიდხანს იგი შემორჩა სკანდინავიაში, სადაც გლეხები XX საუკუნეში რუნულად წერდნენ და კითხულობდნენ. ვიკინგების დროიდან (Wikingerzeit 9/10 Jh.) ძალზე აქტიურ

ხმარებაში იყო ე.წ. გამარტივებული ახალი რუნები, რომელიც 16 ასოსაგან შედგებოდა. ადრეულ შუა საუკუნეებში რუნები საკულტო-სარიტუალო თავდაცვითი და შელოცვითი დანიშნულების გარდა გამოიყენებოდა ლექსების (IX საუკუნე), სამართლებრივი კანონების დასაწერად (დანიაში Codex Runicus_ XIII საუკუნე) და სხვ.

							
feoh (cattle, wealth)	ur (urochs)	þorn (thorn)	ós (god)	rād (journey/trading)	cen (torch)	giefu (gift)	wyn (joy)
	u	o	o	r	c	g[f
							
hægl (hail)	nīd (necessity/trouble)	is (ice)	gear (year)	ēoh (yew)	peor (?)	eolh (sedge?)	sigel (sun)
h	n	i	j	3	p	x	s
							
tīw/tir (Tiw - a god)	beorc (birch)	eoh (horse)	man (man)	lagu (water/sea)	Ing (a god)	eþel (land/estate)	dæg (day)
t	b	e	m	l	ng	ce	d

19. გერმანიკული პარლამენტარიზმი

ჯერ კიდევ ტაციტუსი წერდა იმის შესახებ, რომ გერმანელებს ჰქონდათ სახალხო თავყრილობები, რომლებზედაც თავისთვის მნიშვნელოვან და საჭირობო საკითხებს განიხილავდნენ. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ასეთ თავყრილობებს ტევტონები „თინგებს“ უწოდებდნენ. (ძვ.-ისლ., ძვ.-ინგლ. þing; ძვ.-ზ.-გერმ., ძვ.-ნიდერლ. ding). თინგს დიდი ძალაუფლება ჰქონდა იმ გერმანიკულ ხალხებთანაც, რომლებსაც მეფეები ჰყავდათ. (წარმართულ ნორვეგიაში ერთ-ერთი ასეთი თინგი იყო სახელგანთქმული გულათინგი, რომელიც კუნძულ გულაზე იკრიბებოდა ხოლმე). აქედან გამომდინარე, ძველ ტევტონთა საზოგადოებრივი წესწყობილება თავიდანვე ატარებდა კონსტიტუციური მონარქისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ტაციტუსი აღნიშნავდა, რომ გერმანელთა მეფეები უფრო სამხედრო ლიდერები არიან, ვიდრე განუსაზღვრელი უფლებათა მქონე დესპოტები (იხ. გერმ .7). მართლაც, თავად „მეფის“ აღმნიშვნელი სიტყვები ბევრ ძველ-გერმანიკულ ენაში შეიცავენ „ხალხის“, „ტომის“ აღმნიშვნელი სიტყვების ძირებს. შდრ.ძვ.-ინგლ. cyning; ძვ.-ნიდერლ. koning; ძვ.-ზ.-გერმ. kuning; ინგლ. king, გერმ. König. – „მეფე“.

ძვ.-ინგლ. cyn(n); ინგლ. kin; ძვ.-ზ.-გერმ. kunning; ძვ.-ისლ. kyn, გოთ. -kuni „ტომი“, „ მოდგმა“; აგრეთვე ძვ.-ინგლ. þeoden; ძვ.-ისლ. þjóðann; ძვ.-საქს. thiodan; გოთ. þiudans „მეფე“ და ძვ.-ინგლ. þond, ძვ.-ისლ. þið; გოთ. þiuda და ა.შ. – „ხალხი“, „ერი“. ამდენად, „მეფის“ აღმნიშვნელი ზემოთმოყვანილი გერმანიკული სიტყვები, საკუთრივ „ტომის, ხალხის ბელადს“ ნიშნავს.

სისტემატურია, რომ სკანდინავიაში (შვეიცია, დანია, ნორვეგია) მთელი ისტორიის მანძილზე კანონზომიერად წარუ-

მატებლად მთავრდებოდა აბსოლუტური მონარქის დამყარების ცდები, რამდენადაც სკანდინავიელები მეტად თავისუფლების მოყვარენი იყვნენ და მათთან ძლიერი იყო დემოკრატიული ტრადიციები.

გერმანიკულმა პარლამენტარიზმა ყველაზე ფართო მასშტაბი ძველ ისლანდიაში შეიძინა. ისლანდია 870-939 წლებში დასახლებული იქნა ნორვეგიელი ემიგრანტებისა და კოლონისტების მიერ, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ დესპოტიზმს ნორვეგიელი კონუნგის ჰარალდ ჰარფაგრისა (ჰარალდ თიმმშვენერიისა), რომელიც მუქარით აიძულებდა დიდგვაროვნებს ქრისტიანობის მიღებას.

ისლანდიაში დასახლებულ სკანდინავიელ კოლონისტებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ჰქონდათ ადგილობრივი თინგები, ხოლო 930 წელს მათ დაარსეს საყოველთაო თინგი, ანუ ალთინგი (Allþingi), რომელიც ევროპის უძველეს პარლამენტად ითვლება. ისლანდიის რესპუბლიკის პარლამენტს დღესაც „ალთინგი“ ჰქვია. საგულისხმოა, რომ ძველ სკანდინავიურ და გერმანიკულ ტრადიციებს უკავშირდება დანიისა (Folketing) და ნორვეგიის (Storting) პარლამენტების სახელწოდება, რაც სიტყვათსიტყვით, შესაბამისად, „სახალხო თინგს“ ნიშნავს. ალთინგზე განიხილებოდა სხვადასხვა სადავო საკითხები, რომელსაც ადგილობრივ თინგებზე ვერ წყვეტდნენ. სასამართლო გადაწყვეტილება გამოჰქონდათ მოსამართლეებს, რომელთაც მოდავე მხარეები თავისი მეზობლების, ან სხვა თვითმხილველთა რიცხვიდან ირჩევდნენ. თოთოეული მხარე თორმეტ მოსამართლეს ნიშნავდა, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ადრეულ ფორმას. შესაშურია, ის მაღალი სამართლებრივი თვითშეგნება, რომელიც ისლანდიელთათვის და სხვა სკანდინავიელთათვის იყო დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ ინგლისური სასამართლო სისტემა სკანდინა-

ვიური ტრადიციების ძლიერი გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა და სწორედ სკანდინავთაგან გადაიღეს ანგლოსაქსებმა თავის დროზე 12 ნაფიცი მსაჯულის დანიშვნის ჩვეულება. ანალოგიურია მსგავსი ჩვეულებების არსებობა სხვა გერმანიკული მოდემის ხალხებთან – ვესტგუთებთან, ფრანკებთან, საქსებთან, ლანგობარდებთან, ფრიზებთან, ბურგუნდებთან და სხვებთან. ძველი გერმანიკული ტომისათვის დამახასიათებელი იყო პატივისცემა კანონისამი, კანონების შესრულების სურვილი და სწრაფვა – ეცხოვრათ სამართლებლივ საზოგადოებაში.



გერმანელთა კრება-საბჭო, რელიეფური მონაკვეთი მარკუს ავრელიუსის კოლონიდან, რომი

20. „მამაო ჩვენო“ გერმანიკულ, ლათინურ და ბერძნულ ენებში

გოთური:

1. Atta unsar thu in himinam, weihnai namô thein.

Vater unser da in Himmeln, geweiht werde Name dein. (Es komme

2. thiudinassus theins, wairthai wilja theins, swê in himina
Volkreich deins. (Es) werde Wille deiner, gleichwie im Himmel

3. jah ana airthai. hlaif unsarana thana sinteinan gif uns himma
auch auf Erden. Brot unseres das tägliche gib uns (an) diesem

4. daga. jah aflêt uns thatei skulans sijaima, swaswê jah weis
Tage. Und erlaß uns, dass Schuldner wir seien, so wie auch wir

5. aflêtam thaim skulam unsaraim, jah ni briggais uns in
erlassen den Schuldern unsern, und nicht bringe uns in

6. fraist ubnjai, ak lausei uns af thama ubilin. Amen. untê theina
ist

Versuchung, sondern (er)löse uns von dem Übel. Denn dein ist

7. thiudangardi jah mahts jah wulthus in aiwins. amên.

Königreich und Macht und Herrlichkeit in Ewigkeiten. Amen.

ძველი ზემოგერმანული

1. Fater unsêr, thû in himelom bist, giuuihit si namo thin.

Vater unser, (der) du in Himmeln bist, geweiht sei Name dein.

2. quaeme richi thin. uerdhe uilleo thin, sama sô in himele endi
Komme Reich dein. Werde Wille dein, ebenso wie in Himmel

auch

3. in erthu. Broot unseraz emezzîgas gib uns hiutu. endi falâz

Auf Erden. Brot unseres beständiges gib uns heute. Und erlass

4.uns sculdhi unsero, sama sô uuir farlâzzêm scolôm unserêm.

*Uns Schulden unsere, ebenso wie wir erlassen Schuldner
unsern.*

5.endi ni gileidi unsih in costunga,auh arlôsi unsih fona ubile

Und nicht leite uns in Versuchung, sondern erlöse uns von Übel.

ინგლისური

Our Father which art in heaven

Hallowed be thy name.

Thy kingdom come

Thy will be done on earth as it is in heaven,

Give us our daily bread

And forgive us our debts, as we forgive our debtors.

Do not lead us into temptations but deliver us from evil.

For thyme is the kingdom the power and the glory forever.

Amen!

გერმანული (მარტინ ლუთერის თარგმანი)

Unser Vater in den Himmel!

Dein Name werde geheiligt.

Dein Reich komme.

Dein Wille geschehe auf Erden wie im Himmel.

Unser täglich Brot gib uns heut.

Und vergib uns unsere Schuld, wie wir vergeben unseren
Schuldigern.

Und führe uns nicht in Versuchung, sondern erlöse
uns von dem Übel.

Denn dein ist das Reich und die Kraft und die Herrlichkeit in
Ewigkeit.Amen.

Our Father, (ingl.)

who art in heaven,

hallowed be Thy name.

Thy kingdom come.

Thy will be done on earth as it is in heaven.

Give us this day our daily bread

and forgive us our trespasses as we forgive those who trespass against us.

And lead us not into temptation,

but deliver us from evil. Amen.

Original text in Greek¹

Πάτερ ἡμῶν ὁ ἐν τοῖς οὐρανοῖς·

ἁγιασθήτω τὸ ὄνομά σου·

έλθέτω ἡ βασιλεία σου·

γενηθήτω τὸ θέλημά σου·

ὡς ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ γῆς·


τὸν ἄρτον ἡμῶν τὸν ἐπιούσιον δός ἡμῖν σήμερον·

καὶ ἄφες ἡμῖν τὰ ὀφειλήματα ἡμῶν,

ὡς καὶ ἡμεῖς ἀφήκαμεν τοῖς ὀφειλέταις ἡμῶν·

καὶ μὴ εἰσενέγκῃς ἡμᾶς εἰς πειρασμόν,

ἀλλὰ ρῦσαι ἡμᾶς ἀπὸ τοῦ πονηροῦ.



ქალის საფლავში ნაპოვნი ჯვარი

ბიბლიოგრაფია

1. გამყრელიძე თამაზ და სხვ.თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

2. გვენცაძე, მ. ჭიჭინაძე. გერმანული ენის ისტორია. ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის საზოგადოება "მთაწმონდა"თბილისი. 1993.

3. კოეგლერი კ. გერმანული ენის ისტორიის შესავალი. თარგმანი შ. შათირიშვილი. გამომცემლობა "განათლება" თბილისი 1989.

4. ქვრივიშვილი თ. კოლხური რუნები. გამომც. „ნეკერი“.2010

5. ჭრელაშვილი კ. ლინგვისტური მოძღვრების ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.1990.

6. ჭყონია.ნ. ლექციები ენათმეცნიერებაში.(ნაწილი მეორე). გამომცემლობა: "უნივერსალი". თბილისი 2012.

7. სტამბოლიშვილი, ნ. კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის ასახვა ორი მონათესავე ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შედარების ფონზე. საენათმეცნიერებო ძიებანი №XXVI, თბილისი, 2007.

8. ნ. სტამბოლიშვილი. ლექციების კურსი „გერმანიკული ფილოლოგიის შესავალი“2005

9. Margalitild_2008.member1. ლექციების კურსი "შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში" 2008

10. М. Т. Арсеньева, С. П. Балашова, С. П. Борков, Л. Н. Соловьёва. Введение в германскую филологию. М. 1998.

11. Behm, Blanke u.a. Die Germanen. Geschichte und Kultur der germanischen Stämme in Mitteleuropa. Hrsg. v.Joachim Germann, B.1 Akademie Verlag 1988.

12. Gross, Harro. Einführung in die germanistische Linguistik. Neu bearbeitet von Klaus Fischer Iudikum Verlag, München, 1998

13. Kluge Fr. *Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache*. 24. Auflage. bearbeitet von Elmar Seebold. De Gruyter, Berlin und New York 2002.

14. Krause, Arnulf: *Die Geschichte der Germanen*, Campus, Frankfurt am Main 2005

15. Schmidt Wilhelm. *Geschichte der deutschen Sprache*. ein Lehrbuch für germanistische Studium. S. Hirzel Verlag Stuttgart 2007.

16. Schleicher, August. *Compendium der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen*. Bohlau. Weimar 1861/62. Olms, Hildenschein 1974 (Nachdr.).

17. Хлебникова И. Б. Введение в германскую филологию и история английского языка. "ЧеРо" Москва, 2001

18. Гамкрелидзе Т. В. Иванов Вяч. Вс. *Индоевропейский язык и индоевропейцы*. Изд.-во ТГУ., Тб., 1984.

Germanen.

<http://de.wikipedia.org/w/index.php?title=Germanen&oldid=114353432>

Codex Argenteus [http://commons.wikimedia.org/wiki/](http://commons.wikimedia.org/wiki/File) File

The History of the Germanic Tribes & Races
<http://www.imperialteutonicorder.com/id43.html>

გამომცემლობის დირექტორი - ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი - ლალი კონცეფლიძე
ტექნიკური რედაქტორი - ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.08.2015

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 16.8

ტირაჟი 150

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35

ISBN 978-9941-462-10-8



9 789941 462108